

K25295
2

၃၀၅၀၀၀၈ၦၦ

899.962.1-1

բառերևութ

Հայոց
4.1.186.
122-իւ-4.

ԹԱՅՈԲՈԱԲՈ

ՏԿ 25295
2

ՅԱՅՍՈՒ-ԱՎԱՌԵՆՈՒ

Տագրմալղմա

ԺԹՄԱՆ Թ-17 ՏԵՂՄԵՐԸ



Ց. ՀԱՅՈՒ ՑՈՒԱ ԿԵԼԱՅՈՒԹ



ԾՐԱԾՈՒՈ 1937 ԿԱՇՄԵՐԱՎՈՐԻ

835680600306

რომანტიკული პოემა „ომაინიანი“ პირველად / იბეჭდება, დიօდი რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით: წინამდებარე პოემა ერთ-გვარი ვაგრძელებაა უკვლავი ვეფხის ტყაოსნისა.

ცნობილია აღორძინების ხანაში დიდი ლტოლვა რუსთაველისად-
მი—მას ბაძავდენ, აქებდენ, მოწიწებით იხსენიებდენ, მის ქმნილებაში
ურთავდენ აქა-იქ ადგილებს... ჩენი პოემის ავტორის სახით კი გამა-
გრძელებელიც გაჩენია „ვეფხის ტყაოსანს“.

ტარიელის ქე, სარიდანი, გამეფუდება ინდოეთში, რომელიც მან კიდევ უფრო გააფართოვა და გააძლიერა — „სხვაც დაიჭირა სამეფო ინდოეთს მომატებული“; თვით კი იყო „მამისა მსგავსი ძალ-გზა-ლად“. მას ცოლად ჰყავდა ავთანდილის ასული —

„მას ედგა ცოლი მნათობი, ასული ავთანდილისა, მჯობი ყოველთა კეკლუცთა ნაწერა მისისა ჩრდილისა“.

ამ სწორუჟოვარ გმირთა შთამომავალთ მშოლოდ ერთი გულის ტკივილი ჰქონდათ: არ ჰყავდათ მემკვიდრე, მაგრამ „ღმერთმა მოწყალება მოილო“ და მათ შეეძინათ ვაჟი; რომელსაც ომაინი დაარქვეს. ომაინი მეტად მოხდენილი და ლონიერი ჭაბუკი დადგა: „გაიზარდა, არვინ გვანდა შვენებითა, არცა ტანალ“... (50) „ჰევიანი და გონიერი მართ მამაცად გმირთა-გმირი“ (51). და შემოფომ იწყება დამოუკიდებელი თხრობა ომაინის თავვარდასავალის შესახებ...

„ომაინიანი“-ს ტექსტი შემონახულია. ხუმცეტიოდე ხელნაწერებში, მაგრამ ყველგან არ არის სათანადო ღირსების; ამ მოსაზრებათა გამო კრიტიკული ტექსტის დადგენის დროს მე ვსარგებლობდი მხოლოდ ცხრა ხელნაწერით. ეს ხელნაწერებია:

Ա — № 4988 (պոլ. Ռ. Հ. Տաթևադարյանի գործություն)։

B — № 4529 „ „ „ „

C — № 3163

D = № 1284

E — № 37 (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის თანადის).

F — № 2318 (պոտ. Տամ. Տամանյան. — Տաղավար. Տաճ. Դռնաբան).

H — № 654 (ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდის).

K — № 1066 (ყოფ. საქ. საისტ.-საეთნ. საზ. ფონდის),

L — № 421 (საქ. მუზეუმის კოლექციიდან).

ორიოდე სიტყვა ამ ხელნაწერების შესახებ. A ხელნაწერი აღრევა დეტალურად აღწერილი („Описание...“ გვ. 696). „ომაინიანი“ აქ სრულადაა მოცემული, ხარისხობრივადაც ტექსტი საუკეთესოა, შეცდომები შედარებით იშვიათია. ამის გამო ამ გამოცემას საფუძვლად არსებითად ეს ხელნაწერი დაედვა, ხოლო დანარჩენები საკონტროლო მასალა იქნა გამოყენებული; აქა-იქ უპირატესობა სხვა ხელნაწერების წაკითხვას მივეცი.

A ხელნაწერს ბოლოში მიწერილი აქვს სხვა ხელით ოთხი სტროფი, რომელთაგან მხოლოდ პირველი მივიჩნიე ავტორის ეულად, ე. ი. ტექსტისათვის შესაბამისად, და ამიტომაც პოემა ამ სტროფით დავამთავრე; რედაქციულად უპირატესობა ამ სტროფისათვის D ხელნაწერს მივეცი. აქ მაინც მოვიტან უცვლელად დანარჩენ სამ სტროფს:

„ყარაჭოილ: მხეჭაბუკ. ვით ბინდსა გაუმშეობდა
თვით. შუქსა. პფენდა. ქვეყანად: მისთა. მჭურეტთა. თვის მზეობდა
იგი შეემკო: რომელსა. ყოველთა. ზესთა. მზეობდა
და დიდნი. მის წინა. სამრინოდ. მონამშეობდა.“

დღენი. მისცა. შეუმოკლდა. გვარად: ისიც არაბია.
უწინდელი. ხელმშიფენი. ჩინმაჩინი. არაბია
და ეს. იცოდეთ. ჯოჯობეთსა: ჩვენთვის. კარი არ აბია¹.

ლმერთსა: ვიმოწმებ: ამისთვის. ეს სიტყვა ჩემჯან გულისა
სოფელი. მაკუდინებელი. შემცულელი. არის. რჯულისა
რომელიც. თქმულა. წინათვან. ამამღებელი. სულისა
და ჩემაგირი. ნათქვამი. აწ. ნახეთ თქვენცა. თქმულისა.“

B ხელთნაწერში ჩვენი ტექსტი ნაკლულებანია: აკლია დასაწყისში, შიგადაშიგ და ბოლოში, მაგრამ, რაც დარჩენილა, რედაქციულად კარგია (ხანდისხან უპირატესიცაა A-სითან შედარებით). ამ ხელნაწერის აღწერას „Описание...“-ში 20 გვერდი აქვს დათმობილი (524-544).

C მე-18 საუკუნის ხელნაწერია, გადაწერილი ცნობილი კორნილი ჩაჩიკაშვილის მიერ 1782 წელს. მე-18 საუკუნის, და. მომდევნო ხანის ხელნაწერებთან შედარებით C ყველაზე სრული და წესიერი ტექ-

¹ სტროფი დედანში სამტავპიანია.

ტის შემცველია, ის კვალდაკვალ მისდევს A რედაქციას ბოლო თავებამდე, საღაც უკვე D რედაქციის ოდნავი გავლენა ეტყობა. უნჯბლიე შეცდომები და აქა-იქ რედაქციული თავისებურებანიც გვხვდება, მაგრამ საერთოდ კრიტიკული ტექსტის დასაღვენად მეტად სანდო წყაროა. აქვე უნდა აღვნიშნო ამ ხელნაწერის თავისებურება: A-ში ჩვენი ტექსტის მე-19 სტროფში ქებით მოხსენებულია ირანის მფლობელი შაპ-აბაზი; ეტყობა, შემდევი ეპოქის გადამწერთ ვერატრად მოსწონებიათ. შაპ-აბაზის ქება და ამიტომ მისი სახელი ამოუგდიათ სტროფიდან (ამ მხრივ დაუზიანებელ ხელნაწერებიდან გამონაკლის შეადგენს მხოლოდ F); ჩვენი C-ც ასევე იქცევა, და მე-19 სტროფი აქ ასე იწყება:

„ქაიხოსროვის შედეგად ქვეყანა ერან-თურანის მჯდომია“

როგორც ვხედავთ, აქ სამი მარცვალი მეტია. და აზრიც ბუნდოვანია.

გარდა ამისა კიდევ ისიცაპ აღსანიშნავი, რომ C-ს არ აქვს დაცული უკანასკნელი სტროფი („თვითო მელექსე...“).

D ხელნაწერიც აღწერილია თავის დროზე. ის შეიცავს მარტოოდენ „ომაინიან“-ს, მაგრამ, სამწუხაროდ, დასაწყისში აკლია 33 სტროფი. ეს ხელნაწერი, ბევრნაირადაა საყურადღებო. ის გადაწერილია მე-18 საუკუნის დასაწყისში. გადამწერის ხელი იშვიათი სილამაზისაა, მაგრამ, რაც მთავარია; ეს ისაა, რომ იგი თავისებური განვრცობილ რედაქციას წარმოადგენს. ასე, მაგალითად, მასშაბთან შედარებით 6 ზედმეტი სტროფი გვაქვს (423, 424, 425, 426, 438, 439), მაგრამ იმავე A-სთან ერთად შეიცავს მეტად საყურადღებო უკანასკნელ სტროფს (440), საღაც ფირდოუსი და რუსთაველი არიან მოხსენებულნი. როგორც აღვნიშნე, ეს სტროფი ნაწილია იმ მინაწერის, რომელიც დაცულია A-ში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ ხელნაწერის თავისებურობა პროზულ ნაწილში. აქ რედაქტორი დიდს გულუხვობას იჩენს და ტექსტს შეგნებულად ავრცობს იქაც კი; სადაც ამისი საჭიროება, თითქოს, ზედმეტია. ეს ჩანართები მე მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში გამოვიყენე. რომ მყითხველს საშუალება ჰქონდეს იცოდეს ამ ჩანართების და გავრცობილ ადგილების რაობა და ღირსება, მოყიტან რამდენიმე ნიმუშს.

1) ჩვენი ტექსტი: „აქა ომაინ ხელმწიფისაგან სარი-დუვის გაგზავნა ხელმწიფესთან მახარობლად. სარის უბრძანა: შენ არ იცი, რომე ამ ბილწის დევის მაცდურობით დიდი ინდოთა ხელმწიფე,

დედოფალი და თავატნი რას ჭირსა დაბმულან! ესოდენი ხანია, რომე მათგან მარტო დავრჩიომილვარ. აწე მე მათ ცოცხალი აღარა ვგონივარ. და წალი, დროზედ აცნობე. სარიმ მოახსენა: ღია, ღმერთო, საშასახურზედ ვდგევარ. ომაინ ვონიერი მწიგნობარი მოიხმო და მამასთან წიგნის დაწერა უბრძანა...“ (გვ. 197);

D ხელ ნაწერი (იგივე ადგილი): „აქა ომაინ ხელმწიფისაგან სარი-დევის გაგზავნა ხელ მწიფესა მამასა და დედოფალთ თანა თავისა ამბის საცნობელად. სარი დევსა ქუბრძანა: შენ არა იცი, რომე ამა ბილწის დევისა მაცურობითა დიდი ინდოთა ხელმწიფე და დედოფალნი და სრულად ლაშქარნი რასა ჭირსა დაბმულან! ესოდენი ხანია, რომე მათგან მარტოდ დავრჩიომილვარ და, რაცა იქნა შენცა ნახე. აწე მე მათ ცოცხალი არა ვგონივარ და ჩვენ აქა ლხინსა ვართ და იგინი ჩემით ცეცხლითა იწევიან. სარიმ მოახსენა: ხელმწიფე, მაგას რად შეიჭირვებ? ფიცხლად წავალ. გზა და ადგილი ყველა კარგად ვიცი. თუ ინდუსტანს მიბრუნვებულმან თქვენის გამარჯვებისა და მშვილობით მტერთაგან და უზიანოდ ყოფნისა ამბავსა აღრე მიგართვამ, და, თუ ამავე ქვეყანასა სიახლოესა არიან; ფიცხლად გაცნობებ. ომაინ დიდად დაუმადლა. ვონიერი მწიგნობარი იხმო და ხელმწიფესა მამასა წინა წიგნის დაწერა უბრძანა...“ (D, გვ. 309-310).

2) ჩვენი ტექსტი: „რა დილა გათენდა, ხელმწიფემ მწიგნობარი გვერც დაისვა და წიგნის დაწერა უბრძანა. პირველად ღმერთი აღიდეს და მერმე ხელმწიფეს დიდი ქება შეასხეს...“ (გვ. 104);

D ხელ ნაწერი: „რა დილა გათენდა და ქვეყანასა მანათობელმა მზემან თქროსა ბურჯი ამართა და ცათა ქვეშეთი დააშვენა, ხელმწიფემან გონიური მწიგნობარი გვერცა დაისვა და წიგნისა დაწერა უბრძანა. პირველად ყოვლისა შემოქმედისა. ღვთისა სახელი აღიდეს და საკვირველთ-მოქმედობა მისი და მერმე ინტოთა ხელმწიფეთა დიდი ქება შეასხეს...“ (D, გვ. 349) და სხვ.

Е ხელნაწერი ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის კუთვნილებაა („Собрание царевича Иоанна“ № 37); ვინაიდან ეს ხელნაწერი აღგილობრივი მკვლევართათვის აღვილად ხელმისაწვდომი არ არის, შევეცდები მის უფრო დაწერილებით აღწერას. ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს, რომელშიაც მოთავსებულია სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოები, სახელდობრ:

1. „დავრიშიანი“—(1-55 ფურც.)
2. „სარკე-თქმულთა“ (ნაწყვეტია) —(56-88 ფ.)

3. „თქმული ვარლამისა ოკლოშერს 29 საკათალიკოსოს საყდარ-სა ზედა აღსცლასა და ნიშნების მირთმევასა ანტონი მეფის ძისასა“—(88-89 ფ.)
4. „ომაინიანი“ (ნაწილი) — (90-108 ფ.)
5. „მეფის ერეკლეს ქორონიკონი“—(109 ფ.)
6. „ქილილა და დამანა“ (ნაწყვეტები) — (110-141 ფ.)
7. უცნობი პირის წერილი (აშიაზე ალაგ-ალაგ მინაწერი აქვს— „გოგია გლახა“)—(141 ფ.)
8. ერეკლე II-ს მანიფესტი ახალციხეზედ ვალაშქრების გამო— (142-143 ფ.)

ლიტერატურული ძეგლები ყველა ნაწყვეტებშია მოცემული, ხშირად შიგადაშიგ არეულადაც. გარამწერის ხელი ერთია, მაგრამ ან არეული დედნიდანაა გაღმოწერილი, ან ფურცლები შეურევიათ აკინძევის დროს; ყოველ შემთხვევაში არც ერთი ლიტერატურული ძეგლი მთლიანად მოცემული არ არის.

ხელნაწერი გადაწერილია, როგორც „დავრიშიანი“-ს ბოლო-მინაწერიდან ჩანს, 1781 წელს. საყურადღებოა თვით მინაწერიც (კრებულის გადამწერის ხელითვე): „ამის მკითხველნო ამის ასე დაწერი-სათვის ნუ მწყევთ ახალი მოსწავლე ვიყავ კალობანში შეგირდათ ვე-ბარე წიგნს ვკითხულობდი. ვიყავ წლისა (იგ) [14] ნასყიდაშვილი სიმონ ქვე უოთ [479] ჭებერულის კა [21].“

ტექსტი, როგორც აღვნიშნე, ნაკლულევანია—იწყება „ჰამბისა დასაწყისი“-თ და წყდება თავით „აქა ომაინისავან კვლავცა მი-ჯნურობის გახშირება“—ს მე-7 სტროფის დასასრულით: „ომაინ უთხრა: წადი და...“ რედაქციულად E ეკუთვნის C ხელნაწერის ჯგუფს; ველგარული შეცდომები არ აქვს, ზოგი-რამ კი უკეთესადაცაა მოცე-მელი. ტექსტში ზედმეტია ორი სტროფი—

1) მე-40 და მე-41.-ს შუა:

„მეფე და დედოფალი უშვილობას დაეღონა,
მათნი ეგრე დიდებანი ჭირსა თანა შეეწონა,
დღე და დამე ცრემლნი მათნი ზღვა და ვერვის გაეფონა.
და შეეხვეწნეს შემოქმედსა—მჯობი რამცა ოეგონა?“

2) მე-71 და 72 სტროფებს შუა (იხ. შესაფერ აღგილზე შენიშვ.). სამაგიეროდ აკლია ორი სტროფი—მე-37 და მე-145.

F მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ხელნაწერია (12.VIII.1816 წ); გაუმართავი ხელითაა გადაწერილი; ტექსტი მთლიანადაა მოცემული; რედაქციულად C-ს მისდევს, მაგრამ აქა-იქ თავისებური წაკითხვა-

ბიც აქვს, ჟენეშ შეცდომებსაც უშვებს. დამოუკიდებლად კრიტიკული ტექსტის დასადგენად გამოუსაღებარია.

Н ხელნაწერი თავის დროზე აუწერდა თ. უორდანიას („Описание...“ II, 138), მაგრამ მას ოამდენიმე შეცდომა მოსვლია. აღვნიშნავ ორს მათგანს:

1) როგორც ხელნაწერში დაცული მოწმობიდან ჩანს, ის გადაწერილია „ხელითა სარდლის ოჯახის ორბელიანის, მოურავის დავითი ივანეს ძის ამირიძისათა“ 1877 წელს (ხელნაწერში ვკითხულობთ „ჩყოზ“ წ.), თ. უორდანია კი 1879 წელს უჩვენებს;

2) როგორც მკითხველი ჟედავს, პოემა დაწერილი ნაწილობრივ 16-მარცვლოვანი შაირით, ნაწილობრივ კი ჩვეულებრივი პროზით; თ. უორდანია კი რაღაც გაუგებრობით ასე გადმოგვცემს: „Повесть эта написана шестнадцати слоговыми и частично двадцати (двенадцати ჩემია, გ. ჯ.) слоговыми стихами.“ გამოდის, თითქოს პროზა და ოცმარცვლოვანი ლექსი ერთი და იგივე იყოს...

ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს, რომლის დასაწყისში მოცემულია „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლო თავები; ამის შემდეგ გადამწერს ასეთი დამასასიათებელი მინაწერი დაურთავს: „ახლა მოებმის ტარიელის შვილის-შვილის ომაინის ანბავი, კარგი და ტკბილი სასმენელი. გთხოვთ, მკითხველნო, თითო შენდობა ბძანოთ ამის მწერლისათვის.“

ჩვენი ტექსტის პირველი გვერდი იშლება დიდი ილუსტრაციით (აბლიკაციის ხასიათისა) — გარდაცვლილ ფალავანს, რომელსც შეჭრვილია საომარი იარაღებით, თავს დასლგომია. სიკვთილის ემბლემა (აღამიანის ჩანჩხი ცელით ხელში და სხვადასხვა. საომარი, იარაღით ზურგზე აკიდებულ ჩანთაში), ფალავანის გასწვრივ მიქვრის უმხედრო ცრენი (თითქოს დაღუბული გმირისა...). ტექსტის ბოლოშიაცაა ერთი აპლიკაცია — ამხედრებული ფალავანი, იარაღებით. შეჭრვილი, შესატევად ემზადება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ხელნაწერის გადამწერს საგანგებოდ შეუჩევია ეს აპლიკაციები ფალავანთა ცხოვრებიდან: პირველი უნდა იყოს ერთ-ერთი ფალავანი, რომელიც ომაინმა დაამარცხა, ხოლო მეორე კი — თვით ომაინი...

ტექსტი ხელნაწერში მოცემულია მრავალი შეცდომით; ხელი გაუმართავია. ტექსტის დასადგენად ხელნაწერი საიმედო არ არის:

К შეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერია (გადაწერილია 1825 წ.); შეიცავს მხოლოდ „ომაინიანს“. ბრძანდ მისდევს C. ხელნაწერს.

ტექსტის დადგენისას მას ვიყენებდი, ოფორც C-ს შესამოწმებელ პირს.

ს ხელნაწერი ახლახანაა შეძენილი საქ. სახელმწიფო მუზეუმის მიერ. მასში მოთავსებულია მხოლოდ „ომაინიანი“, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკლულევანად: დასაწყისში აკლია, ვიდრე მე-264 სტროფამდე, ხოლო დასასრულს — ოციოდე გვერდი. ამჟამად ის შეიცავს 156 გვერდს, აქა-იქ დაზიანებულს. ხელნაწერი უყდოა. ხელის, ქალალდის და აშიების მიხედვით ის უეჭველად მე-17 საუკუნის ძეგლი უნდა იყოს. სხვათაშორის აღსანიშნავია, რომ გადამწერის ხელი ძალიან წააგავს „შაპ-ნავაზიანი“-ს გადამწერის ხელს (ეს უკანასკენელი ცნობილია, ოფორც ფერზანგის ავტოგრაფი), მაგრამ აშიაზე მინაწერები კვალს გვიბნევს: 1) „ეს ომანიანი ონანიანთი არის. ვინც მოიპაროს. (მერმე წყევლაა)... ნიკოლოზ.“ (გვ. 68).

2) „ქ. ეს ომანიანი ომანიანთი არის. ვინც მოიპაროს. ღმერთმან შეარცხვინოს, ქრისტემ. დასწყევლოს...“ (შემდეგ უწმაწური გინებაა. გ. ჯ.) ამას სახელად ომანიანი ეწოდება... მე დამიწერია ნიკოლოზ. ახალი მოსწავლე ვიყავი.“ (გვ. 83).

რა დაუწერია ნიკოლოზს — ტექსტი, თუ მინაწერი? ყოველ შემთხვევაში, ხელნაწერის ხელი სულ სხვაა, ვიდრე მინაწერის; ეს უკანასკნელი, მართლაც, „ახალი მოსწავლისაა“, უფრო მართებულია ითქვას — უვიცი კაცის ხელია.

რედაქციულად ეს ხელნაწერი D ტიპისაა, თუმცა ალაგ-ალაგ კიდევ უფრო ავტობს ტექსტს — აქვთ ჩანართი სტროფები და პროზაც (იხ. შენიშვნებში).

ამით ვამთავრებ ხელნაწერების მოკლე და ზოგად მიმოხილვას.

* *

„ომაინიანი“-ს შესახებ ცოტა დაწერილი ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში. ზოგიერთ მკვლევარის დაუკვირველობის გამო შინაარსის გადმოცემაშიაც კია შეცდომები დაშვებული. მაგ.. „Описание...“, გვ. 577-ში ვკითხულობთ: „царевна египетская пришла покупать драгоценные камни и была поражена красотою и благородством Омана.“ ეს გადმოცემა სინამდვილეს არ შეეფერება, ვინაიდან ომაინთან ძვირფასი თვლების სასყიდლად მივიდა არა მისრეთის მეფის ასული, არამედ ქალაქის უფროსი ქალი —

„ჭაისმა ესე ამბავი ლართა და იმა გმირისა.
ქალაქთ უფროს სა უამბეს ქება მის ყმისა პირისა,
თქვა: ვნახავ, მიზეს დავიდებ, ვჰკითხავ, თუ ოოგორ ლირს ისა?
და წინ მიუძღიან ხალუმნი, მივა არ მლოდე ჭირისა.“ (262)

„ქალი მივიდა, შეხედა, ყმასა არ მოცინარეს“... (263)

ეს უცველად ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მისრეთის მეფის
ასულს, ბურნე-მელიქს, ომაინის ცოლად გახლომამდე მამაკაცის სა-
ხე არ ენახა (გარდა, რასაკვირველია, მამისა), უფრო სწორად რომ
ვთქვათ, არ უნდოდა ენახა ერთი საშინელი სიზმრის შემდეგ (იხ.
ტექსტში).

იმავე „Описание...“-ში მართებულად არ არის გადმოცემული
ცნობა, თუ როგორ მოახერხა ომაინმა თავის საცოლეს გაცნობა.
იქ ვკითხულობთ, თითქოს ეს მომხდარიყოს „при посредстве жены
своего домохозяйкина.“ აქ საქმე გვაქვს ფაქტების აღრევასთან. მართ-
ლაც, ომაინი დაუკავშირდა ჯერ ხალიფას ცოლს, რომელმაც ხელი
შეუწყო გაეცნო მას ქალაქის მოურავი ქალი; ამ ქალსა და ომაინს
შორის იწყება რომანი. პირველ დანახვისთანავე „ჩაიწვა“ მოურავი
ქალი—

„მის ყმასა ეცა ლაბვარი გულისა მაკვდინებული“ (266),

„ბაზარს წავიდის ხშირ-ხშირად, ვისთვისცა ცეცხლი სდებოდა“ (273);

ამით ისარგებლა დიასახლისმა და შუამავლობა იკისრა:

„არცა სული მირჩევნიან მე მიჯნურთა სამსახურსა“ (295)—

ცინიკურად აცხადებს ის და, მართლაც, შეჰყურის ომაინს ქალაქის
მოურავ ქალთან. ომაინი არ თავილობს ამ ქალთან შეყრას; რაღაც
უნდა მისი სამუალებით მიალწიოს თავის მიზანს — ბურნე-მელიქი ისი-
ლოს. პირველ ხანებში ომაინი შეყვარებულად მოაჩვენებს თავს ქა-
ლაქის უფროს ქალს, ისიც აღტაცებულია:

„ორთავე სჭიროა სურვილი, უფროვე ქალსა მგონაა;

ომაინს ყელსა ეხვევის, მას საიმისოდ ჰკონია,

მაგრამ ყმას სხვაგან წასვლოდა ჰყუა, ცნობა და გონია“ (305);

ცოტა ხნის შემდეგ ომაინი გამოუტყდება ქალს, რომ მას სწვაეს
მეფის ასულის სიყვარული; ქალი დიდის მომინებით და ვულის ტკი-
ვილით თანხელება, რომ შუამავლად დადგება:

„ღმერთმან ქნას, და მანა ვიყო თქვენთა ფერთა მტვერთა გვისად“ (330)—

დასეა მოთხრობილი პოემაში.

შეცდომითაა იქვე წათქვაში, რომ თითქოს ბურნე-მელიქის შემს წინააღმდეგი ყოფილიყოს ომაინის მიერ ქალის შერთვისა; პოემაში პირიქითაა გაღმოცემული—მამა დაჟინებით მრითხოვს რომ, ქალი მის-თხოვდეს ომაინს:

„ამა მოყმისებრ ჭაბუკი არცა ვის ამბვად სმენოდეს.

არნივე ჩემად შვილად სხდეთ, შეეტყოს მტერთა—სწყენოდეს...“ (413),

ამის შემდეგ ქალი უთვლის მამას:

„მე. რაღა გკადრო?—იგი ქენ, რაც გინდეს, საქმე ყოველი“ (417),

ე. ი. დაყვა მამის ნებას, რომ მისთხოვდეს ომაინს.

არ არის აგრეთვე მართალი პროფ. კ. კეკელიძის ცნობა, თით-ქოს ზავარ-ფალავანს პირობა მისცა თვით ბურნე-მელიქმა; როგორც მკითხველი დაინახავს ტექსტიდან, ასეთი პირობა მისცა ზავარს ბურ-ნე-მელიქის უფროსმა გამდელმა, რომელიც თავის დროზე ამ ფალავ-ნის „ზედამდეგად“ იყო დანიშნული. აი სათანადო აღგილი ტექსტი-დან: „უფროს გამზრდელს ზავარ-ფალავანისათვის პირობა და, იმ დი მიეცა, რომ ამ პირ-მთვარემან ქმარი ინდიმოს და, თუ კაცთა სახელი ამასთან იხსენებოდეს, შენს მეტი ქშარი არ ვან დომო, და ნურცა ეჭვი გაქვს, რომე ქვეყანასა ზედან კაცი შენ-სა უნდომოსა საქმეს შეგეცილოს“. ზავარ ამ იმედსა ზედან იყო და დღე და ლამე ქალის სურვილი ჰყლევდის.“ (გვ. 76).

„ომაინიზნი“ ორი ნაწილისაგან შედგება; პირველში მოთხოვნა-ლია ომაინის თავვადასავალი, მისი გამიჯნურება, მისრეთს ჩასვლა, სატრფოს ნახვა. და მისი მამისგან დაქორწინების თანხმობის მიღე-ბა. აქ შედება ლექსი ავტორის შემდეგი განცხადებით:

„ლექსი დაზეს და სიტყვები აწ სხვაებრ გაზრდელდებისა,

და ვიცი, ამავთა ჩამოჯრა უმეცრად დამეჯებისა.“ (422).

ამას მოსდევს პროზა, საღაც უმთავრესად მოთხრობილია მისრე-თის მეფის და მისი ასულის ამშები, ფალავანია რკენა, დაქორწინება ბურნე-მელიქთან და შემდომნი. გშირობანი, ოვაინისა. მეორე ნა-წილში ლექსი მაოლოდ აქა-იქ ურევია.

ჩვენი ავტორის ამ თავისებურებისათვის თავის დროზე ყურადღე-ბა მიუქცევია პოეტს არჩილს; რომელიც ამ ფაქტს ასე აღნიშნავს:

„ქაიხოსრომან შიგ ჩართვით ლექსად თქვა ომაინი“-ი.

ორიოდე სიტყვა ლექსის და პროზის შესახებ, ამჩილისავე მოწმო-ბით „ომაინიანი“-ს ავტორს.

„კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ვთქვი მისი ზიანი.“

მართლაც, „ოშაინიანი“ თუმცა ვერ ჩაითვლება პირველ-ხარისხოვან ლიტერატურულ ნაწარმოებად, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი მოვლენაა მე-17 საუკუნის პირველი ნახევრისათვის. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის საყურადღებო გარემოება, რომ თხზულება ორიგინალური ი ლიტერატურული ძეგლია. არ არსებობს არავითარი მოსაზრება ამის საწინააღმდეგოდ. ეს კი უნდა ითქვას, რომ ჩვენს ავტორზე დიდი გავლენა მოუხდენია ენობრივად და სუურიურადაც, როგორც ქართულ ნაწარმოებთ — უმთავრესად „ვეფხის-ტყაოსანს“, ისე ირანულს — ფირდოუსის „შაჰ-ნამე“-ს.

ლექსი აქ მოცემულია ჩვეულებრივი რუსთველური შაირის ფორმით (მე-17 საუკუნეში ეს ხომ სავალდებული ნორმა იყო!), მაგრამ რუსთველური სინარნარე, სიმჭიდროვე და სიმკვეთრე, რასაკვირველია, მიუღწეველია. ლექსი ხშირად ნაძალადევია, მაგრამ ავტორს აქვს გამართული ტაქტები და სტროფებიც. პოეტი ცდილა დაეცვა რუსთველური ტრადიცია და ლექსი დაემშვენებია აფორიზმებით და სენტენციებით. აქ ის ვერ აცდენია რუსთველის გავლენას, ხშირად კი რუსთველის მოტივების გადამლერებასთან გვაქვს საქმე; მაგ:

1. „მაგრამ პირველად სიჩქარე ბრძენთაგან ნაგმობარია“ (74,4)
2. „მოყვრისათვის სასიკვდილოდ თავი წამსა გარდიდების“ (172,4)
3. „ვერავინ შეშლის ზეგარდმო განგების მოვლინებულსა“ (205,1)
4. „თუ სენს არ ეტყვის სნეული, ვერ ჰყურნებს მაყურნებელი“ (266,3)
5. „კაც თურმე იგი მიხვდების, რაც ცაში გარიგდებისა“ (146,4).

და მრავალი სხვა (იხ. დანართი „აფორიზმები და სენტენციები“).

პროზაში ჩვენი ავტორი უფრო დახელოვნებულია: მისი ენა საკმაოდ მდიდარია, დაცულია ეპოქის სტილი, ემარჯვება ღიალოგები და ამბავის თავისუფლად გადმოკემა.

რა გავლენა განუცდია „ომაინიან“. ს სუურიურად? უწინარეს ყოვლისა — „ვეფხის-ტყაოსანის“. სარიდან მეფეს ერთად-ერთი შვილი ჰყავს — ომაინი, როგორც დიდ სარიდანს — ტარიელი; ვაჟკაცობით, ახოვნობით, სიტურფით. ძნელია თქმა — ვინ კის სჯობნის, თუმცა ჩვენი ავტორი ერთგან ასე გვესაუბრება:

„თქვეს, თუ: ტარიელს ესე სჯობს! — სხვას ვისმცა შეადარებსა?“ (58)

თინათინს გვაგონებს ბურნე-მელიქი, რომელიც პირმშრ და მხოლოდ-შობილია მამისა; თინათინი და ბურნე-მელიქი სუმეფო ტახტს იკავებენ მამის წინადაღებით: — როსტევანმა მოიხმო ვეზირნი და უბრძანა:

„მე გარდასრულვარ; სიბერე მჭირს, ჭირთა უურო ძნელია:

დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მენელია...

ჩემი ძე დაგუვათ ხელმწიფელ, ვისან მშე საწუნელია.“ (38)

ვეზირნი ოდნავ წინააღმდეგობას უწევენ, არ სჯერათ მისი „ბე-
რობა“, თან უმატებენ:

„თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია“-ო,

მაგრამ აღვილად ემორჩილებიან მეფის სურვილს:

ახამს განაღამცა საქმნელად. რაცა თქვენ გულსა გლმობია;
სჯობს, და მას მიეც მეფობა, ვისგან მხე შენაფლობია“.

ანალოგიური სურათია „ომაინიან“-შიაც: ალიექსერ ხელმწიფემ
დაიბარა „ერთობილნი თავადი, და დიდებულნი, და ვეზირნი“ და
განუცხადა: „აწე სიბერე გამომჩენია... და თქვენგანაც ამას მოველი,
რომე... ამისი ნება დამრთოთ, რომე... ხელმწიფედ იგი დავსვათ
(ასულზეა საუბარი. გ. ჯ.), და კარგი და ავი მან გააგოს.“ ვეზირნი
და დიდებულნი თითქმის იმეორებენ როსტევანის ვეზირების სიტ-
ყვას: „ხელმწიფეო! ლაშქართათვის დიდად საზარო სიტყვა არის
თქვენის ნებისა დართვა და თქვენი აღარ-ხელმწიფობა, პირველად
ჯერეთ სიბერის ნიშანი თქვენგან შორს არის და მერმე, თქვენს ნა-
თქვამს და ნაქარს საქმეს სხვა ვერავინ იქს. მაგრამე... და, ღმერ-
თო, თქვენი ბრძანება უნდა გათავდეს. ჩვენ, ლაშქართა, ნება დაგვი-
რთავს. იგიცა თქვენი შვილი არის და მასცა თქვენი საქმე და ყოვე-
ლი რიგი ეცოდინების“... (71);

ვეფ ხის-ტყაოსნის ტარიელს ხან ზღვის მეფის შვილი გვაგო-
ნებს, ხან კი ომაინი, თუმც ქს უკანასკელი პირველს (ზღვის მეფის
შვილს) ავთანდილობასაც კი უწევს: მიჯნური ქალის სიყვარულით გაშ-
მაგებული ზღვის მეფის შვილს ომაინი ეძმობილება, დახმარებას პირდე-
ბა, თუმც ავთანდილობა ბოლომდე ვერ გაუწია — მიზანში ამოღებულ
ქალის ნაცვლად საკუთარი და მიათხოვა, თვით კი გაუმიჯნურდა
შისი ოხვის და ვაების ობიექტს — მისრეთის მეფის ასულს,
ბურნე-შელიქს...

ფატმანს გვაგონებს; უეჭველად, მისრეთის ქალაქის უფროსი ქა-
ლი, რომელიც თვით გამიჯნურდება ომაინის მიმართ, ზაგრამ ბო-
ლოს-და-ბოლოს ის გახდება ბურნე-შელიქის და ომაინის შემაერთებ-
ლად — ომაინსა და მოურავ ქალის შორის ინტიმური კავშირი ხელს
არ უშლის ომაინის მიზნის მიღწევას...

რუსთველის მიმბაველს და გამკრაპელებელს ომაინი ტარიელივით
გმირად დაუსახავს, მაგრამ მისი მხატვრული სახე გაცილებით უფრო
მკრთალია. ტარიელის (და რუსთველის) მორალური მსოფლმხედვე-
ლობა უხეშად გათელილია — ომაინს ორი სატრფო ჰყავს...

რუსთველის „ესე ამბავი სპარსული“-ს გამოძახილად შიმაჩნია აქე ტორის უადვილო და ბუნდოვანი ჩანართი: „მოლა-აბიბ... ეს წიგნი. თავით ბოლომდის სპარსთა ენით გამაგონა და მე ამ ქართულის ენით გარდმოვსწერო...“ (გვ. 114).

გარდა ვეფხის-ტყაოსნისა ჩვენს ავტორზე გავლენა უნდა მოუხდინა „შაჰ-ნამე“-ს, „ამირან დარეჯანიანს“ და სხვა საგმირო ეპიური ნაწარმოებთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „შაჰ-ნამე“-ს კვალი. თვით პოემაში ავტორი ორგან იხსენიებს ფირდოსს, თუ მის ნაწარმოებს (ხან კიდევ გმირებს). აი ეს აღგილები:

„კედელაურმან თურქნი თქვა და რომ ზაულეოია,
ფეშანგ, ტომერან, სალიმ, თურ, ხოსროვთან ვერ რომელია“ (17)

და

„ფირდაუსტ როსტომ სხვაზედ თქვა, ვით ტრედხედ მაღლით ბარია“ (440).

უკანასკნელი ციტატა უნდა გავიგოთ, როგორც ფირდოსის-ლირ-სეული და შესაფერისი შეფასება: მან როსტომი ისე მაღლა დააყენა, [ისე კარგად, მოხდენილად შეაქო], როგორც ბარი ტრედხედ მაღლა დგას ან დაფრინავს. ეს შეხედულება ამჟღავნებს ჩვენი ავტორის ლი-ტერატურულ გემოვნებას და ცოდნას. მე-17 საუკუნის პირველი მე-ოთხედისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი ამბავია. ავტორი კარგად იცნობს როსტომს და მის გმირობას; ამიტომაც არის, რომ ომაინის დასახასიათებლად პარალელი სწორედ მასთან გაყავს:

„ვიცი, როსტომ ვერ იქმოდა საქმეს მისჭან დანამუტსა.“ (254)

განსაკუთრებით პროზულ ნაწილში განუცდია ჩვენს ავტორს „შაჰ-ნამე“-ს და „ამირან დარეჯანიანი“-ს გავლენა: ფალავანთა რკენის აღწერა, ომაინის მიერ თეთრი დევის მოკვლა (პარალელი როსტომთან), ბრძოლის დროს წინგართა სახელების ხსენება, საომარი-იარალები და სხვ. და აგრეთვე ტრაფარეტული გამოთქმები: „ერთო-ბილნი ლაშქარნი“, „ბედმლაშეო“, „დია, ლმერთო“, „საყელო გარ-დაიხია“, „ცხენები დააფიცხეს“ და სხვ. „შაჰ-ნამე“-ს მიბაძვით უნდა იყოს აღწერილი ფალავანთა შორის ომის დასაწყისი გათენები-სას — „მესამეს დღეს, რა ხმელთა განმანათლებელის მზისაგან ქვეყნის დამშვენების ჟამი მოვიდა და შვიდთავე ცისა სამყაროთა კარნი დაეხვნეს, სიბნელის ზეჭარი დაიხს, შავს ჰაერს თეთრმან აჯობა, თავი ამოყო და ოქრის ბურჯის ბრუყინვალებამ ზღვა და მიწა ვამოაჩინა, ლამე გაქრა და დღე გამოჩნდა, მოვიდენ ეს ორნი სწორუპოვარნი გმირნი, რომე ორთავე ინდოეთის ხელმწიფის ქალის სიყვარულის ცეცხლი ედებოდათ“... (გვ. 29).

საინტერესოა „ომაინიანი“, როგორც ბიბლიოგრაფიულ ცნობათ შემცველი ძეგლი. გარდა ფირდოუსისა, რომელზედაც ზემოთ გვწონდა საუბარი, აქ მოხსენებულია „ოქროს ხანის“ პოეტები: მოსე [ხონელი], შავთელი, თმოგველი და რუსთველი. ოღანიშვნავია ის გარემოებაც, რომ დასახელებული მწერლები ავტორს თითქმის იმავე კონტექსტში მოუცია, როგორც „ვეფხის-ტყაოსნის“ ცნობილ ბოლომინაწერშია: „ამირან-დარეჯანის ქე მოსეს უქია ხონელსა...“ დასხვ. (იხ. სტრ. 16 და 17). ცხადია, ჩვენს ავტორს მე-17 საუკუნის დასაწყისში ხელთ ჰქონია „ვეფხის-ტყაოსნის“ ისეთი ხელნაწერი, სადაც მისი ცნობილი თემითი უკვე იყო მოთავსებული და მას მხოლოდ განუმეორებია იგი.

რუსთველი პოემაში ორჯერ არის ნახსენები (სტრ. 17 და 440) და ორგვეჯერ „რუსთველად“ და არა „რუსთაველად“. ¹ გარდა ცნობილი მწერლებისა ავტორი იხსენიებს აგრეთვე კედელაურს, როგორც „შავ-ნამე“-ს ქართულად „მთქმელს“. ეს მეტად უშვიათი ბიბლიოგრაფიული ცნობაა, ვინაიდან სხვაგან ამისი შეგავსი არაფერი მოგვეპოვება.

საბიბლიოგრაფიო ხასიათის ცნობას შეიცავს „ომაინიანი“ თვით „ვეფხის-ტყაოსნის“ შინაარსის თუ მოცულობის შესახებ. ცნობილია, რომ რუსთველოლოგთა შორის დავას იწვევს ვეფხის-ტყაოსნის დასასრულის საკითხი — სახელდობრ: უნდა იყოს თუ არა ძირითად რუსთველურ ტექსტში ინდო-ხატაუთის და ხვარაზმელთა ამბავი? ამ საინტერესო საკითხის გადასაწყვეტად ავტორი იძლევა ერთობ საყურადღებო მოწმობას. ომგვარი დიდი ამაინი დაქორწინდება ბურნე-მელიქზე: „დღესა ერთსა ბურნე-მელიქმან ხალვათად“ ამაინს თავისი წარსულის და ჩამომავლობის ვინაობა ჰქითხა; ომაინი ამ დავალების ასრულებს ვეფხის-ტყაოსნის შინაარსის გადმოცემით — ესაა მისი წარსული, ხოლო თავგადასავალი ისაა; რაც „ომაინიან“-შია მოცემული და მკითხველმაც იცის. ით, ამ ვეფხის-ტყაოსნის შინაარსის გადმოცემისას ომაინი ურთავს ინდო-ხატაელთა და ხვარაზმელთა ამბავს: „როსტევან მეფისაგან ტარიელის ქორწილი. ინდოეთს მისვლა. რამაზის შეპყრობა და ხატაეთზედ გამარჯვება. ტარიელის დასხეულება და ხვარაზმელთავან სისხლის ქებნა.

¹ ვუკირობ, რომ სხვა საბუთებთან ერთად მე-17 საუკუნის დასაწყისის მოწმობა ისეთი ერუდიტი მწერლის, როგორადაც მოჩანს ჩვენი ავტორი, უკველად საგულისხმოა საკითხი: დადებითად გადაწყვეტისათვის რუსთველის სასარგებლივოდ.

აეთანდილისა და ფრიდონისაგან შიშველება. ხეარაზმთ შეფის ხელთ შეპყრობა და გამარჯვება...“. (გვ. 84). ამ ამონაშერიდან ცხადად ჩანს, რომ მე-17-ს. პირველ მეოთხედისათვის ვეფუ ხის-ტყაოსანს ამ მოცულობით იცნობდენ, ვფიქრობ, რომ „ომაინიანი“-ს ავტორს, რომელმაც ვეფუ ხის-ტყაოსანს გაგრძელება მოგვცა (იმ მომენტიდან, როდესაც ტარიელის შვილი „დაჯდა ხელმწიფედ“), ბევრი რამ დაეჯერება... ისიც საგულისხმოა, რომ ჩვენი ავტორი რუსთველის შემდეგ მხოლოდ კედელაურს იცნობს; ამ კედელაურს გარკვეული შრომა გაუწევია, მაგრამ ვეფუ ხის-ტყაოსანს არ მიჰყარებია... მაშ ვინ უნდა იყვნენ ეს ყბად აღებული რუსთველის „გამგრძელებელნი“? ნუ თუ მათი ვინაობა არ იცოდა ჩვენმა ავტორმა? ძნელი დასაჯერებელია...

როდისაა პოემა დაწერილი და ვინაა მისი ავტორი? პირველ საკითხის გადასაჭრელად თვით ტექსტი ვკიტყობს ხელს — მე-19 სტროფში ვკითხულობთ:

„ქაიხოსროვის შედეგად შავ-აბაზ ერანს მჯდომია...“

ეს თვით შარტო იქს ყველასა — ტკბების, თუ გინდა მწყრომია.“

როგორც ვხედავთ, ამ ტექსტის მიხედვით სპარსეთის დიდი შავი აბაზი ცოცხალია; მაშასადამე, პოემა ვერ დაიწერებოდა. 1629 წელზე გვიან, როდესაც გარდაიცვალა შავ-აბაზი. სხვა საბუთი პოემის დაწერის ზუსტად დასათარიღებლად არ არსებობს. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ პოემა მე-17 საუკუნის პირველი მეოთხედის პროდუქციაა.

პოემის ავტორად პოეტი არჩილი ასახელებს. ვიღაც ქაიხოსროს. სხვა ცნობა არც ამ საკითხის შესახებ მოგვეპოება. ვინ უნდა იყოს ეს ქაიხოსრო? პროფ. კ. კეკელიძე (II, 222-223) ძალიან გულდასმით იკვლევს ამ საკითხს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს ქაიხოსრო უნდა იყოს ქაიხოსრო ომანგზვილი - ჩოლოკაზვილი. მაგრამ პროფ. კ. კეკელიძის მოსაზრებანი დამაჯერებელი არ არის; მართლაც, რა საბუთია ამ ქაიხოსროს ავტორობისათვის: ის გარემოება, რომ: 1) იგი იყო „ახოვანი და შემმართებელი“ და იმავე დროს „შესანიშნევი ნიჭისა და ენერგიის მხედაროთმთავარი, რომელიც შიშის ზარსა სცემდა და მუსრს ავლებდა დალესტანდს ლეკებს“? განა ერეკლე II ნაკლები ნიჭის სარდალი იყო, ან ნაკლები შიში უჭრამიათ მისგან მტერთა და ორგულთ? — არა, მაგრამ მისგან ჩვენ არავითარი ლიტერატურული ნაწარმოები სამეგვიღორეოდ არ მიგვიღია... 2) მისი ძმა, ნიკიფორე ირბაზი, ბევრი ენების მცოდნე იყო და

„მთელი ევროპა შემოიარა“? განა სავალდებულოა მეორე ძმამაც ამ-დენივე ენები იცოდეს? ერთი ძმის მიერ „მთელი ევროპის“. შემოვ-ლა და მრავალი ენების ცოდნა რამდენად ავალდებულებს მეორე ძმას პოეტი ან მწერალი იყოს? და 3) მამა მისს ომანი რქმევია. პოეტებს და მწერლებს რომ ამ მოსაზრებით დაესათაურებიათ თავიანთი ქმი-ლებანი, კურიოზამდე მივიღოდით...

საერთოდ პროფ. კ. კეკელიძის მოსაზრებანი ვერავითარ კრიტი-კას ვერ უძლებს. ოთხი ქაიხოსროს გამოქაბნა იმ ეპოქისათვის, რო-დესაც უნდა დაწერილიყო ჩვენი ძეგლი, უეჭიელად პატივსადები საქმეა, მაგრამ საკითხი მაინც არ გადაშეყდება, თუ თვით ტექსტს არ მოვი-შველიებთ. საქმე ისაა, რომ, როგორც თვით კ. კეკელიძე გვარუშე-ნებს, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი შავ-აბაზის მოწინააღმდეგე ორიენტა-ციის მოღვაწე იყო. და როგორ შეეძლო შავ-აბაზის მოსისხლე მტერს არამც თუ ეხსენებია მისი სახელი, არამედ ქებაც კი შეესხა? აბა კარგად ჩაუკირდეთ იმავ მე-19 სტროფს:

„ქაიხოსროვის შედეგად შავ-აბაზ ერანს მჯდომია,
უცხო დაიბყრა ქვეყანა ერუნ-თურანის ზომია;
სწვათა მეფეთა ვეზირინ ნიადაგ გვერცა სხდომია,
და ეს თვით მარტო იქს ყველასა — ტკბების, თუ გინდა მწყრომია.“

მართალია, აქ არის აშკარად გამოვლინებული პანეგირიკი, მაგ-რამ დასახელებული პირი მაინც დიდ-ბუნებოვან, მძლავრ და საკუ-თარ თავზე დაყრდნობილ მეფედ მოჩანს: 1) ბევრი სხვა ქვეყანაც დაუპყრია, მეტი, ვიდრე ერანი და თურანია; 2) თუ სხვა მეფებს არ შეუძლიათ ქვეყნის მართვა უვეზირებოდა, ეს თვითონ განავებს; 3) ქაიხოსროდან შავაბაზმდე მრავალი მეფე ჰყოლია ერანს, მაგრამ და-სასახელებლად მხოლოდ შავ-აბაზი მიაჩნია და სხვ.

ანგარიში უნდა გაეწიოს აკრეთვე იმ კონტექსტს, რომელშიაც მოცემულია ეს დაზასიათება; მკითხველი, დაინახავს, რომ მე-19 სტროფს წინ მიუძლვის და შემდეგშიაც მოსდევს ისეთი სტროფები, სადაც ქება-დიდებაა შესხმული მწერლების, პოეტების, თუ სახელ-მწიფო მოღვაწეების მიმართ. ამას იმასაც თუ დაუმატებთ, რომ მოძ-ლევნო ხანის გადამწერთ შეგნებულად ამოუგდიათ შავ-აბაზის სხენე-ბა (იმდენად გაკადნიერებულან, რომ ტექსტიც კი გაუგებარი გაუხ-დიათ, ოღონდ შავ-აბაზის სახსენებელი არ ყოფილიყო...) სტროფი-დან, უეჭიელი გახდება ჩვენთვის, რომ ამ სტროფის ავტორი შავ-აბაზის ორიენტაციის პირია. მოჩანს კი ასეთად ქაიხოსრო, ომანი-შვილი-ჩოლოყაშვილი? რასაკვირველია, არა. მაშ ვინ უნდა იყოს არ-

ჩილის შემცირებული ქაიხოსრო? თუ აუცილებელია პოემის ავტორი ვეძიოთ პროფ. კ. კეკელიძის მიერ დასახელებულ და დახასიათებულ ოთხ ქაიხოსროს შორის, მაშინ არჩევანი უფრო უნდა გავაჩეროთ ქაიხოსრო მუხრანბატონზე, რომლის შესახებ პროფ. კ. კეკელიძე ამბობს: „1624-26 წლებში რამდენჯერმე იქნა დადგენილი დიდი მოურავის მიერ ქართლის გამგედ და რომელიც ბაზალეთის, ომის შემდეგ ჯიდ მოურავთან ერთად ოსმალეთს გარდიხვეშა, სადაც მას, მოურავთან ერთად, 1629 წელს თავი მოჰკვეთეს“ (II, 222).

აი, ეს ქაიხოსრო მოჩანს შავ-აბაზის ორიენტაციის პირად და უფრო ბუნებრივი იქნებოდა მისთვის მიგვენიჭებია ჩვენი პოემის ავტორობა, მით უფრო, რომ ტრადიციაც მის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან / ასაცილებლად და ნააღრევი, „მარჩიელობიდან“ თავის დასაღწევად მე მიზანშეწონილად ჩავთვალე ავტორის ვინაობა არჩილისებურად განმესაზღვრა — მას ვუწოდე მხოლოდ ქაიხოსრო.

8. ჯაკობია

25.X.37.

P. S. ჩემ მოვალეობად, ვრაცხა მადლობა მოვახსენო: პროფ. ალ. ბარამიძეს მრავალი რჩევა-დარიგება და დახმარებისათვის.

8. ჯ.

МАСОБОБО

[სხვა ემბავი ჩასახისი გარიერის შვერის საგირანის ძისა, ომარნ
ჭაბუკისა ცხოვარება, არმარიცა ემბავი ზედ მიეგმის ამა ემბავსა
ვეზეის ვყაოსნისასა]

I. ა მ გ ვ ი ს ა დ ა ს ა ჭ ყ ი ს ი, რ ღ მ მ ლ ი მ ი ე რ ი თ
გან მოილოს სიტყვამან მოსსენებად

- 1 ლილება შენდა, დიდება, ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო,
ჩვენ ულირსთაგან უცნობო, ენითა მიუთხრობელო,
ცათა და ცისა მნათობთა საკვირვლად მაბრუნებელო,
და ქვეყნისა, ქართა, ჰაერთა და ზღვათა შემძრწუნებელო.
- 2 ჰე, ღმერთო, შენ ხარ ხელმწიფე ყოველთა უზეშთესისა,
შევად მომყვანელი სულდგმულთა, შეთთაცა უშეთესისა;
შენთა მოსავთა წყალობით მომცემი უკეთესისა,
და გამომლებელი ნაყოფთა დანერგულ-დანათესისა.
- 3 მე გლახ რას მიეხვდე ქებასა, რადგან დალონდეს ბრძენები,
მეტმან სილრმემან დაუყო გამომეტყველი ენები,
მაგრამ ვარ მეცა მოკრძალვით, მელექსეთ თანა მქენები,
და არც სულ ცუდია; თუ ისმენთ, ეს ჩემი მონახსენები.
- 4 იოვანე მოციქულმან, წმინდამან, თქვა სახარება —
პირველიდგან სიტყვა ღვთისა, ღვთისა თანა ძლიერება,
მისგან იყვნენ მოიმედე, მართ ეგონათ გამოკრება,
და დაყენა ჩვენებამან, ზეცით ნახა ბრწყინვარება.
- 5 პროხორეს უთხრა: აიღე ხელი მაგისგან წერითა,
ნათლისმცემელი მოიღე სიტყვითა შენაჯერითა,
ოდეს ბერწმა შვა, მამა ყვა მაშინ თეთრისა წვერითა,
და ყოვლთა ნაშობთა დამეტდა საჭმითა მის მიერითა.

6. იყო ვინმე მონა ლვთისა, გრიგოლ, იგბ. ბრძენია ბრძენი,
მას არ გვანდა სწავლებითა ქვეყანისა კაცთა ძენი,
თავი ნახის, ბოლო იცნის, სიტყვა რაზომ განაგრძენი,
და მან კურნებით აღადგინის ძველთ სენთაგან დანაძენა.
7. ფილოსოფოსთა კარები თორმეტად გარიგებულა,
ერთის სწავლითა სრულობით ვერავინ გათავებულა,
გრიგოლის გულსა უკლებლად თორმეტივ შემოკრებულა,
და ნურავინ იტყვის—ცოდნითა მისებრივ დაბადებულა.
8. თუ თვითო კარი ვაჩსენოთ, სრულ სიტყვა გაგრძელდებისა,
ერთი კარი აქვთ აქიმთა ცნობად სენთ დაბადებისა,
ჯანინოზ ჭირი ვერ იცნა მისთა ცეცხლთ მონადებისა,
და ძნელი ყოფილა, რადგანვე, თუ იგიც დალონდებისა!
9. ცოდნა ეგზომი იცოდა, მას ვერვინ ედარებოდა,
მერმე ზეგარდმო მას წმინდა სული თან ემჯვიდრებოდა,
თვალი ყოველთა მას სჭირეტდეს, რა კრება შეიყრებოდა,
და ლვთისმეტყველებით უწოდდეს, მათ სმენა ენატრებოდა.
10. ამათ ამად ალარა თქვეს სიტყვა გრძელი საქებარად,
არვინ იყო მსმენელთაგან ხორციელი შემგებარად,
ვერა ნახეს გული ჩვენი მათ სიტყვათა მიმღებარად,
და აღარა ქნეს ხელი მათნი დაწერისა შემხებარად.
11. ამა მიწისა ხორცითა ვით ვიყვნეთ ლვთისა ცნობითა,
რა მკვდრეთით აღვდგეთ, შევიქნათ კვლავე ხორც-შემოსწობითა,
ვინც კეთილად ჩნდეს, არ წარწყმდეს ეშმაკთა ხელოვნობითა,
და მას გაუცხადდეს ყოველი ანგელოზთ ზეშთა ნობითა.
12. ვინცა ცხოვნდეს, შეიქნების ანგელოზთა თანაარსად,
მაშინ მიხვდეს საწადელი ყოვლსა მკვდრეთით ანამდგარსად,
გაუცხადდეს დაფარული პირველ იმედ-გარდამწყდარსად,
და უმისუამოდ ესე საქმე იპოების ყოლე არსად.
13. ესენი მეტად დალონდეს ლვთაების თარგმანებასა,
ვერცავინ იტყვის, ვერც ვისგან ელოდენ გაგონებასა,
მით შეამოკლეს ქართული, მიჰყევეს მსმენელთა ნებასა,
და მაშე, აწ ჩემგან ვინდა იქს სიტყვისა მოწონებასა?

- 14 მოლექსეთა ცრემლთა დენა ძველად თქმულა მართ დასტურად,
მიჯნურობა აატირებს, ზის ნიადაგ სისხლთა წურად;
მაგრამ რა ქნას, თავი მისთვის დაუც, ვითა ყმასა ყმურად!
და არ მისცილდეს გონებითა — ერანს იყოს, თუნდა თურად.
- 15 იცოდეთ, ლექსთა მთქმელისა გული ნიადაგ წუხია,
იტყვის, თუ: „ვერ ვთქვა საფერად, ვის ტანი ლერწმად უხია“.
ბევრჯელ მოსულა მათხედა — ცას რისხვით მოუქუპია,
და ზოგჯერ ნათელსა უბოძებს იგი, ვინ მიწყივ უხვია.
16. ვინცა ვისთვის ჭირსა ნახავს, ბოლოს აღარ წაუხდების,
ვით ამირანს მოსესაგან ქება კადრად შეუხდების,
აბდულ-მესრა შავთელსა ენა მრავლად მოუხდების,
და დილარგეთისთვის თმოგველსა სიტყვა შაქრად გაუხდების.
- 17 ტარიელისთვის რუსთველი მიწყივ ცრემლისა მღვრელია,
მისთა ნათქვამთა მსგავსებით სმენას ნულარვინ ელია,
კედელაურმან თურქნი თქვა და როსტომ ზაულელია,
და ფეზანგ; ტომერან, სალიმ, თურ, ხოსროვთან ვერ რომელია.
- 18 ერანი და თურანელი ფარმანს ქვეშე მოიქცია.
მორჩილ-ქმნილმან ააშენა, ურჩმან სახლი დააქცია,
ყოვლთა მზეებრ მოეფინა, კარგ სჯულობით მოიქცია,
და დაუტევა ეს სოფელი, თავი სხვაგან გაიქცია.
- 19 ქაიხოსროვის შედეგად შაპ-აბაზ ერანს მჯდომია,
უცხო ტაიპურა ქვეყანა ერან-თურანის ზომია,
სხვათა მეფეთა ვეზირნი ნიადაგ გვერდსა სხდომია,
და ეს თვით მარტო იქს ყველასა — ტკბების, თუ გინდა მწყრომია.
- 20 ბევრია. მეფეთ ამბავი, არ გათავდების მბობითა,
ანუშრევანის ამბავი მასმია არაკობითა,
ზოგნი იბრძვიან, არიან ნიადაგ რაზმთა წყობითა,
და ზოგნი გლახათა მისცემენ, სხედან ლვთის მოშიშობითა.
- 21 ამა სოფლისა იმედი რად გაქვს, ეს გამიკვირდების,
ესოდენ დიდთა მეფეთა ღაწვნი არავის სჭვირდების,
მოსულა იგი სიკვდილი, რომ არც სხვათ დაუძვირდებას,
და თუ არა სჭირდეს სიმოკლე, ვინ იცის თუ რად ღირდების!

- 22 შე სოფლისა სამდურავი კვლავცა ბევრჯელ მომსმენია,
მაგრამ არ ვიცით, თუ ღმერთსა ჩვენთვის რა მოუსმენია:
ადამ დაჲჭარგა სამოთხე, გვერც ახლდა კართ გამხმენია,
და ეშმაკმან უთხრა სიტყვანი ცნობითა გარდამხმენია.
- 23 აწ იგი მკვიდრი მამული კვლავ მოიგების ამითა:
გლახათა მისცე, მშერი ბეგრი გააძლო ჭამითა,
ვირ ცოცხალ იყო, ევედრო ღმერთსა ყოვლისა წამითა,
და გვმართებს ვიშოვნოთ სამოთხე ხვეწნით დღისით და ღამითა-
- 24 ამ სოფლითა იშოვების უკვდავება სამოთხისა,
განქარდების მაშინდელი ჭამა ბოროტისა ხისა,
სირცხვილიცა დაიმალვის ვერ მცნებისა შენახისა,
და მოიშლების ეშმაკისა მოდგმა ჩვენთვის მუნ მახისა!
- 25 ჩვენთა ცოდვათა პასუხსა ღმერთი არ ვაზამს ცხოველი,
ადამს შეუნდო მოცორმა, ჩვენცა ძენი ვართ ყოველი,
ეშმაკს ნუ მიგვცემს—ესეა მართ ჩვენი შესათხოველი,
და მრავლის ავისა მოქმედი, მეც მოწყალებას მოველი.

II. აჩა ტარიელის ძის სარიდან ხელმიზის შვილის, ომა- ინ ჭაბუკის, ცხოვრება და ამბავი სიურმისა ზამსა

- 26 ტარიელის ძე უკადრი დაჯდა ხელმწიფე ბრძნობილი,
მამის მამისა სახელი იყო სარიდან ხმობილი,
პირველად ლალი, ამაყი და მერმე წყნარი, ლმობილი,
და მწის ქვეყანისა ვინმც ნახის, რაც საქმე დასაგმობილი?
- 27 მას ედგა ცოლი მნათობი, ასული ავთანდილისა,
მჯობი ყოველთა კეკლუცთა ნახვა მისისა ჩრდილის ა,
ღვთისა მოშიში, მოწყალე, სულთ ჩამდგმო დაბნედილისა
და მისგან იქნების გამოხსნა სამუდმოდ წაწყმენდილისა.
- 28 მისსა მაქებსა ბრძენსაცა გული ზღვად დაენთქამება,
ვით მზისა სხივთა საჭერეტლად თვალი არ შეედგამება,
მისთა შორმყოფთა სამისოდ დაუცთ თავისა წამება,
და იტყვან: დღე სიკვდილისა ოქროთ არ მოიქროთამება.

- 29 პირველად თავსა ვაბრალებ, ვინ ვიქ ამისა წერასა,
მაგრამ ვერ მორჩეს შობილი, თავის ბეღსა და წერასა,
კვლავ ვამჯობინე ამისი დაწერა დაუწერასა,
და მით რომე, გულსა ედების ცეცხლი, ვით შავსა წერასა.
- 30 შეამყეს წესი სამეფო უძვინბეჭ პირვანდელისა,
იყვის კარ-გახსნით ყოვლთათვის შოგება საწადელისა,
არ გაითვალის მეფემან გაცემა გუშინდელისა,
და ლხინი და ლართა ბოძება ვით ითქმის მაშინდელისა!
- 31 გადიდდა მეტად ხელმწიფე მორქიმითა აღმატებული,
სხვაც დაიჭირა სამეფო ინდოეთს მომატებული,
მამისა მსგავსი ძალ-გულად თვით მარტო განმარტებული,
და არ ძალმიც სულ თქმა, რაც მათთვის ქება მაქვს გამეტებული.
- 32 ათგან მოკაზმა მეფემან სახლი, სრა, დარბაზებია,
შიგნით ხელწმინდად ნახატი, გარ ოქროს გუმბაზებია,
თლილის ქვით ციხე-ქალაქი და კოშკი ზედა-ზებია
და მისსა მნახავსა დაუშროტის გულს ცეცხლი ანაგზებია.
- 33 ქვეშაფენლად სტავრა იყო, ჩათმა ოქროდ მოქსოვილი,
მის ჟამისა სიკეთისა ვინცა ნახა მახსოვილი,
მუტრიბთა და მოშლერალთა ხმები ერთად გაქსოვილი,
და მაშინ არსად არ გესმოდეს გლახაკთაგან მოთხოვილი.
- 34 სასახლეთ შუა ადგილი სამ-სამის დღისა სავალი,
ყოვლთა თვით ჰქონდის საჭურჭლე, არსით უნდოდა სავალი,
მხეცთა, ნაღირთა, ფრინველთა წმა იყო გარდასავალი,
და აღმოსავლეთი ხელთ ჰქონდა, მონებდა სრულ დასავალი.
- 35 მართ ერთი ზევე ერთად დაყვეს ზემსგავსებით ჟამთა, დროსა,
ხელმწიფისა კარს ნახევდი მარგალიტსა დანაგროვსა,
ცხენსა ჯოგად მოასხმიდეს გასაცემლად ხრო-და-ხროსა,
და სხვას მისცემდეს, არ კირზვიდეს: ეგ იშოვნე, ნეტარ, როსა?
- 36 ერთსა თვესა შეამკიან მოედანი კარვებითა,
ორს ფარსანგსა მოხვივიან ატლასისა ფარდებითა,
მეფე იყო გამცემელად არ ცუდისა ქადებითა,
და ხორციელი ვით იქმოდა, თუ არ ღვთისა განგებითა!

- 37 ათგანვე სახლთა ათასი პირმთვარე იმყოფებოდა,
კვლავ მოასხიან მნათობნი, აროდეს იმყოფებოდა,
ათასი მუდამ თან ახლდის, მათგან არ იმყოფებოდა;
და მისთა მტერთა და ორგულთა უამი არ იმყოფებოდა.
- 38 ბალთა სიკეთე ვით გკადრო, ან სურნელების სულია!
შუა ვარდთა და ნარგიზთა ალვის ხე ამოსულია,
ზამთარ და ზაფხულ ნიადაგ ყვავილი გამოსულია,
და ვინცა შევიდის, ნებითა არ იქნის წამოსულია.
- 39 წელიწიდისა ერთსა თვესა ნაღირობა მიხვდებოდა,
ათსა თვესა სასახლესა უამთა-უამად იქნებოდა,
ერთსა თვესა მოედანსა ტურჭის კარვით იღვებოდა,
და ესე ასე ყოვლი საქმე ამ წესითა რიგდებოდა.
- 40 ესოდენსა სიხარულსა ერთი ჰქონდა საჩივარი:
ეს არ ყვანდათ, ვაჟი იყო, გულსა სჭირდათ სატკივარი,
იტყოდეს, თუ: „რა ვყოთ, ანუ რა ვქნათ, საქმის საძირარი?“
და შევეხვეწნეთ სახიერსა, ჩვენი მხსნელი იგივ არი“.
- 41 მოილეს მათი, დიდება ღმერთსა შესწირეს პირითა;
„მოსამართლეო, დაგვიხსენ უსაზომოსა ჭირითა,
შენ იცი გულის ნადები, ნუ ამოგვაგდებ ძირითა,
და წყალობა შენი უხვია, არაოდეს ხარ ძვირითა“.
- 42 მას ღამესა ძილსა შიგან მეფემ ნახა შოჩვენება,
მას ახარა ანგელოზმან, უთხრა: „იქნა შენი ნება,
ალთქმა დადევ ბოროტისა, გმართებს ჩემი გაგონება,
და მან დაგიხსნა ჭირისაგან, ვისცა ძალუც განჯურნება.“
- 43 შვილი მოგხვდების კეთილსა ეტლზედან დაბადებული,
ყოველსა ზედან საღვთოსა წესზედან გასწავლებული,
თქვენ იყვნეთ მისის ნახვითა ნიადაგ გახარებული,
და იგი შეიქნას ყოველთა მეფეთა ალმატებული“.
- 44 გაელვიძა, ცოლსა უთხრა, ორნივ ღმერთსა ადიდებდეს,
იმ უამითგან დაჯერებით იყვნეს, იმედს დაიდებდეს,
გასაცემლად სალარონი ყველგან კართა გაიღებდეს,
და ვინ დასთვლიდა საქონელსა, რომ გლახაკნი წაიღებდეს!

- 45 ქაში იქმნა განგებითა, დაორსულდა დედოფალი,
ზარი გახდა, მოიწვიეს ყოვლნი სხვაგან ნამყოფალი,
მუნ მოვიღნენ, დაუტევეს თავთავისი სამყოფალი.
და ვეპვ, არ დარჩა უშოვებლად მუნ ხანისა დამკოფალი.
- 46 ვით ვთქვა ლაშქართ გახარება, დაიბადა რა ქაშს ვაჟი,
სიხარულით დალბებოდა სიბი ქვა და სალი კაჟი.
შეფე ბრძანებს: „ამოვკვეთოთ ასალებად ყოვლგნით ბაჟი!“
და მთელსა ლალსა გასცემდიან, არვის უნდის დანაბაჟი..
- 47 ორმოც დღესა ლხინი იყო, საჩუქრისა არ მოწყენა,
შორს გზისანი გაისტუმრა, სხვანი იქივ დააყენა,
მერმე კიდევ საბოძვარი ზოგთ უკანაც გაუყენა,
და მაშინდელმან მათმან ლხინმან მტერსა თვალი დაუყენა.
- 48 ვაჟსა სახელი დაარქეს ომაინ გვარისეულად,
ვით იზრდებოდა, რა გკადრო, ან რა გვარ ყოფაქცეულად?
პირი მზესავით შვენებით, ტანი ალვისა ხეჭლად,
და ხუთის წლისასა ვერ მორჩის აბჯარი გაუხეველად.
- 49 ესე ასრე მოიზარდა, მოუმატეს ლხინსა ლხინი,
მათსა გულსა გაივლიდა რამუა საქმე მოსაწყინი!
ერთგულ-ქმნილთა მოუფიდათ საქმე კეთილ მოსავლინი,
და მათთა მტერთა დაემართა მეტის-მეტი შესაშინი.
- 50 გაიზარდა, არვინ ჰეგვანდა შვენებითა, არცა ტანად,
მისთა შუქთა მზისა შუქი თან არ ჰქონდის მოსატანად,
გასაცემლად მოლარენი იყვნეს კარგის მოსატანად,
და ყოვლი მსმელი მას წინაშე იქმნის ორთა გასატანად.
- 51 ჭკვიანი და გონიერი მართ მამაცად გმირთა გმირი,
მისგან სიტყვა არვის ესმა არაოდეს გულსაგმირი,
ვინცა ნახის მას წინაშე რაც რამ ფერი დასაგმირი!
და მისსა ლახტსა სიმძიმითა სხვათა ხელი ვერსა გმირი.
- 52 ყოვლის კაცისა მოყვარე, სიწყნარე ჰქონდის ბრძენისა,
უცხოს კაცთაგან სიამე ჰქონდის ამბისა სმენისა,
უხვ-უშურველი, გამცემი, ტურფა, უებრო ენისა,
და მისსა მნახავსა დავიწყდის ჭირი ყოვლისა სენისა.

- 53 ყოვლის ფერით შემკობილი თვალ-ტანად და ძალად, გულად,
მესროლნი და მობურთალნი მასთან არ ჩნდა სავარგულად,
ტანი მისი ემსგავსების სარო იყოს დანერგულად,
და შორით ნახვად წამოსულნი, ზოგნი იქნის დაკარგულად.
- 54 მეფესა და დედოფალსა დიდი ჰქონდათ სიყვარული,
რა ნახიან, მოემატის გულსა მათსა სიხარული,
ბროლ-სადაფსა აშვენებდის გამჭვირვალი ლალი სრული,
და მისსა მჭვრეტსა არაოდეს მოუვიდის თვალთა რული.
- 55 დრო მოვიდა, მოედანსა როს კარავი დაიღგმოდის,
თავადთა და დიდებულთა ყოშუმი და რაზმი მოდის,
ხატაურთა ოთალთაგან ბიჯი აღარ წაიღგმოდის,
და ცემა იყო ქოს-ტაბლაკთა და მუტრიბთა ხმა ჩსმოდის.
- 56 ხშირად იხმობდის თავადთა, მაგრამ უფროვე კარავთა,
ერთობით უსხდის ტახტზებდა სულ ოქრო გარდნაკარავთა.
გარდაფენდიან მძიმესა ოქსინო შენაკარავთა.
და შეფე ბრძანებდა: „შეგმატო, ვინ ლენინსა მოიმკარავთა“.
- 57 შვილსა შვიდასინი თავადნი თვითოს მხარს დაუსხდებოდა,
თვით გარე-მდეგთა ლაშქართა რიცხვი. არ შეიგებოდა,
ოქროს სარტყლითა მონანი მრავალნი წამოდგებოდა,
და ვერ მნახავთაგან სურვილით იგი დღე ინატრებოდა.
- 58 ომაინ მივა წვეული, მანდატურნი დგეს გარესა,
თავადნი ტახტით ჩამოხდეს, რა მისვლა იქმიარესა,
თაყვანი სცეს და უკუღეს კარვისა ერთსა მხარესა,
და თქვეს, თუ: „ტარიელს ესე სჯობს!“ სხვას ვისმცა შეაღარესა!
- 59 მუნევ დასხომა უბრძანა პირითა მოცინარითა,
თვით მეფის მარჯვნით გარდახდა ცეცვითა რათმე წყნარითა,
ვით მთვარე მზისა გავსილი მჭვრეტელთა სალენიარით ა;
და მამა პკითხევდა ამბავსა ტკბილითა საუბარითა.
- 60 მაშინ ქვეყანა შვენოდა, ვით ცანი ვარსკვლავისაგან;
ყოვლი რმაინს უჭვრეტდეს, უნათლე იყო მზისაგან;
გამოსულიყო ნაყოფი მის კეთილისა ხისაგან,
და სურნელის სულსა ადენდა ყვავილი. სამოთხისაგან.

- 61 ჭამა შეიქნა, მოიღეს, — ქება ვით ითქმის ენითა! —
ლალ-იაგუნდის ჯამები ოქროსა დასადგენითა,
ბროლი და ჭიქა ღვინისა არ დასცხრა მოსაღენითა.
და მეფე ბრძანებდა: „თავადნო, ლხინს კარგა ეცადენითა!“
- 62 გათავისმსმელდა ომაინ, მჭვრეტელთა სასურველია,
თან აგტანა სპათაგან თავადნი ინდოელია,
ხელმწიფის წინა დალევდენ, დაფიცხდეს ჩანგთა მკვრელია.
და ხელ-გასაცემლად საჭურჭლე ძეს ქვეყნის მოსარწყველია!
- 63 იმ დღის მნახავსა საქებრად მეტობა უნდა ენისა:
მოდგიან გობი ოქროსი თვითოსთვის შესასმელისა;
მკვრელთაგან იყო საკრავი ხმა ტებილად მოსასმენისა,
და ყოვლებით შეიქნა სიმღერა, მსხდომთა არ მოსაწყენისა.
- 64 კარავთა გარეთ გამოვა ომაინ სასერნებელად,
ლაშქართა თვალი მოავლო მათ ჭირთა საკურნებელად,
მან კაცი ნახა მოწყენით გულისა ნამტკიცნებელად,
და უბრძანა, მონა მოიხმო მის ყმისა საჩვენებელად.
- 65 შორით შეხედა, მან ნახა კაცი ვინმე ფერნამკრთალი,
დაყრით დგა და ეტყობოდა ლაშვთა ცრეშლის ნაწვეთალი,
ლაშქართაგან ვერა იცნა, აზრი ექნა მას მართალი:
და განგებითა იგი მოვა, რა არს ლვთისა სამართალი!
- 66 უბრძანა, თუ: „წადი, ნახე, და ადგილი ისწავლენი,
არ წესია ამ ქვეყანას კაცსა სჭირდეს მოსაწყენი,
ხვალ მოვიდეს, მან მიამბოს, მას გულს სჭირდეს რაცა სენი,
და ღმერთსა უნდეს; მოულხინო მე მას ადრე მოსალხენი“. .
- 67 კაცნი მობრუნდეს მეფისა ლმაინისთვის მხმობელი,
იგი მობრუნდა, შევიდა, ვითა მზე მანათობელი,
მისთა შევევლთა ლხინი-და, ვერ მჭვრეტთა მანათობელი,
და ვინცა გამოჩნდეს იმისი ლვინითა დამათრობელი?
- 68 დილითგან სხვასა დილამდის მართ ერთად იყვნენ შესდომია;
ახალგაზრდასა ლმაინს წინ ვერვინ დანამდგომია,
იგი ეგრე ჯდა, თუ ჰგვანდა ერთისა შენასომია,
და სხვანი მონათა გაიხვნეს ფერხჩედ ველარა მდგომია.

- 69 იგი აღგა, მუნ მყოფელთა თვალთა სჭირდა მისი მზერა,
 წესი არის: დააჩრდილებს, მოეფაროს, გორას მხე რა.
 აიყარნეს წამოსავლად, მეტსა სმასა შეეჯერა,
 და ყოვლგნით კერძო დაესრულნეს სიმღერით და ჩანგოა მღერა.
- 70 შინა მოვიდა იგი მზებრ, მართ ადგომილი ლხინითა,
 წინ მოეკებნენ მონანი ხელ-დალებულნი ინითა,
 ბროლისა ელვა კროებოდა ვარდთაგან მინაცინითა.
 და კვლავ ლხინად დაჯდა შვენებით არმჭვრეტთა მოსაწყინითა.
- 71 შასვე მონასა უბრძანა, რომეპირველ დაებარა:
 „წალი, იგი მოყმე ნახე, ვინ შუქთა ფენს მზებარა,
 უთხარ: ვიცი, შეგეტყობის გული ჭირსა დაება რა.
 და მოდი, მითხარ, ნუ თუ გარგო, ვნახოთ ღვთისა განგება რა.
- 72 კვლავცა უთხრა: მოგიქარვებს სევდა, ანუ რაცა გჭირსა,
 მას თვალი აქვს ყოვლსა ზედა, მოხმარება დია სჭირსა“.
 მან მონასა შემოხედა, გვანდა საქმე განაჭირსა—
 და „წალი, ჰყადრე: ვერვინ მარგებს, უკეთ ვიცნობ ჩემსა ჭირსა.
- 73 მე რას მაქნევს მეფე თქვენი, ან სიტყვასა რად მაცთუნებს?
 მჭუნვარისა კაცის ნახვა მხიარულსა დააჭმუნებს.
 რადღა ვარგა სანახავად, ვისცა ჭირი იძაბუნებს?
 და უსიკვდილოდ არ წამოვალ, ცუდად ნურცა მოგაბრუნებს“.
- 74 მოვიდა, ჰყადრა მონამან მის ყმისა ნაუბარია.
 ომაინ გაწყრა მისისა არ-მისვლის შემტყობარია,
 ბრძანა, თუ: „კაცთა გაუსევ, ვით ვიყო დაჩომობარია?
 და მაგრამ პირველად სიჩქარე ბრძენთაგან ნაგმობარია“.
- 75 ბრძანა: „წავალ, თვით მე ვნახავ, რა გინდ რა ვინ დამიზრახოს,
 წესი არის, კითხვა უნდა უცხოს, არ თუ გაენახოს,
 მან მიამბოს, რაცა იცის, რა მივიდე, ახლოს მნახოს,
 და ვით იქნების, მე ვკითხევდე და საუბრად არ მიზრახოს!“
- 76 იგი მივიდა, გარდახდა სახლსა უცხოსა ყმისასა,
 გამოეგება ღარიბი, მთვარე ჰგავს შუქ ნამტყვისასა,
 ორთავე ერთად შვენება ნათელსა სჯობდა მზისასა,
 და მათ ვერვინ ეფარებოდა, ვით ბნელსა ქამი ღლისასა.

- 77 გვერდსა დაისვა, დაუწყო მას ამო საუბარია,
უთხრა, თუ: „ძმაო, ვინა ხარ, ან ვისთა ტომთა გვარია?
ვარდსა აჩნია მზისაგან მოშორვებისა დარია.
და შენ იაგუნდი რამ შეგქნა; აწ ასრე ფერ-მიმხდარია“?
- 78 მოახსენა: „ხელმწიფეო, ხარ მეტადცა გონიერი,
საქმე ჩემი გრძელი არის და თქმად არა უამიერი;
ნუმცა მკითხავ, ვერცა ვიტყვი, დაგაფიცო სახიერი,
და მამწონს თქვენი პატრონობა, ხელმწიფური საქციერი“.
- 79 უთხრა, თუ: „ძმაო, არ მამწონს მაგ საუბართა თქმულობა,
რად მოიხმარე ჩემზედა გულისა უცხოურობა?
ჩვენი წესია, ხელთა გვაქვს კარგთ კაცთა მოყვარულობა,
და დღეითგან ძმა ხარ, შენია ეს ჩემი სრულ მორწმულობა“.
- 80 ადგა, ყელსა მოეხვია, მათ ჰკოცეს ერთმან-ერთსა,
ატირდა და აატირა, გული ჰგვანდა განაერთსა;
ჰკადრა: „წვრილად მოგახსენო, რადგან სწადდა ესე ღმერთსა“.
და იგი ვაჟი შეუყვარდათ მათ ლაშქართა ხელი-ერთსა.
- 81 „აწ ვიკადრო ყველა წვრილად ჩემ თავისა ჭარლასრული,
რადგან ღმერთმან სამსახურად მე ჩამიდგა თქვენგან სული,
ვინ გვარი ვარ, ან სით მოვალ, ანუ რად ვარ ფერწისული,
და წიცოცხლესა მოვეშორე უიმედოდ წამოსული.
- 82 ზღვათა მეფისა შვილი ვარ, უბედო, გამწარებული,
წელი სამია სამყოფსა და მეფის მოშორებული,
მე დედ-მამანი დაგუარე მართ ჩემგან გაჯავრებული,
და ასრე ობლად და დარიბად ვარ ცუდად საღმე რებული.
- 83 აპა, თუ გინდა ამბავი მართ ჩემგან ჭანაყბედია,
ყველაი წვრილად ვიკადრო, მაღალი ღმერთი მხედია;
მე სანადიროდ გამოველ, ზღვის პირსა დიდი ქედია.
და მას დღეს დაბნელდა ნათელი, გაშავდა ჩემი ბედია!
- 84 შორით ვნახე ზღვასა შიგან მომავალი ცოტა რამე,
გამიკვირდა, უცხო იყო, დავინახე იგი რა მე;
მენავეთა მოსასხმელად კაცსა უთხარ გამოყრა მე;
და „წადით, ფიცხლავ შემიტყველით, რა გზანი გიც და ნახ რამე?“

- 85 მენავეთა უყურებდი, ნავი ფიცხლავ გააფრინეს,
მიღიოდეს მოჭირვებით, თუმცა არად შეირცხვინეს;
კაცი იწვა ფიცარზედა, მისი პოვნა არ იწყინეს,
და მოიყვანეს დაბნედილი, ჩემსა წინა მოაწვინეს.
- 86 პური ვაჭამეთ, მობრუნდა მორჩა, მოედგა. სულობა,
ამბავი ვკითხეთ, ყოფა თქვა თავისი მან მისრულობა,
ჩრდილოეთისა ქალაქთა სავაჭროდ წამოსულობა;
და „ნავი გაგვისძა, დაგვეცა უფსკრულსა დაკარგულობა“.
- 87 მოვიყვანე ჩემსა წინა, უთხარ: „თქვიო, რაცა იცი
მითხრა: «დია მოგახსენო, მაგრამ გკადრო პირველ ფიცი,
რაცა მე გსთქვა, მართალია. სიტყვა ჩემგან დანამტკიცი,
და მისრეთისა შორს მყოფელმან, ხამს, თუ გულსა დანა ვიცი!»
- 88 მე ვით გკადრო, თუ რა ამბო ხელმწიფისა სიკეთისა!
სიღიღე და მორჭმულობა სხვას ვის ძალუც ეგეთისა?!
უთხარით, თუ: საპატრონო ჩვენ უფრო გვაქვს მისრეთისა.
და არ უკვირდა საჭმე ჩვენი, მასთან რამცა ეკეთისა.

III. აჩა ზღვათა შეფის ჟვილისაგან ოშაინთან ეისრეთის. შეფის ჩალის აჯგის მგობა

- 89 მისი ნათქვამი ქებანი საამბობელად ძნელია,
თქვა: «ძე არა ჰყავს მეფესა ცეცხლი სწვავს მით არ ნელია,
ერთი ქალი ჰყავს, მასთან მზის შუქი საწუნელია,
და მისგან მრავალთა შექნია გულსა წვა დაუნელია.
- 90 იგი ხელმწიფობს, მისრეთი მამასა მიუცემია,
პირის-პირ ვერვინ ვერ ნახავს, ან ხმა ვის გაუცემია!
ლმერთსა ვიმოწმებ: მზეს ზედა მას უამი დაუცემია,
და შორით მონობენ, დღითი დღე იქნების გასაცემია.»
- 91 მის ქალისა საქებარად მან იხმარა ენა მეტად,
გულსა მეცა, გავეშმაგე, მასვე წამსა გავხე რეტად,
ვთქვი: მოვკვდეო, არა მგამა, თუ არ ციყო მისად მჭვრეტად
და ვერა ვირგე, შუქი მისი ჯერაც მადგა გულსა სვეტად.

- 92 მეფესა ვკადრე: „იცადე აწ ჩემსა რასმე რგებასა,
ნუ თუ მიშოვნო იგი მზე, დამხსნა ცეცხლისა დებასა“.
ებრძანა: „ტე არ ძალიც, ვერ გიზამ იმედებასა,
და ერთი ქალი ჰყავს სამეფოდ, არ გვიზმენ დანებებასა.“
- 93 საწოლს ვიყავ, მომივიდა მართ ამბავი მეტად ავი;
ფიცხლავ კაცი გავაპარე, მოვიკაზმე სამი ნავი,
საჭურჭლითა გარდავაესენ, ჩავსხი კარგი სანახავი,
და ყოვლითუერი სახელმწიფო — საყური და გინდა ტყავი.
- 94 იგი კაცი გავიტანე, რომე ზღვაში მე მეპოვნა,
იმედი თქვა, ნურა გაგვა, მე მაქვს გზისა კარგი ხსოვნა.
ფიცხლავ წაველ სევდიანი, ჭირმან ვითცა დამაყოვნა!
და მონებიცა დავარჩივე, მაგრამ ბედმან არ მითოვნა.
- 95 ყოვლით კარგა ავემზადე, საქონლით და მონებითა,
მენავეთა ბევრი მივეც, დავამდიდრე ქონებითა.
ერთსა წელსა ზღვაში ვიყავ სევდითა და ღონებითა,
და მისრეთს ვიყავ, მომემატა ცეცხლი მისის გონებითა.
- 96 მას კაცას უთხარ: „რა გვმართებს, იყავ საქმისა რჩევითა“.
მან მითხრა: „სული თქვენგნით მითქს, ზღვად დანთქმულ
ვიყავ მე ვითა,
მეფეთ სიდიდე თქვენც ნახოთ, ნუ დაიჯერებთ თქმევითა,
და ქალი ქვეყანას შუქსა ფენს, ჭავრამ ზეცას ზის. მზე ვითა“.
- 97 ხელმწიფისა კარსა მიველ, გამიკვირდა საქციელი,
ბუკისა და ქრისისაგან ხმა ისმოდა სატკრციელი,
მანდატურთა შიშისაგან ვინ წალგების ხორციელი?
და ვთქვი: „ქვეყნისას არა გვანან, ჩამოსულა თუ ციელი“.
- 98 ორსა თვესა გარს უარქ, ვერ შეუველ ვერსით ვერა,
ცხენოსანთა სიმრავლესა მთა და ბარი მოემტვერა,
მე ვჯერვიყავ საღმე მათი შორით შუქი მომეზვერა.
და ვერას მივხვდი დაბნედილი, მექნა, ან რა მამეწვერა?
- 99 ვერვის მივხვდი მე ესეთსა, კითხვა რამე გამებედა,
ქალაქს ჩაველ, ლარი გავხსენ, არცა ვინ ზედ დამიხედა?
ვეძებდი, თუ კაცი მეძმო, ან დიაცი ვინმე მედა,
და არვინა ჩნდა ჩემი შემწე, თურმე ბედმა არ მიბედა!

- 100 დღესა ერთსა მოქალაქე კაცი მოდგა, ვეუცხოვე,
ფიცხლავ ავდეგ, დავიწვიე: განალამცა შემეპოვე“,
რაცა მკითხა, ყველა უთხარ, უთავმდაბლე, ვესათნოვე,
და ზღვათა შიგან სიარული, რად წამოველ, რასთვის მოვე.
- 101 გავემზადე მის ქვეყნისა მე ამბავთა საკითხველად,
მართ იგიცა დამიწყნარდა ყოვლისავე სამბობელად,
მითხრა: „მეფედ ქალი არის კაცთ თვალისა უნახველად,
და ცხრასა კარსა მხევალნი სცვენ, ათს-ხადუმნი დგანან მცველად.
- 102 მისი მეფობა მამისგან აწ ამას დანებებია,
წიგნად გამოვა ბრძანება, რაც რამე მონებებია,
მიღმა პასუხსა ვინ ჰქადრებს, აროდეს მოხსენებია!
და სხვანი მეფენი სიღიღით მართ ვერვინ შესდარებია.
- 103 სხვა რა გითხრა აქაური, ანუ ჩემგან რა გერგების?
ხორციელი კაცთა ტომი სიახლოვეს ვერ წადგების,
ერთს თვეშიგან მამა ნახავს, ფერხზე ხრც მას აუდგების,
და მზისა შუქი მის წინაშე ნათლად არად გამოჩნდების.
- 104 ყოვლს საქმესა შინაურსა, მას მხევალნი მსახურებენ,
მოახლისა სიმრავლისა რიცხვით ვერას შეიგებენ,
წიგნის წიგნით შორიდალმე კაცს საქმესა დაუდებენ,
და არა თურმე სამსახურად, თავს სიკვდილად გარდუდებენ.
- 105 ექვს თვეში ერთხელ გამოვა გარეგან სალოცავებსა,
ხუთის დღის წინათ ყოველგნით გზას იქმენ დანაცავებსა;
უნდა, რომ კაცი არსად ჩნდეს ქალაქსა, არცა ნავებსა,
და თუ სადმე ნახვენ მხევალნი, ფიცხლავ დასჭრიან თავებსა.
- 106 ოთხი ათასი მხევალი წინ ჯოხიანი მძღომია,
თუ კაცსა ნახვენ მათთანა, გაუჭირდების ომია,
თან მიმყოლელთა სიმრავლე, ვინ იცის, თუ რა ზომია!
და ლოცვა გათავდეს, მიბრუნდნენ, ლაშქარი შორეს მდგომია.
- 107 კაცის თვალი მათ ვერ ნახავს, არც იგინი გაიცდიან,
ორს ფარსანგსა ხადუმნიცა მხევალთ წინა მიუდგიან.
მეფემან და სრულ ლაშქართა რაც ქალს სწადდის, იგი ყვიან,
და სული ვისლა შერჩებოდა, სამსახური ექნა გვიან!

- 108 ამა ქალაქთა უფროსი ერთი ქალია ქალისა,
თანაშეზრდილი მის მზისა, არ რამე ფერ-ნამქრალისა,
პირმოხვეული ჩამოვა მთვარე, მზის ნაშუქალისა,
და მისის შიშითა ვის ძალუც მოპარვა საქონელისა?“
- 109 ესე მესმა, დაველონე, ჭირი უფრო გამიჭირდა,
მე ვიწოდი, თორემ საქმე ჩემი არვის არ უკვირდა;
ლარი გავეც აღვილ ფასად, რომელიცა ძვირად ლირდა.
და გულსა ბნელსა არაოდეს შუქი შეისა არ რიჭირდა.
- 110 იგი კაცი გამეყარა, რომ მეპოვნა ფიტრით ზოვასა.
მარტო დავრჩი სევდიანი, გული მიხვთა კეცხლით წვასა;
დღე და ღამე გაუწყვეტად ვიძაოდი ვაგლაბ, ვასა.
და ლარს მივცემდი მუნებურთა და ვკითხავდი სხვადასხვასა.
- 111 არა მესმა არვისაგან სიტყვა ცეცხლთა დასავსები,
შორით ვნახე, მოუქლოდა ქალაქთ უფროსს ხაღუმები;
დავარჩივე ყველა ტურფა, სტავია მძიმე, ატლასები,
და მივართვი და თანა მივყევ, მეკონა, თუ ვესალშები.
- 112 იგი მთვარე ალარ დადგა, არცა რა თქვა საუბარი,
დამიშძიმდა, კვლავ დამიჭენა. გული ცეცხლთა ნაღებარი,
ზაღუმთ უთხრა: „თვით გაჰყიდის, არ მაკლია სადებარი!“
და საქმე ვერსად ვერ გავიღე მე უკინისა საძებარი.
- 113 ორი წელი დამეყოვია, დამექარჯა რაცა მქონდა,
მონა ზოგი დამეხოცა, ზოგს წასაკლად გული ჰქონდა.
ვხედავდი, რომ სასაუბროდ მათ ვერავინ ვერ შესწონდა.
და გული მკვდარი სევდისაგან კვლავ უფროვე დამიღონდა.
- 114 ბალი იყო ტურფა რამე, წაველ ვარდთა სანახავად,
მარტო ვიყავ, სევდიანი ვჯე სო ულისა საძრახავად,
მუნ ტირილი მომეწყინა, გავხე სულთქმა საახავად.
და მე სიკვდილსა მივსწურვოდი სულია კბილით შემნახავად.
- 115 ნატირებსა, სევდიანსა მიმეძინა ფართა ძირსა,
კაცი ვინმე მომდგომოდა ბედისაგან განაწირსა,
შევბრალოდი,—კარგსა კაცსა უოვლი საქმე კარვა სჭირსა—
და გამაღვიძა: რად მოკვდები, რად მისკემო თავსა ჭირსა?

- 116 სასაუბროდ არ მიმიშვა, მან შემატყო გულსა სევდა,
თავის სახლად წამიყვანა, სად ბულბული ვარდთა სცევდა-
ყველა წვრილად გავიგონე, რასაც იგი მე მკითხევდა,
და მეტის-მეტად შევებრალდი, ჩემი ცეცხლი მასაც სწვევდა!
- 117 მითხრა: გეტყობის, ხარ ვინმე, ძმაო, კარგისა გვარისა,
ღმერთის იამების შეწევნა კაცისა გულმტკივარისა,
მაგრამ ცუდია ყბედობა გრძელისა საჩივარისა,
და შენ მოგცემია საქმისა დაუგვარისა.
- 118 მას მზესთანა სახსენებლად არ იქნების კაცთა ტომი,
არვინ იცის, რასათვის სჭირს, ვერვინ არის მინახდომი,
კაცთ სახელი არა ითქმის, ღიაცნია წინ წამდგომნი,
და დამიჯერე, მოითმინე წვანი გჭირან თუ რა ზომი.
- 119 აწ მიბრუნდი, ნუ წაახლენ ვაჟობისა ქამთა, ღროსა,
ნუ გვინია, ეგ სირცხვილად დაგედების შენ აროსა;
ვიცი, რომე ვერას ირგებ, ცუდად იდენ ცრემლთ წყაროსა,
და თუ მიხვიდე, გაანათლებ კვლავ მამისა სამყაროსა.
- 120 რა ესე მესმა, შევიქენ მე გულსა ლახვარხებული,
მობრუნდა ჩემთვის ღვთისაგან ბორბალი გარისხებული,
ზარი გამიხდა, დამეცა ვით მეხი გამეხებული:
და დავეცი, დავბნდი უსულოდ, ვით მკვდარი დანაცრებული:
- 121 კვლავცა მითხრა: მხატვარი ვარ, ყოვლისფერის დამხატველი,
მე მეფეთა დიდგვარისა მორჭმულობით საკვირველი,
მეცა მჭირდა ეგე სენი, ცრემლით მერწყო მთა და ველი,
და ვიცოდი, რომ ვერ ვირგებდი, თავსა უთხარ მოსაწვრინელი.
- 122 ერთხელ ვნახე იგი მთვარე. შორით ლოცვას გამოსჭოო,
გვანდა, კირჩხიბს შენაჯდომი მზეა მაღრიბს ამოსულა,
მევდარსა მისი აღადგენდა, თუ ეყნოსოს, ამო სული
და დაბნედასა მივეწურე, ძლივლა ვიყავ წამოსული.
- 123 სახე დავხატე მე მისი აჩრდილთა მიმსგავსებითა,
თვარ ვით იქმების მისებრივ კაცთაგან ხელოვნებითა!
აწ იმა დღითგან ამისგან ვარ პატიჟთ მოთმინებითა,
და ამას ვნახავ და გავხდები ყოვლთ ჭირთა განკურნებითა.

- 124
- მოვახსენე: „რადგან ეგე შენ კაცი ხარ ბრძნად სწავლული,
დაგიჯერებ, დავბრუნდები, ვამე, სახელ დაკარგული!
ერთსა რასმე გეხვეწები, არ გეწყინოს ჩემგან თქმული:
და სახე მომეც ჭირთა თმენად იგი შენგან დახატული“.
- 125
- ფიცით მითხრა: „სულიც გინდეს, არცა იგი დაგიჭირო,
ადგილი ჩნდეს მოხმარებად, შენთვის თავი გავიწირო,
მაგრამ ცუდად ნუ მოკვდები, სჯობს წახვიდე, შენ კერძ ირო“.
და სახე მამცა, თქვა, თუ: „გული მეცა ბევრჯელ ავიტირო!“
- 126
- მან სალაროს შემიყვანა — აიღეო, რაცა გინდა,
არა თქვა, თუ შენი ყოფნა სახლსა ჩემსა მე მომწყინდა.
ნუ თუ ღმერთმან მიგიყვანოს, მამა გაყრას ვით მოგთმინდა?
და უშენოსა მე დღეითგან მზემან შუქი დაძიბინდა!“
- 127
- ოქრო ავილე, ვაკოცე, მოვეხვიცე იმა ყმასა,
ამიტირდა გულმდულარედ, ცრემლი ჰქონდა მასცა მზასა;
მოგვეხვივნეს, დაგვადუმნეს,—ნულარ იქთო მეტსა რასა,
და გამოვბრუნდი, გავემზადე წამოსავლად ჩემსა გზასა.
- 128
- სამსა დღესა თან გამომყენა, მაგრამ სწვიდა ცეცხლთა დება,
მიკვირს, თუ რად შეუყვარდი, ანუ სჭირდა ჩემი ქება!
რაზომსაცა გავბრუნდები, კვლავ უნდოდის თანა ხლება.
და არ მოვეშვი, შევაჭურე, არა იყო მისი ნება.
- 129
- ერთი წელია მივლია უგზონი, თუნდა გზიანი,
მე თქვენსა მოველ ქალაქსა, კარი დამიხვდა ლიანი;
შემიტკბეს, კარგა მომეპყრნეს, არ ვნახო მათი ზიანი!
და მაგრამ გაცუდდეს საჭირეტლად ჩემთვის ვარდი და იანი“.
- 130
- რა ომაინ მოისმინა, მასთან მისვლა არ იმჩივნა,
უთხრა: „ძმა ხარ დღეის იქით“,—კოცნით ყელსა მოქვივნა,
სიტყვა ჰკადრა საადგილო, სწადს თუ გული არ ატკივნა,
და „ნურა გაგვა, რადგან მოხველ; ღმერთმან მტერი მოგიყვნა“.
- 131
- ფიცხლავ წავიდა ხელმწიფეს წინაშე საამბობელად,
ტურთის ენითა უბნობდა მის ყმისა შესამკობელად:
„მოსულა ვინმე ჭაბუკი მნათობთა დამამხობელად“.
და მეფესა გულმან უქადა მართ მისთვის შესატკბობელად.

- 132 ყველა წერილად მოახსენა მისი თავსა გარდახდომა,
სიარული, ცრემლთა დენა, ეგზომ ჭირთა ცუდ-წახდომა.
ბრძანა: „ფიცხლავ მოიყვანეთ, კარგა გვმართებს ჩვენ დახდომა,
და ხელმწიფისა შვილი არის, შეჰქერდების ჩვენთან ჯდომა“.
- 133 რა მოვიდა, მეფე ადგა, ერთმანერთსა ესალამნეს,
სრულ ლაშქართა მოეწონა, მას ქებანი უმალ-მალნეს;
მეფე ტკბილად ეუბნების, სწადს, თუ გული დაუამნეს.
და მას დღე ლხინით გაიყარნეს, ჩანგთ მკვრელთანი შეალამნეს.
- 134 სარიდან უთხრა: „მიყვარხარ, მოწმად მყავს ზესთა ზენია“. ვერავინ სჯობდეს, შვენოდეს ფერმიხდით სინაზენია,
მაგრამ ომაინ მხედველთა უებროდ ამაზრზენია.
და დედოფალი და ასული მოდგეს, საჭვრეტლად მჟენია.
- 135 სამს დღეს სშა იყო, არა ჩნდა კაცთ სიმრავლისად კარი სად,
მერმე მოიღეს ფეშქაში სიმრავლე შიუმხდარისად;
ზღვათ მეფის შვილი მორჭმისა ჩვეული მსგავსად გვარისად,
და ზოგთა თქვეს სიტყვა საქებრად ომაინს შესადარისად.
- 136 მუნით ადგნენ, წამოვიდნენ მოცინარნი, არ ჭირწბილნი,
მათ ორთავე გარდმოელოთ მზისა შუქი ოთხი წილნი,
სხვათ მნათობთა აჯობებდა მიდგომილნი მათი ჩრდილნი,
და ერთად დასხდნენ, მოახსენეს საუბარი, სიტყვა-ტკბილნი..
- 137 ომაინ პკითხა: „რა გინდა, რა გაქვს წადოლი გულისა?
ძებნა გწადიან საქმისა მის ერთხელ დაკარგულისა,
აშ გაგიშვია სურვილი მისგან გულს დანერგულისა?
და მითხარ, ხმარება წესია კაცის თავს-გარდაგულისა!“
- 138 მან უთხრა: „ჩემი მოლხენა წიგნსაცა არსად სწერია,
შენ რად გაგსაჯო პედკრულმან,—სოფელი ჩემი მტერია!
მძსრული საქმე წამსვლია ფერხთქვეშე, ვითა მტვერია.
და რასაცა მიზამ, შენ იცი! — სხვა სხვისა მეცნიერია!“
- 139 კაცი მოვიდა ომაინს წინაშე მაწვევარია,
დედოფალს ეთქვა: „შორს მყოფთა გულსა გვაქს სატკივარია,
ჩვენცა გვიაშბე მის ყმისა თქვენთანა საჩივარია,
და ვინ გიაოვნია, რა კაცი, ანუ ვის ტომთა გვარია?“

- 140 ფიცხლავ წავიდა ომაინ პირითა მოცინარითა.
 დედოფალი ჯდა ელვითა მნათობთა მაშეინარითა,
 გვერდსა იახლა ასული, მზებრ შუქთა ნაფენარითა.
 და მან გაახარა ამბითა მის ყმისა ნაუბარითა.
- 141 ძე გვერც უზის და იგინი მართ მზისა მსგზავსად შვენოდეს,
 მოახსენებდა ამბავსა, რაცა მას მისგან სმენოდეს—
 გზათა სიგრძე და სასჯელი, ან რაცა მისგან სწყენოდეს.
 და მათ უთხრეს: „სახე შენ სთხოვე, თუ მას ალარა ლხენოდეს?“
- 142 ომაინ ჰეკადრა დედასა სიტყვითა მუნ წყნარებითა:
 „მე იმა ყმისა სიკეთე, ნეტარ, რითა ვთქვა ქებითა?
 აწ მე ვარ თქვენსა წინაშე საქმისა მოაჯებითა,
 და ჩემი და მივცეთ, ვეჭვ, რომე იქნების ღვთის განგებითა“.
- 143 კვლავცა ჰეკადრა: „მოგახსენო აწცა სიტყვა მე მართალი,
 იმა ყმისა სიკეთისა მე ვერა ვთქვა ნაათალი,
 ჭირსა ცუდათ ნუ წაუხდენთ,—ლმერთსა უყვარს სამართალი!
 და ვიცი, თქვენცა მოაწონოთ, როდეს ნახოთ მობურთალი“.
- 144 დედოფალმან მოახსენა შვილსა ყოვლის მეცნიერმა:
 „შენი არის ხელმწიფობა, ვერ იხაროს შენმან მტერმა,
 თქვენ გინდათ, და ჩენცა მოგვწონს, შორით აქო ყოვლმან ერმა.
 და მეფეს ვეტყვი, ესე საქმე ნუ მოშალოს სახიერმა“.
- 145 დედოფალმან მოახსენა მეფეს ძესა ნაუბარი,
 მან ბრძანა, თუ: „მეცა ვიყავ აზრით რასმე შემტყობარი,
 კარგად უთქვაშს, დიდ გვარია, მერმე ბრძენთა საქებარი,
 და დია მივსცეთ, თვალთა. მისთა დაშრტეს ცრემლთა საგუბარი“.
- 146 ომაინ მივა, ზღვათ მეფის შვილი წინ მოეგებისა,
 უთხრა, თუ: „გითხრობ ამბავსა, შენგან არ შეიგებისა,
 თუ ვერა ირგოს მიჯნურმან, ცუდად რად გარდიგებისა?
 და კაცთ თურმე იგი მიხვდების, რაც ცაში გარიგდებისა..“
- 147 წყალობად პოვნა მე შენი ღვთისაგან გამდიდებია,
 მოყვრობა გვინდა ჩვენ შენი, არ ცუდი ნაქადებია.
 ასული მოგცა მეფემან, ვინ მზის შუქს დაპქადებია,
 და აწ მე მის მეტი არა მყავს ძმები და არცა დებია“.

- 148 რა მოისმინა, წინაშე მან მიწას დასდვა თავია,
ჰკადრა, თუ: „შენი სიკეთე ღვთისაგან განათავია,
მაგას ვიზ ვლირსვარ, მე ჭირნი ლხინს მექნას განართავია,
და შენის ბედითა ზღვათ მეფე კვლავ ვნახო წანართავია.
- 149 ლმერთმან მიყო წყალობითა, მამიყვანა ოქვენსა წინა,
ჭირი ლხინად შემიცვალა, ავმან ბედმან დაიძინა,
აწე, რადგან შეიარული მე გამიშვი ჩემსა შინა“.
და სახე მისცა მის მთვარისა, მიკვირს — გაყრა მოითმინა!

IV. აჩა ომაინისაგან გისით ხელშიცის ჩალის სახის ნახვა და გამიჯნურება

150. მას ქალი უთხრეს: მნათობი კეკლუცთა უკეთესია,
თვით საქონელი ურიცხვი—გაცემა მათი წესია,
შინ მშიარულად გაუშვეს, აქამდის სულ ნაკვნესია.
და ომან ჭმუნვას ჩავარდა, განგება რამე ზესია.
151. იგონებდა დღე და ღამე, ცეცხლი სწვიდა დაუშრეტად,
სახე ჰქონდა მისეული, მიწყივ იყო მისად მჟღერეტად,
— „მეფეს უთხრა, ვად, თუ გაწყრეს, საქმე წახდეს მეტის მეტად?“
და ვერას მენელი სევდისაგან გაშმაგდა და გახდა რეტად.
152. ომაინს ფერი ეცვალა ზაფრანის მსგავსი ლალისა,
მას ჰქლევდის საგონებელი მისრეთის მეფის ქალისა,
ნიადაგ სწვევდის სახმილი უებრო ცეცხლთა ალისა,
და მეფეს აცნობეს ამბავი გულისა გასამკრთალისა:
153. „ცოტა ხანია შექნილა ვარდი მეტად ფერშეცვლილი,
დაგვეკარგა მისთა მჟღერეტთა სიამოვნის სილმილი,
არა ვიცით, უმძიმს რამე, ან გული აქვს დაკოდილი,
და აღარ უნდა მოსვენება, სმა, ჭამა და არცა ძილი:
154. თუ ზეცით რამე ეჩვენა მას ჩენთვის დასამხობელი,
ღვარე ხმელზედა ხელმწიფედ თქვენ ხართ ქვეყნისა მპყრობელი,
რამცა უმძიმდეს — ლაშქარი გვყავს ზღვათა დამაშრობელი,
და რა წაეკიდა ჭკვიანსა გულისა შესაბყრობელი?

- 155 ჩვენ ვერა ვჰკითხავთ შიშითა; რა გჭირს, ანუ რა გწყენია?
 ვხედავთ, ნიაღავ სავსე აქვს ცრემლისა დასაყენია,
 აღარა ლხინი არა ჩანს, მოედანს არცა მყენია,
 და ჩვენთვის სიკვდილი დია სჯობს, სიცოცხლე რა საყენია!?”
- 156 რა მეტემან მოისმინა, დაჭმუნდა და დაცალონდა,
 მისსა გულსა საწყინარი ამის მეტი რამც შესწონდა?
 მართ ზაფრანი შეეკადრა, ვარდსა გარე შეეკონა;
 და დედოფალსა მოუბრუნდა, ლაშვთა ფერი არა ჰქონდა.
- 157 დედოფალმან შემოხედა, შუქთა კრთომა გაუკვირდა,
 მაგრამ სიტყვა ვერ მიუგო; მასვე წამსა აცატირდა,
 მეფემ უთხრა: „დაგვემართა, რაცა ჩვენთა მტერთა სჭირდა,
 და ვიცი, ბოლოს სოფლისაგან ლხინი ჩვენცა დაგვიძვირდა.“
- 158 ყველა წვრილად გააგონა, რაც მონათა მოეხსენა,
 მათ ორთავე შეჭირვებით გაამრავლეს ცრემლთა დენა,
 თქვეს: „ამბისა სიმწარესა სულნი ვითმცა დაუდგენა?“
 და დედოფალმან ცრემლთა ურეტად მოიხმარა ტკბილად ენა.
- 159 მოახსენა: „სხვათ მეტეთა უფროსად ხართ გაჩენილად,
 რაცა გინდა, შეგიძლიან, ვინ ჩანს თქვენს ჭინ საღვმილად?
 არაოდეს არ ყოფილა ჭირი ლხინთა დასაღვინლად,
 და წადი, ნახე, შვილი არის, თქვენ გეხელყვის საწვრთინელად.
- 160 ზღვათ მეტის შვილმან მას მისცა სახე მისრთ მეფის ქალისა,
 ვეჭვ, რამე სჭირდეს სამისოდ სევდა ფერ-გასამქრქალისა,
 თუ მისთვის ბნდების, საქმე გვიც უფსკრულსა დასანთქალისა,
 და სხვანი მეფენი მის წინა ჩანს ფასად არსო ქალისა.
- 161 ახლა მეფედ ზის, მჟვრეტელთა მზეებრ ულისა სახელი,
 ხორციელისა კაცისა არ ითქმის კაცთა სახელი,
 არ გამოსულა ქვეყანად მის შუქთა დასასახელი,
 და კაცთა მხსენები შეიქმნას მისთა ლახვართა სახელი.
- 162 თქმულა — ქმარსა არ შეირთავს — ესე სიტყვა მართალია,
 სხვა, რაც უნდეს, განგებითა ლვთითა დია შეგიძლია,
 მისი საქმე დაივიწყოს, ვითამც ქარსა გარღუვლია,
 და დაგიჯერებს, რაცა იცის, ყველა თქვენგან უსწავლია.“

- 163 მეფემან უთხრა პასუხი ცოლსა ცრემლითა დენითა:
 „ნებით არ იქმნა შას ჭედა, ძალსამც ვით ვეცადენითა?
 არ გაკვირდების, საჭურჭლე თავსა აქვს გარდადენითა,
 და მზე არ ჩამოვა ქვეყანად კაცისა მოწადენითა.“
- 164 ჩვენ ნურას ვეტყვით პირმიღმა მისრთ ქალის მოგონებასა,
 რა თვითან გვითხრას, ვეაჯნეთ დაშლისა გაგონებასა,
 უთხრათ: არა სჯობს საცდელად, არც იქმენ ჩვენსა ნებასა,
 და მას ფიცი უთქვამს, არა იქს კაცთა თვალთ შედგინებასა.“
- 165 ესეგვარი მოიუბნეს ერთმანეთის შემჩივარად,
 მაგრამ ვერა ვერ გააგეს, დარჩა გულსა სატკივარად,
 თქვეს: „წავიდეთ, შორიიდალმა რასმცა ვიყვნეთ მისამხვდარად?
 და ვიცით, დარჩეს ესე საქმე ჩვენგან ხელის მიუმწვდარად.“
- 166 ხელმწიფის კარსა ინდონი მოდგეს რაზმი და ჯარები,
 ღამე ნათევნი; მტირალნი თავისა ღამსაჯარები.
 ომაინს წინა მიღიან ხვეწნისა მოაჯარები,
 და ვერ ეტეოდა ხმელზედა ერთმანერთს შემაჯარები.
- 167 გაემართნეს, მტვერი ადგა, მზეს სინათლე წაუკიდა,
 არა დარჩა საშინაოდ, რომე მათთან არ წავიდა,
 ზღვასა გარეთ სიმრავლითა სულ ხმელეთსა ღაპთარებიდა.
 და ეს ამბავი სევდიანსა მართ ომაინს მიუვიდა.
- 168 მოახსენეს: „მეფე მოვა, დელოფალი ცრემლ ნადენი,
 არ გვეგონა, ქვეყანასა კაცი იყო თუ ამდენი,
 ვერ დაიტევს გზის ვაკობა ხევთა, მთათა მონადენი
 და თქვენის ეგრე შეწყენითა თავს სიკვდილად გარდამდენი.“
- 169 მეტად გული აუჩუყდა, მეფის მოსელა რა ისმინა:
 „მე ვერ ვიტყვი გაცხადებით, ვინც ლახვარი დამასმინა,
 მკითხევდეს და ვერ უამბო, წყრომა ვითლა მოვითმინა?
 და ვინ უამბო საქმე ჩემი, ანუ ვინმცა შემასმინა?“
- 170 ომაინ ღმერთსა ეველრა პატიურთს მოთმინებისად:
 „მოსამართლეო, შენ თქმულხარ ყოვლ ჭირთა განკურნებისად,
 უამად მიბოძე მეფის თქმად, წყალობა გაგონებისად,
 და იგი არ გაშურეს, შეიძლეს მშვიდობით, თავის ნებისად!“

V. აჩა საჩიდან ხელმწიფებულის დღის სავალს დადგა და
თავის ზოლთან ირი დიდებული თავადი გაგზავნა
მისის ამბის საცნობელად

რა დიდმან! ინდოეთის ხელმწიფემან სულთა უტკბოსსა და სასურ-
ველის მისის შვილის, ომაინ ჭაბუკის, შეწყენით ყოფნა მოისმინა,
მეტის შეჭირვებით უჭირუ ვითა გახდა და ფიცხლავ ორნი თავადნი
მოიხმო და შვილს ესრეთ შეუთვალა: „სიცოცხლისაგანცა უტკბესო!
ღვთის განგებით და შენის ბედით დიდთა შვილთა სახელმწიფოთა
ინდოეთსა შიგან არცა გლახა და არცა შეჭირვებით მყოფი კაცი
არ იპოვების. რა იყოს ესეთი, რომე ქვეყანასა ზედან, რაც გინდეს,
ხელი არ მიგიწვდეს? შენგან ბრძანება. იყოს—ჩვენ, რაცა გინდეს, იგი
გავათავოთ. შენს შეწყენას მზე და მოვარეც დაიჩენს და ჩემმა გულ-
მან ვითამც მოითმინოს? თუ გულსა ნდომა რამე შეგსვლია, ღვთისა-
გან მოიმედე ვარ, მისისავე ვედრებით. მალე აგისრულო, და თუ სამ-
კურნალო რამე გჭირს, მკურნალთა მოვასხამ და მეც მოვალ“. 15

ომაინ, რა თავის მამის ხელმწიფის, ბრძანება მოისმინა, ზე ადგა,
იგი თავადნი დიდის პატივით დაიწვია, გვერდს დაისხა და მხიარუ-
ლის პირით და ტკბილის სიტყვით მოიკითხა. მას დღეს ტურფათა
ჩანგის მკვრელთა და მომლერალთან ლხინით გამოისვენეს და მეორეს
დღეს ომაინ თავის სალოცავს ადგილს მივიღა და დიდ ხანს დამბა-
დებელს ჟამად პატივთა მოთმინებად ევედრებოდა და ამას იტყოდა:
„მოსამართლეო! ესოდენ დამიცევ ამა ჩემთა ჭირთაგან და მამეც გა-
ძლება დაფარვად, ვიდრე ხელმწიფე ზღვათა მეფის შვილს, თავის სა-
სიძოს, მის ქვეყანას გაამზადებდეს!“ რა ლოცვა გაათავა, მათ თავად-
თა თანა მოცინარის პირით მოვიდა და ესრეთ უპასუხა: „ხელმწი-
ფეს ეს მოახსენეთ: «რადგან ღვთისაგან ესოდენი წყალობა გვჭირს,
რომე ხელმწიფეს ღვთის საფარველს ქვეშე მისგანვე ესრეთ ჭოველთა
მეფეთ უმაღლესად ვხედავ და იგი ლხინსა და სიმხიარულესა შიგან.
არის და ჩემიც ღვთის წინაშე სათხოვნელი მისის დიდებით და გამარ-
ჯვებით ყოფნა არის, რად უნდა, რომე ჩემსა გულსა შიგან შეწყენა 30
შევიდეს? ნამეტნაგის ლხინისა და მეტის ღვინისაგან ცოტას ხანს
უნდომო გვარად ვიყავ, და ხელმწიფეს იგი მოხსენებია. მისის ბედით
არც არა მიმძიმს და არც-არა სამკურნალო მჭირს.“

მათ თავადთა დიდი საბოძვარი უბოძა და ესრეთ უბრძანა:
„თქვენ წადით და ესე ნათქვამი მოახსენეთ, და მეც წინაშე მოვალ¹“. 35
რა ესე თავადნი მივიღნენ, ხელმწიფე ამბის მოსურნეობისათვის წინ
მიეგება მათ მხიარულის პირით, მისის გულის ნების ამბავი მოახსე-

ნეს. ამაზედ ომაინ და იგი სასიძო ზღვათა მეფის შეილიც მოვიდნენ,
მეფე ჸე ადგა და იგინი თავისა გვერდით გუარით ² გაფრქვეულსა
ტახტსა ზედან გარდაიწვივა, და დასხდენ. სამსა დღეს ესეთი ლხინი
და სიამოვნე იყო, რომე მისი ქება კაცის ენით არ ითქმოდა. მეოთ-
5 ხეს დღეს აიყარნეს და თვით დიდი ხელმწიფე, ომაინ და ერთობით
თავადნი და დიდებულნი რჩევად დასხდეს და ქალის საქორწილოს
საქმე გააგეს. შვიდთავე ინდოეთის სახელმწიფოთა საწვევარი წიგნები
გასწერეს.

აქათგან რა ქალმან დადასტურებით ესე შეიტყო, რომე იგი ზღვა-
10 თა ხელმწიფის შეილისათვეს დაწინდეს, დაიწყო ესეთი ტირილი;
რომე მისნი მჭვრეტელნი მისის სიბრალულით იწოდეს. რაზომცა
მისთა გამზრდელთა და უფროსთა მოახლეთა მრავლის ხევწნით და
მუდარებითა ჰკითხეს, თუ: „რად სტირი და ან რა იქნა შენი უნდომი?
გვითხარ, ჩვენ რად დაგვიმალავ? რაც გინდა გვითხარ და ჩვენ დედო-
15 ფალს ვაცნობებთ; რაც შენი ნება არის, ეგრე იქნების.“ მან ქალმან
არც ტირილი დააგდო და პრცა რა უბასუხა, და ვერც რა მისის
ტირილის მიზეზი შეიტყვეს. ლონემოლებულთ და თვალცრემლიანთ
ესე ამბავი დედოფალს აცნობეს, ვითა: „სამი დღე არის, რომე
თქვენი პირ-მთვარე ქალი ტირილად ზის, რომე მისნი მჭვრეტელნი
20 ცეცხლით ვიწვებით. მრავალს ვეხვეწენით და ვერას ლონის ძრებით
არცარა გვითხრა და ვერცარა შევიგენით, თუ რისთვის ტირის?“

დედოფალს ეწყინა და მეტად გაუკვირდა. ადგა და ქალის სადგო-
მად მივიდა. ქალს შეხედა, და იგი გულამოხვნიჩებით ცხელის ცრემ-
ლით ტიროდა. დედას მეტად უყვარდა და მისის ტირილისათვის
25 მანცა ბევრი იტირა და მერმე ქალს თვალთა ზელი მოავლო. რაზომ-
საცა ეხვეწა, ვერ დაადუმა და უბრძანა: „ქალო, რა იქნა შენი სა-
წყინო და ან შენი უნდომი? დიდს ინდოეთის ხელმწიფეს შენის ძმის,
ომაინ ჭაბუკის, ოდნად უყვარხარ და მე სულსაც მირჩევნიხარ. გვი-
თხარ, რაც გინდა, და ფიცხლავ შენის გულის ნებას აღგისრულებთ.“
30 ესეგვარი ბევრი შეაგრნა; მაგრამ; ქალმან არც ტირილი დააგდო,
და არც პასუხი გასცა. დედოფალი გაგულისდა და ესრეთ უბრძანა:
„უბედურის დაბადებას დაუბადებლობა დია სჯობს! სხვა შენი სა-
წყინო, ვიცი, არა ქმნილა რა, და თუ ამად სტირი, რომე ზღვათა
35 მეფის შვილს მიგცეს—შენის ძმისებრ ჭაბუკი ქვეყანაზე არვინ გამო-
ჩენილა და გესმოდა, რაც მისი ქება თქვა და თვათ დღისა ცათა
ბაძას ხელმწიფეს, მამა შენს, მეტად მოსწონებია. ამისთვის მიგცეს,
რომე მისებრსა სასიძოს ვერ იპოვნიდეს: აწე, თუ შენ იგი ჭაბუკი
არ გინდა და კარგი ბედი უკულმა გიბრუნებია,³ თქვი, და იგი მოყმე

არად თხოვნად შენდა მოსულა და არცა რად შენი თავი გაჰკვირ-
ვებია /და თვით თავის ქვეყანას წავა, და როდესაც შენ მისებრივ,
ქმარი იშოვნო, შენს ჭკუას მაშინ დაშჯერდი.“

დედოფალი ადგა და წამოვიდა. ნელმწიფეს ქალის ტირილი და
თავისი ნაუბარი ყველა მოახსენა, და მეფემაც გაწყრომით ბრძანა:
„ჩვენის სახლის ქალი თავის გუნებისანი ჩამოდიან; ესეთის ხელმწი-
ფის შვილი, რომე ამისებრივ ერთი მოყმე მე არ მინახავს და არც
მე და არც მაგისი ძმა მაგის საქმროს აღარსად მოვნახავთ, და, ვინც
თვით სწადდეს, იგი შეირთოს.“

რა ომაინს ესე ამბავი ესმა, თვითანაც თავის დაზედ გაწყრომით
შეიქნა და მისი საქმე ეწყინა. 10

VI. აჩა ჩალისაგან დელასთან საგრალოს ზიგნის მიზარება

თვალცრემლიანმან ქალმან გონიერი მწერალი თავისი გამრზდელი
მოიხმო და წიგნის. დაწერა უბრძანა. პირველად სახელი ლვთისა
ახსენეს და განგებულება მისი და შერმე დედოფალს დიდი ქება
შეასხეს და ესე ვითა: „ესედონი მოვყრილვარ,“⁴ და თქვენგან მეტის
სათუთობით და ხელმწიფულად გაზრდილობით აროდეს ჩემი უნდომი
არ დამმართებია და არცა ჩემგნით ვისმე რამე სწყენია. აწე, ტკბი-
ლო დედაო! რადგან შენ შეგცოდე და გავარისხე, მე სიკვდილს
თავს აღარ დავარიდებ. ვიცი, რა თქვენ ხელმწიფე მამაჩემი და ძმა
ჩემზედ გამწყრალს გნახევდეს, იგინიც გაწყრებოდეს. მათსა ჩემზე
გაწყრომას ჩემი სიკვდილი სჯობს. რა მართალს შევიგნებ, რომე
თქვენ და იგინი სწყრებოდეთ, მე თქვენის წყრომით ჩვეულებას ვერ
მოვითმენ და თავს ამა მაღლის კოშკით გარდოვიქცევ. დიდთა
ინდოთა დედოფალო! ლვთის სახელსა და თქვენს მზესა ვფიცავ, რომე,
თუ ერთის თქვენის გაზრდილის მონისათვის მიგეცი, თავს ვიდებდი, და
თქვენს სიტყვას არ გავაორებდი.⁵ აწე ესე მოყმე მოსულა, ვერც
თქვენ გოცნობს და არცა ჩემად თხოვნდა მოსულა, მისრეთის. შეფის
ქალის საშოვნელად წასულა; ვერც მეფისათვის და ვერც ქალისათვის
თავისი მისვლა ვერ შეუტყობინებია და ვერც გმირთა წესით ფალა-
ვნობა რამე უქნია. ეს მოგახსენოთ: თუ მისრელთ თავი ესრეთ დაი-
ჭირეს, თქვენ რად დაიმცრობთ თავსა, რომე ნიადაგ მეფეთ მეფედ
ხსენებული ხართ? რა გინდა ავი ვიყო, სახელი თქვენის ასულჩბისა
მაქეს. რად მამცემთ ესრეთ უომარსა და გამოუცდელსა, სხვაგან საღმე
მოცომომილს კაცსა? თქვენის ჩემზედ აქამდის ლვთიულებრ მოწყალის 35

გულისაგან ველი, რომე ეს ჩემი ნათქვამი გაუწყრომლად მოისმინოთ“
 რა წერა გათავდა,⁶ ქალი ვამრზდელს პირს მოეხვია და ტირილით
 ჭითხრა: „რაც მწადდა, ვერც ნაათალი დავსწერე და რაც შენ გმარ-
 თებდეს, გონიერის სიტყვით იგი შეაგონე“. რა გამზრდელი: მივიდა,
 5 დედოფალს ქალის წიგნი მიართვა და ესრეთ მოახსენა: „ასე გვასმია,
 რომე სიძე-სძლობა სიხარულით და სიამოვნით უნდა. თუ ქალს თა-
 ვისი ნების საქმე არ მიხდების, ვიცი, თავი სასიკვდილოდ გაუმეტე-
 ბია.“ ღერამ წიგნი წაიკითხა; მანცა მრავალი იტირა და თვალცრე-
 მლიანი ხელმწიფესთან მივიდა, თავის ასულის წიგნი მიართვა. რა
 10 წიგნი წაიკითხა, მერმე ქალის შესაბრალისი სიტყვა მოახსენა: მეფექ
 ქალის სიყვარულით იტირა და ომაინ მოიხმეს, ქალის წიგნი ხელთ
 მისცეს. რა წიგნი წაიკითხა, ესრეთ მოახსენა: „ხელმწიფეო! რაც ჩვენ
 გვმართებდა სათქმელად, ქალს იგი უთქვამს;“ რად მისცემთ უმრად
 და გამოუცდელად პირველად თქვენს ასულს, და მერმე ესეთს სწორ-
 15 უპოვარს მნათობსა? თუ თქვენი ბრძანება იყოს, ქალის ნათქვამს
 ზღვათა მეფის შვილს ვეტყვი. თუ ჭაბუკი იყოს, ქაღას მეომრობით
 და ფალავანობით თავი გააჩვენოს. მეომარს მე უშოგნი, და თუ
 ჭაბუკობის მძებნელი არ იყოს, თავის გზას წავიდეს და ჩემს დას
 ქმარი არ დაელევის.“ ეს ნათქვამი მეფესა და დედოფალს მეტად იამა.

20 VII. ახა ღმაინისაგან ზღვათა შევის შვილთან მოცი-
 რულის გაგზავნა

ღმარინ ერთი გონიერი და სიტყვა-გაკრძალული თავადი მოიხმო-
 და ზღვათა ხელმწიფის შვილს ესრეთ შეუზვალა ჭითა: „მა სი-
 ტყვასა ღვთის მოწმობით ვიტყვი, რომე შენი ჩვენსა ქვეყანასა მოსვ-
 ლა თვით ღირდსა ხელმწიფეს, მამა ჩემს, მე და ერთობილთ ლაშქართ
 მეტად გვიამა და ფიცხლავ მოყვრობის. პირსა ზედან გნახეთ, და
 ხელმწიფემ თვით თავისი მონდომებით თავისი სასურველი ასული
 მოგცა. ხედავ, რომე სრული ინდონი შვიდივე სახელმწიფონი დედა-
 წულით შენდა საქორწილოდ მოვიდნენ. აწე ქალსა ესე სიტყვა შე-
 30 მოუთვლია⁸ და ტირილად ზის.“ ქალის წიგნი თან გაატანა. რა ესე
 მოციქული ზღვათა მეფის შვილის წიგნ მივიდა და ქალის ნაწერი
 ნახა, მოცაქულს ესრეთ უთხრა: „რაც ჩემს გულს იდვა, იგი უბრძა-
 ნებდათ. მე მისრეთის ქვეყანას არა მუქთის პურის⁹ საჭმელად წარ-
 სულ ვიყავი; ეს მინდოდა, რომე მეომარი გამოჩენილიყო, და ჩემი
 35 ძალ-გული და მეომრობა შეეტყოთ. იმ ქვეყანას კარგი და ავი

სწორია, რადგან ქალი კაცთა სახელს არ ისმენს. აწე, უინათგან
ომაინ ჭაბუქს ჩემთვის მეომარი აუჩენია, პირველს წყალობაზედ ეს
მეორე წყალობა არის. გრძელძს სიტყვის კრეფი ლაყაფი არის.¹⁰
საქმე ბოლოდ თავს არ დამალავს.“

რა ეს თავადი მივიღა, ომაინს ზღვათა მეფის შვილის ნაუჭარი
და მეტად თამამად ყოფნა ესმა და იმ თავადისაგან მისი მოწონება,
დიდად იამა.

VIII. არა ღვაინისაგან საჭირო სპასალარის მოქვანად კაცის გაგზავნა¹¹

ეს სალიმ სპასალარი თვით დიდის ინდოეთის ხელმწიფის ბიძათ
ძე იყო, მაგრამ მისებრივ ჭაბუქი ერთი ქვეყნის პირს არ ენახა არც
ტანად და სიარულით, არც თვალად და შვენიერებით, არც სიბრძ-
ნით და გონიერებით და სწვად. ყოველნი სამამაკონი ზნენი: ცხენო-
სან-მშვილდოსნობა, ჭაბუქობისა და ფალავნობის წესი ამაინს და
მას ერთად ესწავლათ და ყმაწვილობითგან ორნივე ხელმწიფის შვი-
ლად დაზღდილნი იყვნენ. ინდოეთის ქვეყანას ერთი ამაინ ჭაბუქი და
მეორე სალიმ სპასალარი [იყვნენ]. იმას გულსა ეს ჰქონდა და თავს
ესრე ხედვიდა, რომე იმ ქვეყანას ხელმწიფის ქალის საქრმო მის
მეტი არავინ იყო, და ქალის სიყვარული დღე და ღამე მოუკომლად
გულსა ჰქონდა, მაგრამე თავისაგან მოიმედე იყო და ამისთვის არას
იტყოდა — თვით ხელმწიფისაგან მოელოდა ქალის შეძლევას. და ამ
პირ-მოვარეს ქალს ეს სალიმი ენახა და ყოველი მისი საგმირონი
საქმენი ასმოდა და შორით ქალსაც ვაჟის¹² სიყვარული ჰქონდა
და სათავისოდ მას გამოელოდა.

რა სალიმ სპასალარი მოვიდა, ომაინ ზე ადგა; დაიწვია, დასხდეს.
პირველად სალალობოს სიტყვით ილალობეს და მერმე ქალისაგან
პირველად ეგზომი ტირილი და იგი დედოფალთან წიგნის მიწერა
და ანუ არც ხელმწიფესთანა თქმულიყო და ზღვათა მეფის შვილისა-
გან მუქარა — ყველა უამბო და ეგრე უთხრა: „შენ იცი, რომე ძმობის
პირობაზედ გავზრდილვართ და შენთვის კარგი მემეტების. ხელმწი-
ფესთან დავიქადე, ვითა იმ მოყმის მეომარს მე გამოვაჩენ. აწე
ეს. მწადიან. — შენ და ზღვათა მეფის შვილმან ერთმანეთი გამოს-
ცადოთ.“

რა სალიმ სპასალარმან ეს მოისმინა, ომაინ ჭაბუქს ხელს აკოცა
და დიდად დაუმაღლა და ესრეთ მოახსენა: „სწორუპოვარო ფალა-
ვანო! მასმოდა, ხელმწიფისაგან იმ მოყმისათვის ქალის მიცემა და 35

ქადება და დიღს გაკვირვებასა აველე¹³ და ჯერეთ ამად არ მეთქვა,
რომე თქვენგან მოიმედე ვიყავ და ვიცოდი, რომე თქვენ თქვენს დას
გამოუცდელს და უომარს კაცს არ მისცემდით. არაოდეს ესეთი წყა-
ლობა კაცს არ დამართებია, რომე თქვენგან ჩემზედ იქმნა. იმ მო-
5 ყმის ომი და შეპყრობა, ვით კანჯარი თოკს მოაბა, ესრეთ ადვილად
მიმაჩნია. და ვეჭობ, რომე, რა მე და იგი მოყმე ერთგან ნაომარი
10 გვნახოს, მისის ქალის ქადება მეფემანც შეინანოს“.

ომაინ უთხრა: „სპასალარო,¹⁴ რაზომცა კარგი ფალავანი ხარ,
15 სხვაც გეგონოს ლვთის მონა ქვეყანაზედ! მაღალ სიტყვას მდაბალი
10 სჯობს.“ ესეგვარი უბრძანა, მაგრამ სალიმ მაღალი მოკვეხრობა
არ მოიშალა.

IX. აჩა ომაინისაგან ხელაშივეთან მისვლა და ორთავე ამბის მოსევება

რა ომაინ ჭაბუკის ხელმწიფესთან მისვლის უამი მოვიდა, დედო-
ფალი და იგი პირმთვარე ქალი ფარდაგსა გარეთ ამბის სმენად მოდ-
15 გეს. მოახსენა. პირველად ზღვათა მეფის შვილისათვის შემუქარის
გამოჩენა, და რაცა შეეთვალა და მისგან დიდი სიამოვნე და რაც
ეთქვა. მერმე სალიმ სპასალარისაგან ქალის საიმისოდ იმედოვნობა,
და რაც ეთქვა, ყველა გააგონა. ხელმწიფეს. ეგრე ამაყად, ნაუბარი
არად მოეწონა; შვილს უთხრა: „ფალავანო! კაცს მეც კარგა ვიცნობ
20 და რა ომი დაესრულა, სპასალარს ჩემი დასაგმობელი სიტყვა მაშინ
უნდა ეთქვა! აწე, რადგან დამუქრებულან, ბრძანე და მოქალაქეთ,
მოედანი მოკაზმონ, და ჩვენც ჭვრეტად გავიდეთ.“ ეს მოსმენილ
დედოფალს ერთობ იამა. და ამ უამითგან გაისმა იმ ორთა სწორ-
უბოვართა ჭაბუკთა ომად შეპირების ამბავი. შეიქმნა ესეთი დრგია-
ლი და საკვირველების ხმა, რომე, თუ სთქვა, იგი ქვეყანა იძროდა.
25 მოქალაქეთ ოთხნივ მოედნის კიდური სტავრა-ჩათმისა და ნახლ-დიბა,
ატლასის ფარდაგებით მოხვიეს და ესრეთ ტურფად შეამკეს, რომე
იგი ადგილი სამოთხეს. და ემსგავსა. ესოდენ ტიდი ინდონი შვიდთავე
ქიშვართა სახელმწიფოთა თავადნი, დიდებულნი, ფალავანნი და
30 ლაშქარნი ერთობით დედა-ტულით მოწეულნი იყვნეს ქორწილობის
პირსა და აქათგან სრულნი ინდოეთის მოქალაქენი დედა-ტულით
ჭვრეტად გავიღნენ. მოედნის ერთს მხარს მაღალს კოშკზედ გუარით
გაფრქვეულს ტახტზედ დიდი სარიდან ხელმწიფე დაჯდა და შვილი,
ომაინ ჭაბუკი, თავადნი და დიდებულნი გვერც იახლნეს. და მეორეს
35 მხარეს ეგრევე ტურტითა და ხელმწიფულის ჭერთ დედოფალი და

იგი პირ-მთვარე ქალი, და სრულ ინდოელთ თავადთა ცოლინი მა-
ლალს კოშკედ საჭვრეტელად დასხდენ. მაშინ მჭვრეტელთა სიმრავ-
ლისაგან ამას იტყოდი: ზღვათაგანაც კაცნი ამოსულან, თვარა ხმელ-
ზედ ესოდენი სად იყო! უმამაცოს კაცის გული¹⁵ მუნ ომს მეტად
დალონდებოდა და ესოდენის მჭვრეტლის სიმრავლისაგან გაჰკვირ-
დებოდა.

5

X. აჩა ზღვათა მეფის შვილის და სალის სპასალარის დიღი ოში ჩალის მუშობობით

მესამეს დღეს, რა ხმელთა განმანათლებელის მზისაგან ქვეყნის და-
შვენების უამი მოვიდა და შვიდთავე ცისა სამყაროთა კარნი გაეხვნეს, 10
სიბნელის ზეწარი დაძინა, შავს ჰაერს თეთრმან აჯობა, თავი ამოყო
და ოქროს ბურჯის ბრწყინვალებამ ზღვა და მიწა გამოაჩინა, ღამე
გაქრა და დღე გამოჩნდა, მოვიდნენ ეს ორნი სწორუბოვარნი, რომე
ორთავე ინდოეთის ხელმწიფის ქალის სიყვარულის ცეცხლი ედებო-
დათ. მოედნის¹⁶ თავს სალიმ სპასალარი გავიდა, თორმეტი კაცი
მემათრახედ მოჰყვა; ზოგსა მისა მარქაფა ბარგისტანით შემყული
ეჭირა, და ზოგთა მხვა და სხვა იარალი ზარის მოსამატებლად. და
თვით მეტად მძიმედ შეკაზმული დიდი კაცი დიდსა ცხენსა ჯდა,
შუბი ხელთა ჰქონდა და თავსა. ზედა იბრუნებდა ამაყურის სიტყვით
და მდლლის ხმით მუქარას ითხოებოდა. რა მჭვრეტელთ ნახეს, მეფე-
სა და ომაინ ჭაბუქსა ერთობილთ მოეწონათ. ზღვათა მეფის შვილს
მისად სწორად არ მოელოდენ. მოედნის ბოლოს მეფის შვილი გამო-
ვიდა. იგიცა მძიმედ შეკაზმული, ერთი, მარტო ცხენოსანი. ქალს
პირველ შეხედვაზე ზღვათა მეფის შვილის სიყვარული და მოწონება
გულსა შიგან შეუვიდა. და ამათ მებრძოლთა ერთმანერთი ნახეს,
შუბები წინ წამოიმდევანეს, ცხენები დაათიცხეს, რომე მათი მტვერი
ღრუბელთა შეერია. პირველსავე მისვლასა სალიმ სპასალარმან ზღვა-
თა მეფის შვილს ფარს შუბი შეუცა, ფარი გაუტეხა და სამკლავე.
გაუკვეთა და მკლავსა დაკიდა. მეფის შვილმან სპასალარის ცხენს
შუბი შესცა, საშუბლე გაუხეთქა და ცხენის ტვინსა დაასვა. ორთავე
შუბები გაუტყდა. და არც ერთი ჩამოვარდა. რა სალიმის ცხენი
დასაცემლად წავიდა, იგი პირველ გარდახდა. მეფის შვილმან დაქვეი-
თებულს სპასალარზე უამი აღარ შეამოკლა, არც შეუტია, და არცა
ერჩოლა. სპასალარს სხვა ცხენი მოგვარეს. სპასალარი ზედ შეჯდა,
და ერთმანეთს ხმალ-დაწვდილთ შეუტივეს, შავრამე მას დღეს მათთ
ეგზომი ხლმის ქნევა ყოვლთა მჭვრეტელთ უკვირდა. მათსა მუზა-

10

15

20

25

30

35

რადისა ნაკრავისა ცეცხლი ტის ელვასა ჰგვანდა. დილით ჭიდრე შუა-
 დღემდის ესრედ მედგრად იბრძოლეს, მერმე მძიმე ლახტები დაიწოდეს
 და მითაცა დიდხანს ერთმანერთი გამოსცადეს. ცხენები ორთავე ასრე
 დაუდგათ, რომე საძრაობის ლონე აღარც ერთსა ჰქონდათ. გარდა-
 ხდეს და დაქვეითებულთაც პირველად ლახტით იცემნეს¹⁷ და მერმე
 ლომებივით შეიჭიდნეს. მათის ხელის აბჯარსა ზეიდან ცემა ერთს
 ფარსანგს ისმოდა. ორნივე მეტად დაიღალნეს. ზღვათა მეფის შეი-
 ღი, რაზომცა დაკოდილი იყო, იგივე უფიცხედ იბრძოდა. ამაზედ
 ლამემ მოესწრო და სიბნელემ გაჰყარნა. მჭვრეტელთაგან გაგება იყო —
 10 რომელი როშელს აქებდა, მაგრამ მეფის შეილისაგან ესე დიალ მოა-
 წონეს, რომე ცხენ-მოკლულ სპასალარსა. აღარ შეუტივა, ვირემ ცხენს
 არ შეჯდა. რა მჭვრეტელნი აიყარნეს, ომი მეორესა დილასა დაასკ-
 ვნეს. მეფეც სადგომად წაბრძანდა.¹⁸

XI. აჩა ჩალისაგან თირილით დედასთან შესვეზნად

15 მისვლა

ქალი შივიდა და დედას ფერხთ მოეხვია და ესრეთ. მოახსენა:
 „ცამდის ამაღლებულის ხელმწიფეთ ნათესაო და თვით ყოველთა
 დედოფალთა დედოფალო! თქვენსა ჩემზე ნიატაგ წყალობით მყო-
 ფელს გულს ნუ გააწყრობ. ჩემი თქვენგან ეგრე გაზრდილობა მოი-
 გონე. ჩემგან ყმაწვილობით სიჩქარით დაშავება თქვენგან ლმობიერ-
 მან გულმან დაფაროს. მე ეშმაკმან მამალორა, რომე ეს სიტყვა მოვი-
 ლე. აწე იგი გმირნი ჩემის ნათქვამით იბრძვიან. თუ მათგან რომე-
 ლიმე მოკვდების, ეს საქმე საიქიოს ჩემს სულს დასჯის. ჩემი ნათქვა-
 მი თქვენს წინ განჰქარდეს. მე ზღვათა მეფის შეილს დავჯერებულ-
 25 ვარ. და თუ იგი არ იყოს და განგებას მისთვის არ დაუტებადო,
 ღმერთმან მის მეტი კაცთა ნათესავი ჩემს თვალს ნუ აჩვენოს.“

რა ქალის ნაუბარი გაიგონა, დედოფალი მივიდა და ხელმწიფეც
 მოახსენა, ვითა ესე: „მეშინიან, მეფის შეილი სპასალარის ხელით
 არ მოკვდეს; ქალს ღვთის წინ აღთქმა დაუდებია,¹⁹ და ვიცი, რომე
 30 სხვას ქმარს აღარ შეირთავს.“

ამ სიტყვასა ზედან მეფეც შელონდა, და ესე ყოველი ომაინთან.
 შესთვალა. რა მოისმინა, ესრეთ მოახსენა: „ხელმწიფეო! თქვენც
 კარგა იცით, რომე ეს გმირნი ქალის სიტყვით ომს აღარ მოეშლე-
 ბიან, ვირემდისინ ერთისაგან ჯობნა არ გამოჩნდების. ხვალაც შეიბ-
 ნენ, და, რაც განგებას სწადიან, იგი იქმნების.“

რა დილა გათენდა, მეფე, დედოფალი და ყოველნი ესოდენი მჭვრეტელთა სიმრავლე თავთავის ადგილს დარიგდენ.* ამაზედ მოვიდნენ ეს დამესისხლებული ჭაბუქნი; გამწყრალნი ლომივითა ერთმანეთს უმზერდეს. ორთავე მშვილდები ხელთა ჰქონდა, ერთმანეთს ისარი დაასხეს²⁰ მაგრამ მეფის შვილი დაკოდილობისაგან თავისნებად ისარს ვერ ისროდა, ფარი იფარი; კაცს ვერა ავნორი, და მეფის შვილის ცხენს სპასალარმან მკერდს ისარი უქრა, ბარგისტანი გაუკვეთა და ზედან დაასვა. რა ცხენი დასაცემლად ათრთოლდა, იგი ფიცხლავ გარდახდა. რა სალიმ სპასალარმან ზღვათა მეფის შვილი დაქვეითებული ნახა, მისგან ნაქმარი აღარ მოიგონა, რომე მეფის შვილმან მას ქვეითს აღარ შეუტივა. სპასალარმან მემათრახეს შუბი გამოართვა, ცხენ-გაფიცხებით ქვეითს მეფის შვილს შეუტივა — ქალს სიყვარულს გაეშმაგებინა. რა სალიმისაგან ეს ნახეს, მჭვრეტელთ ერთობ ეწყინათ, რომე მისგან ამ აუგს არ მოელოდნენ²¹ სპასალარმან პირბასრი შუბი მოუტანა. მისის გაგებით²² ზედ აგებას ლამოდა. მეფის შვილმან გულუშიშრად ფარი მიუშვირა: რა შუბის წვერი ფარს მოეკიდა, მეფის შვილი წააფრინდა შუბს, გამოზიდნა. სალიმ თავისი შუბი არ დაანება. მეტის გამოზიდვით სპასალარი ცხენს გაეყარა, და ორთავე დაქვეითებულ ერთმანერთის შუბების წალება მოინდომეს. ერთმანერთს შუბი ვერ წაართვეს. მეფის შვილმან ხმალი გამოიწოდა, ჰკრა და შუბი შუა გაკვეთა, გარდიბრუნა და მისივე შუბი სპასალარს შესტყორუნა, მკერდსა ჰკრა, პოლოტიკი და ჯაჭვი ორივ გაუკვეთა და ზედან დაასვა.. ესრეთ მძიმედ დაიკოდა, რომე სისხლმან თავს გარდაასხა. რა ომაინ ზღვათა მეფის შვილი ესრეთ გაჯავრებული და გაფიცხებული ნახა, საშველად გამოიჭრა. მეფის შვილმან ხმალ-მოწვდილმან მიმართა. სპასალარმან მისკენ ბიჯი ველარ წადგა. ამაზედ ომაინ შუა ჩამოვარდა, მეფის შვილს გამარჯვება მიულოცა და მისად სიკვდილად აღარ მიუშვა. მეფისა შვილმან ხმალი ჩაიგო. ომაინ და იგი ორნივე. სპასალარს მიეშველნეს, ფიცხლავ ჯაჭვი ახადეს და დაკოდილი მაგრად შეუკრეს. სიცოცხლისა-გან ძმედ-გარდაწყვეტილს სპასალარს ომაინის მეშველად მისვლისა-თვის იმედი მოეცა. სპასალარი კაცის ხელით სადგომს გაგზავნეს და თვით ხელმწიფესთან შივიდნენ. დიდი ინდოეთის მეფე — სარიდან წინ მოეგება და ოქროს ტაბაკითა²³ ზღვათა მეფის შვილს თავსა გუარი გარდააყარა და მხიარულის პირით გამარჯვება მიულოცა. რა ერთობილთ მჭვრეტელთ ეს საქმე ნახეს, დიდად იამათ და ღმერთს. დიდი მადლი მისცეს. ყოველთა ზღვათა მეფის შვილის გამარჯვება ერჩივნათ ამად, რომე სპასალარმან მუხთლობა მოიხმარა, მაგრამე

ზეგარდმოსა განვების შეშლი არაოდეს იქნების. და თვით ქალის
გახარებას კაცის ენა ვერ იტყვის, თუ სთქვა—ვარსკვლავი მთვარედ
გარდაიქცაო. დიდშინ დედოფალმან და ერთობილთ დარბაისელთ
ცოლთ ქალს თავისის ვუნების საქმის დამართება მიულოცეს. მჭირე-
5 ტელნი გაიყარნენ, და დღეიდგან ქორწინობის საქმე და მზადება
შეიქნა.

XII. აჩა ქორწილი ზღვათა მეურის შპილისა და დიდთა ინდოთა ხელმისამართის პირ-მთვარის ჩალისა

იგი მოედანი, რომე ნიადაგ ხელმწიფეთ სასხლომად და განსა-
10 სვენებლად მოეკაზმოდის, ესრეთ შეამკეს, რომე კაცთა თვალს მისე-
ბრი არა-ოდეს არა ენასა რა: ჩინურთა და ხატაურთა კარავთა და
ოთალთაგან ქვეყანის პირი არა ჩნდა; სტავრისა დიბა-ჩათმისა და
ნახლ-ატლასის ფარდაგ-საფენელისაგან იგი აღგილი. მზისა სხივ-
თაებრ განათლებულიყო; ორი ოქროს გუარით გაფრქვეული ტახტი
15 ფასდაუდებლის მარგალიტისა და თვალით შეკერულის საფენელით —
ერთი ვაჟისათვის და ერთი ქალისათვის — კარავთა შუა დადგეს;
მერმე დიდის ხელმწიფის უებრო ტახტი ერთს მხარს დადგეს და
ეგრეთვე მეორეს მხარს დედოფალთა დედოფალისათვის. მერმე
თავადთა და დიდებულთა ცოლთათვის ყოველთა თავთავის
20 ფერად სასხლომი გააჩინეს. მეფემ ზღვათა მეფის შვილი მოი-
ყვანა და თავის ხელით ტახტზე დასვა, და ეგრევ დედოფალმან
მეორეს ტახტს ქალი გვერც დაუსვა. მთელის იაგუნდის პატიოსანი
ორნი გვირგვინი მოიხვნეს, და თვით მეფემან და დედოფალმან თა-
ვიანთ ხელით თავს დაარქვეს,²⁴ და დიდთა ინდოეთის მეფეთ მეფემან,
25 ომაინ ჭაბუქმან და დედოფალმან დალოცეს, და მერმე თავადთა,
დიდებულთა და ერთობილთ ლაშქართ და დარბაისელთა ცოლთა.
რა ჭამის რიგი და მოსალებლის მოლება შეიქნა! — ეს საჯერო არის;
რომე იმ ქორწინების სიკეთისა და მოკაზმულობის ამბავი კაცთა
ენისაგან. არ გამოითქმოდა! აროდეს ესეთი ლხინი და სიამოვნე.
30 მნახავს არავის უნახავს და არც გამგონეს გაუგონია. შინათვანი ტურ-
ფად ჩანგის მცემელთა, მუტრიბთა და მომლერალთა მეჯლიში იყო;
მუშებისა და ამბრის სულს პაერი შეეკრა; ხელმწიფე სიტყვა-ტკბილად
თავადთა და დიდებულთა თანა ტურფის ლალობით ზმიდა.²⁵ მჭირე-
ტელთ განმაკვირვებელის ომაინისებრ სასმელს ვერავინ შესვემდა.
35 რვას დღეს ესრეთ ქორწილის ლხინი და ყოვლის ხელმწიფურის
წესით სიამოვნით გამოსვენება იყო. მეცხრეს დღეს აღყარნეს, და

ხელმწიფებ ომაინს და დედოფალს ქალის სამზითოს აწერა და გარიგება უბრძანა და თვით თავის თავადთა და დიდებულთა და ლაშ-ქართა ზედა ღიღი საჭურჭლე გასცა და ერთობით საბოძვრით აავსო. ქალს ეგზომი გაატანა, რომე რიცხვის და ანგარიშის შეგება არ იქნებოდა. ყოველის საჭურჭლისაგან პატიოსანი და უცხო თვალი და ობოლი მარგალიტი, მალრიბული ოქრო-ვერცხლი, ყოვლის ფერისა-გან ლარი და საქონელი ტურფის კარვითა, ოთალთა საფეხელ-ფარდაგითა აკიდებულის ჯორ-აქლემითა, ოქროს სარტყლოსანნი²⁶ მონანი, ოქროს ქამროსანი ხადუმნი, მარგალიტით შეკაზმული მხევალ-ნი და პირ-მთვარენი ქალნი, ტურფად ჩანგის მცემელნი!! რას ვარ-ძელებდე? ყოვლის ფერისაგან ქალს ეგზომი მზითევი გაატანეს, რომე კაცის გუნება²⁷ ანგარიშს ვერ შეიგებდა.

რა ქალის სათანაო²⁸ საქმე ომაინს და დედოფალს ეწადათ, ეგრე გაათავეს. მერმე ღიღმან ინდოთ ხელმწიფემან თავისაგან მოწონებულს სასიძოს მრავალი მიართვა, სამასი უდიდესნი ინდოეთის თავადნი თან გაატანა ცოლშვილით ზითევში ყმით, საქონლით²⁹ და ესრეთ გამარჯვებული და გახარებული თავის ქვეყანას გაისტუმრა:

5

10

15

XIII. აჩა ომაინისაგან კვლავცა მიჯნურობის ცეცხლის გახშირება

- 171 ომაინ საშს დღეს თან გაჰყევა სიძესა საყვარლობითა,
ტირილით გამოეყარა მართლად. არ ორგულობითა—
„შენთან ყოფნასა ვიაჯდი ღვთისაგან მოწყალობითა,
და ხედავ, ცოფელმან გაგვყარნა მისგანვე უსრულობითა!
- 172 იცი, მზისა მოშორვება ქვეყანასა დააჩნდების,
მაგრამ კვალად მოლოდებით ვარდი სრულად არ წახდების.
აწ გაყრისა მგონებელსა გულსა ცეცხლი მოედების,
და მოყვრისათვის საკიკვდილოდ თავი წამსა. გარდიდების.
- 173 რა მოგეშორო, მე ჩემი სიცოცხლე ალარ მგონია,
ორთა სენთაგან შეცულსა წამსვლია ჭკუა-გონია,
სხვა არვისა. სჭირს. სულდგმულსა ცაჭმე საამრივონია,
და ხანგრძლად ცოცხალ ხარ — შენ ჩემი სიკვდილიმც გაგიგონია!“

- 174 ზღვათ მეფის შვილი ომაინს ფეხ-კოცნად ელირებოდა.
 — „მეფეო, ჩვენის ენითა ქება ვით გეკადრებოდა!
 თქვენი სახელი სიმალლით ცათაცა ესწორებოდა,
 და თქვენთვის მონობა საჩემოდ შეფობას ედარებოდა!
- 175 ხელმწიფეო, შემიჯერე, ფიცით გეტყვით ამა პირსა:
 არ მიმიშვა ბედმან კრულმან საქმეს, ჩემგან დანაპირსა,
 არ მინდოდა გაყრა თქვენი, მაგრამ ღმერთმან არ მაღირსა,
 და მოწყალემან თავი ჩემი ანაცვალოს თქვენსა ჭირსა.
- 176 ქალი თქვენი შევავედრო დედა-ჩემსა დედოფალსა,
 მე იქ ხელი რად მეხდების უშენოსა, ფერ ნამკრთალსა?
 კვლავ მოვიდე, შენ გიპერეტდე შვენიერსა, სატურფალსა,
 და ნუ თუ ღმერთმან მოგვამთხვიოს ფერხთა თქვენთა ნატერფალსა?“
- 177 ომაინ უთხრა: „წალი და ღმერთი გყავს წინამძღოლელი,
 არ დასწყნარდების სოფელი მუხთლობით გაუძლომელი,
 ერთად გრძლად არ ჰყოფს მიჯნურთა, უნდეს რომელსა რომელი,
 და მით წყაროესაებრ თვალთაგან ცრემლი მდის შეუშრომელი“.
- 178 რა ომაინ შემობრუნდა სევდისაგან გულ-მოკლული,
 ხელმწიფესა მოაჩვენა ჟამად პირი მხიარული,
 პირველ ქება სასიძოსა მერმე თავსა გარდასრული—
 და ყველა წვრილად მოახენა ნაუბარი და ფიცული.
- 179 „წავიდა და მხიარულად მაქებარი თქვენ გადიდებს,
 თქვენსა წინა სამსახურსა ინატრის და თავსა იდებს,
 შორს ყოფნისა მგონებელსა უმისობა ცეცხლსა მიღებს,
 და ადრე მოსვლა შემაჯერა, ცოტად ესე გულსა მიღებს.“
- 180 მეფემანცა მეტად აქო; მისი გაყრა მოიმჩინეს,
 მაგრამ ბოლოს მუტრიბნი და მომლერალნი დაარჩივნეს,
 თავადი და დიდებულნი თავ-თავისად გარდიწვივნეს;
 და ომაინ ზის მოლრუბლებით, შუქთა მისებრ არ ისხივნეს.
- 181 ზღვაზ. მეფის შვილმან გაგზავნა წინასწარ მახარობელი,
 მისრეთს გაპარვა შესთვალა, თავისა იყო მგმობელი,
 — „ინდოეთს მოველ, აწ მამყავს მთვარე შუქთ-მანათობელი,
 და შემცოდე ვარ და შეგვინდოს, ნუ წყრების ჩემი მშობელი“.

- 182 ყველა წერილად შეუთვალა მისი თავსა გარდნახდომი:
მისრეთს ვერად გამოჩენა, მუნლა ცუდად რაღას მდგომი,
ინდოეთის ხელმწიფისა ეგრე კარგად დანახდომი,
და პირ-მთვარისა ბრძანებითა მისგან სალიმისა ომი.
- 183 მეფე წინა მოეგება, ღმერთსა მისცა მან დიდება,
არ ეგონათ მათ სიცოცხლე, არცა ჰქონდათ მოლოდება,
— „მოწყალემან განმიქარვა სამუდამოდ ცეცხლთა დება“.
და გლახაკთათვის საჭურჭლისა მრავლისა ქნეს გარდადება.
- 184 მამა შვილსა მოეხვია, ყელი ყელსა გარდიდების,
მოახსენა: „შემცოდე ვარ, დაშავება თავს იდების
მაგრამ ლხინსა ვერა ჰპოვებს, ვინ სასჯელსა ერიდების,
და რა წყალობა მოევლინოს, ჭირი აღარ ედიდების.“

XIV აჩა ომაინისაგან თავის სახლად დათხოვნების შირთა და პატიშთა შალვად

- 185 ხელმწიფესთანა მიგზავნა ომაინ მოციქულები,
შესთვალა: „ინდოოთ პატრონი ხარ მეფეთ მეფედ თქმულები,
ღმერთმან ქნას, თუ არ გეწყინოს ესე თქვენს წინა თქმულები,
და მწადიან ვნახო ქვეყანა ჩემი საუფლისწულები“.
- 186 ებრძანა: „ღმერთმან შენ მოგცეს ყოველი გულის წადილი,
მაგრამ მე აქა რა მქონდეს უშენოდ ლხინთა ქადილი?
გნუკავ, დამიგდო იმედი აღრე მოსვლისა ქადილი,
და მოდი და ერთად მოვლახოთ საბინდური და სადილი“.
- 187 წამოვიდა, არა სწადდა მიჯნურობის მას დაჩენა,
ბროლსა ვარდი მოპფაროდა, აღარ უნდის გამოჩენა,
სპანი წინა მიეგებნეს, მათ მიეცა თვალთა ჩენა,
და ვეღარ ნახეს პირვანდელი გარიგება, ვერც გაჩენა.
- 188 ლაშქართ ეგონა, პატრონი მოვა ევრე სალხინელად,
მაგრამ ნახეს—მოსდიოდა ცხელი ცრემლი არ თუ ნელად,
დალონდეს და ვერა ირგეს მათთა ჭირთა სამკურნელად,
და მზესა შუქი არ გაეშვა, პირი ჰქონდა საღრმუბნელად.

- 189 ერთმანერთსა შესჭიროდეს შინაურთა გარესენი,
ქვეყანასა სინათლესა რად შეჰქნია ესე სენი?
მიჯნურობა შემოჰყრია გულსა ლახვრად დასასენი;
და ყოვლი სული ინაღვლიდა, არა მარტო თუ ესენი:
- 190 ვერა ჰქადრებდეს კითხვასა, არცა ძალედვაო სსენებად;
აროდეს სთქმოდა პასუხი პირმილმა მოსახსენებად,
თავის საკვლავად წელთ ების მათ დანა შეუხსნელებად,
და ომაინს ჭირი მოადგა დღივ და ღაუხსნელებად.
- 191 ქვლავ შეიყარნეს თავაღნი, ნიაღაგ რჩევად მსხდომელნი;
ამა საქმეთა აზრითაც ვერას ვერ მინამხდომელნი,
იტყოდეს: „რად არ ამოვსწყდით ამ დღისა დაუხდომელნი!“
და ამას ტიროდეს მრავლისა ჭირისა გარდამხდომელნი.
- 192 სრულ ლაშქარნი ერთობილნი შეეხვეწნენ მუხლ-მოყრილად:
„ჩვენ გვიბრძანე, რაცა გწადდეს—საბანი დგანან აქ შეყრილად,
გამოვილოთ საქონელი, რაღა გვინდა ცუდ-დაყრილად?
და არ გვიბრძანებ-ვიცით, რომე მოგნდომივართ გასაყრელად!“
- 193 მაღლი უბძანა, ატირდეს, ცრემლითა მოერწყო ველი—
„მე თქვეგან, დია, შევიტყევ ჩემზედა კარგი ყოველი,
მაგრამ ძალითა ვინმც პოვოს ღვთისაგან მოსათხოველი?
და იგი არ შემწევს,—კაცთაგან რეგბასა არსით მოველი!
- 194 წიგნი ვერ ჰქადრებს მეფესა, წვრილად აცნობეთ ენითა,
ვიცით, ხელმწიფე იქნების ჩვენგან ნათქვამის წყენითა,
აწ მოივლინა ჩვენზედა რისხვა უებრო ზენითა,
და ვეპვ, რომე თქვენის მოსვლითა შევიქნათ ჭირთა ლხენითა“.

XV. აჩა სარიდან მევისაგან მეორედ იგაირის დაშმუხაბის ცეობა

- 195 რა მეფემან მოისმინა ესე სიტყვა გულ-სამკვდარად,
ბრძანა: „თურმე დამრჩომია ჭირი თავსა გარდამხდარად,
აწ წავიდეთ, მოვეხვივნეთ ყოველნივე სამუდარად,
და ნუ თუ ვით რა ვათქმევინოთ მის ბაგითა გარდსა დარად!“

- 196 გაგზავნა კაცნი, სადაცა ვეზირნი ჰყვანდა ჰქვიანი,
შესთვალა: „ფიცხლავ იარეთ, არა ხართ დასაგვიანი!“
აქმთ უბრძანა: „სალარო თქვენთვის შექნილა ლიანი,
და ვინცა რას მარგებს, არ იყოს არცა სამისოდ ზიანი!“
- 197 ფილოსოფოსთა უბრძანა: „გახსენით სტორამლებია,
ნუ თუ რა პოვოთ, რა არის ჩემს თავსა მონავლებია?
კაცნი მოასხით უცხოსა ქვეყნისა დანავლებია,
და დანიელისგან მსწავლულნი დაგროვდენ მერამლებია!“
- 198 მათ მოასხენეს: „მეფეო, ჩვენც გვიკვირს საქმე ესები,
დია მოვჩხრიყეთ ვარსკვლავი და ცათა ბურჯთა ზესები,
ჩვენსა გულსაცა შექნილა ცეცხლისა შესაგზესები,
და ღმერთმან ნუროდეს მოშალოს თქვენს წინა ლხინთა წესები!“
- 199 ყველა ვიკადროთ მოშიშრად, რაც ჩვენგნით ითარგმნებიან,
რაცა შეგვეტყოს, არა ვთქვათ—დამალვა ვით იქნებიან?
ცოტასა ხანსა მზის შუქი უჩვენოდ სხვაგან ჰკროებიან,
და მერმე ბოლოები მტერთაგან ჩვენ ლხინი გვენატრებიან.
- 200 იგი აპირებს წასვლასა უცხოს რასმე ქვეყანასა,
არ წავიდეს; ვარდი ჩვენი ნუ თუ თრთვილმან ვერ დანასა?
უშენოდმცა ნუ ვიქნებით სიცოცხლისა წამ ხანსა,
და რატომ მისცემ გულსა ჩვენსა დასაჭრელად შენ დანასა?“
- 201 მეფე საწოლს წამოვიდა, დალრეჯილი შემობრუნდა,
მუნაჯიბთა საუბარი ყველა ბრძანა, არ დაყმუნდა.
დედოფალმან მოასხენა: „ბედი ჩვენი დაძაბუნდა,
მივიდეთ და ვპკითხოთ რამე, რა სწადიან, ან რა უნდა?“
- 202 კვლავცა ჰკადრა: „ესოდენსა სულსა ვით არ შევეიბრალებს?
უმისოსა სამუდამოდ ცეცხლთა წვასა გაგვიალებს,
მზისა შუქთა დაგვიმალვს, სინათლესა არ გვავალებს,
და ჩვენცა თანა წაგვიტანოს, მასთან ჭირთა ნუ გვაკრძალებს.„
- 203 ჰკვიანსა და გონიერსა, ბრძენთა წესით გასწავლულსა,
შევეხვეწნეთ: «მოგვაშუქე, ნუ დაგვაჩენ, მზეო, წყლულსა,
რა ვიქნებით ჩვენ ცოცხალნი, გიგონებდებთ დაკარგულსა?»
და შევებრალვით, ვეჭობ, რომე მოიბრუნებს ტკბილსა გულსა“.

- 204 მეფებან ბრძანა: „ეგვ არს ჩემგან საქმისა მცდელობა, დღეს აქანამდის ღვთისაგან ჰქონდის ჭირთ გარდუხდელობა, კვლავცა ვევედრეთ, მას ძალუც კეთილთა აღმომშრდელობა, და მისგან წყალობით მოგვშორდეს სენისა გარდამხდელობა.
- 205 ვერავინ შეშლის ზეგარდმო განგებით მოვლინებულსა, მე იგი ლმერთმან მიბოძა ცრემლით ტბა დადგინებულსა, ხორცის ჭამითა ვინ ნახავს კაჭკაჭსა გაყორნებულსა? და თუ სწადდეს, ლხინსა მსწრაფლ მისცემს ჭირთაგან შეწყინებულსა.
- 206 თუ ლმერთმან მისი წყალობა მე არ მიმიღოს წყრომითა, რა მნახოს გულსა დაცემად მისული დანა პყრობითა, მან მომისმინოს, აღარ მყოს კვლავცა სენთ შესაპყრობითს, და თვარა სრულობით წავხდებით ჩვენ მისგან დანაყრობითა.
- 207 არაოდეს არ ყოფილა თქმულთა ჩვენთა მოუსმენად, ვეტყვი: «იყვნეს აქანამდის მტერნი ჩვენს. წინ დაუდგმენად, აწ რად სჭუხავ თვალთა ჩვენთა მზისა შუქთა შეუდგმენად? და უშენოსა რაღად მინდეს თავს გვირგვინი დასადგენად?»
- 208 ვეტყვი: «გვიამბე, რაცა გჭირს სევდა, ან სამკურნელია?» რაღმცა იწყინოს? არა სტულს მას სიტყვა საწვართნელია, თუ ცეცხლიც გვითხრას შეპყრობად, ავიღოთ, ვითამც ნელია, და «ეშმაკის საბრძით არ იქნა შენ სხვაგან გარდმვარდნელია!»
- 209 «რაცა გინდოდეს, გვიბრძანე, ვქნათ შენი მოწადებული, ჩვენმან სიკვდილმან თუ გარგოს, თავი გვაქვს გარდადებული, სალარო შენთვის დავსცალოთ, გარეთ, თუ შინათ დებული, და შენის მოლხენით დაგვიშრტეს ჩვენ გულსა ცეცხლი დებული.
- 210 თუ არ გვითხრა, რასა მივხვდეთ, ანუ რა. მოვიგვაროთა? — «თქვი, მთვარეც გინდეს ზეცისა, ჩვენებიგი შენ მოგვვაროთა, სხვა ხმელთა ზედან ხელთა გვაქვს ჩვენ ძალი წასაგვაროთა, და შენთა მშობელთა რაღა ქნან, თუ თავი გამოგვაროთა?»
- 211 მათ ვეზირობა დაასკვნეს, ჭკუას არ დასცდებოდიან, კაცი მოვიდის, ამბავსა წინა გაეგებოდიან, დიდთა ლაშქართა პატრონსა სხვანიცა ეყმობოდიან, და მათ არაოდეს სიტყვითა არვისგან ეგზებოდიან.

- 212 თავადთა ჰელის: „მეფე ხარ ქვეყნისა ხელთა მწლომელად,
თქვენ ლაშქარი გყავს ცის კიდით-კიდემდის გასაწდომელად,
ვით გაგიმაგრდეს, რაც გინდეს გუნებით მოსაწდომელად?
და არ ვიცით, ზეცას თუ დაგრჩეს თქვენ საქმე მიუწდომელად!“
- 213 ესე სიტყვა მოისმინა თავადთაგან, მოცასწონდა,
თქვა: „აქამდის თავსა ჩემსა მტერი ადვილ ვერ შესწონდა“
ბრძანა, თუ: „დღეს გავიხაროთ, ჭირსა ლხინი ვით შესწონდა?“
და სმასა ზედან ოქრო გასცა — სიმრავლითა ვინ ასწონდა?!“
- 214 სხვაცა მოვიდა ამბავი პირველ ამბავთა მსგავსებად:
„არა ჩანს ჩვენთვის მოლხენა გულის ცეკველისა დავსებად,
წინაუდგს გუბი ცრუემლისა ნიადაგ გარდასავსებად,
და მთვარე ილევის, უამია, არა ჩანს გასასავსებად“,
- 215 მეფე ადგა, გაემართა, ესე სიტყვა მას ეწყინა,
რა მივიდა, ფერ-ნამკრთალი მოეგება შვილი წინა,
უთხრა: „რა გჭირს? მზისა შუქმან ბნელი რისგან დაიჩინა?
და შენი რათმე დაჭმუნება გულმან ვითმცა მოითმინა?“
- 216 კვლავ ჰელის: „რა გჭირს, რა გიმძიმს? — თქვი, ჩვენგან
ნურად გრცხვენიან,
ეხედავთ, რომ ჩვენთვის სინათლე მზისაებრ ალარ ჰელინან,
ბროლისა მცველნი ბაგები სალიმლად არა შეენიან,
და შენ ლხინი გმართებს სამუდმოდ, ჭირი რად მოვივლენიან?“
- 217 ექიმთ უბრძანა: „წა ნახეთ, რა სენთა შეედარების.“
მათ მოახსენეს: „ვიკადრებთ, რაც ჩვენგან მიიმხდარების:
სენი არ არის; სევდასა ჩვენგნით რა მოეგვარების?
და თუ თვით არ იტყვის, ეს ვიცით, სხვა ვერვინ მოეხმარების.“
- 218 რაცა ჰელის, არა ხელყო მან პასუხსა მოხსენებად,
უთხრა: „შვილო, ნუ გიქნია თავი ჭირთა დასაღებად,
არ მოისმენ, — თავსა ჩემსა მე მოვიკლავ ჩემად ნებად,
და მითხარ, ღმერთსა შევეხევწო, ნუ თუ გეყოს განკურნებად!“
- 219 მან თქვა, თუ: „რა ვქნა, რა გკადრო? საქმე მჭირს ცრუემლთა
დენისა,
არცა მე ვიცი გიზეზი მოლხენად ამა სენისა,
ღმერთსა ვიმოწმებ — არა მწაღს თქვენისა რაღმე წყენისა,
და ძალი არა მაქვს თქვენს წინა სხვის რამცა მოსახსენისა.“

- 220 მეფე მუნით წამოეიღა მტირალი და გულმწუხარი,
ცოლსა უთხრა: „ჩვენთვის მოქანს რისხვა ზეცით ნაჭუხარი,
ვად, თუ დავრჩეთ ქვეყანასა სიცოცხლითა გაუხარი,
და ველარ ვიყვნეთ მტერთა ზედა სამუქაროდ მომკვეხარი!“
- 221 რა ესე ესმა, ორნივე გახდეს ცრემლისა მდენელნი—
„სიქვდილი სჯობდა — ამისი ვიყვენით მოუსმენელნი,
უმისოდ დავრჩეთ, ვიქნებით მისდღეში მოულხენელნი,
და მზესა რად ჰქნია, არ ვიცით, უკუნი გარდამფენელნი?“
- 222 დედა მივიღა მასთანა მუხლ-მოყრით შემხვეწელია:
„შენ რაცა გწადდეს სათქმელად ჩემთანა — რატომ ძნელია?
აქამდის მტერთა ჩვენთაგან ვიყვნენით სანატრელია,
და აწ რად წაგვახდენ? — ჩაგჭრია ეშმაკი ავის მქნელია!“
- 223 სიტყვა არ უთხრა, ატირდა, დედასა ებრალებოდა;
იგი უებროდ ტიროდა, გვერც უჯდა ეხვეწებოდა,
უთხრა: „არ გყითხავ, ნუ სტირი, რად გსოქვი, თუ გეწყინებოდა?“
და ომაინისთვის გაახლდა, რაც ძველად ცეცხლი სდებოდა.
- 224 ორსა ფარსანგსა ეხვივნეს თავადნი, სპათა, ჯარია,
მას ალარავინ აუჩნდა კითხვისა მოაჯარია,
შორით მოდგიან მჭვრეტელი, ერთმანერთს დანაჯარია,
და დედა თავის თავს სწყევლიდა, თუ: „გეყავ გამსაჯარია!“
- 225 შივიღა, მეფეს შესტირა, მუნ გახდა დიდი ზარია,
სრულად ტიროდეს ლაშქარი — სათქმელად ანაზარია,
მოსძულდა ყოვლთა სავარდე; მაღი ზა მულღანზარია,
და მოქალაქეთა დაგდეს ქულბაჭი, სრულ ბაზარია.
- 226 შეფეხსა თვისნი ვეზირნი სამად ჰყავს გარიგებითა,
მოახსა კველა, უბრძანა მათ წვრილად დარიგებითა,
ძნელსა საქმესა ჰქითხევდა ცალ-ცალკე მორიგებითა,
და „თუ ვერას მარგებთ, ვიქნები თავისა გარდაგებითა!“
- 227 მათ მოახსენეს: „ღმერთმან ქნას თქვენთვის ადვილად ძნელია,
თქვენ ხელმწიფე ხართ, ყოველი მრავლად გაქვთ საქონელია,
კარნი გაახვენ მას მიეც, თვით იყოს, რასაც მქნელია,
და ჯოჯოხეთისა სიცხისა ოქროა გამანელია.

- 228 რაზომ ნახავს საჭურჭლესა შრავლად ტურთას შენახულსა, ლმერთმან ქნას და შეუყვარდეს, არ წაახდენს ჭირნახულსა, დაივიწყებს გულისაგან ეშმაკისა ჩასახულსა, და ჩვენ ეს გვითქვამს, სხვათაც ჰკითხეთ კაცსა საქმით მონახულსა.“
- 229 საჭურჭლისა კარნი გახსნეს, ქნეს ყოვლისა გამოჩენა, შეიღსა უთხრა: „ეს შენია, სხვად რადღა გჭირს შენ მოწყენა“? არ შეხედა საქონელსა, არცა გაძრა სიტყვად ენა, და მისვან არა მოელჩინა, გულსა ჰქონდა სხვაგან რბენა.
- 230 სხვანი ვეზირნი მოასხა, მეფე ზის დალრეჯილობით, ცრემლსა იღენდა საპრალოდ, ომაინს ჰემობდა შეიღლობით, მათცა უბრძანა ყოველი ამბავი იგი წვრილობბთ. და მათ მოახსენეს: „ლმერთმან გყოს აროდეს ლხინთა ცულილობით.“
- 231 უბრძანა, თუ: „არ ინდომა საქონელი, არცა ცხენი, გულსა რამე შემოჰყრია ცეცხლისაგან უსიცხენი, გაუშვია მას ვეფხებრივ სიჩაუქე, სიფიცხენი, და ხედავთ, ბოლოს მომევლინა ეშმაკისა სიმარცხენი!“
- 232 მოახსენეს: „ყმაწვილია, მაგრამ მეტად გონიერი, გვიკვირს, გული რამ უცვალა?—იყო ყოვლის მეცნიერი, აქანამდი გაკრძალულად იყო თქვენი მოთნიერი. და აწ მზის შუქთა დაფარებად ლრუბელია კაღნიერი.
- 233 ამ ქვეყანასა ბევრია კაცნი საკვირველთ მქნელები, მოვასხათ ყველა, ვაჩვენოთ მჭედელნი, ხისა მთლელები, მარგალიტისა მჰოვნელნი, ლალის, გუარის მთხრელები, და სპილენძისა და ტყვიისა მყარ ოქრო შემამცვლელები.
- 234 ლმერთმან ქნას: ერთი ამათგან სწავლად ქნას ხელთა აღებად, დავიწყდეს იგი პატიუნი, გულსა აჩნია დალებად, გამოჩნდეს მაჟურნებელი საქმე ჭირისა წალებად, და არ ვიქმნეთ შეჭირვებითა ცნობათა გარდანალებად“.
- 235 მოახსნეს ყველა, აჩვენეს ყოვლისა ხელოსანია, მოდგომილიყო სიმრავლე ქვეითი, ცხენოსანია, ხატაელნი და ჩინელნი, მართ სრულად ხორასანია, და „არ ვიქმნეთ შეჭირვებითა“—გულითა მოკვნესანია.

- 236 მას მოახსენეს ყოველთა თავ-თავის ხელოსნობისა,
იგი შეწყენით მჯდომელი, არ გარდასრული ცნობისა,
ვარდსა შეჰქნოდა უმზეოდ ნიშანი რამე ჭინობისა,
და მიზეზი — გულსა ტკიფოლი სენიაგან ნაწყენობისა.
- 237 ორთა კაცთა თქვეს: „ცხენს შევიქთ ერთის ნაკვეთის ხისაგან,
რა კაცი შეჯდეს, აფრინდეს უმალე ფრინველისაგან,
საღაცა უნდა მიიყვანს უწინ სიტყვისა თქმისაგან.“
და ომაინ ბრძანა: „ეს მინდა, მაგას ველოდი ლვთისაგან.
- 238 „ეს ვისწავლო, გამიშვია ყოვლი ჩემი შეჭივრება,
კმარის, რაცა აქანამდის მე დავიეც თავსა ვება!“
მეფეს ჰელის: „კვლავცა მზემან ქნას შუქისა გამოშვება,
და ღმერთსა მადლი შემეცვალა, ბრძანა ჭირთა დაჭმუნვება.“
- 239 ბრძანა: „მოასხით ყოველგნით მკვრელი და მომლერალები,
ახლად დამევსო, სახმილთა მე ცეცხლთა მწვივდა ალები!“
სალარო გახსნეს, მოიღეს თვალ-მარგალიტი, ლალები.
და ომაინ მოვა — „მას ვნახავ, მტერს ალარ მოვეკრძალები.“
- 240 იგი მოვიდა წინაშე ქცევითა პირვანდელითა,
მეფემ აკოცა, დიდხანს დგეს ფეხზედ ყელ-გარდაჭდელითა,
სრულად აიგსნეს ლაშქარნი მათისა საწადელითა,
და მას დარჩომოდა მეტობა მზის შუქი მაშინდელრთა.
- 241 ლხინი ნახეს, რომ ვით, ითქმის შესხმა ქებისა მათისა,
ფერმიხდით იყო ნათელი მზის შუქთა მოკამათისა,
კვლავ გულსა ჰქონდა შერევა ბროლ-ლალსა, მინა-სითისა,
და მას კლევდა საგონებელი უკუნთა განმანათლისა.
- 242 აიყარნეს. მეფე დარჩა ამ საქმისა დანდობილი,
მაგრამ ვითმცა გაახლდების ვარდი უმზოდ დაჭკნობილი?!
შინ მოვიდა, გული კრული დადნა მიწყივ დადნობილი,
და მოიყვანა იგი კაცნი, ხენი ესხნეს აყდნობილი.
- 243 უბრძანა: „ცხენი შექენით, მეცა ვისწავლო, მგონია,
ჩემთა პატიჟთა სალხენად სხვა ვერა მომიგონია.“
მათ ჰელის: „დია ისწავლით, გაქვს ბრძენთა ჭიუა, გონია,
და თქვენებრივ არვის უნახავს, არცა ვის გაუგონია.“

- 244 ხელი შიჰყვეს, ათსა დღესა გაათავეს, დაასრულეს,
მეფეს უყვეს მესისხლობა, თვარ ომაინს უმოყრულეს.
სადავენი ხელთა მისცეს, თავი მათი იგმირულეს:
და „სადაც გინდა, წამ ერთმიგა, არ თურე გრძლად იარულეს.“
- 245 ომაინ მოვა სალაროდ ლალ-იაგუნდთა მრჩეველად,
ესრეთ მნათობი აიხნა, შუქსა პფენს, ვითა მზე ველად,
წელთა შეირტყა, მობრუნდა სარო ტანისა მრხეველად,
და საბრალოდ ცრემლსა იდენდა მინდორთა მოსარწყეველად.
- 246 მართ ილოცევდა მუხლმოყრით, პირსა იბანდა წყალითა,
უფალსა ეველრებოდა სიტყვითა შესაწყალითა:
„მოსამართლეო, ნუ დამწვავ ცეცხლისა მეა წყალითა,
და განკურნე გული უებროდ ნაკოდი დანაწყალითა.“
- 247 ტიროდა მეტად საბრალოდ, თუ სთქვა ცრემლ ზლვად
ნართავითა:
„ზლვათა მეფისა შვილისებრ გულს ნუ შემიმოს შავითა,
გზა მამეც გამარჯვებისა მინდორთა, თუნდა ნავითა.“
და ადგა და გამოემართა ლომი მართ ოდენ თავითა.
- 248 მას ცხენსა შეჯდა, აფრინდა, ორუბელთა შესწორებოდა.
ველარ ხედევდენ მჭვრეტელნი, იგი დღე ემწარებოდა,
მეფესა პკადრეს, ლაშქარნი ტირილით შეეყრებოდა,
და თავსა იცემდეს ძახილით ვირემ მზე გარდიყრებოდა.
- 249 იგი კაცნი გარდიხვეწნეს, რომ შეექნათ ცხენი ზისა:
— „ეს რა ვპქენით, რად დავპკარეთ პირი ტურფად სანახისა?
მეფესა და სპა-ლაშქართა საქმე მიხვდა სულთ ახისა,
და თავსა ჩვენსა ჩვენ უყავით სარჩობელი ყელთ მახისა!“
- 250 მეფემან ბრძანა: „ვინ იყო, რა იქნა ზისა მჭრელია?
აქა მამისხით დაკრულნი, ყველა თავ დასაჭრელია!“
მონახეს, ვერსად იპოვეს, აღრევ გზა ექნათ ჭრელია,
და სრულად თავადთა ჩაიცვეს ტანს საგლოველი ჭრელია.
- 251 ძებნეს და ლონე ვერა ქნეს შეტყობად ვერად ვერისად,
ექვს თვე იარეს, გული ქნეს ვერ პოვნად დანაჯერისად,
მოვიდეს, დასხდეს ტირილად, გლეჯად თმისა და წვერისად,
და ყველანი იყვნეს მწყეველად თავისის ბედთა წერისად,

XVI. წავლა ოშაირისაგან მისახელის ხელმოწის ჩალის
რეპრი

- 252 წავიდა, ვითა ფრინველი ფიცხლავე მხართა მქნეველი,
მისი ვინც იყო შემკალრე, ან რისმე შემაწყეველი?
ვით სეადი ლომი მინდორთა, მარტო მტერთ მოუთნეველი,
და ოდენ მთვარეა უმზეოდ თავისა დამაჭინეველი.
- 253 მისრეთს მივიდა. მუნ იღგნენ სამი მაღალი ჭანდარი;
ცხენი ხის წვერთა დამალა, ქვე ჩამოვიდა ჯენდარი,
მთვარესა შუქი შეადგა, მზისა ცხად იყო მუნ დარი,
და მას იკითხვიდეს ვერ მნახნი: ნეტარ საღარი მანდ არი?
- 254 მისნი მჭვრეტნი გაეკვირნა სიტურფესა მეტის მეტსა,
ვითა ჩხირსა აბრუნებდის დიდროვანსა რკინის კეტსა,
ხმა დავარდა, მოეხვივნეს, ზოგნი ჰგვანდეს შმაგსა, რეტსა.
და ვიცი, როსტომ ვერ იქმოდა საქმეს მისგან დანამეტსა.
- 255 ჰკითხეს თუ: „ვინ ხარ, ჭაბუკო; ანუ რად საქმედ რებული?“
ღმერთი გვყავს მოწმად, შენითა ნახვით ვართ გახარებული,
რაცა გინდოდეს, ვვიბრძანეთ“. დგას ჭალაქისა კრებული,
და ლოცვიდეს: „ღმერთმან ნუ მოგცეს ერთი დღე გამწარებული.“
- 256 უთხრა: „ჭაბუკი არა ვარ, არცა მებრძოლი ომისა,
სყიდვა-გასყიდვად მოგსულვარ, მაქვს საქონელი ზომისა,
მიკვირს, რა არის მიზეზი თქვენისა აქა დგომისა?
და სხვა არა მინდა, მაჩვენეთ ადგილი დასაჯდომისა“.
- 257 კვლავცა უთხრა: „მადირიელ ვარ უცხოვობით არ მეშორეთ.“
მოახსენეს: „ესე გვინდა, ნეტამც რამე ვიმსახურეთ,
მართლად გკადროთ ყველა კაი, თქვენსა წინა არც ვიჭორეთ;
და თქვენ ადგილი მოგეწონის, სიტყვა ვითმცა გაგიორეთ!“
- 258 შინა წაუძლვეს, წავიდა მზე ბაზარს შუქთა ფენითა,
თვალ-მარგალიტთა მსყიდველი ჯდა ვინმე ფერად ფენითა,
ბრძანა, თუ: „აქა დავჯდები, კაცი დგა მრავლად; ფრთენითა,
და რამცა, გავსაჯოთ პასუხი, ნუთუ ჩვენც გიმუქეფენითა?“

- 259 მან კაცმან მიწას ოკოცა, დალოცა მეტად ჭირიანად,
თქვა: „ღმერთმან მიყო წყალობა, აქ მოხვალ დოვლათიანად,
ჩვენ ქვეყანასა ვაჭრობა არეის მიხედების ზიანად,
და შენ გეყოს გულის წადილი ყოველი უმარცხიანად.“
- 260 ომაინ დაჯდა სავაჭროდ, მას დია ცრემლი სდიოდეს,
თქვა: „ამის მქნელსა უთუოდ სიცოცხლისაგან რცხვენოდეს,
მავრამ არ ვარგა უდროვოდ კაცს საქმე გამოსჩენოდეს,
და ნუ თუ ამითა ღვთისაგან მე რამე მამელხინოდეს?“
- 261 მან გახსნა ლალ-იაგუნდი მზისაებრ ელვა კრთომილი.
ვინც ცხენით მოდგის გასინჯვად, სწრაფლ იყვის გარდახდომილი,
ყოვლთა უკვირდა, ვთქვა ვითა, რომე ყმა მათთან ჯდომილი,
და ვერას იტყოდეს, დაცვივდეს ქებისა მიუთხრობილი.
- 262 გაისმა ესე ამბავი ლართა და იმა გმირისა,
ქალაქთ უფროსსა უამბეს ქება მის ყმისა პირისა,
თქვა: „ვნახავ, მიზეზს დავიდებ, კვითხავ, თუ როგორ ლირ ისა?“
და წინ მიუძლვიან ხადუმნი, მივა არ მლოდნე ჭირისა.
- 263 ქალი მივიდა; შეხედა ყმასა არ მოცინარესა,
შეწყენით იყო; მაგრამე კვლავ აშვენებდა არესა,
უმსგავსა შუქი მზესა და ელვათა მაელვარესა,
და ჰყადრა, თუ: „ფასი შეჭვეუ“, მან მოახსენა წყნარ ესა.
- 264 ყმამან უთხრა საუბარი მას ტურფასა შვენიერსა:
„ჰე, მნათობო, სინათლითა მზესა გავხარ ქვეყნიერსა,
ამის მეტი რაღა გყადრო, თქვენ ყოვლისა მეცნიერსა
და სრულ წაილო, ფასს არ ვითხოვ, დავიმოწმებ სახიერსა!“
- 265 ქალი ადგა წამოსავლად, არ მოშალა საქციელი,
გულსა უთხრა: „ვის უნახავს ამისებრივ ხორციელი?“
ორთა ლალთა სჯვირველთა ვაჟი იყო მიმცემელი,
და ბნელსა ლამეს ანათებდეს, ვიო მნათობი ზეციელი.
- 226 იგი სევდამან ააგსო, შეექნა საგონებელი,
იტყვის: „რა ვირგო ბედკრულმან მე ჩემი სალხინებელი?
თუ სენს არ ჰტყვის სხეული, ვერ ჰქურნებს მაკურნებელი.“
და მის ყმისა ეცა ლაზარი გულისა მაკვდინებელი.

- 267 დღე და ლამე გაუშრობლად წინა ეღგის ცრემლთა გუბი,
მელნის ტბათა ჩაყრდნობილი გიშრისა ჩნდის შიგან შუბი,
„ვაი, მოგჰკვდე შეუყრელი და იმისი მე უუბი?“
და თავის პატრონს მან მიართვა იგი ტურფა ლალი ტყუბი.
- 268 ხელმწიფესა გაკვირვებით მეტის მეტად მოეწონა,
თქვა: „ასეთი არ მინახავს!“ პირსა ზედან დაიკონა,—
„სით მოსულა? ვით ჰყიდიან?“—იგი მბობად დაელონა—
და კაცთ სახელსა ვერ იტყოდა, უნდა სხვა რამ მოეგონა.
- 269 მოახსენა: „ბაზარს ჩაველ, სამსახურად მე მაქვს გული,
ვნახე ვინმე საკვირველი, მით ვარ ცნობა დაკარგული,
იცით, რომე მისრეთისა მრავალ ჯერ ვარ გასინჯული,
და ლალი მეტად მამეწონა, მსყიდველი ზის მზედ სახული.“
- 270 მეფემ შეიტყო, ლამოდა კაცთა ამბავთა მბობასა,
განწყრა, უბრძანა: „ვით მკადრებ ეგზომსა ნაყბედობასა?
თავსა მოგკვეთ და დაპკარგავ ჭკუათა ნაზარდობასა“.
და რამცა იძრახა, შეშინდა, დასჯერდა ნაწვართობასა.
- 271 კვლავ უბრძანა: „ვისლაც ვისმე გაემართე საქებარად?
დღეს იქით თულა გნახავ შენ მაგისად მოუბარად,
სიკვდილს არა მოგეფაროს, ვიყო შენად დამთმობარად,
და შენ არ იცი, ეგე სიტყვა შემიქს ცეცხლთა მამდებარად!“
- 272 ქალი სადგომად წავიდა, ორთა სენთაგან ჩიოდა:
მას ახლად მეფე გაუწყრა, პირველცა გული სტკიოდა.
ომაინისთვის ტიროდა მდაბლად, არ მაღლად ყვიროდა,
და ვერას იტყოდის სირცხვილით, ნამუსისათვის ვარგოდა..
- 273 ბაზარს წავიდის ხშირ-ხშირად, ვისთვისცა ცეცხლი სდებოდა,
მიუდგის, ევაჭრებოდის და ტკბილად ეუბნებოდა,
წამ ერთ ნახვითა დამწველი სახმილი დაეცსებოდა,
და რა წამოვიდის, გიშრისა ტბა ცრემლით აევსებოდა..
- 274 მას კაცსა კარგა გაერთო ომარნ ამხანაგობით,
მან უთხრა მისი საქმენი წვრილად, არ სიტყვა შმაგობით,
იგიცა მეტად შეწუხდა, ზის საქმის გამოსაგობით,
და ჰკადრა, თუ: „ღმერთსა უქნიხარ ტურფისა ასანაგობით.

- 275 ქვეყანაზე, რაცა გინდეს, საქმე უერა გაგიმაგრდეს,
ჩვენ იგი ვქნათ, რაცა ამა საქმეს კარგა მოიგვარდეს,
ხამს, თუ კაცი ძნელს ჭკუასა მისახდომლად დაუწყნარდეს,
და ღმერთმან ქნას, და ეგა ჭირნი მსწრაფლ ლხინითა გაგიქარდეს!
- 276 ესე ქალი, რომე მას აქვს ამ ბაზართა ხელოსნობა,
მისი გვმართებს მოკიდება, საშახური, ძლვენთა ძლნობა,
ამად, რომე მას მეფესა აქვს აშისი მოსათნობა,
და ნუ თუ ღმერთმან მოგივლინოს ძნელთა ჭირთა განკურნება!
- 277 ვხედავ, რომე ამა ქალსა შენი ნდომა შეეტყობის,
თუ ვიშოვნო იგი შენთვის, სახელად მჩანს, არ მეგმობის,
შევთვალოთ, თუ: «მოგვიშუქე, ვარდი უმზოდ დაიჭინობის!»
და ოდეს ნახოთ ერთმანერთი, მერმე ყველა გაენდობის.«
- 278 ომაინ უთხრა მას კაცსა სიტყვითა გონიერითა:
„შენ არჩევ ჩემთვის რგებასა გულითა ლმობიერითა.“
მან ჰყადრა: „საქმე შევსთვალოთ მისისა მეცნიერითა,
და მე დიაცი მყავს, თვით იცნობს, სრული კითხვით და წერითა.“
- 279 ღიაცმან ნახა, გაჰყირდა: შვენება, სიტურუე რისა!
ომაინს ფერხთა მიმართა პირსა დადებად მტვერისა,
დალოცა: „ღმერთმან დაგიცვას, არ ვნება გეცეს მტერისა,
და კურთხეულმც არის მშობელი შენებრივ ნივთიერია!“
- 280 უთხრეს, თუ: „წადი, ეცადე საწევრად იმა ქალისად,
ჰყადრე, თუ: „შენცა გრიახავს—ვარდი ჩანს ფერგამქრქალისად.“
ნუღარ დაგვაწვევს სახმილსა, ნუ შეგვრთავს ცეცხლთა ალისად.
და თუ ვნახოო, ვიცით დავეხსნათ სიკვდილსა სამუდამისად.“
- 281 წავიდა იგი ღიაცი, მოსწრაფეთ იქნა რებული,
მას ქალსა ჰყადრა პასუხი მშვიდი და დაწყნარებული:
„მთვარე შექნილა უნათლოდ მზის შუქთა მოშორებული,
და დაიხსენ შეწირვებითა, არ ვარგხართ შეუყრებული.“
- 282 მან უთხრა, თუ: „მომისმინე, რაცა გითხრა სიტყვა, დაო,
მე, რა ვნახე იგი მოყმე, მეუცხოვა, გამკვირდაო,
აწ მისითა სიყვარულით ბრძენი ცნობას გარდვიდაო,
და მაგრა თავსა ვერ შევირცხვენ, რაზომს გული შეწვიდაო!“

- 283 წადი, ჰეკალრე ჩემ მაგიერ მზისა შუქთა წამლებელსა:.
 «მე სიკვდილი მირჩევნია, თუ რას გაწყენ ხელი ხელსა,
 ესე სენი ღამართებით სხვას არა სჭირს ხორციელსა,
 და რა ვქნა? რამცა მოუგვარო თავსა ცეცხლით დასაწველსა?
- 284 თუ არ მოგყვე, გაგარისხო, ვითმც ვიქ თქვენსა უნებურსა?
 ორისაგან რომელი ვქნა, ან რა მმართებს უბელურსა?
 ამ ქვეყანას დიდად ვჩინივარ ხელმწიფესა ჩვენებურსა,
 და მართებს კრძალვა სირცხვილისა დიაცს, თავსა დანაბურსა.»
- 285 ნუ გამიწყრების, ვმუდარობ, არ ვარ სიტყვითა მკვახითა,
 მაგრა მე მაგას ვერა ვიქ, დავება მტერთა მახითა,
 სხვარიგად ყმა ვარ, ნუ შემიქს მე მისგან მოუმშრახითა,
 და თვალთა რას ვაქნევ, არ იყოს მსწრაფლად მისითა მნახითა?»
- 286 დიაცმან უთხრა: „მნათობო, შენ სიტყვა გაგეორების:
 ვიცი, რომ იგი ჭაბუკი შენგან არ მოიღორების,
 ანუ აგინე, დასწყევლე, გაშორდი, გაგეშორების,
 და ანუ ნუ დასომობ ნათელსა, ვინ მზესა შეესწორების.“
- 287 ქვლავცა უთხრა: „მნახავი ვარ, იცი, ყოვლის ქვეყანისა,
 მკითხავი და დამწერელი, მცოდნე ყოვლის მე ენისა,
 არ მინახავს მე მისებრი, არც სმენა მაქვს მე მნახისა,
 და ნუ გრცხვენიან შეყრა მისა, დრო მოგსვლია, მოლხენისა!“
- 288 ჭალმან უთხრა, თუ: „მობესმა, სიტყვა შენ შითხარ რომელი,
 სიკვდილსა ვირჩევ, თუ გაწყრენ შუქნი ელვათა მკრთომელი,
 მე არა მგამა, იმისთვის ვიყო ჭირთ გარდამხდომელი,
 და რასაც შენ იტყვი დღეითგან, მეცა მისი ვარ მდომელი!“
- 289 დიაცი ადგა წასავლად, საქმესა მიესწრაფების,
 ჭალი ქვე დარჩა მჯდომარე, პირსამც რა შეეწებების,
 — „შენ იქ ვერ მოხვალ, მოვიყვან, ვის შუქი იიეფების.
 და მართ მივა იგი საამბოდ, ცქაფს რაღა მოეცქაფების?“

XVII. ამა დიაცისაგან ომაინისათვის ჩალის ამბის მოქმედება

290. მოქალაქენი სრულობით ყოველთ დღეთ მას ნახევდიან,
მისსა ამბავსა სამბობლად კრძალვითა ინახევდიან,
პირსა მზისაებრ იტყოდენ და ტანსა ალფის ხევდიან,
და ნახლსა და სტავრის უძლვნიდეს, ბითუნსა არ გახევდიან.
291. მართ გაემზადა დიაცი ქალის ამბვისა თქმევისად:
„პირველ გამაგრდა, მეტყოდა: «ვინ გიპოვნივარ მე ვისად?
მაგას ვერა ვიქ, დავრჩები მე ჩემთა სწორთა წყევისად».
და უთხარ: „თუ იგი არ გინდა, იყოს ალვისა ხე ვისად?“
292. აღარ მოვეშვი, ჩამამყა, იქნა ნებისა შენისა;
აწ ნულარა გჭირს ნიაღაგ პატიურ ცრემლთა დენისა,
ვისწრაფოთ, ადრე წავიდეთ ნახვად პირისა მშვენისა,
და მსწრაფლ მიგიყვანო, არ გვინდა ზედა შეჯდომა ცხენისა.“
293. ომაინ იჯდა შეწყენით, არ ვითა ცეცხლ ნაშრეტია,
დიაცმან ვერა შეატყო სიამე ვერა მეტია,
მართ იყო გაკვირვებული მოყმისა შენამჭვრეტია,
და უთხრა, თუ: „გეტყვი. ამისთვის—ჯავრი გულს ალარ მეტია.“
294. მოახსენა: „მე ამ რიგი საქმე ბევრი გარდამხდია,
ვისთვის საქმე გამექეთოს, ჩემთან მაღლი გარდუნდია,
მიკვირს, რად არ მოეკიდე, მზეს ლრუბელი გარდუნდია!
და ეს არ გინდა, ვიცი რომე ჭირნი სხვისთვის გარდგიხდია!
295. არცა სული მირჩევნიან მე მიჯნურთა სამსახურსა,
დღე და ღამე გაუწყვეტლად ვხედავ ცრემლთა მონაწურსა,
გულსა რა გიც? რად არ მეტყვი. სამსახურის მონასურსა?
და შენთვის დავდებ თავსა ჩემსა, გონებისა გულისყურსა.“
296. ყმამან უთხრა: „გხელავ, დაო, ჩემთვის შენ ხარ ვულ-მტკიუანი,
ყველა წვრილად გაგავონო, მე ვით მჭირან ცეცხლთა წვანი,
მაგრა მას კაცს რა ერგების, ვის სენი სჭირს შეუგვანი?
და ჟმისობან უნდა ვიკრა თავსა კეტი, გულსა ჭვანი.“

- 297 უბრძანა ყველა: პირველად ნახვა ზღვაზ მეტის შვილისა,
— „იმა ქამითგან გულსა მიც ლახვარი სიტკივილისა,
ფარულად მითქვამს ვაგლახი, არ ცხადად სიყივილისა,
და გაუდნობელად ვის ძალუც ცეცხლთან შენახვა ცვილისა?“
- 298 ჰყადრა: „ლომო, შენს წინაშე საქმე არ ჩანს ვანაჭირად,
მე ვიქნები მოიმედე და მაგისად დანაბირად,
თუ, რაც გითხრა, დამიჯერო, გამოგადგე მართ ვაზირად,
და ვიცი ღმერთი მის მოსავთა არ ექნების განაწირად.“
- 299 მას პირ-მზესა ბურნე-მელიქ ჰქვაან—პირველ ესე გკადრო,
ეხლა მას აქვს ხელმწიფობა, მისი არის უმი და დრო,
ღმერთსა უნდეს, ესე საქმე არ გვიან ვქნა, გაგიადრო,
და ვერა გარგო,—მეცა შენთან გული ცეცხლით გავიღადრო!
- 300 ესე მეტად კარგად იქნა, რომ ვიშოვნეთ ქალი ჩვენად,
იგი ნახე სიყვარულით— სჯობს საქმისა მოსაჩვენად!
ნუ თუ მისგან ეს შევიტყოთ, რად არს მიწყივ კაცთ უჩვენად
და ღმერთსა უნდეს, თავი ჩემი მე ვჰყო თქვენთან გასაჩვენად.
- 301 ოდეს გული გაუერთო, გაუცხადე დაფარული.
შემიტყვია, რომ უზომოდ მას შენი აქვს სიყვარული,
ულონოვოდ მოგეხმარვის, ჰქვიანია, მცნება სრული,
და საქმე ყოვლი წარგემართვის, მოწყალედ გყავს დაუსრული.”
- 302 ომაინ მიჰყავს დიაცსა, მზეებრ მიშუქობს დარია.
ქალი მარტო ჯდა მამლიდნე, მუნამდინ ცრემლ-ნალვარია,
იგი რა ნახა, ზე ადგა, მზე მისეან შენაზარია,
და თავმდაბლად ჰყადრა მოკითხვა, სიტყვები რამე წყნარია.
- 303 მას ვაჟი ყელს მოეხვია მთვარესა, ზე ადგომილსა,
ბროლიაგან ელვა ჰკროთებოდა, ვარდნი გაეპნეს ღიმილსა,
ქალი დიაცსა მადლს ეტყვის: „შენ დამხსენ ცრემლთა წვიმილსა!“
და ერთმანეთს ტკბილად ჰკოცნიდეს, არ ჰგვანდეს განაწყორომილსა!
- 304 მათ გაიხარნეს ორთავე ერთმანერთისა ხლებითა,
ტკბილად ყოოდეს ბულბულნი ვარდისა! სიახლებითა;
სახლი ფარდითა მოცული, სტავრითა, სულ ნახლებითა,
და სრა და სამყოფი სავსე დგეს ტურფითა მოახლებითა.

- 305 ორთავე სჭირდა სურგილი, უფროვე ქალსა, მგონია,
ომაინს ყელსა ეხვევის, მას საიმისოდ ჰელია,
მაგრამ ყმას სხვაგან წასვლოდა ჰელია, ცნობა და გონია,
და მისებრივ ჭირთა მოთმენა სხვას არვის გაუგონია.
- 306 ყმამან მუნ დაყო სამი დღე, ცეცხლი სწვავს არა ნელია,
მაგრა ლონისა. მძებნელსა მოტეხით ჰქონდა ყელია,
რა მოეგონოს მისი მზე, მოეცის თვალთა ბნელია,
და კვლავ იფერებდა, თუც ოდენ მას საქმე სჭირდა ძნელია.
- 307 კაცი მოვიდა — „ხელმწიფე ქალსა იხმობსო სწრაფულად.“
იგი ზე ადგა მოწყენით, წყნარად; არ რამე ცქანფულად,
გაყრისა ცეცხლმან შეაქნა ღულილი გულსა ქაფულად,
და იტყვის: „ცუდია, თუ დარჩეს ხელი ვარდ მოუკრეფელად.“
- 308 ხელმწიფის კარსა მივიდა ფიცხლად და დაუდგომელად,
მას დახვდა ჯარი ხაღუმთა, ყოველნი ფერხზედ მდგომელად.
რა იგი ნახეს მსხდომელთა, იქნეს ზე ასაღვომელად,
და შეხედნა მზესა, მოექცა შუქი პირს მოსაღვომელად.
- 309 უბრძანა, თუ: „სამი დღეა, არ მოსულხარ ჩვენსა კარსა,
მოსელა გინდეს, წინამდეგი კარს ვინ გიზამს დანაკარსა?“
მოახსენა: „ბაზარს ვიყავ, ლართა ხსნიდეს შენაკარსა,
და შორად ვიყო, სიკვდილი სჯობს უამსა თქვენთან მოუკარსა.“
- 310 კვლავ უბრძანა: „რად არ იყი, უშენობა ვით მამთმინდეს?
რაზომ იყო ჩემსა თანა, ახლოს ყოფა არ, მამწყინდეს.“
მოახსენა: „მე ვით ვლიოსეარ, ჩემი ხლება თქვენთან გინდეს,
და წინაშე ვარ“. განაღამცა ილალობეს, გაცაცინდეს.
- 311 პატრონისა სიამოვნე მას უნდოდა მეტის მეტად,
მაგრა ერთ კერძ უცნობოსა გული ჰქონდა შმაგად, რეტად,
ომაინის გონებითა ცეცხლთა სჭირდა არა შრეტად,
და იტყვის: „რა ვქნა? ორთა მზეთა მე რომლისა ვიყო მჭვრეტლად?“
- 312 თვით მიბრძანა: «ნურსად წახვალ, კარზედ ჩყავ გაუყრელად!»
არ მოუსმენ, გამიწყრების, შემიქს სწორთა საკიცხელად,
თუ არ ვნახო იგი მოყმე, იყოს ჩემად მამლოდნელად.“
და გონებამან ფერი აკლო, ეტყობოდა, საკვირველად.

- 313 მას ბურნე-შელიქ უბრძანა: „რა გჭირს? ჩაღ ფერი გკრთომია!“
 ჰერი: „ვიშიშვი, მეფეო, არ მექნა განაწყრომია,
 გერ გაგეყრები, თვით ბრძანე: «კარზედა იყავ მდგომია,»
 და საქმე საჩემო ქალაქად ვინ იცის, აწ რა ზომია?“
- 314 მეშინიან, სასარგებლო საქმე რამე წახდეს მუნა,
 ანგარიშსა მე მამთხოვენ, ამა ჭირმან დამაჭმუნა!
 რა ვაჭართა ისაკლისონ, წამსაც ვინღა დამაყმუნა?
 და თუ გაცივდეს გული თქვენი ჩემთვის, ვინღა მომითმუნა?“
- 315 უბრძანა: „მაგას არ გიშლი, რაც წესად საქმე შენია,
 ძნელად მოიცლი, მეც ვიცი, ქალაქი მეტად შენია,
 აწ მალრიელ ვარ, გული გაქვს შენ ჩემგან შენაშენია,
 და წადი მიხედე ობოლთა, არ იყვნენ მონამშენდა.“
- 316 ბაზარს ჩადი, სავაჭროსა ყოვლის ფასი გაიეფდეს,
 უქონოთა კაცთა ზედა ბრძანე—ხარკსა ნუ მოჰკრეფდეს,
 რაცა გინდეს, მას იქმოდე, ოლონ გული არ გამეფდეს;
 და ცოცხალ ვიყო, ლხინი გქონდეს, მოვკვდე—ცრემლი
 გაგიმჩეფდეს.“
- 317 ჭალი წავიდა მოცინრად, ალარა სულთქმით ახევდა,
 პირველ მეცემან დალოცა, მერმე ომაინს ნახევდა,
 პირი მზისაებრ მნათობნი და ტანი ალვისა წევ-და,
 და ვაჟსა მიელის, ვეჲვ, რომე სწრაფლ მისვლას არ უზრახევდა:
- 318 ამა ქცევითა უქროდათ სიამოვნისა ქარია,
 ბროლსა და ლალსა გარევით შერთოდა მინა-ქარია,
 ტკბილად უბნობდეს, არა ჩნდა მუნ საქმე სამუქარია,
 ვაჟის ჭირთ ნაცვლად გაუშვის ჯურლმულსა დასანთქარია.
- 319 დღესა ერთსა ომაინ ჯდა, თვალთა ცრემლი მოეღინა,
 ქალმან პირსა ხელი იქრა: „ვაგლახ მეო! რა გეწყინა?
 შენ რა გიმძიმს? ვხედავ, რომე მზემან ბნელი დაიჩინა,
 და თუ არ მითხრა, აწვე თავი შე მოვიკლა შენსა წინა!“
- 320 გან უთხრა: „ამას ნუ მკითხავ, ლმერთი გაფიცო ცხოველი,
 აქიმსა უთხრას სნეულმან მან მისნი ჭირნი ყოველი,
 ცუდად რას ვიტყვი, რომლისა ლხენასა არსით მოველი?
 და აწ ამა ძნელსა საქმესა ვის ვიყო მისანდოველი?“

- 321 ქალი ატიორდა საბრალოდ, ქვე ზის მწარითა გულისტი
ყმასა ეტყოდა: „ვერ გხედავ სიტყვითა საყარგულითა,
ვერ მხედავ შენოვის შევქნილვარ ცნობანი დაკარგულითა?
და ღმერთმან მიწა მქნას, თუ ვიყო შენზედა სიორგულითა!
- 322 ესე მიკვირს, თუ რად ბრძანებთ: «რგებასა არსით ველია..»
ეჯ ბრძენთა სიტყვა არ არის, არც შენ ხარ უსწავლელია,
დასჯერდი ამას, ღმერთს წინა ადვილ ჩანს საკვირველია,
და უჯერობითა ადამ ქნა თავის მამრევად გველია.
- 323 რადგან ლვთისაგან შექნილან ყოველნი დაბადებულნი,
ცა და ქვეყანა, მნათობნი, მეფენი გადიდებულნი,
აროდეს დარჩენ ულონოდ მართლ მისებან იმედებულნი,
და მსწრაფლ აღადგინოს სიტყვითა სიკვდილად გარდადებულნი.
- 324 მანვე დამწყეველოს, თუ ვიყო გულითა ნამუხთალავი,
ნეტარ, თუ რად ხარ ჩემთანა საქმისა მონაკრძალავი?
რად გედვას გულსა შენახვად რაცა-რაშ დასამალავი?
და მითხარ! ეშმაკი გაჰქადე შენგან შორს გამომლალავი.“
- 325 ყმამან უთხრა: „საყვარელო, ტკბილი ხარ და ამო, შშეიდი,
შენ გწადს ჩემი სიამოვნე, მეცა შმართებს შენი რიდი,
შემიტყვია გული შენი—ადვილ ფასად არ გამყიდი,
და გკადრო ყველა, მე ოდითგან ბედსა შავსა მოვითქმიდი!“
- 326 კვლავცა უთხრა მან ამბავი, საქმე თავსა გარდასული:
„ნუ ემშ, რომე მოგიშორო, დაესთმო შენი სიყვარული,
მაგრა ხედავ, თვალთა ჩემთა არ მომივა ლაშით რული,
და ნეტარ ცოცხალს არ მსმენოდა მართ ამბავი მე მისრული!“
- 327 ღმერთი მყავს მოწმად, მრცხვენია თხრობად ცუდ
ჭირნაბულისად,
ვერ დავსთმე, სჯობდა შენახვად, ქონად გულს დამარხულისად,
აწ, რადგან იქმენ შემტყობად ჩემისა გაზრახულისად,
და ღმერთი შემოგზლავს, მიაჯე მის ჩემგან მზედ სახულისად.
- 328 გასმია, რომე მიჯნური საწყალოდ თქმულა მტერისა,
შენ ხარ საყვარლად წინაშე მის მზისა ქვეყნიერისა,
შენ გაქეს შეკვრად და გამოხსნად ყელთა საბელთა წვერისა,
და შენ გელირსების პასუხი მართ ბრძნულებ მეცნიერისა.“

- 329 ქალმან უთხრა: „ვერევინ შეშლის განგებითა მაშავალსა,
ფიცით გითხრობ—მოვიჭირვო დასადებლად შენტედ ვალსა,
მებრალები, ამად, რომე გხედავ მეტად ცეცხლმხურვალსა,
და მკურნალთაგან რამცლა ერგოს სულსა ხორცით გამავალსა?
- 330 ვიცი, რომე ამას იტყვი: «თვისად უნდი, არა სხვისად.»
მაგრამ წყაროს რას გაჰქვირდეს, მნახავია ვინცა ზღვისად?
შე მასთანა რას გამოვსჩნდე, ვარ ამისად შესატყვისად,
და ღმერთმან ქნას, და მონა ვიყო თქვენთა ფერხთა მტკერთა
გვისად.
- 331 კვლავცა გკადრო: დამიჯერე ესე სიტყვა დანამტკიცად,
ვერა გარეო—თავი ჩემი არ ვქნა სიკვდილს დასავიცად,
მოგახსენო, რასაცა ვარ შემტყობად და ანუ ვიცად:
და იგი არის კაცთ სახელსა უსმენლობის დანაფიცად.
- 332 ესე მკლავს, რომე მასთანა არ ითქმის კაცთა სახელი,
ანუ ვინ იყოს კაცთაგან ამა პირ-მზისა მნახველი?
„რა გჭირსო?“—კითხვად ვინ ლირსა, ან ვინ არს გამომნახველი?
და საგონებელმან წამილო გული ლახვრითა სახელი.
- 333 ამის მეტი არა მოჩანს საქმე ჩემგან მოსაძევი,
ნუ თუ ლონით რით შევიტყოთ, რად არს იგი კაცთა-მწყევი?
არ იხსენოს მას წინაშე ადამის ტომთ მონაძევი,
და ვით იყრძალვის პირი შზისა, ტანი ედემს მონახევი?“
- 334 ყმამან უთხრა: „ესე მწადდა მეცა თქვენთვის მოსახსენად,
მაგრა პირველ თქვენ მოილეთ გონებისა სიბრძნის ენად,
ეს შეიტყვე: რა მომხდარა? კაცთ ხილვისა რად ზის წყენად?
და მერმე მაშინ ჩვენცა დავსხდეთ რჩევად, საქმის გამოჩენად.“
- 335 ქალმან უთხრა: „წავალ, დავსდებ თავსა შენთვის სასიკვდილოდ,
მას წინაშე არვინა ჩანს ჩემსა უკეთ გასაზრდილოდ,
მოგახსენებ: «ნუ გამიხდი, შუქსა, მზეო, დასაჩრდილოდ,
და გეხვეწები, შემიბრალე, ვარ აჯისა მომთხოვილოდ.»
- 336 «ამად გკადრებ, ვიცი, რომე, თუ არ მეტყვი, არ დავოჩები,
უბედური ორსა ჭირსა ბოლოდ ვერა მოურჩები,
აქანამდის გული თქვენი არ მქონია ნაურჩები;
და თუ გაწყინო, ყელსა ჩემსა თვით გარდვიცვა დასარჩები,»

- 337 წუ გაგვაწყრებით, გვალირსეთ, კიყოთ ამ საქმის შცნებელი,
განპყურნე გაცხადებითა გული შიშთაგან ვნებული,
კაცთა რად რისხავ? რა ქნილა აქ თქვენი მოუნებური?
და ჰევირვობენ სრულნი ლაშქარნი, ვინც არის გაგონებული.
- 338 მიბრძანე, რად გაქვს მიზეზი კაცთათვის მოძულვებისა?
შენ ხელმწიფე ხარ მაღალი, მნახავთა გაკვირვებისა,
ლაშქართა შესჭირს, შექვენია ტირილი ვაგლახებისა,
და ვერას მიმხვდარან, დამბრმალა გონება შეჭირვებისა.“
- 339 ხელმწიფე გაწყრა უკადრი, პირად მზე, საროს ტანისად,
უბრძანა: „კვლავცა მიწვრთია არა თქმად მაგისთანისად,
შენ ვით შეგთერობს ჩემს წინა თქმად რამე შეუგვანისად?
და შლეგი ყოფილხარ, გამშორდი დაუყოვნელად ხანისად!“
- 340 იგი ფიცხლად გარდაიქცა, დაბნდა, იქნა, ვითა მკვდარი,
გაუცუდდა ელვარება და მზისაებრ შუქთა დარი,
გულსა სენი შემოკყრობა, დამწველობით ცეცხლთა დარი,
და ხელის-ხელით წამოიღეს, მართ თვით ვერას ვერ მიმხვდარი.
- 341 მესამეს დღესა იყითხა: „სად არის იგი ფლიდია!“
ჰევადრეს, თუ: „მისი დარჩენი, მეფეო, ღმერთზედ ჰეიდია,
თქვენი გაწყრომა მეტადრე ისაკვირველა, იდია.“
და ორთა მსეველთა უბრძანა: „წა, ნახეთ, ფიცხლავ მიდია!“
- 342 მოვიდეს, ჰევადრეს მნახველთა: „ცოტალა აქვსო სულობა,
სოფლის წესითა შეპქნილა ლნინისა გარდასულობა,
დაუწერია ანდერძი, მას ყოვლი მეუსულობა,
და «მოვკვდეო, ღმერთმან თქვენ მოგცეს მრავალთ წელთ
გამოსულობა!»
- 343 მეფე შეწუხდა, მელნის ტბა ცრემლითა აეცსებოდა,
აქიმთ თქვეს: „მოვარე ბნელდების, ვახ, აღარ გაივსებოდა!
ნდომა შეპყრია რაღაცა, ღაწვი მით ეხავსებოდა,
და აღსრულებოდა, ვეჭვთ, რომე კვლავ ცეცხლი დაევსებოდა.“
- 344 ბრძანა, თუ: „წავალ მე, ღმერთმან მაჩვენოს კვლავ ცოცხალია,
თუ მოკვდეს, დიდად დაგვაკლდეს, არ უამი საკუეხალია,
ნუ თუ რა ვარგოთ ვეწივნეთ, სენი სჭირს ჯერ ახალია,
და ნდომა არს კაცთა სიცოცხლე და გულის შემნახალია.“

- 345 ქ'ეფე მივიდა; იგი წ'ვა უსულო, ვითა შევდარულად,
შუქნი მიჰტინა მზისაებრ, უკუნი გახდა დარულად,
უთხრა: „მობრუნდი, გიამბობ, რაც სიტყვა მქონდა ფარულად.“
და თვალნი აახვნა, წამოჯდა, თუმც იყო მიუმხვდარულად.
- 346 უბრძანა: „ვნახე სიჩმარად ჭაბუქი ახალ ზრდილობით,
ჩვენ ერთმანერთსა საერთოდ შევჭოცეთ დაუცილობით;
იგი დაება მახესა, მე დავხსენ ქალის შილობით,
და მერმე მე ვიქენ მას უკან სხვათაგან შეპყრობილობით!
- 347 ალარ მიყურა, წავიდა, მე მარტო დავრჩი თავითა,
მეშინოდა და ჟსტიროდი ცრემლით, ზღვათ შესართავითა,
ვთქვი: «რად გამწირა?»—შევიქნე ჭირსა ჭირ დანართავითა,
მუნ ფიცი დავსდევ, თუ—ნუ მყოს ღმერთმან ქმარ-შენართავითა!
- 348 გამეღვიძეს, დამდენოდეს შიშით ოფლისა ღვარია;
მაშინ დავსწყევლე საუბრად და ნახვად კაცთა გვარია,
თვარ ლაშქარნი არა მძულან, რად აქვსთ გულს სატკივარია?
და ვისცა რამ აკლდეს, შორიდამ თქვან მათი საჩივარია.“
- 349 რა ესე ესმა მზისაგან, მთვარეს დააჩნდა შუქობა,
ქება შეასხა, რომელსა აროდეს სთქმოდა უქობა:
„თქვენებრ სიუხვით, მეფეო, მთით ქარს არ ძალუც ბუქობა,
და თქვენის ნახვითა მამეცა მე ჭირთა მოსუბუქობა.“
- 350 მოახსენა, თუ: „შეგცოდე, ღშერთმან მით მიყო ავია,
დიდთა მეფეთა თქვენს წინა სწადს ხარაჯობით ზავია,
ბრძენთა რქმულია: «არ წახდეს, ვინც სიტყვის შემნახავია.»
და თუ დაურჩე, კვლავლა გაწყინო—მე ვიყო მოსაკლავია!“
- 351 მზე გუმბადს გარდაეთაროს, მთვარეს ფერი ეახლების.
ქალი ადგა, მოეკაზმა, მეფეს თანა ეახლების,
სინათლისა მამლოდინე ბნელსა არსად ეახლების,
და სხვა მნათობი დაიმალვის, თუ მას მეტად ეახლების.
- 352 ქალსა უბრძანა მეფემან სიტყვა ტკბილი და წყნარების:
„დარჩეს უშენოდ ქალაქნი და ყოველი მისრთა არები,
წადი, შეიტყევ ყოველი, მოჰტინე მზეებრ დარები,
და მე არავინ მყავს, იცოდე, შენთანა დასადარები.“

- 353 ომაინთანა შისწერა ამბავი არ საგინები;
 „ნულარა მოსწვიმს, გააშრევ ცრემლისა დასაღვინები,
 მოდი, რომელი სინათლით ეთერსა დაედარები,
 და ჩვენსა ბოროტსა შეექნა კეთილი ჭირ აღმდგრნები.
- 354 მობრძანდი, გყალრო ამბავი გულისა მოსალხნია;
 გამამიშვა და მიბრძანა: «ქალაქნი წა, ნახენდა!»
 ანუ რად არის კაცთ მწყრომად ტანად ალვისა ხენია,
 და ყველა შევიტყევ, გაცუდდეს ეშმაკთა სიმარკენია.“
- 355 მოვიდა, დასხდეს ლალობით, ორნივე ტურფად შვენოდეს,
 უთხრა: „გიამბო, მუნითგან მე გაგეყარე შენ ოდეს,
 ძლივ გაუბედე სათქმელად, ვემვ, ეტლსაც მისგან შვენოდეს.“
 და წვრილად უამბო ყველაი, რაცა მას სიზმრად სწყენოდეს.
- 356 ერთი დღე დაყვეს, იამეს, რაცა მათ იამებოდა,
 მერმე წაეტიდა სასწრაფოდ, არ გზა-გზა ედგომებოდა.
 დიაცი იხმო, უამბო, იგიცა ემოწმებოდა,
 და ჰყადრა, თუ: „თქვენთვის სიკვდილი არვისგან დამეგმებოდა.
- 357 პატრონი ჩემი, ხალიფა, კაცია მეტად ჭკვიანი;
 მისი განდობა საქმისა არ არის ჩვენი ზიანი.“
 იხმეს, არჩევენ ფარულად, არ კარნი ჰქონდეს ლიანი.
 და ხალიფა იტყვის: „ხელმწიფე მამა მისია სვიანი.
- 358 „მისგან კიდე პირ-მზესთანა ვერვინ იტყვის საუბარსა,
 მე ვაცნობო თავი თქვენი საქებარი საქებარსა,
 ვიცი, რომე შეგიყვარებს, გულს გიჩვენებს ნამტკბობარსა.
 და რა გალიმდე, მოგიწონებს მარგალიტსა ნამწყობარსა.“
- 359 ადგეს, წავიდეს, მათ მიაქვს მეფისა მისართმეველნი,
 ლალ-იაგუნდი უცხონი, მზისაებრ შუქთა მზეველნი,
 თანა ჰყვებოდეს მლოცველნი, მისისა მტერთა მწყეველნი,
 და რა ნახეს, ერთობ გაჰყვირდეს მეფე და მისნი მრჩეველნი.
- 360 მეფე ადგა და აკოცა, გვერცა დაისვა სკამითა,
 — „აპა, ვნახეო, რომელი მე გავიხარე ამითა!“
 ხალიფას ჰყითხავს: „ვინ არის, მოსულა რა ერთ უამითა?
 და მიკვირს, ვით დასცევ სინათლე მზისა ერთისა წამითა?“

- 361 ხალიფაშ ჰუკარა მეფესა სიტყვანი მოსალბილონი:
 „ცოტა ხანია, მსმენია ხმა შაქრად მოსატკბილონი,
 არცა მე ვიცი, ტანსა აქვს ვაჭრულად ჩასაცმილონი.
 და ვითამც ექნების დაფარვად ჯინჭველის ჩრდილსა სპილონი?“
- 362 მეფემან აქო ომაინ, მას ფიცხლავ უხმო შვილობა,
 ჰკითხა, თუ: „ვინ ხარ, მამაცო? მწარის შენი გამომწვლილობა.“
 „ვაჭარი ვარო, ხელთა მაქვს სყიდვა-გასყიდვა, ცვლილობა.“
 და არ დაუჯერა, სპათ უთხრა: „ვეძვ, ტინმა უყოს ცვილობა.“
- 363 ლხინი შეიქნა, გაპკვირდა მეფე მის ყოფა-ქცევასა,
 მას შვენიერსა ღიმილსა, ტურფად ტანისა რხევასა.
 ლაშქარნი ერთობ იტყოდეს თავის ბედისა წყევისა:
 და „ვაუი არა ჰყავს, ქალი ზის მხევალთა თანა რჩევასა.“
- 364 ერთობ სრულად შეუყვარდა შეფეს, სპათა, დიდებულთა,
 ყოვლსა მას წინ მოიღებდეს ძლევნს, საჭურჭლით დადებულთა,
 მისსა რამცა გაუკვირდა გულსა სიბრძნით დადებულთა.
 და სმა გათავდა, აიყარნეს, ჰგვანდეს სუფრა აღებულთა.
- 365 სრულად აქებდეს ლაშქარნი, სხვა: არვინ იხსენებოდა:
 „ნეტარ ვინ არსო უებრო?“ — შეტყობა ენატრებოდა,
 მეფე აწვევდის ნიადაგ, მჭვრეტო ნახვა იამებოდა,
 და მისსა შემყრელსა სახმილი ანაზღად დაუშრტებოდა.
- 366 კაცი მოვიდა: — „ომაინს მეფე აწვევსო სწრაფითა.“
 ხალიფაშ უთხრა: „შენ, ტურფავ, გაგხადო არ სიაფითა,
 ახლა შენ იყავ, მე წავალ, ვეუბნა არ ლაყაფითა,
 და ჩემთა დამოწმდი ნათქვამთა წყნარად, არ სიტყვა ცქაფითა.“
- 367 ხალიფა დაყრით მეფემან ნახა წინ მარტოდ მდგომია,
 უბრძანა: „რად არ მოვიდა პირი ელვათა მკრთომია?“
 მან თქვა, თუ: „გკადრო ყველაი მისი თავს გარდამხდომია,
 და მას მისი ლხინი ყოველი ჭირთანა შეუზომია.
- 368 მეფეო, მისნი ამბავნი რა მოგახსენო, რა ვითა?
 ტირის უბრალო ცრემლითა ზღვათაცა შესართავითა,
 რა შეღამდების, დაჯდების ძაძითა მეტად შავითა,
 და თავსა გარდიყრის ნაცარსა ხელითა ლომთა მკლავითა:

- 369 არვინ იცის, თუ რა უმძიმს, ან ჩისთვის არს ხელია.
 თუ ვჰქითხავთ: «რად იქ, რა გჭირსო?»—გვექნების უმზრახელია,
 ნარგიზსთათ წვიმა ბროლისა სდის, თოვლი გაუთხრელია,
 და შევწუხებულვართ ყოველნი ამ საქმის მამნახველია.
- 370 ყოველთ ღამეთა ვაება აქვს და თავს ცემა კეტისა,
 იტყვის: «არა ჩანს წამალი ჩემთა სახმილთა შრეტისა!»
 ვირემ გათენდეს, ყოველ ღამ ცნობა აქვს, ვითა რეტისა,
 და ჩვენ გვიკვირს მისგან გაძლება ჭირისა მეტის მეტისა!“
- 371 მეფემან ბრძანა: „შევიტყევ მის მეტი გმირთა გმირობად,
 არს ვინმე დიღი ხელმწიფე, გულსა სჭირს ლახვართ გმირობად,
 მას თავი თვისი სიკედილად გაუცს ვისთვისმე პირობად,
 და მინდორს წავიდეთ, მიზეზი დავიდვათ ჩვენ ნადირობად.“
- 372 კვლაცა უბრძანა ხალიფას სიტყვითა ლმობიერითა:
 „წა, მოახსენე, წამოგვყეს პირითა შევნიერითა,
 ჩვენც გავიხაროთ მასთანა საქმითა მის მიერითა,
 და ცხენს შეუკაზმავ, ვაახლებ კაცითა მეცნიერითა.“
- 373 ხალიფამ ჭკადრა ომაინს მეფისა ნაუბარია,
 თქვა: „ვაჭრის შინდორს წაყანა, ნეტარმე რა საქნარია?
 მაგრამ წავიდეთ, ხელმწიფემ კარგად გვყოს შენაწყნარია,
 და მეფეთ უნდომსა უნცა იქმს, ის სრულად უმეცარია!“
- 374 იგი მივიდა, ლაშქართა სრულ მაზედ ჭქონდათ თვალია,
 ძალად შეარტყეს კაპარჭი, ტიროდა გულ-მხურვალია,
 ანაზდად ნახეს ქურციკი პირდაპირ მამავალია.
 და ხელფიცხად მოკლა, მიუხდა, არც ცხენი დაიხვალია.
- 375 მეფემან ბრძანა: „მაშინვე ვსცან მე ამისი ესობა,
 ვაჭრის ისარი ნადირსა აშ ასრე ვით დაესობა?“
 სადგომს მიეიღეს, შევნოდეს ოთახთა ტახტთა მდგესობა,
 და ჭამა შეიქნა, გამართეს ყოველთა ლხინთა წესობა..
- 376 მეფემ ახლოს დარყენა, მსწრაფლ უნდოდის სანახევად,
 ვით სმენოდა, მას ტირილი ღამით სწადდა სასინჯავად.
 სმა გათავდა, გაიყარნენ, ყველა წავა თავისთავად,
 და იგი სადგომს შემობრუნდა, გაიხადა თავი ივად.

- 377 რაც ხალიფას მოეხსენა, მეფებ იგი თვითცა ნახხა,
შეებრალა მისა მჭვრეტსა, იტირა და ივაგლახნა,
გაუკვირდა მეტის-მეტად, მაგრამ რამცა გამოსახნა!
და ყმაშ ტირილი არ დააგდო, მხის წვერამდინ სულთქნა, ახნა:
- 378 კვლავცა აწვია მეფემან, მარტო მიისვა წინარე,
უბრძანა: „გკითხავ საქმესა, ვაი, თუ შეგაწყინარე?
დღისით ჩევნებრივ ჩვენთანა შენცა ხარ მართ მოცინარე,
და ღამით რად სტირი? რად ჰკვდები?—შენ ვერვინ გნახოს
მძინარე.“
- 379 ჰკადრა: „მეფე ხარ მაღალი, ხელმწიფეთ დიდთა გვარისა,
მე ერთი ვინმე ღარიბი, მარტო უცხოსა არისა,
ჩემნი ამბავნი თქვენს წინა, გლახ, რა საკადრო არისა?
და რად ვარგა ზქვენგან ჩემისა სიტყვისა სმენა მწარისა?“
- 380 კვლავცა უბრძანა: „შიამბე, მე მწარსო შენი მამობა,
ნუ თუ რა გერგოს, გელებინოს, ჩვენცა ვქნათ შენთა ამობა,
ნუ გეშის, ღმერთი უხვია, აქვს კეთილისა წამობა,
და ტახტოსანი ხარ, კვლავ მოგცეს მანვე ტახტისა დგამობა.“
- 381 თქვა, თუ; „ვიკადრო, მეფეო, აწ სიტყვა მოხსენებისად,
სიზმარი ვნახე მართ, ვითა დღივ ცხადად მოჩერენებისად,
პირ-მზემან ვინმე მნათობმან პირობა მამცა ნებისად,
და ვთქვით: «ვიყოთ ერთმანერთისა, ვსხდეთ ჭირთა
განკურნებისად.»
- 382 კვლავ შევპუიცეთ ერთმანეთსა, ერთხელად და მერმე კიდე,
სახე მომცა: «გაგელვიძნენ ამ ნიშნითა მამნახვიდე,
ვირემ მპოვო, იტირებდე, როდეს ამას გაიცდიდე.»
და მიკვირს, ჩემად სასიცოცხლოდ გული ვითა დავიმშვიდე!
- 383 ანაზღად მახეს გავები, ვეღარას ვიყავ მქნელია,
პირ-მზე მოვიდა, ეცადა, შეიქნა ჩემი მხსნელია,
მერმე ჩავარდა ბალესა,— ჩემგან ხსენებად ძნელია!
და მე ვერა ვარგე, გავშორდი, მით არ ცეცხლი მწვავს ნელია?
- 384 გამეღვიძა, ავიხედე, სახე მქონდა მისეულად,
ვიცი, რომე მემართლების, ჩემგან დარჩა გულ-მოკლულად,
სამყოფთაგან წამოსრული, მისთვის ვქნილვარ დაკარგულად;
და აწ, მეფეო, რად არ გიკვირს, მე უმისოდ, სულთა დგმულად!?

- 385 ამად ვსტირი, ვერა ვარგე, მან დამიხსნა ჭირისაგან,
დიაცობით მომეხმარა ყოვლის მისის ღონისაგან,
მამაცობა გამიცუდდა ჩემის შავის ბედისაგან,
და ძილმან შემკრა, არა ვიცი, ღაფლად დაურჩი თავისაგან.“
- 386 მეფე მიბრუნდა თავისად სახლად-სრად ტურთად გებულად,
ოქროს სარტყლითა მონანი დგას ყოვლგან გარიგებულად,
ბრძანა: „ქალს ვნახავ, აცნობეთ, არ მივალ შეუგებულად“.
და იგი მივიდა, პირად მზე ზე აღგა მოსაგებულად.

XVIII. აჩა მისერთის მეფისაგან ხელმიწიედ მჯდომის ჩალისა ნახვა და ჰაბუკისა ოშაინის აშგის გგობა

- 387 პირსა აკოცა მეფემან ტკბილისა სიყვარულითა,
ღასხდეს და ამოდ უბნობდეს, არ სიტყვა უმეცრულითა,
პირ-მზე ლიმობდა მამისა ნახვისა სიხარულითა,
და უთხრა, თუ: „გითხრობ, რაც ვნახე მე მინდორს სიარულითა.
- 388 ვპოვე უცხო ვინმე მოყმე, შვენიერი ტანად, პირად,
ცხენოსანი არ მინახავს სადაცეთა მისებრ მჭირად,
ვითა ქორსა კაქბის მართვე, მას ლომი უჩნს დასაჭირად,
და დღისით კაცთა იახლების, ღამე მოვა მისად ჭირად.
- 389 ვჰქითხე, თუ: «რად ზი ნაცართა, ან რად სტირ ცრემლთა
ცხელითა?»
მითხრა: «შენ ბრძენო, რა გკადრო, მე ვარ ცნობითა ხელითა
ვერ ჩამამჩხნა არა თქმად სიტყვისა მან ურთ ხელითა,
და იგმობდა: «ვამე, დავრჩიო თავითა უსახელითა!»
- 390 წერილად უამბო მეფემან მის ყმისა ნაუბარები:
„მას მოუვლია ყოველი ქვეყნისა მთა და ბარები;
სიკვდილი უნდა, მზადა აქვს სამარის სათხრად ბარები.“
და მელნისა ტბითა აევსო ქალს ცრემლთა საგუბარები.
- 391 ზარმან აიღო, გაჰკვირდა ამა ამბვისა სმენითა,
ენიშნა იგი სიზმარი—ბადეს ჯდა მარტო წყენითა,
მეფემან უთხრა: „შეგცოდვ, ვადე, ჩემისა ენითა!
და კაცთა ხსენება გეწყინა, მიზნარ, ცრემლისა დენითა?“

- 392 ქალმან უთხრა, თუ: „მეფეო, რად მეტე ცუდ ამაყობასა? მამა ხარ, ღვთულებრ მოწყალე, თავს ვიდებ მოშიშობასა, სჯობს თქვენი მწარედ ნათქვამი სხვათ ხელმწიფეთა ტკბობასა, და ღმერთმან ქნას, მანვე გვალირსოს თქვენგან ამბისა მბობასა.“
- 393 კვლავცა ჰეკადრა: „ხელმწიფე ხარ ყოვლთ მეფეთა უქესთესად, თქვენგან ჩემთვის ბრძანებულსა სხვა რამკ იყოს უკეთესად? მამეგონნეს ჭირი ჩემი, მექნეს ცეცხლთა შემკეთესად, და უბედური ჭირსა მომკის, კეთილს იყოს დანამთესად!“
- 394 მეფე წავიდა მის მზისა გაყრითა დაჭმუნვებული, ქალი მუნ დარჩა ტირილად, არ ამოდ იჯდა შვებული, თქვა, თუ: „ბრალია იგი ყმა, არს მიწყივ ვაგლახვებული.“ და გარისხებული წყალობად იქნა გულ-მობრაუნვებული.
- 395 საგონებელი შეექნა, გახდა ბედისა მწყეველად. დაბნელდა პირი მთვარისა, აღარ ნათობდა მზე ველად: „ვაა, თუ ვერ ვნახო ჭაბუკი საროს ტანისა მრჩეველად!“ და ქალაქთ უფროსი მოიხმო ამა საქმისა მრჩეველად.
- 396 იგი მივიდა, დაუხვდა პირად-მზე ნამტირალები, ქალი გაჰკვირდა, შეშინდა, იქნა ფერ-განამკრთალები, უბრძანა: „დაჯე, გიამბო, მე ვით მწვავს ცეცხლთა ალები, და ამა ამბვისა მსმენელი, მტერსაცა შევებრალები.“
- 397 წვრილად ლბრძანა ყველაი, მას სიზმრად ზმანებულია, მეფეს რაც ეთქვა მასთანა, აწ ყმისა საქებულია: — „სიზმრად მინახავს, პირობა გვაქვს ერთად დადებულია, და ღმერთმან მის მეტი მაშოროს, კაცთა ძედ აგებულია.“
- 398 ქალმან ჰეკადრა, თუ: „მეფეო, საქმე არა ჩანს ძნელისად, სახე საღმე აქეს იმედად სიზმრისა მაშინდელისად, თუ იგი სახე შენია, სრულქმნა ხამს საწადელისად, და თუ არა, სხვაგან მოენახოთ, წყალობა გვეყოს მხსნელისად.“
- 399 დაუმადლა, ესე რჩევა მოეწონა მეტის-მეტად, უბრძანა თუ: „ამას იქით შენ გამოსჩნდი ცეცხლთა შრეტად, წალი, ნახე, შეემეცნე, არის საღმე თუცა რეტად, და ეცალე, თუ იმ სახისა მეცა შემქნა ერთხელ მჭვრეტად.“

- 400 ქალი მივა მოსწრაფებით, მხიარული, მოცინარად.
 უამბო, და გვერცა უზის, მოსმენილი ყველა წყნარად,
 მათ ეკალი მოეშორა, აღარ ესვა გულსა ნარად,
 და მადლი ღმერთსა, შეეტყობის: სწადსო ესე, ვეჭვ, საქნარად.
- 401 სახე მძისცა; წამოილო, მათ დაიდვეს გულსა;
 მოიტანა; მზემან ნახა; ჰევანდეს ერთგან დანერგულსა,
 ერთმანეთსა შეამსგავსეს, ვით ბეჭედი დაბეჭდულსა,
 და გაუკვირდა, თქვა, თუ: „ჰევასო ზეგარდამო გაგებულსა!“
- 402 საგონებელი შეექნათ, იყვნეს მართ ვერას მქნელია,
 ორნივე ერთად ტიროდეს, არ ცრემლი სდინდათ ნელია,
 მოსძულდა დიდი მეფობა და ეგზომ საქონელია,
 და არა იცოდეს, რა ექნათ მათ ჭირთა სამკურნელია.
- 403 დღესა ერთსა ხალიფამ თქვა,—მას ყმასთანა იყვნეს შინა—
 —„მეფეს ვნახავ, სიტყვა რამე მაქვს სათქმელად მისსა წინა,
 კარგმან კაცმან კარგი სიტყვა არაოდეს არ იწყინა“.
 და რა მივიდა, მეფემ ნახა, მხიარულად გაუცინა.
- 404 ახლოს დაისვა. უბრძანა სიტყვანი საამებელი:
 „რასა იქს იგი ლარიბი, მჭერეტთა ჭირთ განმკურნებელი?“
 მან თქვა, თუ: „ღმერთმან დალოცოს იმისი სახსენებელი,
 და სახე ხელთა აქვს, შესტირის, მიწყივ წინ სასვენებელი“.
- 405 უბრძანა: „უთხარ, მიჩვენოს მან იგი სახე ქალისა,
 ჩვენცა გავსინჯოთ, ცოდნა გვაქს მცირედთა სამართალისა,
 თუ მართლად ბნდების, მართლად სჭირს მას დება ცეცხლთა
 აღისა,
 და მეცა მეწყალვის მიჯნური, მწადსცა დადება ვალისა!“
- 406 ხალიფა მივა ომაინს წინაშე მახარობელად:
 „მოგცაო ღმერთმან წყალობა, მე ვარ ამისად მთხრობელად,
 რა სახე ნახოს, რომელი ჩანს მნათობთ დამამხობელად,
 და იცნობს, თვით იყოს ყოვლისა საქმისა გამამრჭობელად“.
- 407 მეფე იჯდა; სახე მიაქვს; მართ ხალიფას მიელოდა,
 დაინახა, ფიცხლა იცნა, არავის რას არ ეტყოდა,
 გაუკვირდა, მაგრამ ესე საქმე არად გავიდოდა,
 და თქვა: „ამისმან ვერა მჭერეტმან გულიმც მართლად დაიკოდა!“

- 408 მეფემან იხმო გამზრდელი—იყო ყოვლ გამოცდილობით,
უბრძანა: „გეშმის, ქვეყნად ხარ დიდთა სახლთა ზრდილობით,
ეს სახე არის პირ-მზისა საქმისა დაუცილობით,
და ვინ მისცა, თუ არ ღმერთსა სწადს ქალი მის ყმისა წილობით?
- 409 წა, ჰქადრე ჩემნი ნათქვამნი შენთანა, არ საწყენია:
«სრულად მისრეთის ქვეყანა და სხვაცა ბევრი შენია!
ტურფაა ჩემგან საჭვრეტლად ტანად ალვისა ხენია,
და მაგრა იგი სჯობს საქნელად, რაცა განგება ზენია!»
- 410 ამა მოყმესა ნიშანი ვინ მისცა შენთა სახისა?
არავინ არის კაცთაგან შენისა შუქთა მნახისა,
თუ განგებამან მოილო განხსნა ეშმაკთა მახისა?
და შესჯერდი ჩემთა ნათქვამთა, შენ ნუღარას ხარ მზრახისა.
- 411 პირველითგან შემოქმედმან განუწესა ადამს ევა,
ვინცა ქვეყნად არ იჯუთებს, მისთვის თქმულა დიდი წყევა,
ამა ყმასა უშენოსა სჭირს ლახვართა გარდახევა,
და დამიჯერე, უარეა მეტის-მეტი უკუწევა.
- 412 დავბერებულვარ, წამსვლია უამის მე, ყმაწვილობა,
ღმერთსა ვაღიდებ—მაღირსა, პირ-მზეო, შენი შვილობა,
მაგრა ქალი ხარ, შენ გიძეს მნათობთა თანა წილობა,
და დედათათანა კაცისა დიდი ძეს გამოცდილობა.
- 413 ამა მოყმისებრ ჭაბუკი არცა ვის ამბვად სმენოდეს,
ორნიევ ჩემად შვილად სხდეთ, შეეტყოს მტერთა—საწყენოდეს,
მან დაიჭიროს ქვეყანა, მისგან ყოველთა შენოდეს,
და თქვენ დაგრჩეს ჩემი სამეფო, სხვასამცა ვისღა შვენოდეს?
- 414 უთხარ: იცი ბრძენთა წესი, გაქვს ყოვლისა ნახაზობად,
შეგფერდების საქციელი ამაყობით და ნაზობად,
გიდგს ლაშქარი უთვალავი სამსახურის დანამზობად,
და შუქთა შენთა რად წაახდენ, რაღვან დაგსვა ღმერთმან მზობად?»
- 415 რა ქალსა ესმა ამბავი და მამის მოციქულობა,
დაუშრტა ცეცხლის, გამთელდა სრულად გულისა წყლულობა,
მართ, ვითა ვარდი აყვავდა, დაშვენდა მოკაზმულობა,
და მერმე დაუწყო გამდელსა ტკბილთა სიტყვათა თქმულობა.

- 416 კვლავცა უთხრა: „შენცა იცი, მწალს მამისა სიამოვნე, ოდეს ამბავს გვიბძანებდა, გახსოვს, ცრემლნი გარდმოვსთოვნე, ამად, რომე ის სიზმარი მეც მენაპა, მოვიხსოვნე, და გავეკრძალე ხელმწიფესა, რაცა მეთქვა, დავიხსოვნე.“
- 417 ჰკადრე: «მამა ხარ, ხელმწიფე, ჩემზედა ღვთულად ცხოველი, თქვენ გინდათ ჩემთვის კეთილი და აგსა არას მოველი, სრულმცა გექნების ღმრთისაგან, რაც გწადდეს მოსათხოველი, და მე რაღა გკადრო? იგი ქენ, რაც გინდეს, საქმე ყოველი.»

XIX. ჩალისაგან საჭროდ ჩამოყოლა და ვეზისაგან დიდად გახარება

- 418 „რაცა გებრძანათ, ვისმინე, მეფეო, ტკბილად ენითა, ბრძანებულისა თქვენისა ჩვენმცა ვით ვიყვნეთ წყენითა? აწ, რადგან ჩვენთვის წყალობა ღვთულადა იაზრენითა, და ნება დამირთავს, თქვენ იცით, რაც გწადდეს, იგი ქენითა“.
- 419 გამდელმან ჰკადრა მეფესა ქალისგან მონასმინები: „ყველა სრულ გექმნას უთუოდ, რაცა ღმრთისაგან ინები, არს თუ რამ ქვეყნად, ყოველი თქვენ გეყოს მოსალხინები, და ნება დაგროვო და გაბრწყინდა ბროლ-ლალსა, თანა მინები.“
- 420 რა მეფემან შოდსმინა იგი მისგან ნაუბარად, დაუტკბა და მოახსენა ერთობ მეტად საქებარად. ხმა დავარდა, ამ საქმისა ყველა იყო შემტყობარად, და „ვად, თუ მზესა მოვეშორეთ“—თქვეს—„არ გვიჩნდეს გამთბობარად!“
- 421 საკვირველება შეეჭნათ მისრეთს ამისა მსმენელთა, თქვეს, თუ: „მოჰკლევდის აქამდის კაცთ სახელისა მთქმენელთა!“ ზოგნი იტყოდეს: „შეუცავს სურვილთა მოუთმენელთა, და ჩვენ მზე წაგვართვეს მისისა გულისა დამამბენელთა!“
- 422 შეიქნა ყველგან ამბავი ქორწილად მომზადებისა, ომაინს ლხენა მიეცა მიწყივ სახმილთა დებისა. ლექსი დადგეს, და სიტყვები აწ სხვაებრ გაგრძელდებისა, და ვიცი, ამბავთა ჩამოჯრა უმეცრად დამედებისა!

XX. ახა ამბავი მისრთა ხელმწიფისა აღიერდარ შეფისა

ოდეს ალიექსარ შეფე 30 მისრეთისა ქვეყანასა ხელმწიფედ დაჯ-
და, სამეფო გვირგვინი თავსა დაიდგა, პირი მზისაებრ გაუნათლდა
და ტკბილითა გულითა და ამოთა თვალითა ლაშქართა ხედვიდა.
5 მოილეს ყოველგზით დროშები და ფერად-ფერადნი ალამნი, ყოველ-
თა ციხეთა და საჭურჭლეთა კლიტენი მოართვეს, მერმე ოქროსა
გუარითა გაფრჩვეულსა წახარსა ზედა თავადთა, დიდებულთა და
ერთობით ლაშქართა დალოცვად საქმე გამართეს. ოქროსა, პატიო-
სანთა თვალთა და მარგალიტსა გარდაყრიდეს; ლალ-იაგუნდი, მარ-
10 გალიტი, ზურმუხტი, ნიშაბური, ფირუზი და ზაბარჯადი რიყევითა
ეყარა: ოქროს ტაბაკებითა მრავალნი და დიდროვანი ალმასნი მიერ-
თმეოდეს; დაჭრილთა ოქროთა და ვერცხლთა გორი და გორი იდ-
გა, რომე ბიჯი არა წაიღვმოდა. ხუთსა დღესა და ღამესა ხელმწი-
ფესთან ესრეთ გაუწყვეტლად მილოცვა იყო. მეექვსესა დღესა ხელ-
15 მწიფებ ბრძანა, და ძეელთა სალაროთა კარნი გაახვნეს 31 და ყოვლი-
სა საჭურჭლისაგან ეგზომი გამოილეს, რომე სიმრავლესა კაცისა გო-
ნება ვერა მისწვევებოდა; უცხონი თვალნი, ღარიბნი მარგალიტნი,
ძვირფასისა საჭურჭლენი, ოქრო და ვერცხლი ლართაგან ჭიბა-ზარ-
ქაში. ჩაომა. ნახლნი და ატლასნი, ოქროაკაზმულობიანი ცხენნი და
20 ჯორ-აქლემნი იგი მორთმეული, და ესოდენი თავისი საჭურჭლე ერ-
თობილთ ლაშქართა ზედა გასცა: ძახილი იყო: რომელსაცა რომლი-
სა საქოხელისაგან უნდოდა, ესოდენსა მისცემდეს, რომე მეტსა ვე-
ლარა წაიღებდეს. ცხრას დღესა და ღამეს გაცემა იყო; ერთობით
ლაშქარნი შოვებითა აივსნეს. მეათეს დღეს ხელმწიფუნ ტურფათა
25 ჩანგისა მცემელთა და ამოსა მკვრელთა მუტრიბთა და შომლერალ-
თა თანა ნადიმი დაიდვა. სამ დღეს სმა და ლხინი იყო. მეოთხეს
დღესა ა ნა წერი მოილეს. რომელიც თავადნი და დიდებულნი ხელ-
მწიფესა თანა მეჯლისა ყოფასა ლირს იყვნენ, თავადთა სათავადო
და ეგრეთვე მათთა საფერად თვითოსა თვითო საპატრონო 32 მოუ-
30 მატეს: ლაშქარნი, ლვთის მადლის მიმცემელნი ხელმწიფისა ესოდენ
სიკეთისათვის, და თვით ხელმწიფე, მტერთაგან უკადრი, მორჭმული
და მხიარული. ყოველთა დღეთა სმა-ლხინი და დიდთა გასაცემელთა
გაცემა იყო. რა ლხინისაგან მოიცლიდეს, ბჭრთობა და ნადირობა,
არაბულთა ცხენთა დგენა იყო, და ქორითა და ავაზითა შექცევა.
35 ესრე ყოვლითა ხელმწიფურითა წესითა იყო კცევა, რომე ყოველთა
მეფეთა სანატროდ ჰქონდათ. ალიექსარ მეფისა საქმე გაისმა: ესეთი

შიკეთე, დოვლათიანობა და ჯომარცობითა, რომე ვერცა თვალად, 5
ფერცა ტანად, ვერცა ძალად და მამაცობითა [ტოლი არ ჰყავდა].
თვით სიუხვითა ნილოსისა ზღვა იყო; სიტკბოთა და სიტყვა-წყლია-
ნობითა, სიბრძნითა და ღვთის მოშიშობითა, მეცნიერობითა სავსე
იყო, რომე ვერას საქმითა მას ერთი კაცი ვერ შეედრებოდა. მეომ-
რობითა და რაზმთა მწყობრობითა მისებრივ აღარავინ იქნებოდა,
მოასპარეზობითა და მობურთლობითა მასთან ვერავინ გამოჩნდებო-
და. გაისმა მისი ესეთისა სიკეთისა ხმა ყოველსა ქვეყანასა, და ყო-
ველი გარეგანი მტერნი დაემონნეს და მოხარაჯობისა აჯა ითხოვეს. 10
რაცა ქვეყანასა უცხო და კარგი რამე გამოჩნდის, ყველასა მას მოარ-
თმევდეს. თვით მეტად ლაშქართ მოყვარე იყო მეფე და იგი ლაშ-
ქართაგან საყვარელი ბრძანდებოდა.

XXI. აჩა ჭიგნი სისტანელის გურჯი³³ ფალავნისა ალიე- ბარ მეფისა ჭინაშვ მოწერილი

გურზი ფალავნმან გონიერი მწიგნობარი მოიხმო, გვერცა დაისვა
და ხელმწიფეს წინაშე წიგნის დაწერა უბრძანა. პირველად სახელი
ღმერთისა ახსენა და განგებულება მისი, რომე დიდი და მცირე, ყო-
ველი მისითა მოწყალებითა იზრდების; მერმე ხელმწიფე დალოცეს
და დიადი ქება შეასხეს და სამსახურისა წატრა იკადრეს, და ესე,
ვითა: „სისტანის თავადთა უთავადესისა, დიდისა ნარიმან ფალავნი-
სა ნათესავი ვარ. პატრონმან მამამან და უფროსთა ძმათა გამაწყრეს,
მათისა აღგილისაგან ავიყარე დიდისა ჯალაბითა და დედაწულითა,
სხვასა აღგილსა უკუვდეგ, მათი საპატრონო ამოქსწყვიტე და ჩემი
მეტად ავაშენე. თქვენის ბედითა იგინი ვერც საომრად და ვერცა
სარბევად ვერა შემამიხდებიან, და მე ნიადაგ მათსა ქვეყანასა ვარ-
ბევ; ეზომი შევსცოდე, რომე მამის სირცეცილმა პირი დამიყო და მე
ამ ქვეყანას აღარა დავდგები. აწე, თუ ხელმწიფესა ეპრიანების და
ერთსა ასეთსა ქვეყანასა გვიბოძებს, რომე ამა ჯალაბისა სიმრავლე დაგ-
სტიოთ, ჩვენ ნიადაგ დიდითა ლაშქრითა კარსა ზედან მდევნი სამ-
სახურისა მოცადინარნი ვიქნებით,³⁴ და თუ არა, ამა ამბავსა მოვი-
ცდით და ინდუსტანის ქვეყანასა³⁵ წავალთ.“

ესე ნაწერი ფიცხად მავალ ცხენოსანსა მისცეს. რა წიგნი და აშ-
ბავი ხელმწიფეს მოუჭიდა, დიდად იამა, თავადნი და დიდებულნი
იხმო, ეს წიგნი წაიკითხეს; ერთობილთ ლაშქართ გაიხარეს ამად.

რომე გურზი ფალავანი მეტად სახელოვანი კაცი იყო. წიგნისა მომ-
ლებელსა მრავალი უბოძა და ორთა წინამდევთა კაცთა წასვლა
უბრძანა; დიდითა მოკაზმულობითა და მრავლითა საქონლითა ვაგ-
ზავნა.

5 XXII. შიგნი ალიგატარ შევისაგან გურზი ფალავანსათანა
გიშვილილი

„ფალავან! ნიადაგმცა გონება ნათლად ბარ და მტერთა ზედა
გამარჯვებით. შენი ამბავი გვესმა და წიგნი, წავიკითხეთ; დიდად-
გვეამა და კეთილისა დამპადებელს ღმერთს მადლი მივეცით ამად,
10 რომე ჩემს უამს და სიცოცხლეში ჩემი ქვეყანა გადიდდეს და ჩემითა-
სახელითა შეემატოს. აწე, რადგან შენ, ეგეთი დიდთა გვარისა ვინმე
სწორუპოვარი ფალავანი, თავსა დაიმდაბლებ და ჩემსა ქვეყანასა მო-
ხვალ, მოწმად ღმერთი იყოს: რაოდენიცა ქვეყანა. და, ადგილი გინ-
დოდეს, მოგცე და, რაცა შენისი გულისა ნდომა იყოს, ყველა აგია
15 სრულო და თვით ჩემისა თავისა ოდნად დაგიჭირო. ორნი თავადნი
კაცნი წინამძლოლად გამოგვიგზავნია, და ნუღარ დაიყოვნი, ფიც-
ხლავ წამოდი“.

რა მეფისა ბრძანება გურზი-ფალავანსა მიუვიდა, მეფის თავად-
თა წინა მიეგება და დიდითა გახარებითა ნახა ხელმწიფის წიგნი,
20 თავსა ზედან დაიდვა, და ბოძებულისათვის მადლი გარდაიხადა. სამს-
დლეს ლხინით გამოისვენეს და მეოთხეს დღეს ლაშქართა ზედან დი-
ლი საბოძვართა გასცა. ცხრასა დღესა მზადება იყო და მეათესა დღე-
სა აიყარნეს ასეთის ლაშქრითა, შუბთა სიმრავლითა და ფერად-ფე-
რადისა ალმებითა, რომე კაცთა თვალისაგან მათ უამესი ალარა ინა-
ხებოდა რა. ამაზედა მიესმა მამასა შისსა და მისთა ძმათა გურზი-
ფალავნისა წამოსვლა და დიდად შეიჭირვეს და გაუკვირდათ ფვი-
სის ქვეყნის გაწირვა. მეიყარნეს და დიდთა ლაშქრითა უკან მოწივ-
ნეს. რა გურზი მათი მისცვლა ესმა, სამისა დღისა სავალსა; დედა-
წული და მძიმე ბარგნი გაგზავნა და თვითან დიდთა მინდორთა ში-
30 გან მოცადა. რა ახლოს მივიდენ, გურზი-ფალავანს ოში ვეღარ გაუ-
ბედეს. მრავალის ცუდარითა და ტირილითა ეხვეუებოდეს: ნუ წახვა-
ლო, დიდის ფიცით შეგვჯერებთო, რომე ჩვენი საპატრონოც შენ-
თვის იყოსო. მან უთხრა: „მამა ჩემი ლაშქართაგან გამოდგესო, რომ
ვიცნაო და პასუხს ვეტყვიო.“ რა გურზიმ მამა იცნა, შებრალდა ამით,
35 რომე სიბერეს დაეჩინა, და თვალი ცრემლით აევსო. მარტო თავისა-
ლაშქართაგან გამოვიდა; რა ახლოს მივიდა, ჩამოხდა და მამას ფერხთ

მოეხვია და შეცოდების შენდობა ითხოვა. რა მისთა ძმათა შეიტყვეს
რომე ალარ დაბრუნდებოდა და მტრობა არ შეეძლოთ, იგინიც გარ-
დასდეს, გურჩი ფალავანს ფერხთ ეხვეოდეს. მან ძმათა პირს აკოცა.
ორთავე ლაშქართა შიგან დიდი ტირილი იყო. ავჯანდა მოართვეს.
მარტო გურჩი იმ ლაშქართაგან ჭამოვიდა და თავის ლაშქართა ში-
გან მივიდა. იარეს და, რა ხუთისა ღლისა სავალსა მისრეთისა ქა-
ლაქსა მიახლოვდეს, ხელმწიფეს აცნობეს. თვით დიდი ხელმწიფე და
სრულად ლაშქარნი გურჩი-ფალავანს წინ მოეგებნეს. რა გურჩი-ფა-
ლავანმა ხელმწიფე დაინახა, ფირცხლავ გადახდა, და მუნითაც მეფე
ჩამოხდა; ერთმანერთს მოეხვივნენ. ხელმწიფეს გურჩი-ფალავანი მე-
ტად მოეწონა და გაუკვირდა ესეთი მექრდ-მელავიანობა და ავჯანდა
შიგრძე. მობრუნდეს და ხელმწიფის სრათა ნადიმად დასხდეს³⁶. ხუთ-
სა დღესა მეჯლისი იყო და მეექვსესა დღესა ხელმწიფემან გურჩი-
ფალავანსა და მისთა ლაშქართა საბოძვარი უბოძა. მერმე ხელმწი-
ფემან გურჩი-ფალავანს კაცი მიუგზავნა, ვითა: „შენთა თავადთაგან-
ოთხი გონიერი კაცი გამოარჩივე, და მეც თავადთა გავატან; თვი-
თო-თვითოს მხარს წავიდნენ, ოთხნითვე ჩემი ქვეყანა მოიარონ და,
რომელიც მოეწონოსთ, იგი დაიჭირონ, და ჩვენ ჩვენს სიცოცხლეში.
ერთმანერთს ნუ გავეყრებით“.

გურჩის ამის მადლობა ეტქვა. კაცნი გაგზავნეს, და ორი ადგილი 20
მოსწონებოდათ. გურჩი-ფალავნის საპატრონო ორად გაყვეს ამად,
რომე დიდი იყო³⁷ და ერთს ქვეყანას ვერ დაეტეოდა. დავარდა ხმა
და გაისმა ამბავი, ვითა მისრეთის ხელმწიფეს ერთი ვინმე ფალავანი
მოსელია, რომე მისებრივ ჭაბუკი ქვეყნისა პირზედა არავის უნახავს.
პირველადცა გარეშონი ადგილნ დამონებული ჰყვანდათ. ამ ამბავსა
ზედან მტერნი მეტად შეშინდნენ, რომე დიდთა რომთა პაპისა ნემსა 25
ქვეყნისა. ლაშქართაცა მოხარუჯეობის ზავი ითხოვეს.

მეფეს ერთი პირ-მთვარე და ესვა, ფარდავსა შიგან გაზრდილი
შეტად სათუთად, ყოველთა დიდთა მეფეთა წესითა მზისაცა უნა-
ხავად აღზრდილი. იგი ქალი ხელმწიფემან გურჩი-ფალავანს ბანო-
ვანთა თავად მისცა. დიდის ნიჭითა და მრავლის საჭურჭლითა და
ყოვლის ხელმწიფურისა წესითა სრულად მისრეთი მოიწვივეს. რესა
დღესა ქორწილი იყო, რომე იმ ლხინსა და გაცემის ქება კაცთა სა-
თქმელადაც ძნელი არის. იმ დღითგან ხელმწიფეს გურჩი-ფალავანის
მოსელით მტერი არსად გაუჩნდა და აღრც სად გაილაშქრა. სხვასა
ქვეყანასა ლაშქრობა გურჩის დაანება და სარდალიც გურჩი-ფალა-
ვანი იყო და მოლაშქრეცა და თვით მეომარიცა, რომე გაისმა მისის
შფააღრობისა და მარტოსაგან დევთა შემკვერელობისა ამბავი³⁸. იმ

5 უაშს შისი მებრძოლი აღარავინ გამოჩნდა. ხელმწიფე ლხინსა და სია-
მოვნესა შიგან იყო: ყოვლის ადგილით და სანაპიროთაგან მტერთა
გატეხისა და მშეიღობის ამბავი იყო; მრავალთა ხარაჯათა და უც-
ხოთა ძეირფასის საჭურჭლისა მოდენა იყო. ესრეთ, ყოველი კეთილი
და სიამოვნე მისრეთშიგან განმრავლებულიყო.

10 ამ უამსა გურზი-ფალავანს მეფის დასთან ერთი ვაჟი მიხვდა,³⁹ ტურთა და შეენიერი, რომე მისებრი არავინ იქნებოდა; მასვე წამს
ფალავანთა გვარობა შეეტყობოდა. მეფეს დიდად იამა ამად, რომე
თვითან ვაჟი არა ჰყვანდა და მას თავისად შვილად გამოელოდა. დი-
დი სიამოვნე და ლხინი გაპხდა მისრეთსა შიგან. ორმოცსა დღესა
ყოველთა უამსა სმა და ლხინი იყო, და ვაჟსა მათისავე გვარისა სა-
ხელი ზავარ დაარქვეს. ვითა ხელმწიფურად დიდთა თავადთა და
ფალავანთა წესი არის, ეგრეთ იზრდებოდა. ესოდენსა მისრეთას მე-
ფესა და მისსა სამეფოსა სიმდიდრესა და სიხარულისა შიგან ესე იყო.
15 შათი ნაღველი, რომე მეფეს არც ძე და არც ასული არა ჰყვანდა,
და განგებითა ლმრთისათა ამ უამად დაორსულდა ტედოფალი. მაგ-
რამ არ ითქმის, რომე მის ქვეყანას სიამოვნის საქმე იქმნა! და მო-
ვიდა უამი, და ასული მიეკა, რომე მაშინვე მზესა ჰგვანდა, და ლმრთის
წინაშე მრავალი მაღლობა შესწირეს და იმ ქვეყნისა გლახაკნი მი-
20 ცემითა დაამდიდრეს. ყოვლისა ადგილისაგან დიდთა მეფეთა. სწორ-
ნი და თავადნი, და სრულად ლაშქარნი მოვიდნენ. ორმოცდაათ-
დღესა მილოცვა და ლხინთა სიამოვნე იყო. მერმე ჯალაბი გაიყარა
და ქალი, ვითა დიდთა მეფეთა წესია, ეგრედ იზრდებოდა. სახე-
ლად ბურნე-მელიქ უწოდეს. ამ უამმან მრავალი უამი სიამოვნით და-
ლინით წაირა.

25 ეს პირ-მთვარე ქალი გაიზარდა, რომე მისებრი მნათობი ქვეყანა-
თა ზედან არ დაბადებულიყო. ხელმწიფეს დიდი სიყვარული და სია-
მოვნე ჰქონდის: ერთისა ტურფისა ასულისაგან კიდე არა ჰყება რა.
ამ უამად, სოფლის წესით, გურზი-ფალავანი მოკვდა, და ძე მისი,
30 ზავარ, თავსა მოესწრო, რომე შეენიებითა, სისრულითა და ყოვლისა
მამაცურისა და ფალავნურის წესითა მამასა იგი სჯობდა. ხელმწიფე-
სა, თავადთა, დიდებულთა და, სრულად ლაშქართა გურზი-ფალავნის-
სიკვდილი ეწყინათ და დიდი გლოვა და ტირილი გარდიხადეს. მერ-
35 მე მისი შვილი, ზავარ, მოიყვანეს და მამის ადგილს დასვეს ლაშ-
ქართა სფაადრად და ლმერთსა დიდი მაღლი მისცეს, რომე ყოვლი-
სა საქმითა მამასა იგი სჯობდა. და დიდის ლაშქრით რომთა პაპის
ნემს ⁴⁰ ქვეყანას მონაპირედ გააყენეს. ვირემ ხელმწიფემ არ იხმის
ზავარ-ფალავანი სრულად მუნ იყვის, და რომის ქვეყანას მისგან დი-
დი შიში ჰქონდის, და ზავსა ეხვეწებოდის და მისის შიშით მისრე-
40 თის მეფეს მსახურებდის⁴¹.

XIII. აშა მისრეთის ხელმიწის ალი-ეჩბარ მეფისაგან თავისი ასულის
ბუჩე-შელიშის ხელმიწედ დასხის გამორჩევა

ხელმწიფემ ზავარ-ფალავანი, ერთობილნი თავადნი და დიდებულ-
ნი იხმო და ვეზირნი გვერც დაისხა და ესრეთ უბრძანა, ვითა: „გო-
ნიერად გაიგონეთ: მოვიდა ჩემზედაც იგი უამი, რომე ქვეყანასა ზე-
დან დაბადებულსა არ ასცილდების. ღვთისა განვებითა. ჩემმან დღე-
მან სიმხიარულესა შიგან წაიარა. აწე სიბერე გამომჩენია, და ვაჟკა-
ცობისა დრო დამალულა. თქვენცა იცით, ქვეყნის გადიდების და
მტერთა დახედვისათვის მრავალი კაცი მამიქლავს და სოფლის სი-
ყვარულით ბევრსა ცოდვასა შიგან შევსრულვარ. აწე წესია, რომე
ავნაქმართა ქვეყანის ხელმწიფეთაცა დიდითა სამსახურითა უნდა შენ-
დობა. და თქვენგანაც ამას მოველი, რომე ჩემგან კარგნაქმარი მოი-
გონოთ და ამისი ნება დამრთოთ, რომე—ჩემმან ასულმან ყოველი
საქმე და მეფობის წესი ჩემგან უკეთ იცის—და ხელმწიფედ იგი დავ-
სვათ, და კარგი და ავი მან გააგოს“.

5

10

15

20

25

30

35

რა ლაშქართა მეფისაგან ეს მოისმინეს, ერთობით თავადთა ცრემ-
ლი სდიოდათ და ვერავინ რას იტყოდა და ყოველთა ზავარზედ თვა-
ლი ეჭირათ. ფალავანი ზე ადგა, ხელმწიფე დალოცა და მოახსენა:
„მალალო ხელმწიფეო! ამა ძნელმან გასაგონარმან ჩენი გული და
გონება შეკრა. ხელმწიფედ ხუთის დღის წყალობა გვიყოს, რომე გვა-
ცალოს და მეექვსეს დღეს ჭასუსა მოვახსენებთ“.

ეს ზავარის ნათქვამი მეფესა და თავადთა მწვედ მოეწონათ. მას
დღეს ყველანი თავ-თავისათვის წავიდნენ და ხუთს დღეს ერთობილად
ზავარ-ფალავნის სადგომს იყვნენ და რჩევა მუნ იყო. მეექვსეს დღეს
ხელმწიფე და თავადნი მუნვე დასხდეს. ზავარ-ფალავანი წამოდვა და
მოახსენა: „ხელმწიფეო! ლაშქართათვის დიდად საზარო სიტყვა არის
თქვენის ნებისა დართვა და თქვენი აღარ-ხელმწიფობა. პირველად,
ჯერეთ სიბერის ნიშანი თქვენვან შორს არის და მერმე, თქვენს ნა-
თქვემს და ნაქმარს საქმეს სხვა ვერავინ იქს. მაგრამე ღვთის წინაშე
თავშეწირულს და ლოცვად გამზადებულს კაცს საქმე არ დაეშლების.
დია, ღმერთო, თქვენი ბრძანება უნდა გათავდეს. ჩენ, ლაშქართა, ნე-
ბა დაგვირთავს. იგიცა თქვენი შვილი არის და მასცა თქვენი საქმე,
და ყოველი რიგი ეცოდინების, და ჩენცა მიკი დიდი სიბრძნე და
მეტი სიკეთე გვასმია. მაგრამე ჩენ, ლაშქართა, ესე საჭიროდ გვი-
შეს, რომე თქვენი ასული კაცთა არა ნახავს და არცა კაცთა ხმასა⁴²
გაიგონებს, და მისნი მხევალი მასთანა კაცისა სახელსა ვერ ახსენე-

ბენ. ამ წესით ესოდენი დიდი სამეფო და ესე უთვალავნი ლაშქარნი ვისგან გარიგდებიან?“

ხელმწიფეს ესე ნათქვამი მწვედ მოეწონა და ესრეთ უბრძანა:
„ჩემი საგონებელიც ეგ არის! მეც მეძნელების და ჩემს ასულს ვჰკით-
5 ხავ და მერმე ლაშქართა პასუხს ვეტყვი.“

XXIV. აქა მეფისაგან თავისი ჩალისათვის ხელმჯიფობის შე- ძლევა

მეფემ მოიხმო ერთი ვინმე უფროსი გონიერი ქალის გამზრდელი და ეს-
რეთ შეუთვალა, ვითა: „პირველად კაცისათვის ღვთისაგან წყალობა ეს
10 არის, ვისცა შვილს მისცემს; და უშვილო გამხმარსა ხესა ჰგავს, რო-
მე არცა ძირი პქონდეს, არცა ქვეყნისა მწვანილოვანის ფერი. რადგან
ლმერთმან შენებრივ გონიერი ღვთის მოშიშობით და მეცნიერობით
სავსე, კეთილი რასამე საქმისა ძებნა, რომელსაც შვილსა მამა უყვარს,
იგი დიდს საუკუნოს შოების საქმეს მოუცდომლად და შეჭირვებით მოუ-
15 ძივებს. წესია, რომე ხელმწიფური ქცევა, ოქროთა და თვალ-მარგა-
ლიტთა ცვეთა, სოფლისა სიყვარული არის, და ბევრი ამ რიგი სოფ-
ლის სიამოვნით, ანუ კაცთა კვლა, ანუ მრავლის საქონლის დადება,
ანუ სხვათაგან ქვეყნისა წალება—მეფენი ამ საქმისაგან ვერა მოჩე-
ბიან. მაგრამე ამ სიტყვისაცა მოხსენება ჯერია, რომელსა იტყვის
20 პირი ღვთისა: «სიყვარული ამის სოფლისა მტერობა არს ღვთისა.»
ჩემი სიტყვანი გაიგონე: მეფობა შენ ქენ, კარგი და ავი შენ გააგე,
და მე ამ სიბერის ქამსა ცოდვათა სინანულად გამგზავნე. მე ამა საქ-
მესა არა კითხვად მოვილებდი, ვირემ ტახტსა ზედან სახელმწიფოს
გვირგვინს არ დაგარქვემდი, მაგრამე შენ კაცთა არა ნახავ და არც
25 გათსა ხმასა და სიტყვასა ისმენ. შენნი მხევალნი შენთან კაცთა სა-
ხელსა ძნელად ახსენებენ. აწე, თუ ჩემის ნება-წაღილობის შვილისარ
და ჩემი საქმე შეგჭირს, ჩემი ნათქვამი ისმინე და ხელმწიფობაცა შენ.
ქენი და ამ კაცთა უიმედოდ გახდომისა ერთი რამე მოუგვარე და
30 ლაშქართა იმედი დაუდევ. ხვალე ჩემგან პასუხსა ელიან.“ რა ქალმან.
მამის ნაუბარი გაიგონა, დიდხანს ცხელის ცრემლით იტირა და მერ-
ძე მეფეს პასუხი შეუთვალა.

XXV. აჩა ბურნი-შელიქისაგან გამის ჭირაზე გოცირულის
მიზრუნება

ქალმან თავის გამზრდელს უბრძანა: „ხელმწიფისა წინა მოკრძალვით და შიშვნეულად იყადრე სიტყვა, რომე იგი ცათა მბაძავი არ გააწყრომო და ესრეთ მოახსენე: რაც მოწყალის გულით და ტკბილის ენით ებძანა, ყველა გავიგონეთ. მეფეო! თქვენის სიტყვისა შეცილება მაღალს ეტლსაც არ შეუძლია. ვიცი, რომე თქვენგან ეს ჩვეულება არის—აროდეს პასუხი არავისაგან მოგბრუნებია და რაც გიბრძანებია, იგი აღვსრულებია. აწე, არცა ჩემი ნათქვამი არის თქვენისა ბრძანებისა შეცილებული. ქსოდენსა ვიაჯი, ხელმწიფე 10 არ განწყრეს, ვირემ ჩემი ნალბარი არ გათავდეს. ეს უბრძანებია: დავბერებულვარო, ღმერთისა წინაშე ჩემთან ავნაქმართა შენდობასა მოვითხოვო. პირველად, მეფე არც ბერია და არცა შეუძლო; მრავალთა ახალთა ჭაბუკთა ენატრების მისი სიბრძნე და იგი ძალ-გული, და თვით ხელმწიფესა ავი და უჯერო 15 არა-ოდეს უქნია. ესე არც საეჭო არის, რომე მეფეს ავი რამე მიუძლოდეს; თუ კაცი მოუკლავს, ავაზაკი და უბრალოდ საქონლისა მტაცებელი—ღმერთს ეს არ ეწყინების. უღონოთა მეშველად ქვეყანათა ზედან ხელმწიფე დაწესებულა, და სხვა თავისა დღეთა შიგან კეთილისაგან კიდე არა უქნია რა. ჩვენგნით ითქმოდეს, ესე სჯობს, 20 რომე ჩვენზე მტერთა იმის⁴³ ხსენება არ გაუმრავლოთ⁴⁴. ხელმწიფე ეგრევე ტახტის მაშვენებლად იჯდეს, და ჩეენ ეგრეოთვე მონობასა და სამსახურსა დავჯერებულვართ. თქვენსა წინა მრუდის თქმა არვის შეუძლიან. მე არც მეფობისათვის და არცა სიდიდისათვის, არც სატანჯველისა და სიკვდილისათვის კაცთა არც ნახვითა, არც 25 სიტყვისა სმენითა არ მოვიახლოვებ. და, თუ კვლავცა მოგიწადინებიათ, —და გვიბრანებთ, ღმერთმან თქვენი უნდომი ნურაოდეს ქნას: ხელმწიფემ იცის: სულ ნათელის, პატიოსნებს⁴⁵ დედის ჩემისაგან დაზრდილნი და ყოვლის ქვეყნისა, თქვენის სახლის წესისა მცოდნენი, ჩემი გამზრდელნი და მხევალნი მწიგნობარნი და გონიერნი მრავალნი არიან: თვითოს თვითოსა საქმისა უფროსად გავიჩენ, და, რაც გარევანი საქმე იყოს, თავ-თავისასა უფროსად გაჩენილსა აცნობონ, და იგინი მე შემავონებენ. შინათვან ხელმწიფურად საქმეს გავაგებ და გარევან ბრძანებას გამოვსცემ.“ 30

მეფეს ქალის ნათქვამი მოეწონა და ლაშქარნი იხმეს.

35

XXVI. აკა შეფისაგან ლაშქართათვის ჩალის ბრძანების უშავ

ერთობით ლაშქარნი მოიხმეს; ქალის ნათქვამი წიგნად დაწერილი მოიღეს. გონიერი მწიგნობარი წამოდგა და ხმამალლად წაიკითხა. რა ესე გაიგონეს, ერთობილთ ლაშქართ იამათ და მოეწონათ.

- 5 მერმე ზავარ-ფალავანი ზე ადგა, ხელმწიფე დალოცა და ესრეთ მოახსენა: „ვითა თქვენსა გვარსა და თქვენს შვილობასა და თქვენს გაზრდილობასა ჰყერობს, ეგრეთ უბრძანებია. ჩვენვან რა საღირსო არის მზის საჯუფთარის. ნახვა და ანუ პირდაპირ პასუხი? ჩვენ არა ჩვენისა ჭუუითა ვყოფილვართ, ნიადაგ ბრძანებისა მორჩილნი, სამსახურად წელშერტყმულნი ვდგომილვართ: აწცა, დია, ღვთითა და თქვენისა ბედითა, რაც ბრძანება გამოვა, ჩვენ ადრე და დაუყოვნებლად გავათავოთ.“
- 10 ეს ზავარის ნათქვამი იამათ. მუნით აიყარნეს, და შეიქნა ხელმწიფობის მოლოცვის მზადება. ხელმწიფე მივიდა მარტო. ქალს ოქროს ტაბაკით გუარი გარდაყარა. ხელმწიფედ დალოცა. გამოიყვანა და თავის სახელმწიფოს ტახტსა ზედან დასვა, და იგი უებროვ გვირგვინი თავსა თვის ხელით დაადგა; საჭურჭლეთა, ყოველთა. ციხეთა და ქალაქთა კლიტენი წინ მოართვა, დროშა და სახელმწიფო იარაღი ახლოდ არა მოიხვნეს, და სიტყვით მოახსენა. მეფისა-გან კიდე კაცთა ნათესავი სიახლოვეს არ იყო. მხევართა სიმრავლე და ანგარიში კაცთაგან არ შეიგებოდა. დაიწყო მოსალოცავმან. შორიდამ მოლოცვად მოდენა. პირველად ზავარ-ფალავანისა მოვიდა, რომე ლართა სიტურთე, ლალ-იაგუნდთა სიკეთე, მარგალიტთა ლარიბობა და ოქროსა სიმრავლე კაცისაგან არ შეიგებოდა. მერმე

- 15 20 25 30 35 სხვათა თავადთა, დიდებულთა და ერთობრლთა ლაშქართაყან, ყოველგნით მოქალაქეთაგან, რაც მოვიდის, პირველად კაცისა სახელი ეწერის და მერმე, რაც მოერთმეოდის. ათს დღეს ესრეთ იყო⁴⁶. მეთერთმეტეს დღეს ანაწერი იასეს. რა თავალთა სახელი გათავდა, ქალმან მამას ჰყითხა; „მეფეო! თავადთა ზოგთა ვიცნობ და ზოგი მენიშნების, მაგრამე ზავარ-ფალავანი ვინ, არის, იმდენი რომ მოილო მოსართმევი⁴⁷“ მეფემ გურზი-ფალავანის მოსვლითგან აქამდის ცველა-უამბო და ზავარის დიდი ქება ესე, ვითა: „ზავარ სხვათა თავადთა არა ჰყავს, პირველად — ჩემის დისა შვილია და მერმე — ერთი უებრო. მეომარი⁴⁸ და დიდის საპატრონოს პატრონი. მას უფროსი პატივი: უნდა და პირველ საქმის გარიგება.“ მეფე ადგა და ლაშქართა წინ. სკამით დაჯდა. რაც ვეზირნი, დავთართა მქონებელნი და ანუ ნწე-

რალნი იყვნენ⁴⁸, უბრძანა: „წადით და, რაცა ანაწერი ჰქონდეთ ლაშქართა, ქალაქთა, ქვეყანათა ყოვლის საჭურჭლისა და ხეასტანგისა⁴⁹, ყველა მიართვით და, ვითა სწადეს, თვით გააგოს“. მერმე ზავარსა და ლაშქართ უბრძანა: „ღმერთმან! მისი თავი თქვენთვის და თქვენი თავი იმისთვის ბედნიერად ყოს; დღეითგან ის არის ხელ-მწიფე თქვენი.“ ლაშქარნი ალიექსერ მეფეს ფერხთა მოეხვივნეს. და მეფე სადგომად წავიდა. ერთობილნი ლაშქარნი და თავაღნი ქალის⁵⁰ კარად მდგომნი იყვნეს.

XXVII. აჯა ბურე-მელიძე ხელაშივისაგან ხელაშივობის გარი- ვება

პირველად ბრძანა: ორმოცს ადგილს ფერად-ფერადისა საჭმლისა მზადება იყო; ლაშქარნი ორმოცად გაიყვნენ და თვითოსა ადგილსა ესოდენსა მიიღებდეს, რომე სიმრავლეს კაცი ვერ მიხვდებოდა. მერ-მე ბრძანა, და ყოველი ანაწერი მოართვეს. პირველად ლაშქართ სამრავლის რიცხვი მიითვალა, მერმე ციხეჯა და ქალაქთა, მერმე სალაროთა და საჭურჭლეთა, მერმე თემთა და ქვეყანათა, მერმე ჯოგთა და ხეასტანგთა, მერმე სონლულთა, ქორთა და ავაზთა. რა ესე გათავდა, მოიხმო უფროსი გამზრდელი, მეტად ჭევიანი და გო-ნიერი და ესრეთ უბრძანა: „შენ ზავარ-ფალავანსა და მისსა საპა-ტრონოსა ზედან დამიყენებიხარ; გაფრთხილდი და მის სამსახურს კარგად ეცადე; რაც მისი ნდომა იყოს, ფიცხლად მაცნობე. მე ესე მწადიან, რომე პირვანდლისაგან ათწილად უფრო გადიდდეს. მიდი და ესე მისართმეველი მიართვი და ესრეთ მოახსენე, ვითა: «მასმია, რომე რომის ქვეყნის მონაპირობას შენვე გეტყვით. სხვა ვერავინ იქს ამად, რომე ესოდენსა მათსა სიმრავლესა შენის ფალავნობისა და მეომრობისაგან ეშინიან, და თქვენ მუნვე წადით და თქვენს მუ-ნებურს ამბავსა ადრე გვაცნობებდით.»

რა გამზრდელი მივიღა და ზავარ-ფალავანს მიართეა ათასი უკუ-თესი ცხენი, ათასი ჯორი, ათასი აქლემი, სონლულთა, ქორთა და ავაზთა სიმრავლე არ შეიგებოდა და არცა სხვათა საქონელთა სიბევრე არ დაითვლებოდა, რომე ესე ჯორ-აქლემი სრულად ტურფისა ლარითა, კარავსათენელითა კიდებული წინ მიიძღვანა და ხელმწიფის ბრძანება მოახსენა. ფალავანმა მიწას აკოცა, მერმე ზე აღგა და ხელმწიფე დალოცა. და გამზრდელს პირს მოეხვია და დედობის სიტყვა უთხრა. მას დღეს ლხინით გაისვენეს, მაგრამე საბოძვრის სიმრავლე უკვირ-ა. მეორეს დღეს დიდითა მოკაზმულობითა და მრავლითა ლაშქრი-

10

15

20

25

30

35

- თა ბრძანებულს ადგილს წავიდა. მერმე ლაშქართ ბოლუქ-ბოლუქად.⁵¹
 თავი გაუჩინა და ლაშქარი შეავეღრა. მერმე ციხეთა და ქალაქთა
 თავი დაუყენა, მერმე თემთა და ქვეყანათა მოურავნი გაუჩინა, მერ-
 მე მთათა, ბართა და მინდორთა მცველნი გაურიგნა; ეგრეთვე ზღვა-
 5 თა მენავეთა უფროსნი დაუყენა; ცხენთა, ჯორთა, აქლეთა და ხვა-
 სტანგთა ცალკე-ცალკე თავი და თავი გაუჩინა; და შიგნით ყოვლის
 კარის მოხელენი გარიგებულნი იყვნენ და გარეგან იგივე მამის
 ვეჭილნი, ვეზირნი, ლაშქარნი, სფაალარნი და ქვეყნის უფროსნი
 თავისავ პირვანდელს წესზედა არავინ მოშალა, და ლაშქართა ზედან
 10 დიდი საბოძვარი გასცა და თავ-თავისა ადგილსა გაუშვა. ყოველმან
 ხელმწიფურმან წესმან პირვანდელს აჯობა. რაც გარემო საქმე,
 იყვის, თავ-თავისი ზედამდეგს მხევალს აცნობებდენ და იგინი
 ხელმწიფეს მოახსენებდიან. და რაც ბრძანება გამოვიდის, ფიცხლავ
 გაათავიან და ალუსრულიან.
 15 ამ-წესით სამშან წელიწადმან გაიარა ბურნე-მელიქის ხელმწიფის
 ხელმწიფობასა შიგან, რომე ეს ომაინ-ჭაბუკი მისრეთს გამოჩნდა.
 უფროს გამზრდელს ზავარ-ფალავანისათვის პირობა და იმედი მიეცა,
 რომ: „ამ პირ-მთვარემან ქმარი ინდომოს და თუ კაცთა სახელი ამას-
 თან იხსენებოდეს, შენს შეტი ქმარი არ ვინდომო, და ნურცა ეჭვი
 20 გაქცს, რომე ქვეყანასა ზედა კაცი შენსა უნდომოსა საქმეს შეგე-
 ცილოს“. ზავარ ამ იმედსა ზედან იყო და დღე და ლამე ქალის
 სურვილი ჰკულევდის. რა უფროსმან, ზავარის დედად ხმობილმან,
 გამზრდელმან ომაინისა და ქალის საქმე და შეპირება შეიტყო;
 გაუცვირდა და ქალს მოახსენა: „ესე რა გავიგია, რომე არად საჭარ-
 25 გო საქმე არის! ზავარ გმირი, რომე მისებრივ არა გამოსულა რა, იგი
 შენსა სურვილსა მოუკლავს. მე სიტყვით ვაყენებდი და იმედი მიმე-
 ცა, თვარემ ცამდი ამალლებულსა მთას ქუსლით დააქცევდა. რა მას ეს
 საქმე მიეხმის, ქარივით წამოვა და, იცოდე, მისსა უნდომსა არცა.
 ყმასა და არცა დიაცსა არ დაარჩენს, და იმა ლარიბისა მისგან სიკუდი-
 30 ლი, მეშინიან, ღმერთმან შენ არ გიწყინოს. ჩემგან თქმა იყო და სხვა
 ყველა თქვენ უკვეთ ცცით.“ ქალმან ამ ამბავს არა დია ყური მიუგდო
 და გამხრდელი სხვა რითიმე ქართულითა შეიჯერა.
 ამაზედ მიეხმა ზავარ-ფალავანს ესე ყოველი ამბავი რომის, სანა-
 პიროსა, ვითა: მოვიდა ვინმე ლარიბი მოყმე, შვენიერი და ყოვლის
 ზნით შემკობილი; ამე ქალს იგი მოუნდომებია, და მამას ნება დაურ-
 თავს, და საქორწილოდ მზადებაში არის.*
 რა ზავარს ესე ესმა, უჭიკვოსავით გახდა და თავი ჯავრით გაე-
 ტენა. სამსა დღესა დარბაზის კარი დახშო და შეოთხესა დღესა
 გონიერი მწიგნობარი მოიხმო და თავის ზედამდეგს გამზრდელთან
 40 წიგნის დაწერა უბრძანა.

XXVIII. არა ზავარ-ზალავნისაგან ზიგნის მიურა თავის ჯედაგ-
ლებ გამარდელთან

ესრეთ, ვითა: „დიაცთა წესი არის ოცუცილი და მუხთლობა მრავა-
ლი, მაგრამე შენგან არ ველოდი ამას ამაღ, რომე დედობისა
სახელი დაიდეს; მე შენგან მოიმედე ვიყავ, ჩემს მეტის კაცისა სახე-
ლი მას მანდ ვერავის ეხსენა. აწე მე მამალორეთ და საქმის გარიგე-
ბა სხვა რიგად გწადიან. დია მიკვირს, რომე ვერ მიმნვდარხართ
და ცუდსა რასმე და საეჭვოს ჩაცვენილხართ. ეგ არ იცით, რომე
აგრე არ იქნების? საწუთროს დამბადებლის სახელს დავითიცავ, მის-
განვე ბრძანებით შექმნილსა მზესა და მთვარესა და ჩემთა ნათესავთა
გმირთა ფალავანთა სულის მზემან, არცა შენ დაგარჩენ და, ვინცა
ხორციელი მაგაში გარეულა, არა ერთს ცოცხალს არ გარდავარჩენ
და თვით იმ მოყმეს საწყლად მუშტით მოვჰკლავ და, თუ მეფე, ანუ
ქალი ჩემს ნებას არ იქმონენ, მისრეთს სრულ ავაოხრებ. ათის დღით
უწინ ეს ამბავი მოგივათ — ანუ მშეიდობად, ანუ საომრად მზანი იყა-
ვით“.

5

10

15

20

25

30

ეს ნაწერი ფიცხლად მავალსა კაცსა მისცა და თვითანცა აჩქარდა. სამს დღეს აემზადა და მეოთხეს დღეს იმავე წიგნს უკან წაუდგა.⁵³ რა ეს წიგნი გამზრდელს მიუვიდა, წაიკითხა და მეტად შეშინდა; აჩქარებული და თვალ ცრემლიანი ქალთან მივიდა. წიგნი წაიკითხეს, მაგრამე შეეტყობდა, რომე იგიცა შელონდა. მერმე გამრზდელმან მოახსენა: „წინათაც ვთქვი, და ჩემი ნათქვაში არად გაიგონეთ. თქვენ ამ ფალავანის ამბავი არ იცით; ვითა გაგულისებული ზღვა მუჭით არ დაიჭირვის, აგრევე მას სხვის კაცისაგან არა ევნების რა. თუ ცაზე-
დაც გასვლა თქვას, მასაც გაათავებს. აწე ცეცხლი წყლით დავავ-
სოთ, ვასწრათ, და მისის ნების ამბავი მიესწეროთ, ნუ თუ დამშეიდ-
დეს და არც ეს ლარიბი მოყმე მოკვდეს და არცა ჩვენ აგვწყვიტოს,
და თუ მე არ მამისმენთ, ვინც პირველად საქმე გაამრუდა, მანვე
გამართოს. მე აწვე ჩემი დედა-წულით ზღვასა შიგან შევალ და გა-
ვეცლები და იმ ლომქაცს გაგულისებულს არა ვნახავ.“ გამზრდელი
წავიდა, და ქალი ომაინის სიყვარულით ატირდა, რომე ზავარ-
ფალავანისა დიდი გმირობა და მეომრობა სმენოდა და, ამისთვის და-
ლოხდა.

XXIX. აჩა ბურე-შელიძ ხელმოფისაგან ჩალაპთ უცრო-
სის ჩალის ხოლა და საჭირო გამოსახვა

5 რა ქალაქთ უფროსი მოვიდა, ხელმწიფე შეწყენით და ოფალ-
ცრემლიანად ნახა, მოახსენა: „ხელმწიფეო! რა იქნა ქვეყანათა ზედან
ასეთი, რომე, თუ იგი ლომ-გული ომაინ ცოცხალი იყოს, თქვენს
გულსა ნალველი შევიდეს?“ დაჯდომა უბრძანა და გამზრდლის
ამბავი ყველა უამბო და ზავარ-ფალავანის წიგნი ხელთ მისცა. წაი-
კითხა და გაცინებით მოახსენა: „ხელმწიფეო, რად გონია ესე, რომე
ომაინისებრი ჭაბუკი ქვეყანასა ზედან დაბადებულიყოს? ეგ ნურად
10 გერიდების: მას მეომარი არად მიაჩნია და არცა რას ახსენებს. მე
დიდად მეამების, თუ ომაინს ჭაბუკი და მებრძოლი ვინმე გამოუჩნდე-
ბის⁵ ამად, რომე ნუ თუ შენ ეგეთი არ გეგონოს და მისი საქმე მაშინ
გამოჩნდების!“

15 მერმე უბრძანა: „წადი და ეს ზავარის წიგნი მიართვი და ამბავი
ყველა მოახსენე. და, რაც მან ბრძანოს, გამზრდელმან იგი შესთ-
ვალოს.“ რა ქალი მივიდა ომაინს წინა და წიგნი მიართვა და ამბავი
მოახსენა, მან უბრძანა, თუ: „დია, ღმერთო, სჯობს, თუ ჩემი მეომარი
ვინმე გამოჩენილა ამად, რომე უომრად და ჭირთა უნახველად ნაშოვ-
ნი ცოლი მაყვედრებელი იქნების.“ ომაინ მწიგნობარი მოიხმო და
20 ზავარ-ფალავანის წინაშე წიგნის მიწერა უბრძანა. პირველად სალამი.
და მერმე ესე, რომე: „ფალავანო, რაცა შენ ქვეყანასა ზედან სიღიდე
გითქვამს, იგი არცა ცათა შიგან დაეტევის. მეტად ამაყურად გამ-
წყრალხარ ჩემზედა! ვერცა გიცნობ და ვერცა მიცნობ. პირველად
ცნობა უნდა და მერმე გაწყრომა. ესე გითქვამს: „მუშტით მოვჰკლაო“,
25 შეგვიწყალე! მუშტით სიკვდილი აუგა არის, ლაყაფთა კრეფა ცუდია.
მოისწრაფე და, ღვთისა სახელითა, შენი ნათქვამი აღრე შეგანანო.“
ესე ომაინის წიგნი ზავარის ზედამდგომს გამდელს უბოძა და
ესრუთ უბრძანა: „რაცა ამ წიგნს პფერობდეს, შენც პასუხი მიუწერე.“

XXX. აჩა ზავარ-ფალავანთან გამზრდელისაგან პასუხის
შეთვება

„ფალავანსა წინაშე პირ-მიწადადებით სალამი ვიკადროთ, და
დიდად კურთხეულ არს არსება ღვთისა, რომე თავის ნებაზედ არიან.
ფალავანის წიგნი წაჭაპითხეთ, დია გვეშინია, მაგრამე სამართალი
ღვთისაგან ბრძანებული არის. მეტად გარისხებულხარ და ჩვენის ნა-

თესავის ამოწყვეტა გითქვამს. გასინჯე, და, რაც დაგვეშავებინოს, იმვგარად გარდავიხადოთ. ქალს შენის ნდომის პასუხი წინასაც ვჰქადრე და აწუა; თქვენი წიგნი მიეართვი, და ესრეთ ბრძანა: «ომითა და სიკვდილით მიჯნურობა არაოდეს გვასმია.» არც ქალსა რამე ებრალების და არცა რა მე. რად გიკვირს, რომე ესეთსა სწორ-უბოვარსა მნათობსა ზედან ორნი ვინმე ლომნი ცილობდენ? არა ჩენის მობირებითა მოსულა ეს მოყმე და არც ეს იტყვის თავის თავსა ჯაბნად. მოღი და პასუხი ამას გაეც, და მერმე ქალისაგან შენც მაშინ ითხოვე პასუხი. მუნამდისინ ჩენენგან პასუხს ნუ ელი.»

5

ეს სამთავე ნაწერი ალი-ექბერ ხელმწიფეს მიართვეს. რა მეფემ ერთმანერთის პასუხი მოისმინა, არად შეიწყინა⁵⁴ და გამზრდელს უბრძანა: „შენგან ნაწერი და ეს ომაინ-ჭაბუკის წიგნი ერთად გაგზავნე. იგიცა მოვიდეს, და ორთა გმირთა ერთმანერთი გამოსცადონ. ქალი თვით ხელმწიფე არის და, რაც სუადდეს, იგი ქნას.“

10

რა ესე ნაწერი⁵⁵ ზავარ-ფალავანს მიუვიდა, ცეცხლივით აენთო და, ძალის მინდობილი, ორი დღის სავალს ერთსა დღეს იარებოდა. აქათ ქალი საეჭოს ჩავარდა⁵⁶ და ქალაქთ უფროსს ქალს უბრძანა: „ვიცი, რომე მეფე და ყოველნი ვინმე⁵⁷ ამას იტყვიან, რომე ორნი გმირნი ერთმანეოს. გამოსცდიან და, რომელიც აჯობებს, ქალი მას ინდომებსო. ღმერთიან ნუ ყოს ომაინისაგან კიდე ხორციელი ჩემად მოახლებად! აწე მეშინიან ამა სულმყრალის ვეშაპისაგან ავი არა წაეკიდოს რა. წალი და ომაინს მოახსენე: «თუ შენ ცოცხალსა გხედავ, არც მეფობა მინდა არც ევზომი საქონელი—შენის ჭირის სანაცვლო იყოს. თვით შენ მარტომან გმირთა შკლავითა ჩვენ ესე ორნი წაგვასხი, და წამოგყვებით, საცა გინდათ. თვით შენცა და ჩვენცა იმ მედგრის ვეშაპისა პირისაგან დავიხსნათ. ღვთის რისხეის დარიდება არც აუგი არის, და არც სირცეელია.»

20

რა ესე ნაუბარი ქალმა ომაინს უამბო, მან უთხრა: „შენის გულის სიკეთე დავიმაღლე და ვიცი, ჩემთვის შეგჭირს, მაგრამე ესე ვითა ეგების—მე ქვეყანაზედ მემუქარეს და მეომარსა დავემალო? თქვენ შეჭირვებით⁵⁸ და გულმწუხარედ ნუ ხართ. ღვთისა სახელითა მისსა შეუპოვარსა და მაღალსა მამკვეხრობას მიწასა თანა გავასწორებ.“

25

ქალი აღგა და თვალ-ცრემლიანშიან ომაინს ხელთ აკოცა და გამობრუნდა. რა თავის ხელმწიფესთან მიეკიდა, იმა მოყმისა ნაუბარი მოახსენა. ამაზედ ზავარ-ფალავნის მოსვლის ამბავი მოვიდა. ალი-ექბერ მეფე და სრულად ლაშქარნი სამსა ფარსანგსა წინ მიეგებნენ. ქოსთა ცემისაგან და ბუკთა ყვირილისაგან კაცთა ყურთა ხმა აღარა ესმოდარა.⁵⁹ ესეთი, სიღიდით და მოქაზმულობით მოვიდა, რომე

35

ნახევარი მისრეთის ადგილი მისთა ლაშქართა მოუნდა. ერთსა ფარ-
 სანგსა კარავი კარავზედ გამოატეს. ოლი-ექბერ მეფემ ხუთ დღეს ზა-
 ვარ-ფალავანს და მისთა ლაშქართა მაემანი უყო, და ამოდ გამოის-
 ვენეს. ერთ მეჯლიშსა შიგან იმ მოყმისა გვარი და ამბავი იკითხა:
 5 და ესრეთ მკვახედ უბნობდა, რომე გამწყრალსა ლომსა ჰგვან-
 და. ხელმწიფეს ეწყინა ამაყური საუბარი და ესრეთ უბრძანა: „არცა
 გვარი ვიცი და არცა მისი ადგილი, მაგრამე, რაც მე კაცი მინახავს,
 ერთი იმას მოყმე არავინ სჯობს.“ ზავარ მოახსენა: „დიალ მოგწო-
 ნებიათ, რომე ერთისა ვისმე ლარიბსა და უგვაროსა კაცსა“⁶⁰ ესეთი
 10 საჯო უშოვნია!“ მეფემ უბრძანა: „ფალავანო, ნუ სწყრები. ქალის-
 საქმე ჩემის ხელისაგან გასული არის. პირველად — თავისი თავისა-
 პატრონი არის, და მერმე — დიდი ხელმწიფეა. მას უნდა თავი მოა-
 წონოთ. ჩემთან მაღალი სიტყვა არა სავარვო არის.“ ზავარ თქვა:
 „რა საომრად მოედნად გავალთ, ვეჭობ, რომე ქალმან იგი მოწო-
 ნებული მოყმე ადრე მოიძულოს!“

ზავარ მეტად ომს ისწრაფოდა. და იგი მეჯლიში აიყარა. მეო-
 რესა დღესა ომაინს უამბეს: „ზავარ-ფალავანმა სმასა შიგან, მუქარა-
 ითხოვა და ომსა ისწრაფის.“ მან ეგრე თქვა: „სმასა შიგან სიამოვ-
 ნის ლალობა უნდა და არა ომი და მუქარის ხსენება. დია, ლმერთო,
 20 ჩვენცა მზანი ვართ, და აღარა გვიანობა უნდა!“

გაისმა ამა ორთა გმირთა დამუქრების ამბავი, რომე თუ სთქვა:
 ყოვლის ქვეყნის მოქალაქენი მათად ჭვრეტად მოვიდოდენ. ხუთ დღეს
 მისრეთის მოქალაქეთა მოედნის მოკაზმის აჯა ითხოვეს, და: მეექვ-
 სეს დღეს მათ ორთა სწორუბოვართა გმირთა ომი დაესკვნა..

25 XXXI. აქა ომაინ-ჰაბუქისა და ზავარ-ფალავის დედი ომი

თვალუწიდომის მოედნის ნაპირი და გარემო სრულ სტავრით და-
 ფარდაგით მოახვიეს და ქოსის ცემისაგან ყურთა ხმა აღარ ჩაგარ-
 დებოდა. მოედნის თავს მაღალი კოშკი იდგა. ოლი-ექბერ მეფე მა-
 ზედ დაჯდა, თავადნი გვერცი იახლა და მეორეს მხარს თვით ბურნე:
 30 მელიქ ხელმწიფე და თავადთა ჯალაბნი ჭვრეტად გავიდნენ.⁶¹ და
 სხვათა მჭვრეტელთა სიმრავლისაგან აღარა შეიგებოდა რა, რომე
 იგი დღე განკითხვის დღესა ჰგავნდა. ამაზედ ზავარ-ფალავანი მოედ-
 ნის თავს დიდი ლაშქარით მოვიდა, და ლაშქართა შიგან დიდი
 ხმობა იყო.⁶² ზავარ-ფალავანმა თვისი ლაშქარი ერთისა მხრისაკენ
 35 უკუაყენა და თვითან მარტო მოედანში შემოვიდა, და მძიმედ შე-

კაზმულს შუბი ხელთა ჰქონდა და თავსა ზედან იძლერდა და ცხენსა იხლტუნებდა.⁶³ რა მჭვრეტელთა იგი ნახეს, ამას იტყოდეს: „ერთი კაცი ამას როგორ შეებმისო?“⁶⁴ რა ომაინის კერძთა დიაცთა ნახეს, ფერი ეცვალათ და უიმედოდ შეიქნენ.⁶⁵ ამაზედან მეორჯს მხარეს ომაინ ჭაბუკი გამოვიდა, იგიცა მძიმედ შეკაზმული, და ცოტა ვინმე ქალაქის უფროსნი კაცი თან ახლდეს. და ესეთისა ტურფისა ქცევით მოვიდა, რომე, თუ სთქვა — სალხინოდ მოვიდა და არა საომრადო. რა. მჭვრეტელთ ესეც ნახეს, ერთ კაცად იგიცა კმა იყო.

რა ომაინისა ეგეთი სიკეთე ნახეს, მათცა პირთა ფერი მოემატა. ზავარ-ფალავანი გინებით მუქარას ითხოვდა და მუწით ომაინს მიმართა, და ცხენ-ფიცხლად ერთმანეთს შეუტივეს. პირველსა მისვლასა ზედან შუბები დალეჭეს და მერმე ინდოური ხლმები დაიწვადეს და ისრე მედგრად იცემებოდეს, რომე, თუ სთქვა ცა ქუხდაო. ცხენები ორთავე ასე დაუდგათ, რომე საძრაობის ლონე აღარა ჰქონდათ; ორნივე გარდახდეს და ლახტები აიღეს და სალმომდინ ესრეთ 15 მწარედ იბრძოლეს. და მზისა ჩასვლამან გაჰყარა. მეორე დღეს ეგრევე მეფენი და ლაშქარნი გარიგდნენ, და ეს თავმოწონებულნი გმირნიკა გამოვიდნენ და მშვილდები ხელთა ჰქონდათ და ერთმანერთს წიგიმასავით ისარი დაასხეს. დიდსა ხანსა ისრით იბრძოლეს. ომაინს ზავარ ცხენს ისარი ჰქია,⁶⁶ ბარგისტანი გაუკვეთა და მკერდსა 20 დაასვა. ომაინ ფრცხლად გარდახდა და ქვეითად მიმართა. ზავარ ხლმით მოუხდა, მუზარადშედან ხმალი გარდაკრა; მუზარადი გაუკვეთა და თავსა ცოტად დაკოდა. ომაინ ზავარის ცხენს ხმალი შემოჰქია და მხარი გაუგდებინა,⁶⁷ და ორნივე დაქვეითდენ. და ერთმანეთს ეძგერნეს და დიდსა ხანსა იჭიდებოდეს. მერმე ლაზტები დაიწვადეს და ასეთსა იცემებოდეს, რომე ქუხილსა და კლდისა რღვევასა ჰქონდა.⁶⁸ სალაშომდინ ესრეთ იბრძოლეს და ამა დღესაცა ლამემან გაჰყარნა.

მესამეს დღეს გამოვიდნენ და შუბები ხელთა ჰქონდათ. ბურნე-მელიქ ხელმწიფე მამაინის გამარჯვებას ლმერთს ეხვეწებოდა. რა ზავარ-ფალავანმა ომაინ დაინახა, მალალისა ხმით შემოუძახა: „ბედ-მლაშეო! ერთი ვინმე მარტო ლარაბი კაცი მოსულხარ და მისრეთ-სა შიგან იბრძევი; აქანამდინ ვერ გაგიმეტე და აწ გაფრთხილდი!“ შუბი წინ წამოიგდო და ფრინველივით წამოვიდა, რომე მისის ცხენისა ფერხთა მტვერი ცამდის აამალლა, და ომაინ პასუხი არ გასცა 35 და მანცა გულუშიშრად შეუტივა. ზავარ შუბი მოუტანა, ომაინ შუბსა ფარი აუკრა და თავსა გარდაიკლო, მეტითა ცხენოსნობითა სადავე მოიხმარა და, ვირემ ზავარ შემობრუნდებოდა. ომაინ მიუხდა,

- წელთა შუბი შესცა და ყოველი იარაღი გაუკვეთა, უნაგირისავან
 აილო და ზავარ მიწასა / ზედან ასეთი დასცა, რომე იგი ადგილი
 შეიძრა და მრავალი ქვითკირთა ნაშენები დაიქცა იმ ძვრაზედ
 მისრეთშია. რა ზავარ მეფემან ესრეთ ჩამოვარდნილი ნახა, ცენი
 5 ითხოვა და ფიტლად საშველად გაექანა⁶⁹. ომაინ შუბი მიწასა
 დაასო და ცენი შებზედ გამოაბა და მიუხდა. მუნითაც ზავარ წა-
 მოდგა და ლანტი ამოილო და ომაინს გადაკვრა. ზავარს დაცემისა-
 გან თავს ბრუ ესხმოდა. ომაინ ლომივით შეეჭიდა; ერთი ხელი კი-
 სერს მიჰყო და მეორე ბარკალსა; შესძახა და ტარიელის სახელი
 10 ახსენა. აილო თავის სწორად და მიწას ზედან ასეთი დასცა, რომე
 მოედანი სრულად შეიძრა და ფერხთა მდგომნი მაყურებელნი პირ-
 ქვი დაცვიდნენ. დაცემულს ზავარს ვეფხივით კისკისად ზედან შეახლ-
 ტა. ზავარ მაღალის ხმით იძახდა: „ხელმწიფეო! ჩემგან ნათქვამი
 მუქარა მევე შემინანია და სიკვდილისაგან დამიხსენ!“ ომაინ ხანჯაა
 15 ლი გამოიძრო, მუზარადი წაკვეც და თავსა ტანისაგან ლამობდა
 განშორებასა. მომაღლებული ხელი მეფემან შეუპყრა და ხანჯალი
 ხელიდან გამოაცალა და ასრე უთხრა: „ამისი სიკვდილი მე მაპატი-
 დეო. გამარჯვება ამისაგან უფროსი აღარ იქნების, და პატივი დამ-
 დევიო.“ ომაინ ხანჯალი ჩაიგო. ზავარ მეფემან წამოიყვანა დაკოდი-
 ლი. გამარჯვება და ქალიც ომაინს დარჩა. ადგა ომაინ, სადგომისაკენ
 წამოვიდა; ხალითა წინ მოეგება, თავს გუარი გარდააყარა და გა-
 მარჯვება მიულოცა.
 ო მჭვრეტელთ ესე ნახეს, რომე დევის ოდენასა კაცსა ომაინ
 მოერია, ყოველი ღმერთსა ადიდებდეს და ომაინს გამარჯვება ერთ
 25 ჩიათ ამათ, რომე ზავარს იგი სჯობდა და მერმე ერთი ლარიბი კა-
 ცი იყო და მრავლისა ლაშქრისა პატრონსა მოერია. თვით ბურნე-
 ბელიქ ხელმწიფის გასარებასა და გლახაკთა ზედან გასაცემლის სიმ-
 რავლესა კაცი ვერა შეიგებდა. და ქალაქთ უფროსმან მოახსენა:
 „ხელმწიფეო, მოგახსენე, რომე ომაინის მებრძოლა ქვეყანაზედ არა
 30 გამოჩნდების.“
 მჭვრეტელი თავ-თავისთვის წავიდნენ. მეორესა დღესა ზავარ
 ალი-ექბერ ხელმწიფის წინაშე მივიდა და ესრეთ მოახსენა: „ხელმწი-
 ფის წინაშე ამას ვიაჯები, რომე, რადგან ჩემის სულის შერჩენა
 თქვენის წყალობით⁷⁰ არის, ხელმწიფე გაისარჯოს და ომაინ
 35 ჭაბუკის წინაშე მიმიყვანოს.“ მეფეს იამა, შესხდეს და ომაინ ჭაბუ-
 კის სადგომად მივიდნენ. იგი წინ მიეგება, და ერთმანერთს მოეხ-
 ვივნენ და პირსა აკოცეს. და ზავარ თავისი საქონელი, ლაშქარი და
 იარალი სულ ომაინს მიართვა. და ესრეთ მოახსენა: „უკეთესო ჭა-

შუკო! მე დედისაგან დღეს დავიბადე, რადგან შენგან სული შემრჩა. რაც გინდოდეს აიღე ტა სხვა მიბოძე.“ მან არც ერთი აიღო და ჟველა მასვე უბოძა. და მას დღეს ლხინით ამოდ გამოისვენეს, და ხალითამან მას დღეს ხელმწიფეს მრავალი მიართვა.

XXXII. აქა ზორბეგი რამათ ჰაგუპისა და გურე-ველია ხელმწიფისა

5

მოუღებელი სიტყვა კაცმან არ უნდა მოიღოს, რომელსაც თავს 10
არ აესრულების. იმ ქორწილის ქება კაცის ენით არ გამოითქმის. შორითგან ქოსის ცემა იყო ბუკთა და ყვიროსტვირთა ხმა და ახლო
ჩანგის მცემელთა ხმა, და მოედანი სრულად სტავრით მოფენილი იყო. ამაინ სახელმწიფო ტახტზე გარდაიწვივეს და ხელმწიფე-ქალი გვერდს 15
დაუსვეს და ორთავე მნათობთ გვირგვინი თავსა დაარქვეს, თუ სოჭვა—
მზე და მთვარეაო. ორნივე ერთად ისხდეს. ზავარ-ფალავანს ომაინ
ჭაბუკის ხმალი მხარსა ედვა და იგიცა გვერცა უჯდა მეორესა მხარსა. ალი-ექბერ ხელმწიფე ტახტთა ზედან დაჯდა და თავადნი გვერცა დაისხა. 15
შაგრამე იმ დღის შვენება სამოთხესა ჰგვანდა, რომე მისთანა ლხინი
არაოდეს ნახულა. რვას დღეს მეჯლიში იყო, მეცხრესა დღესა მეფე 20
და ომაინ ზავარ-ფალავანმამ თავის საღვომს იწვია, სამსა დღესა
ლხინი იყო. მრავალი რომული ოქრო და მუნებურნი. უცხონი და
ტურფანი არმაღანნი მეფესა. და ომაინს უძლვნა და ლაშქართაც 25
მრავალი უბოძა.

მერმე ქალმან ხელმწიფემან სალაროს კარი გაახსნევინა და ზავარ- 25
ფალავანს და ერთობილთ ლაშქართ ომაინ ჭაბუკის მაგიერ დიდი სა-
ბოძეარი უბოძა. და ომაინის ჯომარდობა და სიკეთე ქვეყანათა ზედან
გაისმა. ზავარ-ფალავანი მუნევე რომის სანაპიროს გაგზავნეს, და თა- 30
ვადნი და დიდებულნი თავ-თავისთვის წავიდნენ.

ბურნე-მელიქმან დღესა ერთსა ხალვათად ომაინს ჰკითხა: „სწორ-
უბოვარო ჭაბუკო! ერთსა სიტყვასა. გკადრებ და ნუ გეწყინების.“ მან გაუცინა და ესრეთ მოახსენა: „შენ, ჩემისა სულისავანაცა უსაყ-
გარელესო! რამც იყოს, რომე შენი ნათქვამი ჩემგან საწყინო იყოს?“ 30
მერმე ჰკითხა: „შენ ეგრე ტურფა და შვენიერი ვინ ხარ და ანუ ვის-
თა გვარისა?“ მან მოახსენა: „მეცა მწადდა მოხსენება. აწე თქვენ
გიბრძანებიათ, და მოგახსენებ.“

XXXIII. აჩა ომაინისაგან თავის აშშის შბობა თავის
გნათობათანა

- პირველად ინდოეთისა შეიძლთა სახელმწიფოთა ფარსაღან ხელმ-
წიფისაგან თავის პაპის — სარიდანის — შეწყობა⁷¹ და ხელმწიფისა-
5 გან დიდად გახარება. მერმე სახელმწიფოთა სიღიდე. ფარსაღან მე-
ფისაგან ტარიელის შვილად გაზრდილობა. ხელმწიფის ქალის მიხ-
დომა და ტურფად გაზრდილობა და ტარიელის გამიჯნურება და
ხვარაზმის მეფის შვილის⁷² სიკვდილი. მამიდასაგან ქალის დაკარგვა-
ასმათისაგან ამბვის მიტანა; მისგან ძებნად წასვლა. არაბთა მეფის-
10 როსტევანისაგან ნახვა და ავთანდილისაგან ეგნომი ძებნა და ტარიე-
ლის პოვნა და ძმად შეფიცვა. თინათინისათვის ამბვის მირთმევა და
მისგან საწადელის აღსრულება. ეგრეთვე ფრიდონის შეყრა და ძმო-
ბა. ფატმანისა და ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის პოვნა. ქაჯე-
თის ციხის სამთაგან წალება; ქალის გამოყვანა. ზღვათა მეფისაგან
15 ქორწილი. არაბეთს მისვლა. როსტევან. მეფისაგან ტარიელის ქორ-
წილი. ინდოეთს მისვლა. რამაზის შეპყრობა და ხატაეთზე გამარჯ-
ვება. ტარიელის დასნეულება და ხვარამზელთაგან სისხლის ძებნა.
ავთანდილისა და ფრიდონისაგან მიშველება, ხვარაზმით მეფის ხელთ
შეპყრობა და გამარჯვება. ტარიელის სიკვდილი და მისის შვილის—
20 სარიდანის—გახელმწიფება. თავისი ლედ-მაშის სიკეთე და სახელმ-
წიფოთა შემატება. მათგან ლვთის ხვეწნით თავისი დაბადება, გაზრ-
და და ზღვათა მეფის შვილის ნახვა. მისგან ამბვის მბობა, სახის-
მიცემა,⁷³ თავისი გამიჯნურება და მეფის დიდად დაღონება. მერმე
ხის ცხენის შერთვა;⁷⁴ მარტოსაგან გამოჭრა.— თავისი ჭირი ყველა
25 წვრილად უამბო.

რა ქალმან ეს მოისმინა, ვითა მთვარესა მზის შუქთაგან, ეგრეთ
ფერი ემატა და ესრეთ უთხრა: „კურთხეულმც არს ღმერთი, რომე
ეგეთი დიდგვარი ბართ, რომე ინდოეთის ხელმწიფე სხვა ხელმწიფეთა
ხელმწიფედ გვასმია.“ ყრმამან ესრეთ უთხრა: „საყვარელო ჩემო! ინ-
30 დოეთის სიღიდე კაცისაგან არ ითქმის და არც დაიჯერების, ვირემდო
თვალით არ ნახოს: ასე იტყვიან, რომე ქვეყნის მეოთხედი არისო. აწე,
თუ შენ არ გაწყენ, მე ესე მწადიან: ჩემი ხელმწიფე-მამა და დედოფალი-
დედა. ჩემის დაკარგვისათვის სიბნელესა შიგან სხედან და მე ცოცხალი-
ალარ ვგონივარ და დიდი საბატონო მოსძულებიათ. ჩვენ წავიდეთ და
35 შენის ბედ-კეთალობით ისინიც გავახარით.“

ქალმან ესრეთ მოახსენა: „ხელმწიფეო, ხედავ, რომე მისრეთის
სახელმწიფო შენი არის და მოცილე არავინა. გყავს. მაგრამე, რად-

ჭან იგი ხელმწიფები — მამა და დედა თქვენი — ჩვენის ცეკვლითა იწვიან, ჩვენცა მისწრაფება გვმართებს მათისა მოლხენისათვის და დია, ლმერთო, შენისა ბრძანებისა მორჩილი ვარ, და, ვითაც გწადდეს, ეგრეთ ვენათ.“

ომაინ დაიმადლა ქალისა ნათქვამი და ეგრეთ მოახსენა: „პირ-
მზეო, თუ ხელმწიფურად წავიდეთ, აქედან ორის წლის სავალი არის
და, თუ როგორაც მე მოცულვარ ისე წავალთ, მეორეს დღეს მი-
ვალთ. რაც შენის სახელმწიფოსაგან გინდა, წიგნად დაწერე. ქალაქთ
უფროსი თავად აჩინე და მან წაილოს და მეც ჩემს ამბავს წიგნად
ვაცნობებ — ჩემი არც გვარი იცის და არც მამისშვილობა.“ ქალმან 5
მოახსენა: „ეგვ მეტად კარგად ბრძანეთ, რომე, თუ მამეჩემი ჩვენს
წასვლას შეიტყობს, ცოცხალი აღარ გაგვიშვებს; შენცა შვილად გე-
სავს და მეცა მისრეთისა მემკვიდრედ უნდივარ; ჩვენ მეფისა უმეც-
რად წავიდეთ, და ჩემი საჭურჭლე მერმე წამოიღონ.“ 10

თვითო წიგნი ხელმწიფესთან დაწერეს და მერმე ქალაქთ უფრო-
სი ქალი მოიხმეს და ყველა მას გაანდვეს⁷⁵ და საპატრონო მას შეა-
ვედრეს. „მესამესა დღესა ესე ჩვენი წიგნები მეფესა მიართვი და,
რაცა ეწეროს, ყველა ეგრე ქენ. დიდითა ლაშერითა და მრავლითა
საჭურჭლითა და ხელმწიფურითა. წესითა წამოდი“.

რა შელამდა, ომაინ წავიდა და თვისი ცხენი მალლის ჭანდრის 20
ხიდან ჩამოიტანა, ქალაქში სხვა კარით უმეცრად შემოვიდა, რომე
კარის მცველთა ვერა შეიტყვეს რა.

XXXIV. ახს ომაინ ჰაბუკისაგან მისრეთის ხელმწიფის ჩალის ეპიტონსაგან ზაჟვანა

რა გათენების უამი მოახლოვდა, ორნივე აღგნენ და ტანთა 25
ჩაიცვეს. ცხენზედ შესხდენ. სოლომონის ნათქვამი ლოცვა თქვა და
ცხენს უთხრა: „ვირემ ინდოეთს არ მიხვიდე, ნუ დასდგები.“

ლაგამი აჰკრა. ფიცხლავ აფრინდა. იგი დღე ჰაერთა შიგან
იარა და სიბნელის უამს თავის საწოლის კართა ჩამოხდა. რა გათენ-
და, ომაინის საწოლით გამოსვლის უამი დაგვიანდა. პირმთვარენი 30
მხევალნი წადგნენ შეტყობად და ნახეს, აღარც ერთნი იყვნენ. შეიჭ-
ნა საკვირველების ხმა, ტირილი და მეფეს აცნობეს. მეფე და დიდე-
ბულნი უჰკვოდ გამორბოდეს, ომაინის საწოლის კარსა მივიღნენ და
მათი იარალი უპატრონოდ ნახეს. მეფემ საყელო გარდიხივა და თავ-
შა ნაცარი გარდაიყარა. დიდებულთა ტირილისაგან* და საშინელისა 35

- ხმისაგან იყი ადგილი იძროდა მოქალაქეთა შინა. და იმა ქვეყანასა-
 გაისმა ესე ამბავი. ყოველი კაცი და დედა-წული მეფისა კარსა შეი-
 ყარა. ერთი მეორესა შესტიროდა და თავსა ცემისა ხმა და ლაშ-
 ქართა ყვირილი ორს ფარსანგსა ისმოდა. და სამსა დღესა და ლამე-
 5 სა ესრე ტირილი იყო. ერთი მეომრისა სიტყვასა არა მოისმენდა.
 ნახეს — არცა ცხენისა კვალი იყო და არცა ციხისა კარი განეხვნეს,
 ეგრეთვე დაბეჭდული იყვნეს. ვერა შეიგნეს — ვერცა წანავალი და
 ვერცა კვალი. მეფემან ლაშქარნი იხმნა, ვითა: ხუთისა წლისაგან
 უფროსი შინა ნუ დადგების; ყოველნი ყოვლგნით ძებნად წავიდეთ;
 10 მეცა ერთსა მხარსა წავალო; და, თუ მათსა ამბავსა ვერა გავიგებ,
 თავსა ცოცხალსა არა დავირჩენ.“ ამისი გაგება იყო და ამას იტყო-
 დეს: „ესეთსა მაღალსა და თვალუწვდომელსა ციხისა გალავანთა-
 კართა გაუქსნელად ვითა გარდავიდა, ანუ უცხენოდ მარტომან ესე-
 15 შინიან, თუ არ დევი იყო, ანუ მაცდური.“ ზოგნი ამას იტყოდეს:
 „თუ არ დევი იყო, ზავარ-ფალავანსა ესრე მედგრად ვერა მოერე-
 ვოდა.“ ლაშქართა შიგან ტირილითა ამას სჩიოდეს ყოველნი.
- 423 მეფე შეიქნა საგლოვად, თმა-წვერთა მომპარსველის,
 ცხენთა სადგენი მინდორი ცრემლითა უქნა სველია,
 20 თქვა: „უამათოდ ცოცხალი სიკვდილსა რაღას ველია?
 და სასიკვდილოსა წამალსა ვერ მოვრჩი შეუსმელია.“
- 424 კვლავ ბრძანა: „შვილი წამგვარა დევმა მისითა დეობით,
 მას კაცად ჩვენ რად ვექმინით საქმისა მისანდეობით?“
 შესხდეს ყოველნი, ხელთ ჰქონდა ჩვენ ცხენთა მოსადეობით,
 25 და ლაშქარნი ოთხგან გაიყვნენ ძებნისა მოცადეობით.
- რა ქალაქთ უფროსმა ეს შეიტყო, რომე სათქმელად დრო შეიქ-
 ნა, ხელმწიფეს წინ კაცი გაგზავნა, რომე „ორი წიგნი დაუწერით —
 ერთი ჭაბუქსა და ერთი — პირმთვარესა; აწე აქა მაქეს; ჩვენცა
 ახლად ვიპოვნეთ და ხელმწიფის ბრძანებას ველით.“ რა მეფემ ეს
 30 მოისმინა, ხელივით წამოიჭრა. თავადნი თანა გამოჰყეს. ქალის
 საწოლს მიიჭრა და წიგნი თვალთა ზედან დაიდვა და მწიგნობარს
 წააკითხვა.
- 425 * ეწერა: „ვიცი, მეფეო, აწ თქვენ სთქვით ჩემი ქაჯობა,
 მაგრამ შემინდევ, თქვეს წინა მაქვს მე ამისა აჯობა,
 35 ქვეყნად მავალმან ჩემს ცხენსა, არცა ვეჭრ, ეტლმან აჯობა,
 და გამოვისწრაფე, მით მკლავდა მამისა დანასაჯობა.

426 ინდოთ მეფისა შვილი ვარ, არ დევთა ნათესავია,
თუ ღმერთსა უნდეს, მოყვარე გესვა არ რამე ავია.
თქვენი ასული დედოფლად ჯდეს ტურფა სანახავია,
და ჩვენის შიშითა მოგაროვან ყოველგრით მტერთა ზავია.„

ესრეთ მოეწერა, თუ: „მეფეო, წესია და ბრძანება ღვთისა:
შვილი დედ-მამათა მაამებელი უნდა იყოს, არა თუ მაწყინარი. ხუთი
წელიწადი გათავდა, რომე ხელმწიფე, მამაჩემი და იგი ბანოეანთა
თავი, დედოფალი, დედაჩემი, ჩემის ცეკვლითა იწოდეს, და ამისთვის
შენდობას ვითხოვ; რომე იმათ საქმეს მივაშურეთ. თუ ხელმწიფის
შეეტყო, აღარ გამოგვიშებდა და თუ ცახდლივ წამოსულიყავი, ორის
წლის სავალი იყო. და ახლა თქვენის ბედიზ მეორეს დღეს ინდოეთს
მოვედი. მეფეო! აქამდი თავი დავმალე დიდის მეფეთ შვილობისა და.
ახლა წერილად მოგვიხსენებია: მე დიდის ინდოეთის შეიდის სახელმ-
წიფოს სარიდან ხელმწიფის შვილი ვარ, დიდის ტარიელის შვილის
შვილი, ომაინ ჭაბუკი, არა თუ ვაჭარი. 76“

მერე ქალის წიგნი წაიკითხეს, ვითა: „ხელმწიფეო, ღმერთს ვი-
მოწმებ, რომე დიდად ვიშიშვი, მაგრამე ზეგარდმო განგებამან ამ ჭაბუკს
მიმუა, და დიაცისაგან წესი არის, რომე, რა ქმარს მიეცემის, მისი
ნება უნდა იყოს. ამას ასრე სასწრაფოდ უნდოდა ჩემი წამოყვანა,
და ჩემგან უარი აღარ გაეწყობოდა. და ხელმწიფემ ჩვენზედ ვულის
წყრომა მოიშალოს და, ჩვენ რაც იარაღი, საჭურჭლე, ჯოვი და
ხვასტანგი დაკვეწეროს და ნუსხა გვექნას, ჭალაჭა უფროსის ქალის
ხელით გვიბოძეთ და თქვენის მოწყალის გულით შენდობა გვიბოძეთ.“

რა მეფემან და ლაშქართა ეს მოისმინეს, დიდად გაიხარნეს და
ღმერთსა მაღლი მისცეს, მათი ეგზომი ჭირი ლხინად და სიხარულად
შესცვალეს და ხუთს დღეს, რაც ქალის ბრძანება იყო, ყოველივე
გაარიგეს და მეექვსეს დღეს გაისტუმრეს.

XXXV. აპა ჭუთის ფლის დაკარგულის ომაინის ინდოეთს მისცლა და დედგამისაგან დიდი გახდრება

სიბნელის უამს მოვიდა და ასრე გარდაბდა, რომე ვერავინ შეიტყო
და თავის საწოლის კარს მივიდა. ვითა პირველად მისი საწოლი მას
დაეგდო, ეგრევე გარიგებული დახვდა: ოქროსა სასანთლითა სანთელი
გაბრწყინვებული, სტავრის ფარდაგით მოხვეული და ტურფის საგებე-
ლით მოფენილი და სურნელების სულითა სავსე. რა ქალი ხატაელთა
დახატულსა სახლსა შიგან შევიდა, მეტად მოეწონა და მას ღამეს აღარა. 35:

ბრძანა რა. რა გათენდა, ომაინ-ჭაბუკი თავის საწოლისა კარსა გამოლგა
და მისის სამსახურის მონანი არავინ მოშლილიყო. რა ამა მონათა
თავისი პატრონი იცნეს, გაუკვირდათ და ზარმან აიხვნა, ფერხთა ეხვეო-
დეს და ღმერთსა ადიდებდეს. ომაინ მეფისა და დედოფლის ამბავი
5 იყითხა. მათ მოახსენეს: „რა თქვენ წასულხართ, მხის სინათლე არ
უნახავს და ვაებასა შიგან არიან.“ ომაინ ერთსა უფროსსა, მონასა
უბრძანა: „წალი და ხელმწიფეს ჩემი მოსვლა აცნობე და ესრეთ ჰკადრე: „ხელმწიფის წინაშე შემცოდე ვითა ვარი, მაგრამე ბოლოს ღვთისა სა-
ხელითა კარგად იქნა, რომე მისრეთის ხელმწიფის ქალი მოვიყვანე.
10 უზომის საჭურჭლითა და დიდებითა, რომე კაცის გონიება ვერ მისწვ-
დების. აწე, რადგან შემცოდენი ვიყვნეთ, მაშინცა ბრძანებასა
ველით.«

რა მეფემან მონა სირბილით მისული ნახა, გაუკვირდა ეგეთი
მონის მიმავლობა, რომე კვლავ ნიადაგ მტკირალი ენახა. რა ახლოს
15 მივიდა, დაუქოქა და ომაინის მოსვლა და მისი ნათქვამი ყველა მოახ-
სენა. მეფე ფიცხლავ სადედოფლოს შევიდა და დედოფალს ახარა, და
ორნივე ომაინის სანახავად ფეხშიშველანი⁷⁷ მირბოდეს. იგი მონა ფიცხ-
ლავ წავიდა და ომაინს აცნობა, ვითა: „მამათქვენი და დედათქვენი:
ქვეითად მოდიან და წინანდელი ჭირი აღარ მოიგონეს.“ რა ომაინ
20 ესე მოისმინა, ფიცხლავ ლომივით გამოემართა. რა მეფე დაინახა,
ღმერთს დიდება მისცა და მუხლს მოეხვია. მამამან შვილსა თავ-პირი
გარდაუკოცნა. მუნით დედა შვილს ყელსა მოეხვია, თუ სთქვა: მზე
და მთვარე ერთად შეიყარნეს. და მეტი სიხარულით ყველას თვალ-
თა ცრემლი სდიოდათ.

25 427 დედოფალმან ღმერთსა მადლი მისცა მეტად დიდებისა,
იტყვის: „მოგვცა მოწყალებით განქარვება ცეცხლთ დებისა,
ლხინი გვმართებს, უამი არის საგლოველთა დადებისა,
და დავრდომილთა ხმა შეუგდონ საჭურჭლისა ქადებისა.“

428 მეფემან ბრძანა: „მოგვხედა კვლავცა ყოვლისა მპყრობელმან,
30 ხუთ წელ ვიტირე ულონოუ, ყოვლგნით ხელ-აუბყრობელმან,
ჩემი ძე ვნახე მოსული მამამან, მისმა მშობელმან,
და საჩვენოდ სძლია კეთილმან, ბოროტია დამამხობელმან.“⁷⁸

დიდსა ინდოეთის ქვეყანას გაისმა ამბავი, ვითა: ხუთი. წლის. და-
კარგული ომაინ-ჭაბუკი მოსულა და მისრთა ხელმწიფე ქალი ცოლად.
35 მოუყვანია. ყოველნი ნახვად და მოლოცვად წამოვიდეს და თავს ოქ-

რო და გუარი გადააყარეს და გამარჯვება მიულოცეს. მერმე ომაინის
სადგომს მეფე-დედოფალი ეწვიათ. რა პირმთვარე მისრთა ხელმწიფე-
გან ეს ნახა, მზისაებრ შუქთა ფენითა და ტურფითა ქცევითა ხელმ-
წიფურად წინ მოეგება, მეფეს ხელს აკოცა და დედა შვილი ყელს
მოეხვია. მაგრამე ქალის შვენებას მეტად გაპკვირდეს, და ეგრევე
ქალსა დედოფალი მოსწონდა. ომაინის საწოლად დასხდეს, და სურ-
ნელის სულისაგან მკვდარი გაცოცხლდებოდა. შეიქნა ქოსთა ცემა,
ბუქთა ყვირილი. მეფემან ოქროქსოვილი ტანსა ჩაიცვა და, სადაც
სახლთა ზედან შავი იყო გადაკრული, აპხადეს. ქალაქი სამოთხის
მსგავსად მოკვაშეს. და იგინი სამსა დღესა ტურფათა ჩანგის მცე-
მელთა და მომლერალთა თანა ლხინით გაისვენეს. მეოთხეს დღეს
ჯალაბი გაიყარა. ხალვათად დასხდეს, და ომაინ თავისი სარჯელი
და ქალის შოვნა და ზავარ-ფალავანის ომი ყველა მოახსენა. მეფემან
და დედოფალმან იმ დღის მნახავთ ღმერთს დიდი მადლი შესწირეს
და მათსა ეგზომ სარჯელსა აღარად მოიგონებდეს, და გლახაკთათვის
მრავალი სამადლობელი საჭურჭლე გასცეს და ტყვე და პატიმარი
ააზატეს და ღმერთს შემადლეს.

429 ქალმან ჰეკადრა: „დედოფალო, თუ გაგსაჯა ჩემმა ბედმან,
უბრალო ვარ, დია, იცის ყოვლისავე მაღლით მხედმან,
თქვენი ვამია, რად გაწყიონს ცუდ სიტყვამა დანაყბედმან?
და თქვენთა ფერხთა ნატერფალი იდიადოს ჩემმა ქედმან.(?)

430 ესე მოყმე უცხო ვინმე მისრეთს შიგან ღარიბობდა,
მეფემ ნახა, შეუკეარდა, ვითა მამა შეიტკბობდა.
ჩემსა წინა შიშისაგან კაცთ სახელსა ვინმც ამბობდა?
და მე გავსწირე სახელმწიფო, სპა მრავალი არაბობდა.

431 ბედმან გვიყო—არ ვემდურვით თავსა ჩვენსა დანაწერსა;
რადგან გნახეთ მხიარულნი, მით ვადიდებ სასიერსა,
არ გასწირავს უპატრონოდ ე'ოღენსა დიდსა ერსა.
და კვლავ გამოჩნდა შვილი თქვენი ქვეყანასა მეცნიერსა.“ ⁷⁹

სამს დღეს შვილის სახელად ლხინი იყო და შეოთხეს დღეს ომაინ
და მისრეთის ხელმწიფე ქალი დედოფალმა თავის სრას აწვია. პირ-
ველს მისვლაზედ სამასი პირმთვარე მხევალი და ორასი ოქროს სარტყ-
ლოსანი ხადუმნი უძღვნა. მერმე ხატაური ტურფანი მრავალი რიდენი
და ყაბარჩანი, ⁸⁰ ანუ თვალი და ობოლი მარგალიტი, ანუ სტავრა და

5-

10

15

20

25

30

- ნახლი, ანუ მალრიბული ოქრო, ანუ კარავნი და ოთალნი, ანუ დიბა-
ჩათმისა და ფერად-ფერადის ატლასისა ფარდაგნი, ანუ ტურფანი
საფენელნი და, — რასა ვაგრძელებდე — რაც სახელმწიფო წესი იყო,
ვაჟს სამეფო და ქალს სადედოფლო ეგზომი მიართვა, რომე ანგარი-
5 ში აღარ შეივებოდა. ხუთს დღეს ლხინით გაისვენეს და მეექვსეს დღეს-
თვით ხელმწიფეთა თავმან — სარიდან — ტარიელისა ძემან. მისი შვი-
ლი, ომაინ, სახელმწიფოსა ტახტზედ დასვა; იგი უებრო სახელმწიფო
გვირგვინი თავისის ხელით თავსა დაადგა და საჭურჭლეთა და ციხე
ქალაქთა კლიტენი. მიართვა და ხელმწიფობა მიულოცა და თავსა
10 გუარი გარდაყარა. და მერმე თავადნი და დიდებულნი მოდგეს, და
ათ დღეს ესრეთ მოლოცვა იყო. შვიდს დღესა დედოფლისა და თა-
ვადთა ცოლთაგან მოლოცვა იყო. მერმე დედოფალმან ტახტსა ზედა
შვილს მეფობა მიულოცა. მერმე იგი თვე მოვიდა, რომე ხელმწიფუ-
ერის თვეს კარვით დადგების. კარავთა და ოთალთა დადგმა ბრძა-
15 ნეს და ქორწილობის საქმეს გააჩენდეს. და მოედანი ფერად-ფერადის
კარვითა და საფენელით მოჰკაზმეს, რომე იგი ადგილი სამოთხესა
ჰგვანდა. ოქროს ტახტი კარავთა შუა დადგეს. სარიდან მეფემ ომაინს
ხელი მოჰკიდა და იმ პატიოსანსა ტახტსა ზედან დასვა. ეგრევე დე-
დოფალმან ბურნე-შელიქ მეორეს. ტახტზედ დასვა და ორნი მნათობი-
20 რაგუნდის გვირგვინი თავისის ხელით თავს დაადგეს. და მერმე თა-
ვადთა და დიდებულთა სასხტომნი გააჩინეს, ზოგთათვის თქროსი და
ზოგთათვის ვერცხლისა და თავთავის ადგილს გარდაიწვიეს. ჩანგის-
მცემელთაგან მეტი ხმა ისმოდა, ქოსთა ხმისაგან ყურთა ხმა აღარ
ისმოდა. და შეიქნა ჭამის რიგი და სუფრის გაგება. რვას დღეს ქორ-
25 წილი იყო. მეცხრეს დღეს აიყარნენ. ომაინ ზელმწიფე თავისითვის
წავიდა და დედოფალი დედოფალთან დარჩა და სარიდან მეფემ თა-
ვადთა და დიდებულთა ზედან საბოძვარი გასცა, და ლაშქარინი დი-
დის საბოძვარით აივსნენ. რა მეფეთა ამისაგან მოიცალეს, ნადირობ-
დეს და იშვებდეს.

XXXVI. აჯა ბურნე-შელიქ ხელმწიფის მისრეთისა სახელმწიფოსა 30 გითვისა და იარაღის ჭობლა

რა ხუთის დღის სავალს მოვიდა, ქალაქთ უტროსმან ქალმან. თა-
ვის ხელმწიფესთან წიგნი გაგზავნა, ვითა: „ნიადაგმცა ხელმწიფე გა-
მარჯვებით არის. რომ, რაც ჩვენ მშვიდობით მოვედით და ესოდენ-
35 მრავალი საჭურჭლე მოვიტანეთ, რომე სიმრავლე არ შეიგებების. აწე
ბრძანებასა ველით.“ რა ომაინს ეს ესმა, დიდად იამა და ქალაქთა.

გარეთ დადგომა უბრძანა, და იგი მინდორი სამოთხესავით დაშვენეს და კარავი კარავსა გამოაბეს და, რაც საფენელი იყო, ყველა მოიღეს. მესამეს დღეს თვით ომაინ და მისრეთის ხელმწიფის ქალი მივიღნენ. რა ქალაქთ უფროსმა ქალმა თავისი ხელმწიფე ნახა. ფერხთ მოეხვია. დედოფალმა პირს აკაცა და მრავალი იმედი უბრძანა. ომაინ ერთი 5 თავადი გამოარჩივა და ქალმან ქალაქთ უფროსი ქალი, და ორნივე მამასთან გაგზავნეს და ესრეთ შესთვალეს: „მაგათის სიღიღით ჩვენი სახელი აამაღლონ, დიდი წყალობა გვიყონ და ცოტა ხანს თავის სახლში მობრძანდენ.“

მეფე, დედოფალი და ერთობით თავაღნი წავიღნენ. დედოფალმა ქალაქთ უფროს ქალს ურიცხვი საბოძვარი მიართვა. რა ომაინის კა- 10 რავნი და ქალის სიღიღი ნახეს, გაუკვირდათ და თვალი ვერ მიაწვ- დინეს. ომაინ წინ მიეგება, მეფეს თავს გუარი გარდაყარა და სა- ხელმწიფოს ტახტზედ გარდიწვია. ეგრეთვე დედოფალს მისრეთის ხელმწიფის ქალი გამოეგება და ოქროს ტაბაკით თავს მარგალიტი 15 გარდაყარა და სადედოფლოს ტახტზე გარდიწვია. და თავაღნი თავადთა და დიდებულნი დიდებულთა კარავთა გარდიწვიეს. რა ინდოელთ მისრელთაგან ესრეთი რიგი ნახეს და ესოდენი მორჭმულო- ბა, სიღიღი დაავიწყდათ. ხუთს დღეს სმა და ლხინი იყო. მეექვეს დღეს საჩუქარი მიიღეს, რომე არცა სიკეთე და არცა სიმრავლე არა შეიგებოდა ლართა და იაყუთთა. გარედ — არაბული ცხენი, ჯორი და აქლემი და სხვა მრავალი არმალანი.⁸¹ ხუთს დღეს მეფისა საჩუქარი და დედოფლისა საჩუქარი მოიღებოდა. მეათესა დღესა მეფენი მხია- რულნი მათის ლარით ქალაქად შემოვიდნენ და მათი სიხურული და სიამოვნე სხვათა მეფეთა არცა ამბვადა სმენოდათ ამად, რომე დი- დის ინდოეთისა და მისრეთის საქონელი და იარაღი ორივე ერთად 20 შეიყარა.

ამა წესითა დიღმან ჟამმან გაიარა, რომე ყოველგნით მათის მტერ- თაგან ჭარაჯის ხვეწნისა და მუდარის ამბავი შოდიოდა.

XXXVII. აჩა ხელმწიფეთა ჯინაშ ხეჯოგეთა უფროსის მოსვლა

დღესა ერთსა მეჯოგეთ უფროსი მოვიდა და შემცოდესავით დად- 25 გა და ფარმანი ითხოვა, ვითა: „დიდი ხანია ხელმწიფეს ჯოგის ამ- ბავი არა მოხსენებია რა.“ ხელმწიფეთა უბრძანეს: „რაც იცოდე, ყველა თქვბო.“ ხელმწიფე დალოცა და ესრეთ მოახსენა: „ბედნიე- რის მამათქვენის, დიდი ტარიელის, შავი ცხენის ჯოგი დათესილი

- თქვენს ბრძანებით წავასხით, და თეთრი ზღვის პირს მინდორი არის
და ზამთრის კაი წყალი და კაი ბალახიანი ადგილი არის, და იქ ვა-
ყენებდით, და ხუთი წელიწადი მათი კვიცი არ დაჭერილა. და ხელმ-
წიფის ბედით ასრე აშენდა, რომე ანგარიში არ შეიგებოდა და რე-
5 მანიცა აჯილლასთან დათამამდენ, რომე ვერა ნაღირი სიახლოეს
ვერ გაუვლიდა, და ჩვენცა მწვედ გვეშინდა. აწე, ორი წელიწადია.
ერთი ცხენი მოუხდების და მისის შიშით დამალვას ეცდებიან. ზოგ-
ჯერ ორმოცსა და ზოგჯერ სამოცსა რემას გაიყრის და წაასხამს.
ერთხელ ახლოს შევრჩიო და, რა გვნახა, ვითა ლომმან, ეგრე შემოგ-
10 ვიტია შეთივით გამოვექცეით, ერთსა ჩვენსა ამხანავს მოეწია, თავს
ტოტი დაჭერა და ესრეთ დანაყა, როგორაც მტვერი, ეგრედ მოკლა.
ჩვენ ალარ მოგვდივა, მასუკან ახლოს ველარ მიუდგებით. და ჯოგი
ასრე ამოსწყიოტა.“
- მეფემ უბრძანა: „როგორი ცხენი არის“ -ო? მან მოახსენა: „ხელმ-
15 წიფეო, სახედ ცხენსა ჰვავს, თვარემ ორის სპილოსაგან უფროსი არის;
ფერად თოვლის მსგავსი არის, და კაცის თვალი მის უმშვენიერესს
ვერას ნახავს. რა ჩვენი აჯილლა მის ხმას გაიგონებს, თაგვივით დაი-
მალვიან და ჩვენც დიდი შიში გვაქს.“ რა ომაინ ეს მოისმინა, მამას
მოახსენა: „ხელმწიფეო, თუ ბრძანებ, მე წავალ და საწუთროს დამ-
ბადებლის სახელით იგი ცხენი შეპყრობილი მოგიყვანო!“ მეფეს დი-
დად იამა და ესრეთ უბრძანა: „რადგან მტერი ალარსაით გაგვიჩნ-
და, ნიადაგ სანადიროთ წავსულვართ. ახლა, რადგან მოგიწალინებია,
ლაშქარი შემოვიყაროთ და ჩვენც დედა-წულით წავიდეთ.“ ეს ბრძა-
20 ნება, ომაინს დიდად იამა და ერთის წლის ნუზლით ლაშქარი მოიწ-
ვიეს და დედა-წულიანად აიყარნეს. ეს საჯერო არის, რომე მათსა
მოკაზმულობას კაცის ენა ვერ გამოიტყვის და ლაშქართაგან მთა და
ბარი ერთობ აივსო. მეჯოგეთ უფროსი ყოლაუზად აჩინეს და გაე-
მართნენ. რა სანადირო აღგილს მოვიდნენ თორმეტის ათასის კაცით;
25 მეფენი სანადიროდ გავიდნენ და დედოფალნი და მძიმე ბარგი უკან
დაიგდეს და იმ ჯოგის სიახლოეს მივიღნენ და, მეჯოგენი ყარაულად
დაიყენეს, ვითა: „რა უამს იგი თეთრი ცხენი მოვიდეს, ფიცხლავ
გვაცნობეთ“ -ო.
- მეორე დღეს ერთი კაცი მოვიდა და ესრეთ მოახსენა, ვითა:
- 30 „მოვიდა იგი ვეშაპი და ჯერეთ რემათა არ შემორევია.“ თვით
სარიღან მეფე და ომაინ ჭაბუკი. შესხდეს და სამასი გამორჩეუ-
ლი კაცი თან გაიტანეს და იარეს. რა ჯოგსა დაუახლოვდნენ, ნახეს,
რომე ორმოცსი რემა წინ წამოუყრია და თვითან უკან მოსდევს: თეთრ-
შა ცხენმა რომ ლაშქარნი დაინახა, ქარივით მოუხდა, აემართა და

ერთს კაცს წინა ტერფი დაპკრა და ცხენ-კაცი მიწათა გაასწორა. მერ-
მე ლაშქართა შიგან შემოვარდა. ომაინ საგდებელი შეიხსნა, შორით
შემოსტყორუნა და ყელსა გარდააცვა. ცხენმა მეღგრად გაიზიდნა და
ომაინს საბლის წვერი ხელად დააძრო და ფრინველივით წავიდა. 5
ომაინ საბლის წართმევა ითაკილა და ვეფხივით უკან წაუდგა, და
სარიდან მეფე და მისი ლაშქარი უკან მისდევდეს. სალამომდისინ
იარეს და ველარა შეიგნეს რა. ულონო ქმნილნი ჩამოხდეს და თავ-
თავისი ცხენები ხელთ დაიჭირეს. უდაბურს მინდორსა შიგან ეყარ-
ნენ. მეორე დღეს ერთი თავადი წამოდგა და ესრეთ მოახსნა: 10
„ხელმწიფეო, გაჭირვებულს საქმეს გამორჩევა უნდა. მივბრუნდეთ,
იმავე ჩვენთა ლაშქართა შევეყარნეთ და ეგების გზისა და ადგილის
მცოდნე კაცი გამოჩნდეს. ბარგი და დედა-წული ინდოეთს მივაბრუ-
ნოთ და ჩვენ ძებნად წავიდეთ.“ მიბრუნდეს და დედოფალთ წინ შეი-
ყარნეს და სირცხვილეულად ომაინის დაკარგვა უამბეს. შეიქნა საკირ-
ველება და მაღალის ხმით ტირილი. მერმე სარიდან მეფეს მომართეს, 15
და ამას იტყოდა: „მიწავ, გასქიდი, რომე ქვესკნელთა შიგან დავინთ-
ქა, რომე ომაინის დამკარგვამან დედამისი არა ვნახო?“

მერმე ხელმწიფემ კაცი გაგზავნა და მეჯოგენი მოასხა და ყველა
ჰქითხა. მათ მოახსენეს: „ხელმწიფეო, პირველად ამ თეთრმა ცხენმა
ჯოგი მოგვტაცა, შვიდს დღესა და ღამეს მივსდიეთ. და ცოტა ქედი იყო;
იმას უკან ჩვენი ჯოგი ვნახეთ, რომე ერთი მწვანიანს ალაგს სძოფ-
დენ. თურმე თეთრს ცხენს დაფარებულს ადგილს ეძინა და ჩვენი მისვა-
ლა ვერ შეიტყო. აიხედა და უკან წამოგვიდგა. ჩვენ ომი ვერ გაუბე-
დეთ და აქათ-იქით გავიქეცით, მაგრამე თვალით ნანახი მას რა მოურ-
ჩებოდა? მინდორთა თვალი მოავლო. ვერა ნახა რა და ისევ მიბრუნ-
და. ჩვენცა გამოვედით. ერთი დიდი მთა გამოჩნდა და, რაც. ჩვენ 20
შევატყევით, იმ მთას მიმართა. აწე ის ადგილი ვიცით, და იგი მთა:
გამოჩნდების. სხვა ამის მეტი არა ვიცით რა.“ მერმე მეფემ ბრძანა:
„თავადნო, ამ ამბავს ორი ნიშანი. აქეს: ერთი ესე, რომე მტერი.
მტერს ვირემდი არ მოშორდების, ძილად და მოსვენებად ვერ მოიც-
ლის. უსათუოდ მისის სადგომის სიახლოეს მისულა და მაშინ მოუს-
ვენია; მეორე ესე, რომე ამათგან ნახული დიდი მთა უსათუოდ იმისი
სადგომი ადგილი არის. აწე იმ მთასა მივმართოთ.“ ეს ხელმწიფის
ბრძანება ერთობილთ [ლაშქართ] მოიწონეს და ესრეთ მოახსენეს: 30
„თქვენის ბედით ქარგად მოხდების. დედოფლები დავაპრუნოთ და
ჩვენ იმ მთას მივმართოთ.“ დედოფალი ამას იტყოდა: „ღმერთმა ნუ
ყოს, ჩვენ იმ წანავალ გზას მოვშორდეთ და, თუ იგი ვერა ვპოვეთ,
თავი ცოცხალი რაღად გვინდა?“ მერმე იგი მცოდნე მეჯოგე ხელმ-

წითელ იხმო და ასრე უბრძანა: „ფრთხილად იარეთ, რომე გზას არ დასცდეთ.“ ესენიც აიყარნენ და დღე და ღამე იარეს და დიდსა მთასა მიმართეს.

XXXVIII. აჯა ომაინ ჰაბუკისაგან თეთრის დევის ამბვის მოსვლა

- 5 ოდეს ცხენსა საბელი მოაბა და ხელისაგან წაუვიდა, აღარ გაეყარა და შორიდამ თვალით მისწურა. ათს დღეს იარა და შიმშილით მოჭირებული თავის თავს ჩიოდა: ვეღარც აღმოსავლეთი იცნა და ვეღარც დასავლეთი და ღმერთსა აღიდებდა. და იმ დიდსა მთასა მიმართა. ერთი ჭანდრის ხე ნახა, და მის ქვეშ ცივი წყალი და
- 10 ტურფა სასწოომი იყო. წყალი დალიებ და ხეს ქვეშ დაჯდა და შეჭირებული საგონებელსა ჩავარდა. ამაზედ შეხედა და სამი ცხენოსანი ნახა, რომე იმ ხის ძირს მოდიოდეს. იამა და ესრედ ბრძანა: „მტერთაგან სიკვდილი დია სჯობს შიმშილით სიკვდილსა, და ანუ ამ კაცთაგან ამბავსა რასმესა შევეყარო“. რა ახლოს მივიღნენ, ორნი:
- 15 დევკაცნ, ერთსა შუბი პქნდა და მეორეს ლახტი, ერჭო, და მესამე შავი მონა იყო, მათის ბარგის მზიდავი. შუბოსანმა შემოყივლა: „შენ ბედ-მლაშეო! ვინ ხარ, რომე დევის ქვეყანას მოსულხარო? აწე მოდი და ჩემის ცხენის ფერხთა მოეხვიე!“ ომაინ ისარს ხელი მიჰყო და შუბოსანს კაცს მქერდსა პკრა და მოკლა. ლახტოსანს კაცს საგდებელი შესტყორცა, დაიჭირა და ხელფეხი შეუკრა და წინ დაიდგა. მერმე ზანგს კაცს შეუძახა: „შენ მონას გევხარ, შენი სიკვდილი არა ხამს-ო. მოვიდა და ომაინს ფერხთა მოეხვია და ესრეთ მოახსენა: „ხელმწიფეო, მონა შენი ვარ“ მერმე უბრძანა: „შენს ცხენს რა: გიკიდიაო?“ მან მოახსენა: „მაგათი ნუზლი არისო“. მოალებინა და
- 20 შიმშილით შეჭირვებულმან ღმერთს მჩდლი შესწირა; საჭმელი ჭამა, ღვინო დალივა და ხეადის ლომივით გაამაყდა. მკვდრის კაცის იარალი მას ზანგს უბოძა. მერმე მას შეკრულსა უბრძანა: „თუ მართლს მეტყვი, შენს სულს შენსავე გვამსა. შეინახავ, და ტყვილი შენი მტერი არის“. მან მოახსენა: „ხელმწიფეთა მსგავსო! თქვენ ტყვილი არ გეკადრების. მე დევი არა ვარ; დედა ჩემი კაცთა ნათესავი არის და მამა დევი მყავს, მაგრამე დევის რჯულზედ არა ვარ. თქვენს სამსახურსა და სიამოვნეს ვინ ლირსა? ამ ღვთის უშიშის დევისაგან მრავალი ქვეყანა წამხდარა. ამას ვნატრობდით, რომე ერთი მძლავრი მტერი აუჩნდეს და მისის ხელისაგან დაგვიხსნას“. ომაინ უბრძანა:
- 25 „რა გვარი არის, ანუ რა პქვიან?“ მან მოახსენა, თუ: „მოგეხსენებოდეს: სისტანელის ფალავანთა, დიდის ნარიმანის შვილის, საამისა
- 30
- 35

და მისის შეილის ზაალისა და მისის შეილის როსტომისა. ოდეს
შაზანდარის ქვეყანას თეთრი დევი მოუკლავს როსტომს, იმისი ნათე-
სავი წამოსულა⁸². და ამ მთაში დამკვიდრებულა. და ერთი თეთრი
დევი არის, ყოვლის პატრონი, და არას კაცს არა აქვს ამისთანა
ხელმწიფური წესი, რომე ამას აქვს, და ამას გარდა, რაც სახედ
უნდა, იმ სახით შეიქნების, და ერთის მთის ოდენი კაცი არის.“
შერმე იგი ზანგი მოიხმო და მასცა ჰკითხა, და, რაც იმას ეთქვა,
მანცა იგი მოახსენა. ომაინ მიუბრუნდა და იგი კაცი გახსნა. მერმე
მან დევკაცმან მოახსენა: „ხელმწიფეო, ვინ ხარ, რა საჭმის მძებნელი,
რომე ჩვენცა მის მიხედულობით გმახუროთ“. მან უბრძანა: „ჯერეთ
მას საომრად შემყარე, ვისცა მოვდევ და მას უკან ჩემს ამბავს შეი-
ტყობ. მართალს კაცსა გევხარ და სიმართლე არ წაგახდება.“ იგი
ფერხთა მოეხვია. — „... და ჩემს ერთგულობასაც აღრე სცნობთ.“
ომაინ იმ კაცის იარაღით შეეკაზმა და ესრეთ მოახსენა: „ნუ თუ
ღმერთს მისი სიბილწე მოსახებოდეს და სიტყვით რითმე მოვატყუვო
და შენს წინ მოვიყვანო!“ ფიცხლავ შესხდეს და იარეს. ასეთს გზას
წაიყვანა, რომე ყარაულთ ვერა იგრძნეს რა. რა სიახლოვეს მივიღენ,
ომაინ და ზანგი მონა იდუმალს ადგილს დააყენა, და იგი დევჭაცი
სარი-დევ ამბვის საკითხავად წავიდა. ერთსა თავის ამხანაგს შეეყარა.
და თავისის პატრონის; თეთრის დევის, ამბავი ჰკითხა. მან უამბო —
„ლხინსა და მოსვენებაში არის და ცოტა ხანია შორის გზით მოსუ-
ლა და იმავე ინდოეთის ხელმწიფის ტარიელის შავის ცხენის თეს-
ლის ჯოგის ცხენები მოუსხამს.“ სარი-დევი მობრუნდა და ომაინს
ამბავი მოუტანა და ესრეთ მოახსენა: „მე სმის ღროს მივალ და
შენს ამბავს მიუტან და, რაც განგებასა ღვთისასა ეწადოს, იგი იქ-
ნას.“ ომაინ ღაუმაღლა და თეთრის დევის კარის სიახლოვეს მივიღენ.
და სარი-დევ მივიდა ამაღ, რომე იგიცა ზავადთაგანი იყო და კარს
ვერავინ დაუჭერდა. თეთრმა დევმა შემოხედა და ესრეთ. უბრძანა:
„სარი, ამბავი იცი რამეო?“ მან მოახსენა: „ყოველია ხელმწიფეთა
უზეშთესო! თქვენის სიდიდის მეტი ამბავი არა არის რა. ამისთვის
მოვსულვარ: ერთი ვინმე ლარიბი მარტო კაცი ყარაულთ ზედან მო-
გვადგა და თქვენს ქებას იტყოდა: ყარაულთ უფროსმან გამამატანა,
და ამას მოგახსენებს, რომ მახარობელია: როსტომ და სულ მისნი
ნათესავნი თქვენთა ნათესავთ ამოუწყვეტით ახლა ამ ცოტას ხანში.“
ეს ამბავი თეთრს დევს იამა: პირველად — როსტომთან მტერობა
და სიკვდილი და მეორე — უცხოს ამბვის მოსმენა. სარი წინ დაა-
ჭირება და თავისის ხელით სავსე ღვინო ასვა და დიადი წყალობა.

უიმედა. მერე უბრძანა: „წადი და მოიყვანეო“. სარი გამოვიდა, ცოტა ხანს კარს დადგა და მერმე ისევ შევიდა და ესრეთ მოახსენა: „ასრე მოგახსენა: თვითან მარტო მნახოსო და მერმე ვიახლებიო. დევი წამოდგა, ოქროს ქუდი თავს დაიხურა, ლახტი ხელთ აიღო და მარტო წავიდა. სარი წინ მიუძლვებოდა. რა შორისთ დევმა ომაინ-დაინახა, მეტად ეჯაბანა და ომაინის ხელად შეგდებას ეცდებოდა; მაგრამე ომაინ ვეფხივით შორიად უხლტებოდა. ისარი შემოსტყორუნა, ოქროს ქუდი გაუკვეთა და თავსა დაასო. დევი ესრეთ გაცოფდა, რომე თავის ხორცს კბილით იჭამდა. ომაინ შეატყო, რომე დევს 10 თვალთ სინათლე წასვლოდა. მოუხდა და გვერდსა ხმალი შერთო და ვადამდი დაამაგრა. დევმა ომაინს ანაზდად ზურგს ხელი მოჰკრა, ჯაჭვი ააგლიჯა და მიწაზედ ძლიერ დასცა, და ერთს უამამდის დაბნედილი იდვა. დევმა იღრიალა და გარდაიქცა და სულისაგან დაიცალა. რა ომაინ აიხედა და დევი ნახა, დიღს თოვლიანს მთასავით იდვა, საწუთროს დამბადებელა ადიდა და ესრეთ თქვა: „ღმერთო, მაღლი შენთვის, რომე დიდი და ცოტა შენთან სწორი არის. შენვან უშიში დევი შენის წყალობით მოკვდა, თვარემ მე ერთი მონა ვარ!“

ზე ადგა და სარის უბრძანა; „ქუდი მოჰხადე და მკლავისა საბმურო⁸³ შეხსენიო“. ეს ამბავი დევთ მიუვიდა, დევის სიკვდილი დაიჯერეს. როსტომის ნაქმარი მოიგონეს და მეტად შეშინდეს. — „არამც აქაც ის მოვიდა ჩევნენ ამოსაწყვეტლად? მას ვინ შეებშის?“ აღგნენ, და მთის წვერზედ ერთი ციხე იყო, და მაშიგან შევიდნენ. სუფრა ისევ გარიგებით იდვა და იგი ოქროს ტაბაკი, რომე იამანის ხელმწიფისათვის მოეპარა, მუნ იდვა; რაც, უნდოდა საჭმელი; ყველა ზედ 20 იდვის და არც დაილეოდა. ომაინ მივიდა და დევის ტახტზედ დაჯდა. და იგი ტაბაკი წინ დაიდვა და ერთობ იამა. სარი-დევი გამოვიდა და მაღლის ხმით იძახდა: „ეს ხელმწიფის ნათესავი ჭაბუკი დევთ ამოსაწყვეტლად ღმერთს გამოუგზავნია და, რაც აღამიანთ, ნათესავი იყოთ, გამოდით!“ რა ეს ესმათ, უთვალავი კაცი მოვიდა. მერმე სარის უბრძანა: „წადი და ყოვლიგვარი კაცი ცალკე-ცალკე გარდააყენე“. სარი გამოვიდა და თავ-თავისად გაარიგა. მას დღეს ომაინ-ლენით გამოისვენა. მეორეს დღეს კაცი მოვიდა, რომ ციხის ძირის ერთი ხვრელი ყოფილა და დევნი იქიდამ გაპარულან, და დიაცნი იქავ დარჩომილან. სარის უბრძანა: „რაც დარჩომილიყვეს, სულ გა-35 წყვიტეთ და საქონელი ლაშქართ გაუყავ!“ სარი-დევ წავიდა და ომაინის ბრძანება გააჩავა. მერმე ხადუმნი მოასხეს და უბრძანა: „ბანოვანთ გნახავ. რაც დევის სახლისა იყოს, იგი ერთად დააყენეთ და რაც სხვა ჭალი იყოს, იგი ცალკე“. იგი ბრძანებაც გაათავეს.

ომაინ მივიღა და დევის დიაცნი ერთობილად ნახა, და იგინი ფერხთა შემეხვივნეს. ომაინ გული დაუდვა და წყალობა უბრძანა. ესრეთ უბრძანა: „ვისაც გინდა, გააზატებ და, ვისცა გინდა, ქმარს შეგრთავთ.“ მერმე ქალთა სანახავად მობრუნდა. რა ომაინ იმ ქალთ შეხედა, და მათ ქალთა შიგან ერთი ქალი მზესავით ნათობდა. ქალი. მოვიღა და ომაინს ხელთ აკოცა, და თვალი იმ ქალზედ ეჭირა და ქალის საგონებელი გულში ჩაუვარდა. მერმე სარის უბრძანა: „წადი და, ვინცა ხადუმთ უფროსი იყოს, აქ მომგვარეო.“ მოვიღა, და ესრეთ უბრძანა: „ეს ქალი ვინ არის?“ ხადუმთ უფროსმა მოახსენა: „ხელმწიფეო, იგი ქალი ბალხი-ბუხარის ხელმწიფის ასული არის. სიტურფე თქვენც გინახავს, და ქცევა უკეთესი აქვს. თუ ჩემს ამბავს მოახსენებთ, იამანის ხელმწიფის ხადუმთ უფროსი ვიყავი და ყველა მე მებარა. ხელმწიფეო ერთს დღეს ნაღიმი მოინდომა და ღვთის დალოცვილი ოქროს ტაბაკი მოითხოვა. და ათმა ხადუმმან წავიღეთ. 15 თეთრი დევი იქ თურმე დამალულ იყო. მე იღლიას ქვეშ შემამიგდო, ტაბაკი ზურგთ წამოიკიდა და წამოვიღო. აწე ამ ქალის უტურფესი არავინ მინახავს და, თქვენ რომ გამობრუნდით, თქვენი დიდი ქება ბრძანა.“ ომაინ ხადუმს უბრძანა: „შენ იმ ქალთ ხადუმთ უფროსად დამიყენებიხარ და კარგად შეინახე. მას ქალს ოქროს ტახტი დაუდგი, და იმ ქალთა პატრონად⁸⁴ იგი იყოს და, რაც უნდოდეს, 20 მიართვი. და ეს თეთრის დევის სამკლავე⁸⁵ ჩემად ნიშნად შეიბას.“ ხადუმმა ფერხთ აკოცა და, რაც უბრძანა, ყველა ქნა. იგი სამკლავე გამოულო და ხელმწიფის სათნოსათვის ხელსა შეაბა. მრავალი ლარი და საქონელი მოალებინა და სხვათა ქალთა მიართვა და იმ დღითგან პატრონად წაიარეს⁸⁶. 25

XXXIX. აჩა ოშაინ ხელმწიფისაგან სარი-დევის გაგზავნა ხელმწიფესთან გახარობლად

სარის უბრძანა: „შენ არ იცი, რომე ამ ბილწის დევის მაცდურობით დიდი ინდოთა ხელმწიფე, დედოფალი და თავაღნი რას ჭირსა დაბმულან! ესოდენი ხანია, რომე მათგან მარტო დავრჩომილვარ. აწე მე მათ ცოცხალი აღარ ვგონივარ და წადი, დროზე აცნობე.“ სარიმ მოახსენა: „დია, ღმერთო, სამსახურზედ ვდგევარ.“ ომაინ გონიერი მწიგნობარი მოიხმო და მამასჭან წიგნის დაწერა უბრძანა. პირველად საწუთროს დამბადებლის ღვთის წყალობით ხართ. რაზომცა მე ვიშიშვი აჭად, რომე, ვიცი, ჩემის მოშორვებით 30 35

- მრავალს შეჭირვებას ნახევდით, მაგრამე ეს უარე იყო, რომე ერთი
 ცხენი ხელიდამ წამსვლოდა და მისი ვერა შემეტყო რა, თვარა მას
 აქათ, რაცა ვქენით, სარი-დევ მოგახსენებს. სხვა ეს ვიკადროთ:
 5 თქვენის ბედით, გამარჯვებით და სახელოვნად ვართ. დიდი საპატ-
 რონო და სახელმწიფო ქვეყანა დაგიჭირე და უცხო საჭურჭლე ძეს,
 რომე კაცთა გუნება სიმრავლეს ვერ მისწვდების. აწე, ხელმწიფეო,
 თქვენის კარგად ყოფნის ამბავს ველი, რომე მოსამართლემან ღმერთ-
 მან ჩვენი გული გაახაროს. თუ თქვენ ჭერ მოგვწვდებით, რაც თქვენი
 ბრძანება მოგვივა, ჩვენცა იმას გავათავებთ.“
- 10 თავისი ბეჭედი და ეს წიგნი სარი-დევს მისცა. მან ათი ცხენო-
 სანი გამოირჩია და ქარიგით წავიდა. რა ხუთის დღის სავალი გაია-
 რეს, შორით დიდი მტვერი დაინახეს და სარის მოახსენეს: „ის
 მტვერი კაცის ნიშანი არისო.“ მან ესრეთ უთხრა: „ეს ლაშქარი
 უთუოდ ინდოთ ხელმწიფისა არის. აწე, თუ თქვენ ვერ გამყვებით,
 15 აქ იყავით და ნიშანი ეს იყოს: თუ ერთი მარტო კაცი თქვენებინ
 წამოვიდეს, იცოდეთ, ჩემი ამბავი მოგივათ და, თუ სხვაც ნახოთ,
 თავს ეწიგნით.“ სარი-დევ მარტო ცხენი გაქუსლა. რა ორი ფარსანგი
 წაარა, მათ ლაშქართა ერთი კაცი მათკენ მომავალი ზახეს, და
 ყველას თვალი მაზედ ეჭირა. რა ახლოს მოვიდა, ომაინ ჭაბუკის
 20 ისარი იცნეს. ერთობილნი გადახდეს და სარის ცხენს. ფერხთა მოე-
 ხვეოდეს და ამბავსა ჰქითხევდეს. მან ესრეთ უთხრა: „ღმერთი იყოს
 მოწამე, ომაინ გამარჯვებული დიდისა სახელმწიფოსა ზედან ზის.
 ერთი კაცი ჩემს ამხანაგებთან გაგზავნეთ და მე ხელმწიფესთან მიმი-
 ყვანეთ და თქვენს გასახარელს ამბავს მუნ სცნობთ.“ ერთი ცხენო-
 25 სანი მათ კაცთა თანა გაგზავნეს და სარი ფიცხლავ ხელმწიფესთან
 წაიყვანეს. რა სარიდან ხელმწიფეს ე'ამა, თავშიშველი კარვიდამ
 გამორბოდა და დედოტლები ხელივით მეფის სადგომად მოისწრაფე-
 ბოდეს. რა სარი-დევ ხელმწიფე დაინახა, ფერხთა მოეხვია და ომაი-
 ნის გამარჯვება და მშვიდობით ყოფნა მიუღლოცა და წიგნი და ბე-
 30 ჭედი მიართვა. წიგნი წაიკითხეს და ამბავის სმენად დასხდეს. სარი-
 დევ წამოდგა და მოახსენა: „ხელმწიფეო, როდეს იმ დევისთვის
 საგდებელი მოებყ, აღარ მომშვებოდა.“ ბოლოს თეთრის დევის,
 სიკვდილი, დევთა გარდახვეწა და ამოწყვეტა, სახელმწიფოთა სი-
 დიდე, საჭურჭლეთა სიმრავლე — ყველა წვრილად მოახსენა. ესეთი
 35 სიმხიარულე შეიქნა, რომე მისებრივ აღარ იქნებოდა. სარი-დევს
 ხელმწიფემ დიაღი საბოძვარი უბოძა და ესრეთ უბრძანა: „რა გზა
 არისო?“ ამან მოახსენა: „შვიდსა დღესა მივალთო. ეს პირიანი არის,
 რომე თქვენი ესრეთ ახლოს ყოფნა! ადრე ვაცნობოთ და თქვენის

შეჭირვებისაგან დავიხსნათ. ათი გზის მცოლე კაცნი მახლავინ, ყოლაუზად აქ გაახლებ და მე აწვე წავალ და თქვენს ამბავს მივართვამ.“ ხელმწიფემ დაუმადლა და ესრეთ უბრძანა: „წალი და ჩვენი აქ ყოფნის ამბავი აცნობე და ჩვენც ლვთით აღრე მოვალთო.“

სარი ფიცხლავ წავიდა დიდის წყალობით და იგი ათნი კაცნი ყოლაუზად იქ დაყარა.

5

XL. აქა ომაინ პაბუკისაგან თურქთა ხელმისამართის ჩალთა მიჯნურობის ზიგნის მიზერა

ხადუმთ უფროსი გაგზავნა. ესრეთ უბრძანა: „მაშინ იგი. ქალი ცოტას ხანს ვნახე. ახლა ასეთს ალაგს მიმიყვანე, რომე მე ისინი 10 ვნახო და იმათ მე ვერა მნახონ.“ წაუძლვა და ისეთსა ალაგსა მიიყვანა, რომე ქალთა ვერ შეიტყვეს. ომაინ შეხედა და, ვითა დედოფალთა წესი არის, ეგრეთ ტახტსა ზედად იჯდა. რა ნახა, ომაინს პირველს ნახვაზედ ნამეტნავი სურვილი მოემატა. და მათი მიჯნურობა ხადუმთ უფროსმაც იცოდა.

15

- 432 თვალცრემლიანი ომაინ წიგნსა სწერს სამიჯნუროსა,
ჰესა წაუვა სნეულსა, რა სიკვდილს მიეწუროსა:
„ჭირთაგან რკინად შევქნილვარ შუა გრდემლსა და უროსა,
და ნეტარ, როს ვისმენ ამბავსა სალხინოდ სადასტუროსა?“

- 433 „გული შემიპყრა სურვილმა,⁸⁷ ამად ვზი დაჭმუნებული,
რა ვქნა, არ ვიცი ხელქმნილმან, ვარ მეტად გაკვირვებული,
სიკვდილი მიჯობს. რად ვარგვარ მე ცნობა განქარვებული?
და შენ გაქვს წამალი ცივისა გულისა სათბუნებული!

- 434 თუ არ მამივა პასუხი აწ ჩემთა ცრემლთა შრეტისა,
შენ გაქვს სინათლე მზისაებრ, მჭერეტთ თვალთა-გასარეტისა,
აღარა ძალმიც მოთმენა პატიუთა მეტის-მეტისა,
და თავსა მოვიკლავ, სოფლისა ნდობა არა მაქვს ჭვრეტისა.

- 435 სხვას ჩემთა ჭირთა ხადუმი თვით მოგახსენებს ენითა,
შენი შორს მყოფი შევცვლილვარ მრავალგვარისა სენითა,
ნელხინოს, ჩემთვის წყალობა თუ თქვენა იაზრენითა,⁸⁸
და კვლავ გეხვეწები — არ იყო ჩემთა ნათქვამთა წყენითა.“

- ეს ნაწერი ხადუმს მისცა და ესრეთ უბრძანა: „ჩემთა ჭირთა და
პატივთა შენ ხედავ. ეს წიგნი იმ პირმზეს მიართვი. ის ყმაწვილი
არის და შენ შეაგონე და, რაც გმართებდეს, სიტყვით მოახსენე.“
ხადუმი წავიდა და იგი წიგნი ქალს მიართვა და, რაც სამიჯნუროა
5 წესი იყო, მისებრივ მრავალი მოახსენა თავდადრეკით. წიგნი წაი-
კითხა და ხადუმს უბრძანა: „შენგან ეგზომი ყბედობა არა წესი
არის; ჩემის თავის საქმე ჩემგან არა ითქმის რა.“
- 436 ქალმან დაწერა: „უებრო სიკეთე ვნახე თვალითა,
აწ, რაცა გკადროთ, არ გასწყრეთ, ვარ მე ამისთვის
10 კრძალვითა,
თქვენცა გაშინჯეთ, მეფეო, სავსე ხართ სამართალითა,
და რაც ღმერთს არ უნდა ზოვლენა, არ ვარვა კაცთა ძალითა. „
- 437 დევმან წამგვარა მამასა, აწე ზის თავსა ცემითა,
იგიცა მოკვდა უწყალოდ თქვენის ისრისა ცემითა.
15 მე უდედმამოდ პასუხსა ვერ ვიტყვი გამოცემითა;
და მათს უნებურსა ვერას ვიქ უუდისა ძალ-მიცემითა.“
- ხადუმს უბრძანა: „ეს წიგნი მიართვი და დიდის მორიდებით ეს
მოახსენე: «მე დიდის ხელმწიფის შეილი ვარ და, თუ დევმან გრძნე-
ულობით მომიპარა, მასცა მისის უსამართლობის ჭასუხი მიხვდა. ეს
20 დაიჯერე: მე მათად უნდომად ცოცხალი კაცს არ მივეცემი და, თუ
ვანგება ღვთისა არის, მათის ნებით სჯობს.»
- ხადუმი მივიდა და ომაინს ქალის წიგნი მიართვა და ესრეთ
მოახსენა: „ხელმწიფეო, რაზომცა ყმაწვილია, მაგრამე ჭკვიანი. და
25 გონიერი არის: რა ბევრი-მეტი მოვაბსენე, გამიწყრა და ყბედობა
მითხრა.“
- ომაინ საგონებელსა, ჩავარდა. დალრეჯილს სარი-დევის მოსელა
მოახსენეს. გაუკვირდა და ესრეთ ბრძანა: „უთუოდ ახლოს ყოფი-
ლან!“ ამაზედ სარი მოვიდა მხიარულის ჭირით, ომაინს ხელმწიფის
მამის წიგნი მოართვა და, რაც ენახა, ყველა მოახსენა: „ხელმწიფეო,
30 რა თქვენი ამბავი ესმათ, მკვდარნი დაცოცხლდეს. ერთი შეჯოგვ
გამოსჩენია გზის მცოდნე და იგი წამოსძლოლია.“ მერმე ომაინ უბრ-
ძანა: „რამდონს დღეს მოვლენ?“ სარიმ მოახსენა: „შეგზაურნი თან
ისლავან და მეოთხეს დღეს მთის ძირს მოვლენ.“ სარის უბრძანა:
„წადი და ოთალ-კარავნი წაილე და დიდს მინდორში დადგი და ყო-
35 ველი საქმე გაარიგე.“ სარიმ მიწას აკოცა და ფიცხლავ წავიდა და
იგი მინდორი კარვით შეამკო. მეოთხეს დღეს ომაინ ხელმწიფე

შეჯდა და სამს ფარსანგს მამას წინ მიეგება. ჩა ინდოთ ლაშქარი
ნახა, ჩამოხდა და მათის ნახვისათვის პირი მიწას დასდევა. და ღმერთს
შადლი მისცა. აქათ სარიდან ჩამოხდა და იქით ომაინ და ერთმა-
ნერთს მოეხვივნენ. და [მამან] შვილის ნახვისათვის ღმერთს მადლი
მისცა. შესხდენ და კარავთა შიგან მივიღნენ. მერმე დედოფალნი
მოვიდნენ და ომაინს მშვიდობით მოსვლა და შეყრა მიულოცეს და 5
პირს აკოცეს. ომაინ ლაშქართ კაცი გაუგზავნა, და თავ-თავის კა-
რავთა შიგან ჩამოხდეს. მეფენი მეფეთა კარავთა ტახტზე დასხდეს
და დედოფალნი დედოფალთა კარავთა. მერმე ომაინ გამოვიდა და 10
სამი ოქროს ტაბაკი გუარით აავსო და ერთი მამას მიართვა და
ორი დედოფალთა და დევის სახელმწიფოს დაჭირება მიულოცა. 15
მერმე ომაინ დაჯდა, და ლაშქართ გამარჯვება მიულოცეს. სამს
დღეს მოლოცვა იყო და მეოთხეს დღეს ქალაქად შემოვიდნენ, მაგ-
რამე იქაურს მოკაზმულობას გაჰკვირდეს. და ხუთს დღეს მეჯლიში
იყო. მეექვსეს დღეს თეთრის დევის სალაროს კარი გაახსნევინა და
ხელმწიფეს მამას პირველად იგი იამანეთის ხელმწიფის ოქროს ტა-
ბაკი მიართვა და სხვა მრავალი ურიცხვი საჭურჭლე, და ასი ფრი-
ლონის⁸⁹ შავის ცხენის ნათესავი უძრევნა და ეგრევე დედოფალთა
ზატაური რიდენი და ყაბარჩანი და ლაბლ-იაგუნდის ყელსაბამი. ანუ
სალტე და მკლავსაბამი, და სხვათა ლართა სიმრავლე არ შეიგებო-
და. და მერმე ლაშქართა ზედან ეგზომნი საბოძვარბ გასცა, რომე
ლაშქარნი ზიდვასა ელონებოდეს. და ყოველთა დღეთა სმა: და ლხინი
იყო. დღესა ერთსა სარიმ ომაინს მოახსენა: „ხელმწიფეო, აქ ახლოს
ერთი სანალირო არის, თეთრის დევისა დაცული, რომე მისის ში-
შით ფრინველიც ვერ გაივლიდა.“ მან უბრძანა: „რა გზა არისო და 25
ან ჩა ნადირი ზისო?“ მან მოახსენა: „სამს დღეს მივალთ და
მეექვსეს დღეს ნადირნი შოვლენ, მაგრამე ყოვლის ნადირისაგან
არისო.“ სარიდან მეფემ ბრძანა: „რადგან მაგისთანა სანალირო ახ-
ლოს არის, დია, ღმერთო, წავიდეთ და მუნცა შევექცეთ.“ მეორეს
დღეს წასტლის პირი დაასკვნეს. მას ღამეს ომაინ ცოლს უბრძანა: 30
„ხეალ ჩეენ სანალიროდ წავალთ და თქვენ თეთრის დევის დიაცნი
და ქალნი ნახეთ და, რაც მათი გულის ნება იყოს, იგი ანაწერი
დამახვედრეთ.“ ცოლმან მოახსენა: „დია, ღმერთო, თქვენი ბრძანება
გავათავოთ.“ რა დილა გათენდა, შეიქნა ასეთი ბუკთა ხმა; რომე
ყურთა ხმა აღარ ისმოდა. მეორეს დღეს რძალი დედამთილთან მი-
ვიდა, შვილის ნაუბარი ყველა მოახსენა. ფიცხლავ ხაღუმი გაგზავნა
და პირველ რაც დევის სახლად ყოფილიყო, იგი ბანოვანნი მოვიდნენ,
შაგრამე მათსა სიმრავლეს და ანუ მოკაზმულობას ყოველნი მნახავნი 35

გაჰკვირდეს. დედოფალნი მეტად თავშილად და ტკბილად დახვდეს, წინ გაეგებნეს, პირსა აკოცეს და გვერცა დაისხეს და, რაც
 მათი საწადელი იყო, ყველა დაწერეს. ორს დღეს მაემანი უყვეს,
 მესამეს დღეს პირის მარგალიტი წინ დაუდვეს და სამს დღეს
 5 უმასპინძლეს და მათი სააჯოც მოისმინეს და მათსავე სადგომს გაგ-
 ზავნეს. და იგი თურქთა მეფის ასული დედოფალმა დაიჭირა, რომე
 წამსაც თვალს ვერ მოაშორვებდა. რა მეფენი მოვიდნენ და სანადი-
 როს ადგილს ლაშქარნი გაგზავნეს და სარი-დევ თავად აჩინეს, მესა-
 მეს დღეს დაიწყეს ნადირობა. და შეიქმნა სროლა და ნადირთა ხო-
 10 ცა. მეორეს დღეს მეფეს მოახსენეს: „ერთსა ცოტასა ჩალათა შიგან
 ერთი მეომარი ლომი უკუდგა. ახლოს ვერავინ მისდგომია.“ ორთავე
 მეფეთა ცხენი გაქუსლეს, რა ახლოს მივიდნენ, გამწყრალმან ლომმან
 თვალი სარიდან-მეფეს შეასწრო, მოუხდა და ცხენზედ შეაფრინდა.
 მეფემ მარცხენის ხელით ლომს ყიდა შეუბყრა. ლომმან ორივ ტოტი
 15 მეფეს შემოხვია. ცხენი ქვეშ გაუხლტა და იგინი მიწათა ზედან დაე-
 ცნენ. მეფემ ლომი ქვეშ ამოიდვა, ხანჯალი გამოიღო და ფიცხლავ
 თავი მოჰკვეთა. და ყოველთა დიდი ქება შეასხეს და გამარჯვება
 მიულოცეს. ორს დღეს ლხინით გაისვენეს და მესამეს დღეს ქალა-
 ქადვე მობრუნდენ. და ომაინ დედოფალთა სადგომად ჩამოხდა და
 20 ხელმწიფისაგან ლომის სიკვდილი მოახსენა. ომაინ შუაზედ დაიწვიეს.
 და ქალის იქ ჯდომა იამა. აღგა და მამასთან წავიდა, და მას დღეს
 ორთავე მეფეთა იამანეთის მეფის ოქროს ტაბაკზედ ილხინეს და
 ლაშქარნი ერთობით მაზედ აწვიეს და, ვისცა რა ენახა, ერთი
 მეორეს უქებდიან. ბინდამდი სმა იყო და ბინდის ჟამს ომაინ საწო-
 25 ლად წავიდა. რა დილა გათენდა, ცოლმან უთხრა: „ქრთი რამე
 მწალს თქვენთვის მოხსენებად და იმედისა ვიყო, რომე არ გასწყრეთ.“
 ომაინ გაუცინა და ესრეთ უთხრა: „აროდეს შენგნით არა. მწყენია
 რა და აწე რა იპოვნე ჩემი საწყინო? ლმერთმან ნუ ყოს, რომე შენ-
 გან ვიწყინო რამე.“ მერმე მოახსენა: „ხელმწიფეო, იგი თურქთა
 30 ხელმწიფის ქალი, რომე ჩემთან იჯდა, მის ქებას ველარ მოგახსენებ.
 ჰეშმარიტად იგი ღვთისაგან დაბადებულა. აწე ამისთანა. მნათობი
 მინდა შენთვის ვამყოფო და ამა პირსა ზედან შემჯერდი და იგიცა
 შენად ცოლად იყოს და ჩემი სიცოცხლეში მასთან გავიხაროთ.“
 ომაინს გულში დიდად იამა და ესრეთ უთხრა: „ლმერთმან ნუ ყოს,
 35 რომე შენი უნებური რამე ვქნა.“ ცოლმან უთხრა: „მე შენი ნება ვქენ
 და შენ ჩემი ნება. აწე, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ეს ჩემი ნათქვამდ
 მოისმინე.“ ომაინ არად მოისმინა, აღგა და სადგომად წავიდა. მერ-
 მე დედოფალი დედოფალთან, თავის დედამთილთან, მივიღა და

ყველა მოახსენა. დედოფალმან რძალს უთხრა: „ნამეტნავი შენი სი-
კეთე არის, თვარა-და ეგე სხვათაგან აროდეს გვასმია.“ რძალმა ეს-
რეთ უთხრა: „მე იმ ქალისა ესეთი სიყვარული მაქვს, რომე შენის
შვილის მეტს არავის შეეფერების. მე უარი მითხრა, მაგრამე თქვენ
ნუ მოეშვებით. ღვთის სახელსა. დავიფიცავ, უსათუოდ მართლის
გულით მწალიან.“ მერმე დედოფალმან შვილი იხმო და რძლის ნა-
თქვამი ყველა მოახსენა. ომაინ ესრეთ უთხრა: „მეფესა ჰქითხეთ,
ქალსაც აცნობეთ და მერმე მოგახსენებო.“ დედოფალმან მეფისა
შესვლისა დროსა ქალი გვერც დაისვა. მეფე შევიდა. ქალი ადგა
და ხელსა აკოცა. მეფეს ეგრე მოეწონა, რომე ეგზომ მნახავი უნა-
ხავად გახდა. ცოტა ხანსა რჯდა, ქალი ადგა. მეფემან იკითხა პირ-
ველად ქალისა ამბავი და მამის-შვილობა. მოახსენა. და მერმე მისის
რძლის ნაუბარი ყველა გააგონა. მეფემან ეგრე უთხრა: და მეტი
სიკეთე და კარგი დედა-კაცობი უქნია; მისგან იყო ესე საქმე სარი-
დო ზა, რადგან მას მოუწადებია, ჩვენგან დასწრაფება ჰქამს ამად,
რომე ამა ქალსა ჩემის შვილისაგან კიდე ხორციელი არა ლირსა რა.“ 15.
მეფე ადგა. დედოფალმა ომაინ იხმო და მეფისა და რძლის ამბავი
ყველა მოახსენა. ომაინ ესრეთ ბრძანა: „რადგან ყველას მოგინდომე-
ბია, იგი უნდა იქნეს.“ ომაინ გამოვიდა და სარი-დევ მოიხმო და
ყველა უბრძანა. 20.

XLII. აჯა ღმაინისაგან სარი-დევის თურქისტანს გაგზავნა

პირველად ცისა და ქვეყნის დამბადებელი ღმერთი ახსენა და
მერმე თურქთა ხელმწიფეს ქება შეასხა ესე, ვითა: „დიდის ინდოე-
თის შვიდთა სახელმწიფოთა პატრონისა, მეფეთ მეფისა, ტარიელის
შვილის, სარიდან-ხელმწიფის შვილი, ომაინ ჭაბუკი მოგიწერ: მეფეო,
თუ ჩემი ამბავი წვრილად მოგვეწერა, სიტყვა მეტად გაგრძელდებო-
და და მერე ეს მომიხსენებია: თეთრი დევი ჩემის ხელით მოკვდა
და მისი სახელმწიფო, ციხე, ქალაქი, აღგილი. მე დამრჩა. თქვენი
ასული ამას მოპარვით წამოეყვანა და ჰყენდა და ჩვენც დიდის
პატივით მოფეხყარით. და ჩვენ თქვენი მოყვრობა გვინდა და თქვენი
ქალი ჩვენ გვიბოძეთ. და ღვთის ძალით მოყვრობა შეგვიძლია, და
სხვას ამბავს სარი-დევ მოგახსენების.“ ერთი წიგნი ქალმა მისწერა,
ვითა: „ხელმწიფეო, ერთი ვინმე ღვთის მოყვარე ჭაბუკი გამოჩნდა
და ურწმუნოს დევისაგან გამოგვიხსნა და თქვენისა შვილობისათვის
დიდს პატივსა გვკერძენ. და ეს ბეჭედი ჩემის სიცოცხლის ნიშნად
გამამიგზავნია.“ 35.

სარი-დევ თორმეტი ცხენოსანი გამოირჩია და წავიდა. ოა სარი-
მივიდა და მეფემან ნახა, დიდად იამა. წიგნი და ბეჭედი მიართვა.
ესეთი სიმხიარულე შეიქნა, კაცის გუნება ვერ მისწვდებოდა. სარის
წინ წამოუძღვნენ და ქალაქად მოიყვანეს და დიდი სიმხიარულე
5 შეიქნა. სარის მრავალი უბოძა, და, ოც ზეპირ იცოდა, ყველა
მოახსენა; პირველად თეთრის დევის სიკედილი და მერმე ქალის
თხოვნა ამად, რომე ქორწილი, თქვენის ნებით უნდა ქნას. მერმე
ხელმწიფებ ბრძანა: „თავადნო, დიდის კაცის სიკეთე გასინჯეთ,
10 რომე ქალი იმისთანას მტრისაგან დარჩომია და ჩვენ კიდევ დიდად
უხსენებივარო! ჩვენ ამისი გახარება გვმართებს, რომე ჩვენი შვილი,
ცოცხალი არის, თორემ, ოც ჩვენ გვმართებდა, მას უბრძანებია.“
სარის ქალის მიცემის დასტური მისცეს. სარიმ მეფეს მოახ-
სენა: „მე მეტად მესწრაფების; მე წავალ და თქვენს ამბავს მი-
ვართვამ“.

15 XLII. პრა თურთა ხელმიწისაგან მისის ჟვრლის ხელით აიგნის გაგზავნა

ოა დილა გათენდა, ხელმწიფემ მწიგნობარი გვერც დაისვა და
წიგნის დაწერა უბრძანა. პირველად ღმერთი ადიდეს და მერმე ხელ-
მწიფეს დიდი ქება შეასხეს: „ხელმწიფეო, თქვენი მამა-პაპათა სახე-
20 ლი ცაში სწერია, არა თუ ქვეყანათა ზედან. და ახლა კიდევ თქვენი
მაგისთანა მეომრობა გვესმა, რომე თეთრი დევი ეგრეთ ადვილად
მოგიყლავს. და მისგან დატყვევებული ჩემი ქალი გამოგიხსნია, მაგრამე,
თქვენი თავი დაგიმდაბლებია და ჩვენი ქალი ჩვენთვის გითხოვნია.
დია, ღმერთო, მოგვიცემია, და ღმერთმან ბედნიერად მოგიხდინოს.
25 ჩემი შვილი გიახლების და თავისი და ამან მოგათვალოს⁹⁰, და ერ-
თი ეს მოგახსენოთ: თქვენს უნახავს, ნუ დაგვაგდებთ.“

მეორეს დღეს ხელმწიფის შვილი წავილა და მრავალი სახელმწი-
ფო ძვირფასი თვალი, მარგალიტი და მთელის იაგუნდის გვირგვინი
წაიღო და მრავალი უცხრ ფერი საფენელი, ცხენი, ჯორი და ხვასტან-
30 გი გაიტანა და ხელმწიფესთან მივიდა. სარი წამოლგა და თურ-
ქისტნის⁹¹ ხელმწიდფის წიგნი ომაინს მიართვა და მათი ამბავი ყვე-
ლა მოახსენა: „ოც თქვენი ნება იყო, ყველა იგი იქნა, და თავისი
სახელმწიფო შვილი გამოგზავნა, და თქვენს საამებელს ამბავს იგი
მოგახსენებს.“ ორნივე ხელმწიფენი თურქთა ხელმწიფის, შვილს წინა
35 მიეგებნენ. ოა ერთად შეიყარნენ, ერთმანერთს ოქროს ტაბაკებით.
თავს გუარი გარდაყარეს და ერთმანერთი ტკბილად მოიკითხეს. მერ-

მე შესხდეს და თურქთა მეფის შვილის კარავთა შიგან მივიღნენ. და ლაშქარი საბოძერით აავსო, და მეფეთა მრავალი ძლვენი მიართვა. მე-
სამეს დღეს ქალაქად შევიღნენ, მაგრამე მათსა დახდომასა და გახა-
რებას კაცი ვერ გამოიტყოდა. ხუთს დღეს სარიდან ხელმწიფე სიმ-
ხიარულესა და განსვენებასა შიგან იყო და ყოველთავე ამდენი საბო-
ძეარი უბოძა, რომე ანგარიში არ შეიგებოდა. ცხრას დღეს ლხინი
იყო და მეათეს დღეს ქორწილის საქმეს გააგებდეს.

5

XLIII. აჩ აშორიშიანი ობაინისა და თურქთა ხელმისამართის შალისა

შეიქნა ქალაქთა შიგან დიდი მოქაზმულობა, რომე ქვეყანაზედ
არ ნახულიყო. ჩანგის მკვრელთა ხმა გახშირდა და სურნელის სულით
კაცი დაირჩიობოდა. თვით მეფემ სარიდან, შვილი იმაინ, მოიყვანა
და მას პატიოსანსა ტახტსა ზედან დასვა და იაგუნდის გვირგვინი
თავის ხელით თავსა დაადგა. მერმე ორთავე დედოფალთ მოიყვანეს,
იგი პირმზე ქალი, გვერც მოუსვეს. პირი ვარდივით აუყვავდა. და
რვას დღეს ქორწილი იყო, მაგრამე ამა ლხინსა სხვა ლხინი არ შე-
ეღრძებოდა. რა ჭამა გათავდა, თურქთა მეფის შვილმან თავისი და
ომაინს ხელთ მიათვალა.

10

15

20

25

30

რა ერთი თვე გათავდა, ომაინ სარი-დევს უბრძანა: „წადი და
ინდოთ მეფეს ეს მოახსენე, ვითა: «თურქისტანის ხელმწიფეს ეოქვა--
ერთმანერთი ვნახოთო.» თუ თქენი ნება იქნების, წავალ და ვნახავ.» სარი-
ფიცხლავ მივიდა და მოახსენა და, რაც უნდოდა, უველა გაა-
რიგეს. ქალაქთ უფროსი ქალი სარი-დევს ბანოვანთა თავად მისცეს
და თეთრის დევის სახელმწიფო მათ შეავედრეს და სარი-დევ უფრო-
სად უჩინეს. მეექვსეს დღეს სარიდან-ხელმწიფე ინდოეთს მიბრუნდა
და ომაინ დიდითა მოქაზმულობითა და ხელმწიფურითა წესითა ორ-
ნივე დედოფალნი მისრთა და თურქთა მეფეთა ისული, კუბოსა ში-
გან მსხდომნი, თანა პიტანა და ბალხისაკენ გაემართა, დიღითა-
ლაშქრითა.

XLIV. აჩა წიგნი თურქთა ხელმისამართის შვილისა შამასთან

მიზურილი

30

გონიერი მწიგნობარი მოიხმო და მამასთან. წიგნი მისწერა. პირ-
ველად დამბადებლის ღვთის სახელი აღიდეს და მერმე ხელმწიფე
აქეს: „ხელმწიფეო, ნიადაგმცა ღვთის საფარველსა ქვეშე ხართ!
თეთრის დევის საპატრიონოს მოველ და დიდი ინდოთ მეფეთ მეფე

- ასრე დაგვიხვდა, რომე მისგან უფრო აღარ იქნების. აქამდის ლხინსა შიგან ვიყავით და მრავალი საბოძვარი გვიბოძა და აწე თვითან დიღი ხელმწიფე ინდოეთს შიბრუნდა, და სახელ-განთქმული თქვენი სიძე, ომაინ ჭაბუკი, თქვენად ნახვად წამოვიდა და თქვენთვის ლვთი-
- 5 საგან მეორედ მოცემული ქალი თან მოჰყავს. და ჩვენცა აღრე მოვალთ.“ რა წიგნი და კაცი თურქესტანს¹² მივიღა და მეფემ წიგნი წაიკითხა, ცრემლით ლვთის სახელი აღიდეს და სამადლობელი გასცეს, და, სადაც ტყვე იყო, ათავისუფლეს. შეიქნა ასეთი დრგიალი, რომე მისებრივ აღარ ითქმოდა: ქოსთა ცემისაგან ყურთა ზმა აღარ
- 10 ისმოდა. და მეფე და დედოფალი და თავადნი ხუთის დღის სავალს წინ მოეგებნენ. რა ახლოს შეიყარნენ, ომაინ და თურქთა ხელმწიფის შვილი გამოვიდნენ და მუნით თურქთა მეფე გამოვიდა. და ერთმანერთს ფასდაუდებელი გუარი გარდააყარეს და ერთმანერთს ტკბილად მოეხვივნენ, შესხდნენ. და ომაინის სადგომად მივიღნენ.
- 15 15 ომაინ შეიტყო, რომე მეფესა და დედოფალს მათის ასულის ნახვა ესწრაფებოდა. სადედოფლოს კარავთა მიუძღვა. რა ახლოს მივიღნენ, ორივ დედოფლები და მისრთა ასული ქალი წინ მოეგებნენ და დაუფასებელი გუარი ერთმანერთს თავს გარდააყარეს. რა დედოფალმან ქალი ნახა, სიხარულით თვალთა ცრემლი სდიოდა. ქალი მოვიდა
- 20 20 და დედას ყელსა მოეხვია. ომაინ და ხელმწიფე ერთად დასხდეს და ერთმანერთს აქებდეს და მრავალი ძვირფასი ძლვენი უძლვნეს. მესა-მეს დღეს ომაინის კარავთა მივიღეს, და ეგრეცა ხელმწიფურად და-ხვდა, და დიდი მეჯლიში შექნეს. მეხუთეს დღეს აიყარნენ და ბალხეთის ქალაქად შევრდნენ. და მოქალაქენი წინ მოეგებნენ, და
- 25 25 თვალ-მარგალიტი გარდააყარეს. ომაინ და დედოფლები ხელმწიფის სრასა გარდახდეს. ფიცხლავ ტახტი მოიღეს და მაზედ დასვეს. რაც ქორწილის წესი იყო, ეგრედ გარდიხადეს. ათსა, დღესა ქორწილი იყო, მაგრამე მაშინდელს ლხინსა და განსვენებას კაცის ენა ვერ გამოიტყოს. სიმამრმა სიძესა და ქალს ეგზომი მისართმევი მიართვა,
- 30 30 რომ კაცის გუნება ვერ მისწვდებოდა. და ომაინ ბალთა და კაშკა შიგან, სადაც ენების, მუნ იყვის. რა ორი თვე გავიდა, დღესა ერთსა ნაღიმი დაიღვეს. და ომაინ ჭაბუკისაგან წესი იყო, რომე შორით ლაშქართა თვალს ადევნებდის. ნახა, რომ ერთმან ამბვის მცნობელ-მან კაცმან შემოიზიდა, და მანდატურთ არ შემოუშვეს. ომაინ ხელმწიფეს მოახსენა: „ნუ თუ იმ კაცმან უცხო რამე ამბავი იკოდეს?“ მეფემ ბრძანა: „თუ საამებელი რამე იცოდეს, კარს არ დაუჭერდეს და, დია, თქვენის ბრძანებით შემოვიდესო.“ და იგი კაცი ფიცხლავ მოიყვანეს.

XLV. აჩა ამგავი ომაინ ჰაგურისაგან ბაბრთა დახოცისა

ჰკითხეს მას კაცა: „რა იციო?“ მან მოახსენა: „ხელმწიფეო, ორი წელიწადია ჩვენსა აღგილს ორი ბაბრი გამოჩენილა და ქვეყანა აა-ოხრეს. და ცოტა კაცი ვერ გამოუჩნდების და თუ ბევრი წავალთ, ერთი მაგარი ჩალა არის და იმაში დაიმალვიან. და ამ ჭირში ვართ.“ ხელმწიფემ უბრძანა: „აქამდი რასთვის არ გვაცნობეთო?“ მან მოახ-სენა: „ჩვენს ქვეყანას ამბავი შოვიდა, რომე ერთს მარტო ჭაბუკს თეთრი დევი მოუკლავს და აქე აქ მოსულა და იმისის იმედით მოვსულვარ.“ ომაინ პასუხი არ გასცა. მას დღეს ლხინით გაიხარეს და მეორეს დღეს ერთი თავადი მოიხმო და ომაინ სიმამრს გაუ-
გზავნა და ესრეთ შეუტვალა: „გზის მცოდნე კაცი მიბოძე და ამ 10
ბაბრთაგან ადრე მოვიცლი:“ ხელმწიფეს მეტად ეწყინა და ესრეთ მოახსენა: „ეგ კაცნი ჩემი მოხარაჯენი არ არიან. შენ მაგაზედ ნურას შეიწყენ.“ ომაინ არად მოისმინა და ფიცხლავ ბარგის აკიდება უბრ-
ძანა. რა ხელმწიფემ შეიტყო, ეგრეთ შეუთვალა: „რადგან აღარ 15
მოიშლით, კაი სანალირო აღგილი არის; და მეც წამოვალ და ლხინით წავიდეთ.“ როსცა წავიდნენ, ყოველთა დღეთა ნადირობა იყო. რა
იმ ქვეყანას მიახლოვდენ, წინ მოეგებნენ და მრავალი მოართვეს. 20
შერმე მხეცთა საქმე იკითხა, და ისინი კიდევ ბაბრთა საქმესა მოა-
ხსენებდენ. ორი დღე დაყვეს და მესამეს დღეს ბაბრის სამყოფთა
მიმართეს. რა ახლოს მივიდნენ, ომაინ მეფეს მოახსენა: „თუ ამ 25
ლაშქართა ნახვენ, აღარ გამოვლენ. თქვენ დადექით და მე მარტო წავალ და ნახეთ, თუ რა იქნების, შეწევნითა ლვთისითა.“ მეფე
მწვედ შეიჭივრებდა, მუგრამე ომაინ კაცი არ გაიტანა და მარტო წავიდა. რა ბაბრთა ომაინ მარტო ნახეს, დიდის ჩალიდამ გამოვიდ-
ნენ და ფიცხლავ ერთმან ბაბრმან შემოუტივა. რა ომაინ ბაბრი ნა-
ხა, ცხენის გავა უჩვენა. ბაბრმან ცხენს ხელი ჰკრა და ცხენი მიწას
დასცა და ზედ შეაჯდა. ომაინ ხმალი ამოილო და ბაბრსა. ზურგსა 30
ჰკრა და მუცლამდი გაკვეთა. ბაბრმა ომაინთან ველარ მიაწია. ომაინ
კიდევ მოუცადა და მერმე ხმალი ჰკრა — თავი ორად გაუპო. ამაზედ
იგი გაჯავრებული მეორე ბაბრი წამოვიდა, და ომაინ გულ-უშიშრად
მიუბრუნდა და ბაბრს წინ მოეგება. ფარი ბაბრს დაანება. ხმალი
მოუქნივა და მხარი გაავდებინა. ბაბრი შეშინდა და ჩალათვე წავიდა.
ომაინ უკან მიეწია, ზურგს ხმალი ჰკრა, ბაბრი ორად გაკვეთა. და
ორნივე დახოცა. ომაინ ლაშქართ ხმალი უელვა, და ცხენ-რბევით
მომართეს. ნახეს, რომე ომაინს ორნივე იგი ბაბრი უჭირველად დაე-

ხოცნეს, ღმერთს მაღლი მისცეს. მეფე გარდახდა და ყელს მოეხვია:
და ქებას შეასხემდეს და გამარჯვებას ულოცევდეს. ხუთს დღეს იქ
იყვნენ. მეექვეს დღეს იმ ქვეყანას პატრონობისა და მოხარაჯობის
ფუცი და წიგნი გამოართვეს და იქური თავადნი თან აიტანეს და
5 ესრულ ბალხეთს წავიდნენ. ორნი თავადნი ამ ამბვის მახარობლად
დედოფალთან გაგზავნეს და თვითან ნადირობითა და შექცევით
მიღიოდნენ.

10 ამ უამაღ ურუმთ ხელმწიფის დიდის კეისრის მოციქული იქ იყო
და, რა ბალხეთს მივიდნენ, იგი მოციქული დიდის პატივით გაი-
სტუმრეს.

XLVI. აჩა კეისრისაგან ომარი ჭაბის გაგონება

15 რა ის მოციქული კოსტანტინეპოლს⁹³ მივიდა, კეისარმან ვეზირ-
ნი გვერც დაისხა და იგი მოციქული იხმო, ამბავი ჰერთხა. „და ეს-
რეთ მოგახსენათ: «თქვენ უფროსი და ჩვენ უმცროსი, და, რაც თქვე-
ნი ბრძანება იქნების, დია, ღმერთო, თავსა გვიძეს.» კეისარი მე-
ცნიერობით სავსე იყო და უცხოს ამბვის სმენა იამებოდა, მას მო-
ციქულს უბრძანა: „თუ რამ უცხო სანახავი რამე გენახოს, გვიამბე.“
მან მოახსენა: „ხელმწიფეო, ინდოთა ხელმწიფის შვილი მოვიდა, მაგ-
რამ თვით ხაყანჩინ⁹⁴ მის საქმეს გაეკვირა, რომე მისებრივ სხვა
20 კაცი არავის უნახავს არცა თვალად და შვენიერებითა, არცა ტანად
და სისრულითა, არცა გულად და მეომრობითა, არცა გონიერე-
ბითა, ყოვლის სიბრძნითა და მსწავლულობითა, თვით სადაცეთა
მხმარებელი — არვის უნახავს. მისი ქება კაცის ენისაგან არ ითქმის.
და ღვთის სიტყვით შემქობილი არის. მისსა მჭვრეტელს სიკვდილი
25 აღარ მოეგონების.“ კეისარმა უბრძანა: „მაგისთანა საქებარი კაცი
რის მიზეზისათვის მოსულა?“ მან მოახსენა: „სახელად ომაინ-ჭაბუკი
ჰერთან, და ჩინ-მაჩინის ხელმწიფესთან სარი-დევ მოვიდა და მისი ამ-
ბავი მან მოახსენა. მეც გვერც ვახლდი: პირველად დიდგარობა,
შვილთა სრულთა სამეფოთა ინდოეთის მეფეთ მეფის, ტარიელის
30 შვილის, სარიდანის, შვილობა და მერმე ზღვათ მეფის, შვილისაგან,
მისრეთის ხელმწიფის ქალის სახის მოცემა. ომაინისაგან მაზედ გამს-
ჯნურება და ტილისმის ცხენით წასვლა; ზავარ ფალავანის სიკვდილი
და მისრეთის ხელმწიფის ქალის მარტოსაგან მოყვანა; მერმე თეთრის
დევის სიკვდილი; მისის საქატრონის დაჭირვა; დევთა იმ ქვეყ-
35 ნიდან ერთად გაყრა — რაც გაეგონა და ენახა, ყველა მოახსე-
ნა. რა ამბავი დაასრულა, იგი პირმთვარე დევისაგან მოპარულდ

ქალი სთხოვა თურანის ხელმწიფება, და ქალი შისცა. შვილი გაგზავნა, და ჰაპპატიუ. მას სიმდაბლე ექნა და სიმამრის სანახავად მოვიდა. ხაყანჩინ ღიღის სიხარულით ნახა. ბაბრები რომ დაეხოცა, იქ დავხვდი, და აწ აქათ გამომგზავნეს.“ კეისარმან უბრძანა: „რას ეჭობ, რომე იქ ხანი დაყოს რამე?“ მან მოახსენა: „მისრეთის ასულიც თან ახლავს და ხანის დაყოფისა არა ვიცი რა.“ მას კაცა ეს ამბავი მწვეთ დაუმაღლა და საბოძვარი უბოძა, და ომაინის სიყვარულით გული აევსო და მისის ნახვისათვის საეჭვოს ჩავარდა. მესამეს დღეს კეისარმან შვიღი ვეზირი იხმო და ესრეთ უბრძანა, ვითა: „მწადიან, რომე ცოტას ხანს ჩემის საპატრიონოთ წავიდე და უცხოს ალაგას უცხო კაცნი ვნახო და თქვენის გამორჩევით ვქნა.“ ამაზედ ვეზირნი დალონდენ, და ვეზირთ უფროსმან მოახსენა: „ხელმწიფეო, ცას ქვეშ მეოთხე წილი თქვენი არის, და სხვა მეფენიც თქვენს ფარმანს⁹⁵ ქვეშ არიან. სხვა ალაგას რა არის ასეთი, რომე შენს ქვეყანას არ იყოს? აროდეს თქვენის გვარის მეფენი ამ ქალაქით, არ გასულან, არამთუ ჩვენ სხვაგან წასვლის ნება დავვერთოს, ღმერთმან ნუ ყოს!“ 10 სხვანიც დაემოწმენ. ხელმწიფე გაგულისდა და ესრეთ უბრძანა: „ჩემი მამა-პაპანი ამ ქალაქისაგან არ გასულან, მაგრამე სიკვდილს მაშინც ვერ მორჩომიან. თავმან ჩემმან, მაგვარს ნულარას მეტყვით, თვარა- და სიკვდილს ველარა მოგეფარებისთ რა!“ დაინი შეშინდენ და ესრეთ მოახსენეს: „ჩვენ მონანი ვართ.“ ამაზედ უფროსი შვილი მოიყვანა და სახელმწიფოს ტახტზე დასვა, სამეფო ხმალი შემოარტყა და გვირგვინი თავს დაადგა, ხელმწიფედ დალოცა, სახელმწიფო და სა- ჭურჭლე მიაბარა და ესრეთ უთხრა: „რომ კიდეც მოვიდე, ხელმწი- ფობას მაშინც აღარ. შეგეცილები.“ შვილმა მამას ფერხთა აკოცა. 20 მესამეს დღეს სამი ათასის კაცით და ხელმწიფულის წესით გამოე- მართა. რა თავის ქვეყანას გამოსცილდა, სპარსთა ქვეყანას მოვიდა- დიდის მორჭმულობითა.

XLVII. აჩა ჭეისარ-ხელმწიფის ფიგი სპარსთა შეფისა ანუ- შრევანს⁹⁶ ზინაშვ.

5

10

15

20

25

30

35

გონიერი მწიგნობარი მოიხმო, და პირველად ღმერთი აღიდეს და მერმე სპარსთა მეფეს ქება შეასხეს: „ხელმწიფეო! ღვთის საფარ- ველსა ქვეშე ჩემის ქვეყნისაგან წამოველ ამაღ, რომე პირველად თქვენი ქება მესმა და მერმე საკვირველთ შემოქმედის დიდება. აწე თქვენთა მზღვართა ადგილას მოველ და თქვენი ნახვა მინდა.“ რა ანუშრევანს ესმა; თავის დიდებულთ უბრძანა: „იცით, რომე კეისარი

- სხვათა მეფეთა ზედან უმეტესი არის და ეს მისი დიდი სიმდაბლე არის, რომე სხვის ნახვად წავიდეს.“ მოციქულს მრავალი უბო-
ძა. ანუშრევანს აღრიბეფანი, არაყი, ერანი, ბალდადელნი და ხვარა-
ნელი ლაშქარნი ერთობით თან იახლნეს, და ესრეთ დიდის შეკრი-
5 ლობით და ხელმწიფური წესით შეიდის დღის სავალს კეისარს წინ
მიეგება. რა მეფეთ ერთმანერთი დაინახეს, ორნივე ცხენით გარდახ-
დეს. ერთმანერთს პირს აკოცეს და თავს გუარი გარდააყარეს და
ტკბილის სიტყვით ერთმანერთი მოიკითხეს. შესხდეს და კეისარის
საღვომად მივიღნენ. სამს დღეს მუნ ნადიმი დაიდვეს. მეოთხეს დღეს
10 ანუშრევანის სარაიას მოვიდნენ. ოთხს დღეს მუნცა ნადიმი იყო, და
მომღერალთა თანა გაიხარეს, მეხუთეს დღეს კეისარის წინაშე მრავა-
ლი უცხო და ძვირფასი ყოვლის ფერისაგან მისართმეველი მიართვა
და ლაშქართაცა უსაზომო უბოძა. მუნით აიყარნეს და ერანის კერძო
წავიდნენ.⁹⁷ უკეთესი სახლი და სარაია კეისარისათვის მოამზადეს,
15 და ყოველ დღეთ უკეთესი ლხინი და განსვენება იყო. ამაში ორი
თვე გარდახდა. კეისარმა ერთი თავადი ანუშრევანს მიუგზავნა, ვითა:
„ხელმწიფეო, ესე წყალობა კმარა ჩემთვის, რომე ჩემის ქვეყნით
წამოსულს თქვენი შეყრა მეღირსა. ვიჩემ ვცოცხალვარ, თქვენის ნა-
ხვისთვის ღვთის სახელს ვაღიდებ. აწე, თუ ხელმწიფეს არ ეწყინების,
20 ინდოეთამდი ჩავალ, ომაინ ჭაბუკის ნახვა მწალიან.“ რა ანუშრევან-
კეისარისაგამ ეს მოისმინა; ესრეთ მოახსენა: „ხელმწიფეო, თქვენ დი-
დის კოსტანტიპოლეს ქალაქით მოსულხართ და დიდი გზა გივლია,
მეც გვერც გიახლებით.“ კეისარს ეს მწვედ იამა. ალარ დაიყოვნეს
და წავიდნენ, და ორთაგანვე მრავალი და უთებლავი საუნჯე წავიდა,
25 და ლხინით მიღიოდეს. რა ხორასნის გზა დალივეს და ინდოთა სა-
ზღვარს მიახლოვდეს, ორთავე ხელმწიფეთა გონიერი და კარგად
გამომეტყველი მწიგნობარი მოიხმეს და სარიდან ხელმწიფეს. წიგნი
მისწერეს.

XLVIII. აქა წიგნი კაისარ-ხელმიუფისა და ანუშრევანისა სარიდან წიგნება

30

- პირველად დამბადებლის ღვთის სახელი ახსენეს და მერმე ინდოთა
ხელმწიფე მეტად აქეს და ესრეთ შესთვალეს: „ხელმწიფეო,“ — პირვე-
ლად დიდის კეისარის ამბავი და მერმე სპარსთა ხელმწიფის ანუშრე-
ვანის ცნობა და ხელმწიფისაგან წინ მიგებება. ეს ყველა წვრილად
35 მიუწერეს და ეს შესთვალეს: „თქვენად ნახვად მოვედით.“ ეს წიგნი
ორთა დიდთა თავადთა მისცეს. და ფიცხლავე წავიდეს. რა: წიგნი

ნახეს, დიდის სიხარულით გაიხარეს და შვიდთა. სამეფოთა ინდოელთა სალხინოდ წიგნი მისწერეს და მოიხმეს. და ერთი თავადი ომაინ ჭაბუქს გაუგზავნა და ასრე უბრძანა: „რას წამს მიხვიდე, ნურას იყოვნით. ესრეთ მოახსენე: ორნი დიღნი ხელმწიფენი მისად ნახვად მოსულან.“ რა ეს კაცნი გაისტუმრა, ინდოთ მეფემან ხელმწიფეთა მისაგებავი ნალარა და ქოსი აკვრევინა და წინ გაეგება. რა ურთმანერთი ნახეს, გარდახდეს და ერთმანერთს მრავალი უფასო გუარი თავს გარდააყარეს და ტკბილის, სიტყვით მოიკითხეს. შესხდეს და კეისრის სადგომად მივიღნენ. სამს დღეს მუნ ნაღიმი იყო. მეოთხეს დღეს აიყარნენ და ინდოეთის მეფის, სარიდანის, ქალაქიდ მივიღნენ, მაგრამე მისებრივ ლხინი და გამოსვენება არავის არ უნახავს. რა ორი თვე გავიდა, ეს ამბავი მოვიდა, რომე იგი გაგზავნილი კაცი ჩინ-მაჩინს მივიდა, და ხაყანჩინი მუნ იყო და თავის ხელმწიფის შვილს, ომაინს, თავისის ხელმწიფის წიგნი მიართვა და მამის შისის შეთვლილობა ყველა მოახსენა. რა ომაინს ეს ამბავი ესმა, დიდად აჩქარდა, ფიცხლავ ხელმწიფესთან მივიდა და ეს ამბავი მოახსენა და კეისრისა და ანუშრევანის დაბეჭდული წიგნი მიართვა და წასვლის ფარმანი მოითხოვა. ხაყანჩინმა მოახსენა: „ნუ შეიჭირვებ, ეგ საქმე მეტად კარგი არის. რადგან იმ მეფეთა სამი და ორი სამეფო გამოუვლია და ინდუსტრიანს მოსულან, ინდოეთი ჩა ჩემი საბატონო ერთმანერთს აბია და, თუ მათ ნახვად არ წამოვალ, ანუ სიამაყე იქნება და ანუ დიდი სიჯაბნე, რომე მათთან ვერ გამოვჩნდე: მეც თან გიახლები და წავიდეთ.“ რა ომაინს ეს ესმა, დიდად იამა და მესამეს დღეს ბარგის აკიდება ბრძანა, და რაც ბალხი-ბუხარის ქვეყანას უმჯობესი სახელმწიფო იარაღი იყო, ყველა თან წაიღო. თვით ბადახშანის ლალი, იაგუნდი, ჩინური სტავრა, ხატაური რიდენი და ყაბარჩანი და სხვის საჭურჭლის ანგარიში არ შეიგებოდა. რა თურქისტანის სამზღვარი დააგდეს და ინდოთა მზღვართა შემოვიდნენ, თურქთა ხელმწიფემან გონიერი და კარგად მიმხედარი მწიგნობარი იხმო და იმა სამთა სწორუპოვართა სახელ-ამაღლებულთა დიდთა. ხელმწიფეთა თანა წიგნის დაწერა უბრძანა.

XLIX. ამა ჟიშნი ჩინ-მაჩინის ხელმწიფისა დიდთა ხელ- მწიფესთანა

პირველად სიხარულისა მომტენელისა და ჭირთა განშაქარვებელისა, ყოვლის მპყრობელისა ლვთისა სახელი ახსენეს და მისი დაუსრულებლობა და მერმე ამა სამთა დიდთა ხელმწიფეთა დიდნი ქება შეასხეს ესე, ვითა: „ლვთისაგან პატივცემული მისსა საფარველსა ჭვეშე

5

10

15

20

25

30

35

- ნიადაგმცა ლხინსა და განსცენებასა შიგან არიან. ოქვენი წიგნი და
ამბავი ჩინ-მაჩინის ქვეყანას მოვიდა. რა მოვისმინეთ, მოწყალესა
ლმერთსა დიდი მაღლი მივეცით. კმარისცა ჩვენზედა წყალობად ესე,
რომე თქვენსა ნახვასა ველირსენით, ჩვენსა სიძესა, ომაინ-ჭაბუქსა,
- 5 ავჭყერით, ფიცხლავ ჭიარეთ და თქვენსა მზღვარსა რა მოვედით, ესე კაცნი გაახელით და, თუ განგებასა სწადიან, ჩვენცა ადრე მოვალთ.“
რა ესე ამბავი ანდოეთს მოვიდა, დიდად იამათ, და ღვთის წინაშე მათი
საჯო ეს იყო, რომე, ხაყანჩინიც მათ შეჰქროდა. ფიცხლავ წინ მიე-
გებნენ, მაგრამე ეს საჯერო არის, რომე ოთხთა ქვეყნის მშერობელ-
- 10 თა ხელმწიფეთა ერთმანეთთან დიდის განსცენებით შეყრას კაცის
ენა ვერ გამოიტყვის. რა ერთმანერთი ნახეს, ოთხივე ხელმწიფეთი
ლაშქართა შუა გარდანდეს და ოქროს ტაბკით თავს გუარი გარდაა-
ყარეს. და ტკბილის სიტყვით ერთმანერთი მოიკითხეს. რა კეისარმა
ომაინ ნახა, თავის სახელმწიფოს წამოსვლისათვის თავის ჭკუას არას.
- 15 დაემდურა. მუნით შესხდეს და ხაყანჩინის სადგომად მივიდნენ, და
ერთს მილიონს ფერხთ ქვეშ სტაცრა დაუფინა, და სამს დღეს
მუნ ნადიმი იყო. მეოთხეს დღეს სარიდან ხელმწიფის ქალაქად შევიდ-
ნენ, და ხუთს დღეს მუნ ნადიმი და ლხინი იყო. მეექვსეს დღეს
სამთავე მეფეთა ინდოთ მეფემან მრავალი არმალანი უძღვნა და
- 20 ლაშქარიც ერთობ საბოძვრით აავსო. და ყოველთა დღეთა ლხინი
და განსცენება იყო და შორით ქოსთა ცემისაგან ყურთა სმენა არ
იყო. და ხუთთა მეფეთა მონანი ოქროს სარტყლით წარმოდგებო-
დიან. რა ანუშრევან ხელმწიფის იარაღი გახსნეს, ერთი ლალის თა-
სი წინ წამოდგეს, რომე მის შუქი უკუნს ღამეს გაანათლებდა. იგი თა-
- 25 სი ხელმწიფეთა მოეწონა, და ასეთი იყო, რომ მაშაცი კაცი ძლიერ
დალევდა. რა სმა შეიქნა, იგი თასი პირველად კეისარმა დალივა და
მერმე ანუშრევან დალივა და ნებზედ დაიბერტყა და კეისარს მოახ-
სენა: „ესრემც თქვენის მტერის ტვინი დაიწურებისო.“ და თასი კეი-
სარს მიართვა, ვითა: „ეს ჩემი იადგარი იყოსო.“ მას დიდად იამა.
- 30 მაგრამე გულში დაყმუნდა ამად, რომე სხვათა მეფეთა ზედან ნამეტ-
ნაობა არა სწადთა. ანუშრევან კეისარს დაჭმუნება შეატყო: „კაცი
გაგზავნა და ოთხი თასი კიდევ სხვა მოატანინა, მაგრამე ეს ხუთი
თასი ერთანერთის უარესი არ იყო. ერთი ინდოთ მეფეს მიართვა, ერ-
თი ჩინ-მაჩინის¹⁸ ხელმწიფესა, ერთი ომაინ ჭაბუქსა და ერთი თვით წინ
- 35 დაიდგა და ესრეთ ბრძანა: „ეს თასები ძველითგან ჩვენს ქვეყანას
ყოფილან, მაგრამე არასოდეს ფასი არ დასდებია. აწე ესე სჯობს,
რომე თვითოთ თვითოს გვქონდეს და ჩემი სახელი თქვენთან იხსენე-
ბოდეს.“ მათ მეფეთ დიდი ქება და მაღლი შეასხეს. ესრეთ საკვირვე-
ლი და ძვირფასი იყო, რომე არ ითქმოდა:

აჩა ამ დილთა ხელმიწითა ტყბილის საუბარით ერთა-
ნერთის გადამათება

438* დიდი ნუშირვან ხელმწიფე ბრძანებს მორქმული ბედითა,
აქებს მეფეთა ხმა-ტკბილად სიტყვითა მოსალბედითა:
„ვინ თქვას ჩვენთანა სწორობა, მან თავი გაიბედითა,
და კაცი ჭრუნვითა ჩავარდეს ზოგითა დანაყბედითა:

5

439. მეფეთა თქმული დარჩების სხვათ სიტყვათზედა სრულია,
მოვიღოთ თვითო იაღვრად ჩვენთა სრათაგან სრულია,
ბედით ვინც მიჰყვეს ჩვენს ნათქვამთ, მტერი. ჰყავს

გაბასრულია.⁴

10

და მათ ჰქონდა ლხინი, უყვავდენ ნარგისი, ვარდი სრულია.

მეჯლიშსა შიგან ანუშრევან ესე სიტყვა მოძლო და ესრეთ ბრძანა:
„რადგან ეს ოთხნი ჟირი ხელმწიფენი ერთად შევიყარენით, ეს ჯერ
არს, რომე თვითო ასეთი სიტყვა ვთქვათ, რომე ჩვენს უკან ჩვენი¹⁵
ნათქვამი ჩვენდა იაღვრად დარჩეს ამაღ, რომე ხელმწიფეთა ნათქვა-
მი სიტყვა, ვითარცა სხვათა ნათქვამთა კაცთა სიტყვაზედ ხელმწიფუ-
რად თქმულა.“ რა ხელმწიფეთ ეს მოისმინეს, ასრე მოახსენეს: „რაც
ოქენეს სიბრძნეს ეკადრებოდა, ივი ბრძანეთ და პირველად თქვენვე
ბრძანეთ.“ ანუშრევან თვალმარგალიტის კოლოფი გახსნა და ესრეთ
თქვა: „მე, როდესაც სიტყვა არ მითქვამს და გულს შენახულად მქონია,²⁰
უთქმელობისაგან აროდეს არა შწყენია რა და ზოგის ჩემის ნათქვა-
მისაგან. სინანულით ჯავრი მიჰყამია.“ მერმე კეისარმა. თავისი სი-
მრავლე გონება გახსნა და მეფეთა თანა ესრეთ თქვა: „რაც არ
მითქვამს, მისი თქმა შემიტლიან და ჩემს ხელთ არის და, რომელიც
მითქვამს, ჩემს ხელთ აღარ ყოფილა. ამისთვის, რომე, როდესაც
მშვილდისგან ისარი გავარდა, მსროლელი ვეღარ მოიბრუნებს.“²⁵
მერმე ხაყანჩინელმა მუშეის უპე გახსნა და ესრეთ თქვა: „როდესაც
სიტყვა არ მითქვამს, ჩემს ხელთ არის და უთქმელსა ზედა ვზივარ და
როდესაც ითქვა, მე იმ სიტყვას ქვეშე ვარ და პირდაპრობას ვეღარ
უზამ ამისთვის, რომე, სანამდისინ სიტყვა არ მითქვამს, იგი ჩემს
ხელთ არის და; რა ვიტყვი, მე იმ სიტყვას ქვეშ ვიქნები ამაღ, რომე
ვირემდი რძალი პირ-აუხდელი არის, მისის პირის ახდა შენს ხელთ
არის და, რახანაც ახდი პირს, ვეღარ ჩამობურავ.“ მერმე დიღმა
ინდოთ მეფემ ვარდის ბალის კარი გააღო და მათ წინაშე შაქრის.³⁰
უტკბოსი კიტყვა თქვა: „რაც ენით სიტყვა ითქმის — ანუ სამადლო

15

20

25

30

35

- იქნების და ანუ საცოდავი. თუ სამადლო არის, შენის ნათქვამის
მსგავსად სხვაც ვინმე მთქმელი გამოჩნდების და, თუ საცოდავი
არის, თქმას სარგებელი არა აქვს, თუ არ ნალველი. რაღან აგრე-
არის, თქმას ყოვლის უთქმელობა სჯობს ამ მოწმობითა, რომე ერთი
- 5 ბერი კაცი ვნახე, იუნან ბრძენთა ჰყვეყანასა და მე ვპკითხე: «შენ,
კაცო გონიერო, რა უმჯობეს არის სათქმელად კაცისათვის სხვათათ-
ვის მოსაწონელად?» მან მითხრა სამჯერ: «უთქმელობა, უთქმელობა
და უთქმელობა. თუ მკითხავთ, მართალი ეს არის.» მერმე მე ჩემს
გულს ჩავხვდი და მშვიდად ყოფნისა და უთქმელობის უკეთესი ზე
- 10 კაცისათვის ვერა ვნახე რა. არას ვიტყვი, რომე პირი შევიკრა და
თვალი დაკბუჭო, მაგრამე არც სიტყვა არის ასეთი; რომე ყველა
წვრილად უნდა გაშინჯო და სათქმელი სთქვათ და უთქმელი
დამალოთ.»
- ეს ერთმანერთის ნათქვამი ხელმწიფეთ მეტად მოეწონათ, და
- 15 მას დღეს ლხინით გამოისუენეს. მეორეს დღეს ერთი ვინმე უცხო
და საკვირველი კაცი მოვიდა მას ქალაქსა შინა. მოქალაქენი
მოვიდნენ და ხელმწიფეთა აცნობეს და, რაც მისგან ენახათ, ყველა
მოახსენეს. ერთმან მეტად გონიერმან კაცმან, სახელად მოლა-აბიბ,
ოთხთა დიდთა ხელმწიფეთა ესრეთ მოახსენა: „მე მკითხა მან კაც-
20 მან: «რომლის მიზეზით იქნა ამ ქვეყნის მპყრობელთა მეფეთა ერთად
შეყრა?» მან ეს წიგნი თავით ბოლომდის სპარსთა ენით გამაგონა და
მე ამ ქართულის ენით გადმოვსწერე, რომე ჰეშმარიტად დიდი არის
ლმერთი“.

II. აჩა აშგავი შარამოილ ^თ ჟაგუარსა ცუთთა შევეთა

25

ზინაშვ

- მოქალაქეთ მოახსენეს: „ხელმწიფეო, გუშინ ერთი კაცი ქალაქიდ
შემოვიდა დიდის ბარგითა, მაგრამე მისი მსგავსი კაცი არავის უნა-
ხავს; შავის რკინის მთასა ჰგავს და ესრეთ შეჭურვილი არის;
რომე ფრჩხილი არ უჩანს. არაფერისთანა არა გვკითხა რა და;
30 სადაც ადგილი მოეწონა, ჩამოხდა და სახლის პატრონი გა-
რედ გამოყარა.“ მეფეთ კაცი გაგზავნეს და იგი კაცი მუნ
იხმეს. რა იგი გაგზავნილი კაცი მივიდა, შეშინდა და ესრეთ მოახ-
სენა: „ხელმწიფეთ თქვენი სიკეთე ესმა და მუნ გაწვიეს.“ მან
ესრეთ უთხრა: „მე მიკვირს, რომე თქვენ მოსვენებით გძინავთ!
35 წა დი და შენს პატრონს ესრეთ უამბე: «მე ყარაქოილ ვარ, და
ერთი კაცი გამოგზავნოს და ჩემი ამბავი მართლა შეიტყონ და

მერმე ეგრეთ მაწვიონ.» რა გაგზავნილი კაცი მოვიდა და მისი
ამაყური ქართული უამბო, ომაინ გაჯავრდა და ესრეთ ბრძანა:
„რა სავარგო არის, რომე ერთი კაცი ამისთანას უსწოროს ხელმ-
წიფეთ ამისთანა ქართულს გვეუბნების? მე წავალ და პასუხს მივს-
ცემ.“ ომაინს მოახსენეს: „მოიცადე, და მართალი შევიტყოთ.“ 5
მან კაცმან მოახსენა: „მისმან შიშმან დამლია. ერთის მთის ოდენი
შავი კაცი არის.“ მერმე ერთს თავადს უბრძანეს: „წალი და შენ
ნახე, ვინ არის და რა სწარიან?“ რა იგი კაცი მივიდა, ესრეთ
უთხრა: „ხუთი წელიწადია მეომარი აღარ ამჩენია. აწე აქ
მოესულვარ, რომე ჩემი მოპირდაპირე მეომარი გამოჩნდეს. ერთი
ჩემი ისარი წაიღე და ომაინს მიუტანე.“ რა იგი კაცი მოვიდა
და ესრეთი ამაყური სიტყვა მოახსენა, ომაინ თავის სიმამრს ხაყან-
ჩინელს, მოახსენა: „ხელმწიფეო, გუშინ ესე სიტყვა მოიღეთ,
რომე უთქმელობა მეტად კარგი არისო, მაგრამე ამისი უთქმელობა
არ ვარგა. იმ ამაყს კაცს მე მარტო შევებმი და თქვენითა ბედითა
მისსა სიჩქარესა დავაწყნარებ. თქვენ ეგზომსა დაგსჯი, რომე
ხელმწიფეს მამაჩემთან ფარმანი მითხოვე ¹⁰⁰. ხაყანჩინელს არად
მოეწონა, მაგრამე იცოდა; რომე ომაინ თავის ნათქვამს უკან
აღარ დააბრუნებდა. წავიდა და ინდოთ მეფეს ყველა მოახსენა და
საომრად ფარმანი უთხოვა. 10

მან ესრეთ ბრძანა: „მარტო ვეშპისა პირში რასათვის ჩვეარდე-
ბის? და თუ საომარი იყოს, ერთად რაზმით შევებნეთ, და თუ არა,
ინდოეთს საჭურჭლე და მონა არა დია მოაკლდების, მივსცეთ და
გავიცალოთ.“ 20

მერმე ომაინ წამოდგა და ესრეთ მოახსენა: „ხელმწიფეო,
ესოდენი მოვყრილვარ და თქვენთვის სიტყვა არ შემიბრუნებია და,
თუ არ გამიწყრები, ერთი სიტყვა მაქვს და მოგახსენებ.“ მერმე
მამამ უბრძანა: „კაცი შენს გაწყრომას როვორ ლირსა? ლმერ-
თიმც ნუ გავიწყრების; ის არის შენი მომხმარეო.“ ომაინ
ბრძანა: „ლმერთმან ნუ ქნას; რომე მე ცოცხალი, ვიყო და
ერთს მემუქარეს კაცს თქვენ რაზმით შეგაბათ, ანუ ინდოეთით
მას საჭურჭლე და ტყვენი მივსცნე. ცოცხალი ჩემსა სახელს
დაგჰქარგავ, და თუ მე მისის ხელით მოვკვდე, მერმე, რაც ვინდათ,
მასუკან. იგი ქენით!“ ომაინს პასუხი ველარ უთხრეს. იგივე
კაცი ყარაქოლთან გაგზავნეს და ესრეთ შეუთვალეს: „მოდი, გვნახე,
რა კაცი ხარ და მერმე შენსა საქმეს გავაგებთო. ეს ცოტა აზრი
არის, რომე რაზმით შენს ომს არა ირა ვიკადრებთ და შენც თავისა
თავად ითხოვ ოშა და თუ მარტო შენს მოპირდაპირეს ვიშოვებთ,
35

- შეგაბამთ, და თუ ვერ ვიშოვეთ, რაც შენ გინდა, მას ვიჩამთ.
 რა ეს ყარაქოილ-ჭაბუქმან მოისმინა, დიდად იამა ამაღ, რომე
 „თუ კაცს შემომაბმენ და მასზედა ჩემს ნაქმარს ნახვენ, უფ-
 რო შეშინდებიან და, რაც მინდა, ყველას მიზმენ.“ ეს გულსა
 5 გაივლო და ფიცხლავ შეეკაზმა და წამოვიდა. მეფენი კარავთა შიგან
 ისხდეს; ნახეს, რომე ერთი დიდი კაცი მთის ოდენი, ვეშაპისა მგზავ-
 სად დიდს ცხენსა ზის და მოვიდა—არც ჩამოხდა და არცა რა უბა-
 სუხა. ცოტა ხანს იდგა და გაბრუნდა. ერთი ცხენოსანი ნახა. ცხენი
 გაქუსლა და მას კაცს შუბი შესცა. კაცი გარდმოვარდა, და თვითან
 10 საღომისაკენ წავიდა. რა ეს ნახეს ხელმწიფეთ, მისი ომი აღარ
 უნდოდათ. ომაინ კაცი გაუგზავნა და აცნობა, რომე: „ხვალ
 შენი და ჩემი ომი უნდა იქნას!“ რა ომაინ ეს უთხრა, სიცილით
 უკუ მოყივლა: „ორს დღეს მაგისის სიხარულით ლხინს ვნახავთ, რომე
 მე სამარტოდ მეომარი ამჩენია, და იგი ჩემი მებრძოლი არიცთა.
 15 და მოყვასთა გამოესალმოს და, ვინცა მამაცია, მესამეს დღეს ჩემი
 ჩრდილი გაიცადოს.“ მონა მივიდა და მისი ნაუბარი ყველა
 ომაინს მოახსენა. მან ესრეთ ბრძანა: „თუ ლმერტსა სჭავიან,
 მისთა მოყვასთა გამოსალმება მასაც მართებს.“ ამაზედ დაასკვნეს
 მესამესა დღესა ლმი. ესე ამბავი დედოფალთ მოახსენეს. ჟეიქნა,
 20 ესეთი ტირილი და ვაება, რომე მისებრივ აღარ ითქმოდა. და თვით-
 დედა და ორნივე მნათობნი ცოლნი მტირალნი ომაინს ფერხთა;
 ეხვეოდეს და ამას ეტყოდეს: „რა გიჭირს, რომე შენ, ეგზომთა
 ლაშეართა პატრონი, შენთა სახელმწიფოთა შიგან მარტო ეშმაკო-
 სავსეს - საგრძლისა ებრძვი? დაგვიჯერე, იგი გრძნეულებითა სავ-
 25 სფ-მორთულია; მას კაცისაგან არა ებრძოლების.“ მათ ომაინ არა
 მოუსმინა; იგინი ეგრეთვე თვალცრუმლიანი იქავ დაყარა და
 ომაინ ერთსა ხალვათსა ადგილსა გამოვიდა. შეიქნა ესეთი დიდი
 ღვრიალი და საკვირველება, რომე მეორედ მოსვლას დაემსგავსა. მეო-
 რეს დღეს ომაინ საორრად აემზადა, და ერთობილნი მოქალაქენი საჭვ-
 30 რეტელად მოვიღნენ და მოედანს გარე მოერტყნენ, მაღლა კოშკაა
 ზედან დასხდენ. და მესამეს დღეს ყარაქოილ ჭაბუკი მოედნის. თავს
 მოვიდა და ესრეთ შეჭურვილი იყო, რომე ბეჭვი არც ცხენსა და არც
 კაცს არ უჩინდა, და მახვილი შუბი ხელთა პქონდა და სპილოს სახე
 ლახტი წელთა ერჭო. საგდებელი სარტყელსა ეკიდა. ესეთი საზარელი,
 35 სანახავი იყო, რომე ყოველი კაცი ტიროდა. და შექნეს ღვთის ხვეწნა.
 ამაზედ ომაინ-ჭაბუკი გამოვიდა; თეთრს ცხენს იჯდა, თეთრი ღვროქსო-
 ვილის ჭურტაჭი ტანსა ეცვა. ბერძული მუზარადი თავსა ედვა და მასცა
 შუბი ხელთა ეჭირა და მისრთა ხელმწიფის იადგარი ლახტი ხელთა

ეპყრა. კაცთა თვალისაგან მისგან უკეთესი სანახავი აღარა ინახებოდა რა. რა მჭვრეტელთა იგი ნახეს, უფროსი ტირილი და ვაება შეიქნა, და ამ ოთხთა დიდთა მეფეთა სიკეთე უკვირდათ.

რა ყარაჯოილ ომაინ ჭაბუკი ნახა, ესრეთ უყივლა: „შენ, ვაუო, ჩემად საომრად მოხვალ, რომე ჩემის შიშით ჰაერთა შიგან არწივი თავს ვერ გარდმევლების? დაჭრლვათა შიგან ნიანგნი იმალებიან,

და შენ ჩემზე ჯომარდობას ცდილობ?“ ომაინ პასუხი არ გასცა და წყნარად მისკენ მივიღოდა. ყარაჯოილ მისი უბასუხობა იწყინა. ცხენი გაიგდო, ქარივით წამოვიდა, და აქათ ომაინ შემოუტივა. ორ-

თავე შუბები ხელთა ჰქონდათ, მაგრამე მომაინის შუბი იმის შუბს ვერ მისწვდებოდა. ყარაჯოილ მოუხდა და ომაინს ცხენს შუბი უკრა, ორივე ბეჭი დაულეჭა და შიგან გაავლო; ცხენისაგან შუბი აღარ გამოილო

და ომაინისაკენ მოპრუნდა. ვირემ ომაინის ცხენი დაეცემოდა, ომაინ ვეფხივით გარდმოხდა, შუბი გააგდო და ყარაჯოილს მიმართა:

მას გაამაყებულს ომაინ სახუეჭრად მიმავალი ეგონა. რა ახლოს მივი-
და, ლომივით შეაფრინდა; ერთი ხელი სარტყელს ჩაუგდო და მეორით
ბარკალს მოეკიდა და წყალობის მამცემელს ღმერთს შეეხვეჭა, დიდი და-
იძახა და ზე აზიდნა. უნაგრით მოჰადა და მიწათა ზედან მძიმედ შე-

კაზმული მწარედ დააწყვიტა. ვირემდი ყარაჯოილ წამოდგებოდა, ომაინ სარტყელთა შიგან ჩაპყრობილი მისრული თორმეტ-ფრთიანი ლახტი

გამოილო და თავსა ესეთი დაკვრა, რომე. იმ ნაკრავის ხმა ოთხსა ფარ-
სანგსა გაიგონეს. ოქროს მუზარადი გაუტეხა და იგი საგრძილი მკვდა-
რივით გადმოშალა. ომაინ ზედ შეახლტა, ხანჯალი გამოილო და თავი-

სის ცხენის სისხლის ფასად მარჯვენა ხელი მოჰკვეთა; ოქროს ჭუდი
მოჰადა, სარტყელი ასწყვიტა, თავისივე საგდებელი მხარს მოაბა;

მის ცხენსა თვითან შეჯდა და შეშინებული, დამონებული ყარაჯოილ
ქვეითად წინ წაიქცია და მეფეთა წინაშე მიიყვანა. რა მეფეთა,
დედოფალთა და ყოველთა მცვრეტელთა ომაინ-ჭაბუკისაგან ესე-

რი ნაშარი ნახეს, მათი დგრიალი დიდის ქარისაგან აღელვებულს
ზღვასა ჰგვანდა, და ღმერთსა აღიღებდეს, რომე მასთან დიდი და

ცოტა სწორი არის, და ერთმანერთს ახარებდიან. მეფენი კოშკისაგან
ჩამოვიდნენ და, ომაინს წინ მოეგებნენ და თავს ოქრო და გუარი

გარდააყარეს, გამარჯვება მიულოცეს და ქება შეასხეს, მიბრუნდეს და
მუნვე დასხდეს. კეიისარმა და ანუშრევან მიმაინ შეა ჩაისვეს, და
ყარაჯოილ მაღალის ხმით იძახდა: „ომაინ! ნუ მომკლავ, ჩემი

სისხლი მაგ დიდთა ხელმწიფეთა აპატივე! ჩემს სიკვდილს ისისჯობს,

რომე ხელმოკვეთილმან შენი სახელი ქვეყანათა ზედან გავიღო¹⁰¹.“

5

10

15

20

25

30

35

LII. პატა ხელმწიფეთაგან ზარარობილის მოქადაცება მათ ჭირაშვ
და აზათობა

ხელმწიფეთა ყარაჯოილის მოყვანა ბრძანეს. მოიყვანეს და ახლოს
დააჩიქეს, მაგრამ მისია სიღიღესა და ბეჭმერდიანობასა კვირო-
5 დეს, რომე მისი მოყვეთილი ხელი ერთმა ფალავანმან ძლივ მოი-
ტანა. მერმე ჰეთებს: „ვინა ხარ, ანუ რომლისა ქვეყნისა ხარ?“
ყარაჯოილ მოახსენა: „ხელმწიფეო, არაბეთის ქვეყნის კაცი ვარ; ჩემი
10 მამა-პაპანიცა ფალავანნი იყვნეს, მაგრამ თავის თავს დაჯერე-
ბულნი იყვნეს და ჩემის უბედურებით ყმაწვილობითგან არც
მოჰიდარი გამომიჩნდა და არც მეომარი. სადაც სამექობროდ წა-
15 ვედი, კაცს ზოგს მათრახით და ზოგს შუბის პირით ¹⁰² ჩამოვყრიდი
და საქონელს წავართმევდი. აწე მამის ჩემის სახლს აღარ დავსჯერდი
და არც მეგონა ჩემებრივ ჭაბუკი გამოჩნდების მეთქი, აწე ერთს
ხელს დავჯერებულვარ. და თქვენის ხელმწიფობისაგან იმედი მაქეს,
20 რომე ჩემი სული ომაინ-ჭაბუკისაგან იხოიშნოთ ¹⁰³.“ სარიდან ხელმ-
წიფემ ბრძანა: „ვიცი, ეს დევის ნათესავი ჩემს შვილს სასიკვდი-
ლოდ არ უნდა. ვითა წესია, ხელთ დარჩომილს მტერს არ მოჰკლავს,
მაგრამ ეგ ერთის ხელით მრავალს კაცს მოერევის და ქვეყანას
ამოსწყვეტს. წაიყვანეთ და ამა მჭვრეტელთა ყველას აჩვენეთ,
25 მერმე თავი მოჰკვეთეთ.“ ყარაჯოილ გაზიდეს. ომაინ ხელმწიფეთ
შეეხვეწა, რომე ნუ მოაკვლევინებოთ. კეისარმა ბრძანა: „თუ
ეს კაცი ჩვენთან არ მოსულიყო, დია, ღმერთო, სასიკვდილო იყოვო.“
მერმე ანუშრევან ბრძანა: „ომაინისაგან ესეთი შიში დამართებია, რო-
მე, თუ მორჩების, იგი ავს ვეღარას იქსო.“ მერმე ხაყანჩინელმა
30 ბრძანა: „ომაინის შხედრის ცხენის ნალი რომ შუბლზედ გახურ-
ვებული დავასვათ, იგი ცხენი მკვდარი აღარ იქნების.“ სარიდან მე-
ფე მიემოწმა ¹⁰⁴ და ესრეთ ბრძანა: „წადით და, იმ ცხენის ნალით
შუბლი დაუდალეთ და თავშიშველი და გაკიცხული ერთის მონით გაუშ-
ვით.“ ომაინ ადგა და მისის სიცოცხლისათვის მადლი გარდიხადა, და
35 სრულად მუნ მოსულთა მჭვრეტელთა ესრეთ გაწბილებული აჩვენეს
და მარტო გაცრუვილი გაუშვეს. ომაინ მისი საქონელი მოაღები-
ნა; ხმალი, ოქროს ჭუდი და სხვა მრავალი საჭურჭლე კეისარს.
მიართვა; ჯაჭვი, ოქროს სამკლავე და სხვა მრავალი საქონელი ანუშ-
რევანს მიართვა; ცხენი და ოქროს იარალი და სხვა მრავალი ვანძი
ხაყანჩინელს მიართვა; მისი ლაშქარი და პირმთვარენი ხაღუმნი
და საჭურჭლე მამას მიართვა, მან არა დაიჭირა რა, მარტო სახელ-

საგან კიდე. მერმე ომაინ დედასთან და დედოფალთ თანა მივიღ. წინ მოეგებნენ, თავს მისალოცავი გუარი გარდააყარეს და ყელს მოეხვივნენ. მერმე დარბაისელთა ცოლთა დალოცეს და უწინდელს ლხინ-ზედ ხელმწიფეთ დიდად უმატეს, და ომაინის გაგონილის ქები-საგან ეს კიდევ ნამეტნავი ნახეს. ამა განსვენებასა შიგან ერთმა 5 თვემ გაიარა. ერთსა მეჯლიშსა შიგან კეისარმა ბრძანა: „მაშინ ანუშრევან ტურფა რამე სიტყვა ჩამოაგდო, მაგრამე გულის პასუხი უთქმელად დაგვრჩა.“ მერმე ანუშრევან მოახსენა: „მაშინ თქვენ ჩემსა ნათქვამსა ემოწმებოდით. აწე თქვენ ბრძანეთ, და ჩვენ გიმოწმებთ.“ კეისარმან თქვა: „ყოვლის შემოქმედი ღმერთი მართალია და მართლის მთქმელის მოყვარე.“ მერმე ინდოო მეფემ თქვა: „დაუსრულებელი ღმერთი მშვიდია და მშვიდობის მყოფელთათვის მშვიდობის მომფენელი.“ მერმე ხაყანჩინელმა თქვა: „ყოვლის მპყრობელი ღმერთი მოწყალეა და კეთილის მოქმედთათვის წყალობის მომცემელი.“ მერმე ანუშრევან თქვა: „ჭეშმარიტი ღმერთი ტკბილია და მოყვარეთა შემატკბობელი. ჩვენ ერთმანერთის მოყრობით და სიტკბოთა ვერაოდეს დავძლებით. აწე უამია, რომე ერთმანერთს დავეთხოვნეთ.“ ესე ნათქვამი მათაც მწვედ იამათ, რომე მათსა გულსაცა ეს ედვათ. მას დღეს ლხინით გაისვენეს და მეორეს დღეს ინდოთ მეფეს წინაშე კაცი მიგზაუნეს და ესრეთ შეუთვალეს, ვითა: „ხელმწიფეო, სანატრელია იგი კაცი, ვინც ნიაღაგ თქვენ გახლავს და, ვისაც თქვენზე სიამოვნე და ყოვლის კარგის შესწრობა უნდა, თქვენთა ცხენთა ნატერთალს არ უნდა გაეყაროს. თქვენთან ხანდაზმულთა სხვაგან სიცოცხლე აღარ იამების, მაგრამე დიდთა სახელმწიფოთა თვალი ჩვენზე უჭირავს, და დასტური გვიბოძეთ.“ მერმე ინდოო მეფემ შეუთვალა: „ღმერთს ვევედრები, რომ, ევზომ სიმდაბლისათვის დიდი სიმალლე მოგეცესთ. თქვენს სტუმრობას კაცი არა ლირსა! თქვენად სასტუმროდ და განსასვენებლად ღმერთს სამოთხე მოუმზადებია. თქვენი ნება იყო, რომე ქვეყნის სასინჯავად და უცხოთა ადგილთა ნახვად მრბრძანდით, თვარემ ჩემს სახლს თქვენი მრბრძანება არ ელირსებოდა. რაც ვერ დაგხვდით, შენცობას ფელით, და სხვა, დია, ღმერთო, რომელიც გწადდეს, იგი ქენით.“ სამს დღეს ლხინი იყო და მეოთხეს დღეს ინდოო მეფემან მაფხელმწიფეთა მრავალი უთვალავი არმალანი მიართვა და თან გაყოლად გაემართა. ანუშრევან მოახსენა: „ხელმწიფეო, ჩვენ სამთავე სხვა და სხვა გზა გვაქს, და თქვენ ნუ გაირჯებით.“ მერმე კეისარმა ბრძანა: „რაღგან ინდოო მეფესა და ომაინ ჭაბუქს გავეყარენით, ჩვენც აქავ გავიყარნეთ.“ ხაყანჩინელმან თქვა: „რაზომცა თვალით მოვეშორვებით, გულით მაშინ ცოცხალი არ გავიყრებით!“

- ხუთნივე ესრეთ საყვარელნი ხელმწიფენი ერთმანერთს გასაყრელად მოეხვივნეს. და შორით დედოფალნიცა ხედვიდეს. მუნით მათგან და აქათ ლაშქართაგან ესეთი ტირილი და ვაება შეიქნა, რომე ესეთი სიმწარის დღე აროდეს ვისმე უნახავს. აბა, ეს არის აუცილებელის
- 5 ამა მამლორებელის საწუთროს წესი, რომე სწორ გზას აღმართი და დაღმართი დაუხვდების, კეთილს — ბოროტი და სიხარულს — ნაღველი — ერთმანერთს მოსდევენ: აწე, რაზომცა ამა დიდთა ხელმწიფეთა პირველად ერთად ყოფნით გაიხარეს, ბოლოს გაყრამ ესრედვე და-
აჭმუნვა.
- 10 კეისარი თავის სახელმწიფოს — ურუმთ ქვეყანას წავიდა, ხაყან-
ჩინელი თავის ქვეყანას — ჩინმაჩინს¹⁰⁵ წავიდა, ანუშრევან თავის-
ქვეყანას — სპარსეთს. წავიდა და დიდი ინდოთ მეფე — სარიდან
და შვილი მისი, ოშაინ-ჭაბუკი, თავის საბატონოს, შვიდთა სამე-
ფოთა — ინდოეთის ქვეყანას. ხელმწიფენი, ყოველთა მეფეთ მეფენი,
- 15 სახელ-დიდებულის და ამხანაგ-შეუდარელნი და მტერ-მოურეველ-
ნი, თავიანთ ტახტზე დასხდნენ.

- 440 * თვითო მელექსე თვითოსა კარგთ ვისმე მაქებარია,
ფირდაუსტ როსტომ სხვაზედ თქვა, ვით ტრედზედ მაღლით,
ბარია,
ტარიელისთვის რუსთველსა უშვენის ნაუბარია,
20 და მე მათ საფერიად ვერა ვთქვი, ამად ვარ საგმობარია:

800000000

I. „ოშაინიანი“-ს აფორიზმები და სენტენციები

1. მოლექსეთა ცრემლთა დენა ძველად თქმულა მართ დასტურად,
მიჯნურობა აატირებს, ზის ნიადაგ სისხლთა წურად. 14
2. ვანცა ვისოთვის ჭირსა ნახავს, ბოლოს აღარ წაუხდების. 16,₁
3. გვმართებს ვიშოვნოთ სამოთხე ცვეწნით დღისით და ღამითა. 23,₄
4. მაგრამ ვერ მორჩეს შობილი თავის ბედსა და წერასა. 29,₂
5. განგებითა იგი მოვა, რა არს ღვთისა სამართალი. 65,₄
6. წესი არის: დააჩრდილებს, მოეფაროს გორას მზე რა. 69,₂
7. მშმუნებარისა კაცის ნახვა მხიარულსა და ჭმუნებს. 73,₂
8. რადღა ვარგა სანახავად, ვისცა ჭირი იძაბუნებს? 73,₃
9. მაგრამ პირველად სიჩქარე ბრძნეთაგან ნაგმობარია. 74,₄
10. კარგსა კაცსა ყოვლი საქმე კარგა სპირსა 115,₃
11. ღმერთს იამების შეწევნა კაცისა გულ-მტკივარისა. 117,₂
12. მაგრამ ცუდია ყბედობა გრძელისა საჩივარისა. 117,₃
13. მოყვრისათვის სასიკვდილოდ თავი წამსა გარდიდების 172,₄
14. არ დასწყნარდების სოფელი მუხთლობით გაუძლომელი. 177,₂
15. მაგრამ ლზინსა ვერა ჰპოვებს, ვინც სარჯელსა ერიდების,
რა წყალობა მოევლინოს, ჭირი აღარ ედიდების. 184
16. მაგრამ ძალითა ვინმც პოვოს ღვთისაგნ მოსათხოველი? 193
17. ფერავინც შეშლის ზეგარდმო განგებით მოვლინებულსა. 205,₁
18. ხორცის ჭამითა ვინ ნახავს კაჭკაშსა გაყორნებულსა? 205,₃
19. მაგრამ ვითომცა გაახლდების ვარდი უმხოლ დაჭენობილი? 242,₃
20. თუ სენს არ ეტყვის სნეული, ვერ ჰკურნებს მაკურნებელი. 266,₃
21. ხამს, თუ კაცი ძნელს ჭკუასა მისახდომლად დაუწყნარდეს. 275,₃
22. მართებს კრძალვა სირცხვილისა დიაცს თავსა დანაბურსა. 284,₄
23. გაუდნობელად ვის ძალუც ცეცხლთან შენახვა ცვილისა. 297,₄
24. ...ხმარება წესია კაცის თავს-გარდაგულისა. 137,₄
25. ...სხვა სხვისა მეცნიერია. 138,₄
26. თუ ვერა ირგოს მიჯნურმან, ცუდად რად გარდიგებისა? 146,₃
27. კაცს თურმე იგი მიხვდების, არაც ცუში გარიგდებასა. 146,₄
28. მზე არ ჩამოვა ქვეყანად კაცისა მოწადენითა 163,₄
29. ...ვერვინ-შეშლის განგებითა მომავალსა. 329,₁
30. მეურნალთაგან რამცდა ერგოს სულსა ხორციო გამავალსა. 329,₄
31. მაგრა წყაროს რას გაპევირდეს, მნახავია ვინცა ზღვისად? 330,₂
32. ნდომა არს კაცთა სიცოცხლე და გულის შემნახალია. 344,₄
33. ბრძნეთა თქმულია: არ წახდეს, ვინც სიტყვის შემნახავია. 350,₃
34. ვითამც ექნების დაფარვად ჭინჭელის ჩრდილსა სპოლნი? 361,₄
35. მეფეთ უნდომსა ვინცა იქმს, ის სრულად უმეცარია. 373,₁
36. უბედური ჭირსა მომკის, კეთილს იყოს დანათესად. 393,₄
37. კარგმან კაცმან კარგი სიტყვა არაოდეს არ იწყინა. 403,₃
38. მაგრა იგი სჯობს საქნელად, რაცა განგება ზენია! 409,₄
39. დედათა თანა კაცისა დიდი ძეს გამოცდილობა. 412,₄
40. რა ღმერთს არ ჟნდა მოვლენა, არ ვარგა კაცთა ძალითა. 436,₄

II. შეიცვლები და გარდაცვები

- 2, 2 შეთაცა უშეთესისა] ზესთაცა უზეშთესისა—E, შენ ცათ უზესთაესძსა—K.
- 5, 3 ბერწმა შვა] ბერწობა შვა—C, H, K.
- 6, 3 სწავლებითა] წვალებითა—A, C, E, H, K.
- 7, 4 ცოდნითა] ცნობითა—F.
- 8, 2 კარი] კარგი—F.
- 8, 3 ჯანინობა] ჯალინობა—A, E, F.
- 9, 4 სმენა] სენი—F.
- 11, 3 ვინც კეთილად არა წარწყმდეს—C, H, K.
- 11, 4 ზემთა ნობითა] შეთანობითა—A, შენართებითა—F.
- 12, 3 იმედ-გარდამწყდარსად] იმედ გარდაარსად—C, H, K.
- 13, 2 გაგონებასა] მოგონებასა—F.
- 16, 3 აბდულ-მესიას შავთელი—E.
- 17, 3 კედელაურმან თურქი შეამკნა, თქვა როსტომ ზაულელი—F.
- 17, 4 ფერანგ როსტომად, სალიმ, თურ, ხოსროვან ვერა რომელი—F.
- 19, 1 ქაიხოსროვის შედეგად ქვეყანა ერან-თურანის მჯდომია—C.
- 20, 2 ანუშრევანის] ან ნუშრევანის—E, ანუ შერევანს—F,
ნუშრევანისა—K.
- 24, 2 ბოროტისა ხისა] ბოროტის ხილისა—F.
- 25, 2 მოცორმა] შეცდომა—F, ძენი] შენნი—C, H, K.
- 25, 3 შესათხოველი] მოსათხოველი—B, E, F.
- 25, 4 მრავლისა ავისა მოტეჭდი ვარ მოწყალების მოხველი—F.
- 26, 2 მამის მამისა] მამის მისისა—A, F.
- 27, 1 ედგა] ყვანდა—F.
- 27, 3 ღვთისმშობლის მოწონებული—F.
- 27, 4 იქნების] იქმოდის—A, C; სამუღამოდ], საბრალოდ—F.
- 35, 3 ხრო-და-ხროსა] ხორცად ხორსა—F.
- 37 სტროფი აკლია E-ს.
- 40, 3 იტყოდიან: რა ვყოთ, რა ვქნათ?—დაიწყვიან საჩივარი—F.
- 40 სტროფის შემდეგ C, H, K იმეორებს მე-35 სტროფის პირველ და
მეორე ტაქქებს, ხოლო მეორე ნაწილი ასე იკითხება:
- „გლახაკისა მონაცემად აძლევდიან უხვად მწირსა,
ევედრების ყოვლი სული ცრემლით ღმერთსა მოწყალესა.“
- 45, 4 უშოვებლად] უშვილოდ—F.
- 48, 1 ყრმასა სახელი დაარქვეს ომაინ გვარისეულად—E.
- 50, 3 მოსატანად] მონატანად—A.
- 50, 4 გასატანად] შესატანად—C.

- 51, 2 მისგან სიტყვა არა ესმა არას კაცსა გასაგმირი—F.
- 52, 1 ბრძენისა] ბერძნისა—F.
- 52, 3 უხვ-უშურველი, უებრო, ტურფა, უებრო ენისა—A, C, K.
- 52, 3 " " " წყლიანის ენისა—E.
- 53, 2 მისი ტონი მობურთალნი მასთან არ ჩნდის საგარეულად—F
- 55, 2 ყოშუმი] ყურშმი—F.
- 62, 4 ხელ-გასაცემლად] ხვალ გასაცემლად—A, C.
- 63, 2 გობი] გორი—C.
- 64, 1 კარავთა გარეთ] კართა გარეთ; სასერნებელად] სასურნელებლად—C, K.
- 65, 4 მოსალენენი] მოსაწყენი—F.
- 67, 3 მანათობელი] დამამხობელი—E, მოსანდომელი—F; ღლინი-და] ხარება—F.
- 68, 4 გაიხვეს] გაასხეს—F.
- 71 სტროფის შემდეგ E ურთავს:

[მონა] მივიდა საუბრად, მას კარნი დახვდა ღიანი,
ახლოს მივიდა, სიცილით ჰყადრა სიტყვები წყლიანი,
უთხრა, თუ: „გიმობს ომინ, ტან-ლომი, პირად-მზიანი,
შენთა ჭირთაგან უჭირნების მასცა ვარდი და იანი.“

- B-ში მე-71 სტროფი განმეორებულია, ოღონდ დასაწყისი ტაქპის პირველ
აღრი სიტყვის შეცვლით: მონა მოვიდა...
- 73, 1 რად] რას—C.
- 74, 4 ნაგმობარია] საგმობარია—C.
- 76, 2 გამოვეგება ღარიბი მთვარეს შუქ-დანაბადისა—F, შუქნატყვისასა—E.
- 77, 4 იაგუნდი] იაგუნდად—F; ფერ-გამხდარია] ფერ-ნამჭრთალია—F.
- 78, 3 ნუ მკითხავ და...—A.
- 81, 4 უიმედოდ] უიმისოდ—A, C.
- 84, 4 რა გზანი გიც] რა გზანია—C.
- 85, 2 არად] აღრე—C, K; არა—E.
- 85, 4 მოაწვინეს] მოიწივნეს—F.
- 85, 2 გვიამბო] ყოფა თქვა—C.
- 92, 2 მიშოვნო] მიშველო—C, K.
- 93, 2 გავაპარე] დავაყენე—F.
- 98, 4 დაბნედილი] დაბნეული—E.
- 99, 2 ჩაველ] შეველ—C.
- 101, 4 ათს ხადუმნი] ათხუთამდინ—F.
- 108, 4 საქონელისა] ანსო ქალისა—A, C; ან საქონლისა—(აქა-იქ).
- 116, 2 სცვდა] ყუფდა—F.
- 127, 1 ყმასა] ძმასა—C.
- 133, 2 მალნეს] მანეს—B, მალეს—C.
- 136, 4 მოახსენეს] მოახდინეს—A.
- 145 ეს სტროფი აკლია E-ს.
- 146, 4 გარაიგდებისა] გაიგებისა—A.
- 147, 1 გამდიდებისა] გამდიდრებისა—C.

- 150, 4 ომაინ ჭირსა ჩავ რდა—F.
- 156, 4 სადედოფლოსა მობრუნდა—A, C, K.
- 158, 1 მოეხსენა] მოესმინა—C.
- 159, 2 სადგომილად] სადაგნილად—A, E, სადაგნალად—C.
- 164, 1 მისრო ქალის მოგონებასა] მის გალის მოგონებასა—F.
- 165, 3 მისამკვდარად] მისახდომად—C, K.
- 166, 2 დამსაჯარები] დასაჯარები—C, K.
- 168, 3 ხევაა, მთათა მონადვინი] ხევთა მთათა მონამდენი—C, E.
- 169, 1 მეტად გული აუჩქარდა—C, K.
- 170, 2 განკურნებისად] გამკურნელისად—A, განმკურნელისად—C.
- 1 (გვ. 23, 35) მოვალ] ვარ—A, C.
 - 2 (გვ. 24, 2) თავისა გვერდით გუარით] თავის გუარით—A, C,
თავის გვარით—K.
 - 3 (გვ. 24, 28) გიბრუნებია] მოგიბრუნვებია—B.
 - 4 (გვ. 25, 16) ესოდენი მოკვრილვარ] ესოდენი გიყვარვარ—F.
 - 5 (გვ. 25, 27) არ გავაორებდი] არ გავაორგულებდი—C.
 - 6 (გვ. 26, 2) რა წერა გათავდა] რა გათავა—C.
 - 7 (გვ. 26, 13) იგი უთქვამს] იგი მოუხსენებდა—C.
 - 8 (გვ. 26, 30) შემოუთვლია] შემოუღია—B.
 - 9 (გვ. 26, 33) მუქთის პურის] მუქთის პურის—A, მუქთისა პურისა—B.
 - 10 (გვ. 27, 3) ლაყაფი არის] ლაყაბდა—B.
 - 11 (გვ. 27, 8) აქა ომაინისაგან სელიმ საფადართან კაცის გაგზავნა მოსაყვანებ-ლად—B; აქა ჰომაინისაგან სალიმ სპასალარის დაბარება და მოყვანა—C..
 - 12 (გვ. 27, 22) ვაჟის] სალიმის—C.
 - 13 (გვ. 28, 1) აველე] ვიყავ—F, აველე—E.
 - 14 (გვ. 28, 8) სპასალარო] სფაადარო—B. (საერთოდ B-ში ვკითხულობთ
საფადარი, სფაადარი, სფაადარი).
 - 15 (გვ. 29, 4) უმამაცოს კაცის გული] ჯაბანის კაცის გული—F.
 - 16 (გვ. 29, 15) (მოედანი აქა-იქ გვხვდება მეოდნის ფორმით):
 - 17 (გვ. 30, 5) იცემნეს] იცემებოდეს—C, E, K.
 - 18 (გვ. 30, 13) მეფე სადგომად წაბრძანდა]—(არ არის A და D-ში).
 - 19 (გვ. 30, 29) დაუდებია] დაუდვია—C, E, K.
- * (გვ. 31, 2) B და E-ს აქედან ახალი თავი აქვთ:
- B—აქა მეორე ომი ზღვათა მეფისა შვილისა და სალიმ სფადარისა; E—აქა დიდი ომი მეორედ ზღვათა მეფის შვილის და სალიმ სპასალარის და გაბარჯვება ზღვათა მეფის შვილისაგან სალიმ სპასალარზედ.
- 20 (გვ. 31, 5) დაასხეს] დაასვეს—A.
 - 21 (გვ. 31, 14) ამ აუგს არ მოელოდნენ] ამ გვარ. საქმეს არ მოელოდნენ—C.
 - 22 (გვ. 31, 15) გაგებით] განგებით—A, D.
 - 23 (გვ. 31, 34) ტაბაკით] (ტაბკით—გვხვდება ზშირად აქა-იქ):
 - 24 (გვ. 32, 24) დაარქვეს] დაადგეს—B.
 - 25 (გვ. 32, 33) ზმიდა] ზვემდა—B, ზემდა—D.
 - 26 (გვ. 33, 8) სარტყლოსანნი] ქამროსანნი—D.
 - 27 (გვ. 33, 12) გუნება] ბუნება—B, გონება—C, გუნებაში—D.
 - 28 (გვ. 33, 13) სათანაო] სათანაოსა—B, D.

- 29 (გვ. 33,10) ცოლშვილით, ზითეში ყმით, საქონლით]—(არ არის A, B და D-ში).
- 171, 2 გამოეყარა] გამრესალმა—F.
- 173, 3 საამრიგონია] საქმე სამარი გონია—C, E.
- 184, 3 ჰეოგბს] ნახავს—D.
- 190, 1 კვლავ კადრებდეს კითხვასა—C, კვლავ იკადრებდეს, კითხვასა—K.
- 190, 3 წელთ] გვერც—A, გვერთ—C.
- 191, 4 ამას იტყოდეს.—F.
- 195, 4 დარად] საგრად—C.
- 197, 1 სტორამლებია] სტოროლაბლებია—B, სტორაბლებია—D, K.
- 201, 4 ვკითხოთ რამე] ვკითხოთ ხოლო—B, ვჰკითხოთ ხოლმე—D.
- 206, 4 დანაყრობითა] დანაყრომითა—A.
- 207, 2 ჩვენმან თუ გვარგოს, თავი გვაქვს ჩვენ შენთვის გარდადებული—C, K.
- 213, 2 ადვილ] ადრე—C, K.
- 214, 3 ნიადაგ] კვლა და კვლა—D.
- 219, 1 რა ვქნა] რა ვთქვა—C.
- 224, 4 გეყავ გამსაჯარია] გვექმენ განამჯავრია—F.
- 225, 4 დააგდეს ქულბაქი, სრულ ბაზარია] ქულბაქი მუნ ბაზარია—A, ქალაქი მუნ ბაზარია—C.
- 226, 4 გარდაგებითა] გარიგებითა—C.
- 227, 4 ოქროა] ოქროთა—C, K.
- 231, 3 სიფიცხენ] სიაღუენი—F.
- 233, 3 გუარის მთხრელები] გვარისა მთხრელები—C, K.
- 240, 4 მას დარჩომოდა მტერობა მზის შუქი მაშინდელითა—L.
- 242, 3 დადნა მიწყივ დადნობილი] დანა მიწყივ დანდობილი — F, დადნა მიწყივ დანდობილი—K.
- 242, 4 მოიყვანეს იგი კაცი; ცხენი ესხნეს აყდობილი—F.
- 246, 3 მოსამართლე, ნუ დაგწვამ ცეცხლითა მე ნაწყალითა—F.
- 248, 2 ემწარებოდა] ემოწმებოდა—C.
- 249, 3 ტიროდენ და იჭიროდე, ზმა გამოხდა ვაგლახისა—F.
- 250, 4 ჩაიცვეს ტანს საგლოველი ჭრელია] ჩაიცვეს ამოწერილი ჭრელია—A, C.
- 253, 4 მას იკითხევდეს მუნ მნახნი: ნეტარ სად არის მანდარი—A, C.
- 254, 2 გითა ჩაირსა აბრუნებდა—F.
- 258, 3 კაცი დგა მრავლად ფრთენითა] მრავლად დგეს ჭვრეტად ფრთენითა—B, D.
- 264, 2 გვეხარ] სჯობხარ—L.
- 264, 4 დავიმოწმებ] დავიფიცავ—L.
- 265, 3 მიცვემელი] მომციელი—L.
- 266, 4 მაკვდინებელი] გამკურნებელი—A, მაკურნებელი—C.
- 267, 2 შუბი] გუბი—A, B, C, D... (შუბი მხოლოდ L-შია).
- 267, 3 და იმისი მე უუბი] და იმისი მელა უბი — B, მე იმისი შეუგები — F, და იმისი მე უუბი—K.
- 269 ლ-ში სტროფის მეორე ნახევარი ასე იკითხება: არ ვინ იცის, რა გვარია, ან რის ქვეყნით გარდმოგული, მისგან ვინმე შორს მყოფელთა გული ჰქონდეს დადაგული.
- 270, 2 ეგზომსა ნაყბედობასა] ჭკუითა ნაზარდობასა—A, C:
- 274, 1 მას კაცსა ჰყადრა, გვერთო—C, K.

276,₁ ესე ქალი, ოომ მასა აქვს—C, ესე ქალი, ოომ მას ახლავს—K.

278,₄ კითხვით და წერითა] კითხვით და სურკილით—C, K.

279 ამ სტროფს L-ში მოსზევს სხვა ხელნაშერებისათვის უცნო სტროფი:

გვერდსა დაისვეს, გაცხადდა მათა სიტყვები გულძსა,

უთხრეს ამბავი მოყმისა მის შორით გარდოგულისა:

„წესია რგორ ა მიჯნურთა თვისთავან დაკარგულისა,

და რას იტყვი? წვევა გეწადიან ხე ეფემს დანერგულისა.“

280,₄ სამუდამისად] სამუდარისად—C, K.

281 ამ სტროფის შემდევ L-ში ვკითხულობთ:

იგი მოყმე ხელი ვინმე შენთა ჭირთა ენაცვლების,

მის სარჯელთა გარდახდომა ეწით არა მოითელების,

შენგან კიდე საგონებლად რამც აქვს, ან რა ენალცლებას?

და ზეგა, დამო გაგებული ცუდად არა გარდაულების.

282,₂ მეუცხოვა, გამკვირდაო] ნეუცხოვა, მიკვირს, დაო—A, D, F.

284,₄ წყალობა მჭირს უსანომო, მიზამს ჩემსა მონებურსა—L.

286,₁ კ, ლავცა უთხრა—C, K; გაგორტებას] გაგევანებას—C, K.

286,₄ ვინ მზესა] ვისი მზეს—A, B, D.

287,₃ მე მნახისა] მოსმერისა—B, D, L.

289,₂ შეეწების] შეეწეოების—B, შეეწეუებას—D, შეეწების—L.

289,₃ იიფების] იიფების—C, იიფების—D, I, იაფების—F.

291,₃ სწორთა] მტერთა—C.

291,₄ თუ ხარ და იგი არ გინდა—A.

292,₃ ნახვად პირისა] ნახვათ მის თემთა—L.

292,₄ მსწრაფლ] მალ—A, C

294,₄ აწევ მივიდეთ ქვეითნი, არ წასცლების ცხენისად—L.

295,₄ გონებისა] მონებისა—A, მონობისა—C.

295 ამის შემდეგ L-ში ეს ზედმეტი სტროფი:

იცით, თუ ჩემსა პატრონსა თქვენი ვით უნდა მონობა?

სრულად მისრელთა ამბად აქვს შენ შუქთა მოსაწონობა;

რაცა გინდოდეს, გვიბრძანე, პქენ თქმათა შესაწონობა,

და ევეთსა გმირსა შეხც გმართებს საქმისა დაუღონობა.

295,₄ ნუ თუ შენ რა მოიგვარო კეთილისა მისაგვანი—L.

297,₂ მიც ლაპვარი სიტკივილისა] მჭირს უებო სატკივილისა—A, B, C.

299,₁ ბურნე-მელიქ] ბურნა-მელიქ—A, C

300,₄ მე ვჰყო] მე ვქნა—C, F, K.

301,₃ უღონიოდ—A, C.

303,₁ მოვარესა, ზე ადგომილსა] პირმოვარესა მზს ადგომილს—B, მოვარეს ადგომილსა მილსა—D.

304,₄ მოახლებითა] მოსახლებითა—B, D.

305,₂ საიმისოდ] საიმედოდ—D.

307,₂ იგი მზ—B.

- 308, 4 მთვარე გაიცი, მზის შუქნი პირს ექმნეს შემოფენილად—L.
 309, 4 უშენოსა წუმც გაუღებს პირსა ჩემსა დანა კარსა—L.
 310, 4 განაცინდეს] გაიცადნეს—C.
 312, 4 აკლო] აკრთო—C.
 314, 3 ვაჭართა] ვაზირთა—B, D, L.
 314, 4 თუ შემაჩინდეს გამტყუნება, ჩემგან ვინდა რამ ირწმუნა?—L.
 316, 2 უქონელთა—A, C.
 321, 3 მხედავლა—B, მხედავა—D, ხედავო—L.
 321, 4 ღმერთმან დამშეცის, შენზედა თუ ვიყო საორგულითა—L.
 324, 1 მასვე—A, C.
 324, 4 გამომლალავი] გამამლალავი—A, C, K, გასამლალავი—F,
 გამომლალავი—D.
 324 ამის შემდეგ L-ში ორი ზეჯმეტი სტროფია:

კვლავცა ატრდა ომაინ ცხელისა ცრემლთა დეწითა,
 უთხრა, თუ: „თავი სიკვდილად თქვენ ჩემთვი გარდგიდენითა,
 თუცა შმაგი ვარ, არ ვიყო სიტყვათა ნაცაჟენითა,
 და შენი არ ვიყო, გიტყუო, ღმერთი ვყო მგმობრად ენითა.“

ქალი ეტყვის, თუ: „მამაცი ხამს იყოს სიტყვა სრულობით,
 არ დრაცურად ზოგთამე ფიც-პირთა გაუსრულობით,
 თქვი, რაცა გინდეს, ნუ მიქმენ გული ლახვართა სრულობით!
 და განა ვერ გხედავ—მიყრილხარ ოდენ სულ წაცასულობით.“

- 326, 3 ღამით] თვალთა—A.
 327, 2 ქონად გულს დამარხულისად] ქნად გულს დამარხულისად—B, შენახვად
 ჩემისა გაზრახულისად—C, შენახვად ჰქონდა გულს შენახულისად—F.
 328, 3 ყელთა საბელთა] ყოვლთა საბელთა—A, C, ყელის საბელი—B, ხელის
 საბელთა—D.
 329, 3 გხედავ მეტად ცეცხლ მხურვალსა] სენი შეიქს შენზედ ვალსა—A, C,
 გხედავ მეტად მომხურვალსა—D.
 332, 2 კაცთაგან] ქვეყანად—A, B, C.
 336, 2 ორსა] რიდეს—A.
 338, 4 ვერას მიმხვდარან, ყოველთა გული აქვს დაჭმუნებისა—L.
 338, 4 დამბრმალ] დამბულნ—C.
 342 ეს სტროფი არ არის A, C, F, K-ში.
 343 ეს სტროფი ასე იკითხება L-ში:

კვლავ მოახსენეს აქიმთა: „ხსოუნა გვაქვს დიდთა ჟამისა,
 გვიკვირს, თუ რა სჭირს, არ ვიცით, არცა ვართ მნახი ამისა,
 სიცხე არა აქვს, არცა სჭრის მას სუნი წონა დრამისა,
 და გულსა შექვნია მონდომა შეტყობად რაღაც რამისა.“

- 346, 3 შილობრთ] შლილობით—A, C, F, K, ქალიშვილობით—L.
 349, 1 დააჩნდა] დააკლდა—A, C, F, K.
 350, 3 შებრძოლთ—A.
 351, 2 თანა ეახლების] გვერცა იახლების—A, C, F, K..

- 353, 1 ომაინს თანა—D, L.
- 353, 3 დაედარები] დაედგინები—B, D, L.
- 354, 1 მობრუნდი—A.
- 355, 1 ლალობით] ლალობად—L.
- 361, 1 არცა ვიცი, თუ რასთვის აქვს ვაჭრულად ჩასაცმილონი—L.
- 361, 4 ჩრდილსა სპილონი] გრილსა სპილონი—A, გრილოსა პილონი—D.
- 362, 1 უხმი] უთხრა—D.
- 362, 2 თქა, თუ: „მე ვაჭრად მოსულვარ, არ მაქვს ჭაბუქთა ცილობა;“—L.
- 364, 1 მეფეს, სპათა, დიდებულთა] მეფესა და დიდებულთა—A, L.
- 364, 4 ჰეგანდეს] ერთგან—L.
- 365, 3 იამებოდა] ენატრებოდა—B.
- 365, 4 მისსა შემყრელსა ცეცხლისა წვა ადრე დაევსებოდა—L.
- 368, 2 უბრალოდ ცრემლითა] უებროდ ენითა—A, C, უებროდ ცრემლითა—L.
- 369, 3 სდის] წვიმს—L.
- 370, 1 ყოველთ ღამეთა ვაება აქვს და თავს ცემა] ყოველთ დღეთა ვაება
აქვთ თავსა საცემი—A, ყოველთა დღეთა ვაება აქვს თავს საცემი—C,
ყოველთ ღამეთა აქვს ვაება და თავსა ცემა—D.
- 373 ორი უკანასკნელი ტაები ასე იგითხება L-ში:

დია დასტურად ვიაზლნეთ, ვისმინოთ ნაუბარია;
და რა ცხენსა შეჯდა, აეცსო ცრემლისა საგუბარია.

- 379, 4 რად უარგა თქვენთან ჩემისა სიტყვისა მბობა მწარისა—L.
- 380, 1 ნურად გრცხვენია—L.
- 380, 4 დგამობა] ამობა—A, C.
- 381 L-ში ამის შემდეგ ორი ჩანამატი სტროფია:

რქეა, თუ: „არ გაწყენ, ვერ ვიტყვი, არ თქმისა დამრთე ნებანი,
ვიცი, რომ არსით არ მოსჩანს ჩემთ ჭირთა განკურნებანი,
ცუდად რას ვყბედომ? კვლაცა სჯობს სასჯელთა მოთმინებანი.
და მიჯნურთა წესი ფარვა არს, არ ვარგა განჩინებანი,“

მეფეს რა ესა ყმისაგან მიჯნურობისა სსენება,
ამა საქმისა შეტყობა უფროვე ერთობ ენება,
ომაინ ვრ ყოლ ვერა ქნა ცრემლისა წამსა ყენება,
და კვლა-და-კვლა ჰერთხა, არა-თქმას მას თავი არ დაანება.

- 382, 1 ერთხელად] პირველად—A, C, D.
- 382, 2 სახე გნახე, გამელვიძა—A, C.
- 383, 1 ვერა ვარგე] ვერა ვნახე—A, C.
- 385, 4 ღაფლად დავრჩი] ლაყბად დავრჩი—F.
- 385 L-ში ამის შემდეგ ეს სტროფია:

სასიკვდილო ადვილ მიჩანს თავი მასთვის დასაცებლად,
მცირედ უამღა მოვიცადო, ვირე ვიყო მისად მძებრად,
ვერა ვპოვო, სისხლი ჩემი მე ვყო ველთა და ღამდებრად,
და ცოცხალ ვიყო—სიყვარული მისი მქონდეს გარდუმღებრად.

- 386, 3 ბრძანა: „ქალს ვნახავ, იცოდეთ, არ მივალ შეუგზავნელად.“—F.
- 403, 3 სიტყვა] საქმე—B.
- 411, 1 განუწესა] გაუწესა—B, D, დაუწერა—A, C, F, K.
- 412, 2 გალირსა] მაღირსა—C, K, მიბრძანა—L.
- 412, 4 გამოცდილობა] გამოცდილობა—B, გამოცდილობა—D, გამოწვლილობა—L.
- 414, 1 ყოვლისა] ყველისა—B.
- 414, 2 საქციელი] საქონელი—A, C.
- 414, 3 გითქს—A, C, L, გიქს—F.
- 414, 4 მზობად] გზობად—C, K.
- 416, 2 გახსოვს] ახსონს—B, ახსოვს—D, მაშინ—L.
- 416, 4 დავიხსოვნე] დავიყოვნე—B, D, L.
- 417, 1 ღვთულად] ღვთულებრ—B.
- 417, 3 ოქვენც სრულად მოგცეს უფალმან—D.
- 418, 3 იაზრენითა] იაზდენითა—A, იაზდენითა—B, L, ინასდენითა—D.
- 418, 4 მე რაღას მკითხავთ—A, B, C.
- 419, 4 დასჯერდა, მსეებრ გაპწყინდა ლალზედა შერთვით მინები—L.
- 422, 2 ომინს წყენა მიეცა მისისა ცეცხლთა დებისა—D.
- 422, 4 ჩამოჯრა] ჩამოჭრა—F.
- 422 ამ სტროფის შემდეგ L-ში სამი ზედმეტი სტროფია:

